বেবসা

A LIFE-SAVER HOME CARE

გთავაზობთ კომპანიონის სამსახურებს მათ, ვისაც აქვთ **PCA** და **HHA** სერტიფიკატი

მოგრძანდით და დარეგისტრირდით დღესვე!

ამოირჩიე საუკეთესო შენთვის!

- ☑ მალალი სწყისი ხელფასი;
- ☑ ყოველწლიური მატება ხელფასზე;
- ☑ ყსწრაფესი დასაქმება;
- ☑ Live-in სამსახური 157$-დან;
- ☑ Direct Deposit;
- ☑ დამატებითი ანაზღაურება ზედმეტ საათებზე

ინგლიზურის ცოდნა არაა საკვალიფიკაციო

აგრეთვე გთავაზობთ მეტროკარტას, დასვენების დღეებს გადახდით, DENTAL და VISION დაზღვევებს

ყურადღება! ახალი პროგრამა CDPAP შეგვიძლია დაგასაქმოთ მშობლების, ნათესავების და გავშვების მომვლელებად.

1425 Kings Highway, 2nd Floor

718-885-4615

www.allheartcare.com

ჟურნალის ეს ნომერი იბეჭდება
ბატონ **რამაზ გოცირიძისა** და
ქალბატონ **მარინა სანაძის**
უშუალო თანადგომით

5 **სარედაქტორო**
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს!

8 **13 ივნისი**
შიგნიდან დანახული სტიქია

13 **#წყალდიდობისთაობა**
მე დღეს არ ვარ ამაყი

16 **თეა წულუკიანი**
კანონის მხარეს

22 **პორტრეტი**
შინ დარჩენილი „მრავალჟამიერი“

28 **კახა ბენდუქიძე**
დიდი ბავშვი

31 **„ილუზიონი“ კაბადონებში**
ჯარისკაცის მამა

38 **ნომრის დისკუსია**
ლიტერატურის 20 წელი

42 **საღლეისო ფელეტონი**
ხმა

46 **როგორ დაითანხმეს**
გრაფი სეგედის როლზე...

51 **ემიგრაციის ისტორია**
რაჭველი მეპურეები ამერიკაში

53 **იოსებ გრიშაშვილი**
მე შენ სახელად ანი დაგარქვი

56 **მსოფლიოს ქართული ბესტსელერი**
პაპაშვილის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

64 **ჭაბუა**
ვქმენ, რაც შევიძელ!

რეზო თაბუკაშვილის
ანდერძი მომავალ თაობებს

მშვიდობას ვეტყვი, მალე ქართულ ზეცის საფირონს,
და მცირე ტალღად შეგვრწყმები ზღვას, უნაპირის.
ქარს, იმქვეყნიურს დავუხვედრებ მალე წინ აფრას,
– დიდებულია! გარდვიქცევი მალე წინაპრად.

და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა წვალებას,
სიკვდილი მაინც არ დაარქვათ გარდაცვალებას,
მე წავალ, რადგან დრო არა მაქვს უკვე არჩევნის,
მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები.

მეც გომეგზურებთ, ცხოვრების გზას როცა გაჰყვებით,
მე დაგიწახავთ, მაგრამ ვეღარ დაგენახვებით.

მე არასდროს არ ვიქნები თქვენთან მოდავე,
სამშობლო თქვენი, თუ არასდროს არ იცოტავეთ,
მაგრამ იცოდეთ, მე იმ დღიდან თქვენთან არა ვარ,
თუ სარბიელად საქართველო გეპატარავათ.

დამარცხებულნიც არასოდეს ჩანდეთ საბრალოდ,
ვინმეს სიგლახე, კაცთა მოდგმას არ დააბრალოთ.
მშვიდი გექნებათ სიყმაწვილე, მერე სიბერე,
სხვათა მიღწევით, სიხარული თუ გაიბევრეთ.

მანუჩარ კაჭახიძე,
ჟურნალ „მამულის“ რედაქტორი

„ოქსს მე ვუ"ოდებ მოვსრბილო მუ"ყეს!“

ტიციანისთვის თუ ლექსი მოვარდნილი მეწყერი იყო, დედამიწისთვის პოეტური შთაგონება რატომ არ შეიძლება იყოს იგივე აბობოქრებული სტიქია, რომელიც ბეთჰოვენური გაქანებით მოედება მასშტაბურად დიდ სივრცეს?!

როდესაც გარედან უყურებ ყველაფერს ამას, რა თქმა უნდა, მიმზიდველია საცქერლად. გასაოცარი სანახავია მარინისტი მხატვრის, ივანე აივაზოვსკის „მეცხრე ტალღის“ ორიგინალის ნახვა სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო რუსულ გალერეაში.

რა ფერებია,

რა გარდამავალი განწყობა,

თითოეული ფართობიდან მშფოთვარება მოდის - ერთის მხრივ უსუსურობა ადამიანთა, მეორეს მხრივ კი - უსაზღვრო გაქანება სტიქიის პოეტური ფრთებით. მქონია ბედნიერება და მინახავს ეს ორიგინალი რუსეთის დედაქალაქში, მაგრამ არას გზით ვისურვებდი განმეცადა ეს სტიქია საკუთარ თავზე. ყველაფერ ამის განცდა სასიამოვნოა მხოლოდ უსაფრთხო წერტილიდან.

არც მსოფლიო საყოველთაო წარღვნა იყო იოლი მოვლენა. ღმერთისთვისაც კი მტკივნეულია ასეთი გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ დასაშვებიც და აუცილებელიც, რათა ადამიანები მცონარებას არ მიეცნენ, იფხიზლონ და გაისიგრძეგანონ ერთმანეთის ფასი.

ამერიკულ ბლოკ-ბასტერებში ხშირია სპეცეფექტებით მანიპულურება, რათა მეტის სიმძაფრით მოიტანონ მაყურებლამდის სიმძაფრე ნგრევისა. ასეთი ფილმებით სავსეა მსოფლიო კინოინდუსტრია და ყველაზე მეტი მოთხოვნა ასეთ ფილმებს აქვთ.

ადამიანებში გამეფდა პომპეზურობის შეგრძნება, გრანდიოზულობისკენ მისწრაფება. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ორგზის განმეორდა გრანდიოზული მსხვრევა - ერთი 1912 წლის 14 აპრილს, როცა საოკეანო ლაინერი „ტიტანიკი“ აისბერგს შეეჯახა და სულ რაღაც ორ საათში ატლანტის ოკეანის ფსკერზე დაეშვა ეს ჩაუძირავი ხომალდი; და მეორე - 1937 წლის 6 მაისს, როცა დირიჟაბლი „ჰინდენბურგი“ აფეთქდა ნიუ-ჯერსის ქალაქ ლეიკჰორსტის მახლობლად.

ორთავე შემთხვევაში გრანდიოზულობაზე კეთდებოდა მთავარი აქცენტი და ტექნიკურ უნაკლობაზე. შიდა ინტერიერი მოწყობილი იყო ორთავ შემთხვევაში სრული კომფორტით თავ-თავიანთ დროსთან შესაბამისად. ვერ უშველა უსაშველო პიარმა ვერც ერთ მათგანს და ადამიანებში კარგა ხნით დასამარდა გრანდიოზულობა. ტექნიკის მიღწევებმა კი ისევ გაღვიძეს ადამიანებში ბაბილონის გოდოლის სინდრომი... და ისევ ვისჯებით.

ფილმებიც კარგია, ტექნიკური აღჭურვილობა ხომ კიდევ უკეთესი, მაგრამ უმთავრესად საფრთხის შეგრძნება დავკარგეთ ამ თავბრუდამხვევ დროში... და ხანდახან ვირტუალური სამყაროდან გამოვყავართ რეალობას და ვხედავთ, თუ როგორი დაუცველები ვართ ერთმანეთის გარეშე.

მერე უკვე აღარ იქნება არც გალერეაში ჩარჩოში ჩასმული „მეცხრე ტალღა“, არც განცხრომით ატლანტიკზე მოცურავე „ტიტანიკი“ თუ მფრინავი „ჰინდენბურგი“, არც სამი-დე სათვალეებით ნანახი ბლოკ-ბასტერები, რომლის წიაღში ვირტუალურად აღმოჩნდები. ყველაფრის გარეშე თავს დაგატყდება ბუნების რისხვა და მთელი დრამატიზმი ფილმებისა შენს თვალწინ გათამაშდება რეალურად, არათუ ტელეკამერების წინ შოუ-დადგმებითა და გადაცემების წარმატებისთვის პირში მიკროფონშეჩრილი ჟურნალისტების პოზიორობით, არამედ ნამდვილად, სიკვდილისაგან სახსნელად მეზობლის გამოწვდილი ხელის წყალობით, ვიღაც უცნობის თავგანწირვის ფასად, რომლის წინაშეც მთელი ცხოვრება ქედს მიიდრეკ.

ის უცნობი კი შენს თვალსაწიერს მიეფარება, როცა თავის მადლიან საქმეს გააკეთებს. შენ კი ძებნას დაუწყებ ათას ხალხში. რომ გადაივლის ყველაფერი, მერე განაგრძობ ძებნას. არ გასვენებს მის მიმართ მადლიერების გრძნობა. თუ ბედმა გაგიღიმა და ოდესღაც მაინც იპოვე,გაგიხარდება, მთელი შეგნებით რომ შემოინახე მისთვის ამდენი წლები მადლობის სიტყვები და მეტი არაფერი.

არადა, მეტი რაღა უნდა იყოს!

ჩვენ ბევრჯერ დაგვიჩივლია რიცხვობრივ სიმცირეზე, მაგრამ არც ერთხელ გაგვისვამს ხაზი, თუ ეს რიცხვობრივად მცირე ერი - როგორი ძლიერები ვართ ერთად დგომით.

ყოველთვის ვწუწუნობთ, რომ ერთმანეთს არ ვინდობთ, ერთმანეთს ვებრძვით და ასე შემდეგ. ამის ფონზე ჩვენ ვიცით ომშიც და მშვიდობაშიც ერთმანეთის გატანა, ერთმანეთისთვის თავდადება, თუნდაც სპონტანურად, მაგრამ მაინც ვიცით.

მე მახსენდება რუსეთ-საქართველოს ომის დროს გამოცხადებული პოლიტიკური მორატორიუმი და პატრიარქის დაძახილზე ერთ მუშტად შეკრული საქართველო როგორ იდგა ხელი-ხელჩაკიდებული უწყვეტ ჯაჭვად იმიერითგან ამიერამდის.

აი, ეს გენეტიკური კოდი გვაქვს ჩვენ.

და მეტიც, ორიოდ წლის შემდეგ სტიქიურმა უბედურებამ თვით რუსეთს გადაუარა და ცეცხლის ალში იწვოდა ცენტრა-



ლური რუსეთის ტყეები, მოსკოვის გარეუბნებში მიაღწია ამ ხანძარმა. ამ დროს ჩვენ დახმარება შევთავაზეთ რუსეთს, გვერდზე გადავდეთ რა პიროვნული წყენა.

აი, ეს ხალხი ვართ ჩვენ, ღმერთმა რომ თავის ხატად შექმნა.

მე არ მიკვირს თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურებისას რომ დაირაზმა მოხალისეებად მთელი ქვეყანა. საიდან აღარ ჩამოდიოდნენ გაწმენდითი სამუშაოებისათვის ჩვენი თანამემამულეები - ზოგი ტანისამოსს აგზავნიდა, ზოგი საკვებს, ზოგი ფულად სახსრებით ეხმარებოდა სტიქიით დაზარებულებს.

ამ აქციამ მასიური ხასიათი მიიღო მთელს საქართველოში.

ეს მე არ მაკვირვებს,

ეს მე მახარებს!

მახარებს ის, რომ ჩვენში ჯერაც ცოცხლობს და, იმედია, კარგა ხანი იცოცხლებს სული ცოტნესი. შეიძლება ვიღაც უცხოელს გაუკვირდეს, მაგრამ მე არ მიკვირს, როცა ისედაც ერთი მუჭა ერი ფეხზე დადგა -

მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა,

მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა,

მიუხედავად და მიუხედავად მრავალი ფაქტორებისა.

ჩვენ ვუყურებდით და ვხედავდით სიდიადეს სულისკვეთებისას რეალური საშიშროების წინაშე.

სწორედ, აქ გამოჩნდა სიყვარული არამარტო ურთიერთისა, არამედ თვით თბილისისა, და მე მჯერა, როდესაც ქართველმა კაცმა ეროვნულობის სავიზიტო ბარათად აქცია „სიმღერა თბილისზე“ და მთელი მსოფლიოც აამღერა ამ შესანიშნავ მელოდიაზე, ეს მარტოდენ ლიტონი სიტყვები არ ყოფილა ლექსად გამოთქმული და ამღერებული, ეს გულწრფელობაა, ეს სინამდვილეა!

და თუ ეს სინამდვილეა, მაშინ ის გულისტკივილი, რაც თბილისს დაატყდა 2015 წლის 1 ივნისის ღამეს, შოკისმომგრელია და შოკიდან გამოსვლა ვინ, თუ არა ქართველებმა საუკეთესოდ ვიცით - „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად!“

ვიცი, სოლიდარობის შეგრძნებას ეროვნულობა არ გააჩნია, იგი ზოგადსაკაცობრიო კეთილშობილებაა, რომელიც უფალმა მხოლოდ ადამიანს მიანიჭა ნიჭად, რათა მრავალთაგან კიდევ ამითაც გამოირჩეს იგი ცხოველისაგან. ვინც არ უნდა იყოს და როგორც არ უნდა იყოს, თანადგომა და თანაგრძნობა ყველას სჭირდება.

აქ, ამერიკაში, არაერთი შემთხვევა იყო თანადგომისა, თუნდაც ყოფილიყვნენ მკვლელები და კრიმინალები, რომლებსაც სას-

გარეკანიდან:
ბუბა კუდავას ფოტო

ჯელად ელექტროსკამს მიუსჯიან.

ასე იყო ამ 95 წლის წინათ ნიკოლა საკოსა და ბართლომეო ვანზეტის სასამართლო პროცესებისას. გულშემატკივრები ქმნიდნენ ჯგუფებს სოლიდარობისა, რათა მასაჩუსეტის სასამართლო კოლეგიას არ გამოეტანა სასიკვდილო განაჩენი, ხოლო პრეზიდენტთან გაგზავნილ შეწყალების პეტიციას სულმოუთქმელად ელოდა მთელი ამერიკა.

საკო და ვანზეტი მკვლელები იყვნენ, მთელი ოჯახი ამოწყვიტეს, პოლიტიკური შეხედულებით კი სოციალისტები იყვნენ. მიუხედავად ამისა, უბრალო ადამიანებმა გამოავლინეს ერთმანეთის გვერდით დგომის საარაკო მაგალითი. ბრალდება ვერ ამტკიცებდა წაყენებულ ბრალს, ბრალდებულები კი - უდანაშაულობას. უდანაშაულობის პრეზუმცია კი ითვალისწინებს ყველა საეჭვო და დაუდასტურებელ მტკიცებულებებსა და ბრალს ბრალდებულთა სასარგებლოდ. სწორედ ამ პრეზუმციის დასაცავად შეიკრიბა ხალხი და არა მარტოდენ საკოსა და ვანზეტისათვის.

რამ გამახსენა ეს ახლა?!

დიდი ღირებულებების გარშემო შეკრება და თავდადება საისტორიო საქმეა. ჩვენში ხშირი იყო დიად ღირებულებათა დასაცავად ადამიანთა გვერდით დგომა. ამ გვერდით დგომას შეუძლია რევოლუციები მოახდინოს. დღეს ჩვენში დიდი ტრაგედია დატრიალდა და ამის გამო ერი და ბერი ფეხზე დადგა, ქუდზე კაცი გამოვიდა, რათა დახმარებოდა დედაქალაქს, თანამოქალაქეებს, უსახლკაროდ დარჩენილებს.

დასანანია აგრეთვე დაღუპული ცხოველებიც და განადგურების პირას მოსული ზოოპარკი, მაგრამ ერთი ადამიანის სიცოცხლე უფრო მეტი ღირს, ვიდრე მთელი ზოოპარკი. მე დარწმუნებული ვარ, აღსდგება ზოოპარკიც, ის თავის დანაკლისს შეივსებს, იქნებ უკეთესადაც წავიდეს საქმე - ზოოპარკს მოუმრავლდეს მნახველები, მოიმატოს შემოსავლებმა, მაგრამ იმ დაღუპულ თანამშრომლებს ვერაფერი შეცვლის.

დადგება დრო თბილისიც მოიშუშებს იარებს, ისევე როგორც მოიშუშა

მურვან-ყრუს,
ჯალალ-ედ-დინის,
თემურ-ლენგის,
შაჰ-აბასის,
აღა-მაჰმად-ხანის,
ხრუშჩოვისა და
გორბაჩოვის იარები.

წყალს გავატანთ დამეწყრილ ნარჩენებს, აშენდება უკეთესად და აშენდება უკეთესი. მდინარე ვერე აღარ გადმოვა თავისი კალაპოტიდან და თუ მაინც ინება, თბილისი მზად დაუხვდება და როგორც გახედნილ ცხენებს აურვებს მხედარი, ისე დაიმორჩილებს ქალაქი თავის მდინარეს.

ერთია რომ, ადამიანებს შორის არსებული ეს ურთიერთმაკავშირებელი ხიდი არ უნდა გაწყდეს... და მჯერა, რომ ვერც გაწყდება, რადგან თუ აქამომდე არ გაწყვეტილა, ამდენი პოლიტიკური მიკერძოებამისაკუთრებების მიუხედავად, ამიერიდანაც იქნება ჩაბუდებული ეს გრძნობა ჩვენში. თავს არ გამოიჩენს, მიიმალება, რათა უადგილოდ არავის მოხვდეს თვალში და როცა საჭირო იქნება, მაშინ გამოავლენს თავის კეთილშობილებას.

გასულ წელს, ინტერნეტ-სივრცეში გაჩნდა სოლიდარობის ასეთი ფორმა - ყინულიანი წყლის თავზე გადასხმა. ამ მარათონში მრავალმა ცნობილმა პიროვნებებმაც მიიღეს მონაწილეობა და გამოხატეს თავიანთი თანადგომა „ამიოტროფული სკლეროზის დაავადების“ კვლევებისადმი.

თბილისს ეს არ დასჭირდა. საუკეთესოდ დაანახა მსოფლიოს ეს ტკივილი!

ცხოვრება ზვირთია, ადამიანი - ჯებირი.

დიდი ადამიანები ყველაზე მეტად სანდონი არიან ცხოვრებისეულ სტიქიასთან საბრძოლველად. სტიქია მარტო წარღვნა და მეწყერი როდია, სტიქია ადამიანში დაბუდებული სულიერი ენერგიაა.

ათასეული წლების შემდეგ პომპეისა და გერკულანუმის გაუჩინარების შემდეგ მათი ხელახლა აღმოჩენის შემდეგ ისევ გაგვაციფრა

ადამიანურმა ნაქნმა,
ადამიანურმა ნააზრევმა,

როგორც თავის დროზე მათი გაუჩინარება გააცვიფრებდა რომის იმპერიას და მთელ მაშინდელ მსოფლიოს.

ღმერთმა აცილოს სამყაროს პომპეისა და გერკულანუმის ბედი, ეს მხოლოდ ადამიანური გონების სიდიადეზე მოგახსენებთ, რომლის წინაშეც უძლურია ნებისმიერი სტიქიური უბედურება და დამანგრეველი ომები.

მაშ, გავუფრთხილდეთ ადამიანებს და ვიპოვოთ თითოეულ მათგანში ღვთისმიერი სიდიადე!

მიგნიდან დანახული სტიქია

ბეჟანმა ჩვეული სიმშვიდით გადახსნა თოფი, შპრიცი ჩადო, დაკეტა და ნაცრისფერი ობიექტი მიზანში ამოიღო. სული შეგვეგუბა. წამები უსასრულოდ გაიჭიმა. ჩახმახი დასხლტა, გაისმა ტკაცანი და ვარდისფერი პომპონი ჰიპოპოტამის ყურის ძირთან, კისერში ჩაჯდა.

„Yes!“,- დაიყვირა ვიღაცამ. ეს ბეჟოს მიერ ჩატარებული მორიგი „მასტერკლასი“ იყო. უკვე გათენდა. ფაილის მონაცემებში, გოგიტა ბუხაიძის გადაღებულ ამ კადრზე, დილის 6 საათი და 01 წუთია დაფიქსირებული.

რამდენიმე საათით ადრე, სავარაუდოდ, დილის 3 საათზე,ჰიპოპოტამს რამდენჯერმე ესროლეს საიმობილიზაციო პრეპარატი, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ჩანს, შპრიცი ისხლიტებოდა. „მგონი დავიღუპეთ, - მითხრა ზურამ - თუ ბეჟო დროზე ვერ ჩამოგვისწრებს, ბეგის მომიკლავენ!“ 25 წლის განმავლობაში პირველად დავინახე მის სახეზე ცრემლი. საზარლად მეჩვენა „მომიკლავენ!“ კი არ „მოკლავენ“, „მომიკლავენ!“ ხელის კანკალით ავკრიფე ბეჟოს ნომერი. ტელეფონში წყნარი ხმა გაისმა „ნუ ღელავთ, აწყვეტილი მოვდივარ, მალე მანდ ვარ!“

უფრო ადრე, დაახლოებით 2:30-ზე ზოოპარკიდან გამოვარდნილმა ზურამ მომაძახა - „ნაკრესის“ თოფი და დამაძინებელი წამლები გვჭირდება, ჩვენ მალე ყველაფერი გამოგველევა. ლევან, შიგნით საშინელება ხდება!“. ზოოპარკში ატეხილი სროლის ფონზე ისტერიკულად დავიწყე რეკვა.

ბეჟან ლორთქიფანიძე, სახეობათა კონსერვაციის ცენტრის, „ნაკრესის“ თანამშრომელი და საველე ბიოლოგი, რომელიც ორი ათეული წელია ველურ ბუნებას სწავლობს და „ნაკრესის“ საველე პროექტებს ხელმძღვანელობს, იმ დღეებში ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიაზე იმყოფებოდა. „ნაკრესმა“ დათვების მონიტორინგის პროექტი დაიწყო. ამიტომ, საიმობილიზაციო პრეპარატები და სპეციალიზირებული თოფი, ცხადია, თან წაიღო.

სულ დაკავებაა. ნერვები დაგლეჯაზე გვაქვს. უცებ, თავად რეკავს - „რა ხდება თბილისში? რაღაც უცნაური ამბები მომდის და ტრადიციული თბილისური ჭორებია?“. პასუხის შემდეგ, ისევ მშვიდი ხმა - „მოვდივარ! ორი საათი მაცალეთ! გადაეფარეთ თუ საჭიროა, არ მოაკვლევინოთ!“ არგუმენტმა გაჭრა. სპეციალური დანიშნულების რაზმმა ორი საათი მოგვცა. დაიწყო ორი უმძიმესი საათის ათვლა. ისევ ტერიტორიაზე შევვარდით. მგელი, რომელიც იმობილიზებული და გაკოჭილი დავტოვეთ, ღობესთან მოკლული დაგვხვდა. პერიოდულად ისმის სროლა. მგონია, რომ ყველა ტყვია სხეულში გამდის. შლამში ძლივს მივაბოტებ. უცებ ჯიხვების ვოლიერში მოკლულ თეთრ ვეფხვს ვაწყდები. „ვერაფერს ვიზამდი გენაცვალე, - მეუბნება სპეცრაზმელი - შემომიტია“. ამ დრამატულ წუთებში მისი ხმა ძალიან წრფელად ჟღერდა. არაფერი მიკითხავს, შემომხედა და მიხვდა რომ უნდა ეპასუხა. მეც მივხვდი, რომ არანაირი საფუძველი არ მქონდა არ დამეჯერებინა. არადა, რა გინდა ქნა? სიბნელე, ყველა კომუნიკაცია გათიშული, ცხოველები კი გარეთ!

„ხომ გთხოვთ, ნუ ისვრით შიგნით. დაფრთხებიან და ყველა ზოოპარკიდან გამოვარდება, გარეთ ხალხს რას უშვრებით?!“ - მესმის ზურას ყვირილი სადღაც შორიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი ხმა ადრესატამდე ვერ აღწევს.

მინდა ქრონოლოგიას მივყვე და დაახლოებითი საათების მიხედვით გავიხსენო თავად რისი მომსწრე გავხდი იმ საშინელ დღეებში. ამას ზურას მონაყოლი დავამატო და მოგიყვეთ იმ კონკრეტულ ადამიანებზე, ვინც ჩუმად აკეთებდა საქმეს, როცა თბილისი თავზე გვექცეოდა. იმ ათასობით მოქალაქეზე, ვინც ზოოპარკის თანამშრომლებსა და ცხოველებს მხარში ედგა და უდგას. ასევე მინდა გაგახსენოთ რა ხანმოკლე აღმოჩნდა სოლიდარობა და მინდა პასუხი ვიპოვო კითხვაზე - რა რჯით შეუმდგარ კომედიანტებსა და სულით პატარა ადამიანებს, როდესაც სოლიდარობის ამ მუხტის განეიტრალებას ცდილობენ და მოქალაქეებს იყოლიებენ ჭორის მოგონებასა და გავრცელებაში. მინდა პასუხი გავცე კითხვას - ნეტავ, რაიმე თუ აკლდება მათ ცხოვრებას ამდენი ბოროტების კეთებით?

ამ ქაოსში ყველაზე მშვიდად ბეჰემოთი ბეგი იყო. მისთვის ბუნებრივ გარემოში, წყალსა და შლამში ბედნიერად დააბოტებდა. თუ დაიღლებოდა წამოწვებოდა ხოლმე.

13 ივნისი,
სავარაუდო დრო: ღამის 10:30

ფილმი ალბათ, სადღაც, 11-ზე დასრულდებოდა. ზურა გურიელიძეს, ზოოპარკის დირექტორსა და მის მეუღლეს, ნათია კოპალიანს, რომელიც ასევე ზოოლოგია და ილიას უნივერსიტეტში მუშაობს, 10 წუთი თუ დასჭირდებოდათ კინოთეატრიდან ტაატით გამოსასვლელად. წვიმას უკვე გადაეღო და ასფალტი შრებოდა. ამ დროს გაისმა ზარი და ზოოპარკის მორიგე თანამ-

შრომელმა, სავარაუდოდ, 11:10-11:20 პერიოდში დაურეკა ზურას და უთხრა, გარეული ღორის გოჭების სათავსი წვიმამ დაასველა, იქნებ გზად შემოიარო საკვების გადალაგებაში მომეხმარო, არ გაფუჭდესო. კიდევ ათი წუთი მანქანით კინოთეატრიდან ზოოპარკამდე... ღამის 11:30-ზე უკვე ზოოპარკში იქნებოდნენ.

13 ივნისი,
სავარაუდო დრო: ღამის 11:30

გოჭებს მიხედეს და ზურამ ზოოპარკის გასასვლელისკენ აიღო გეზი. მანქანა მტაცებლების ძველი განყოფილების (რომელიც ახალი მაგისტრალის მიპირდაპირედაა) წინ ასფალტიან გზაზე გაიყვანა და ამ გზის შუაში გარეთ გამოსული წერო დაინახა. გაოცებულმა მანქანა გააჩერა და წეროს გამოეკიდა. ფრინველი არ გაძალიანებულა. საბარგულში ჩასვა და მექანიკურად უკან მოიხედა. „თვალებს ვერ დავუჯერე, - მიყვება ზურა - ფილმებში რომ გვინახავს, ზუსტად ის იყო! ჩვენკენ ნამდვილი ცუნამი მოდიოდა! საჩქაროდ ჩავხტი მანქანაში, მაგრამ წყალი ისეთი სისწრაფით და სიძლიერით მოვარდა, რომ კარი ვერ დავკეტე. რაღაც მომენტში წყალი კიდევ გაძლიერდა და მანქანის კარი მოგლიჯა“. უკუსვლისას, გამოსასვლელისკენ მთელი სისწრაფით გაქანებული მანქანა „ძველი ვოლიერების“ გზაზე სადღაც შუაში ჩაქრა, რადგან წყალმა მისი დაფარვა დაიწყო. მძღოლის მხარეს კარი მოგლეჯილი იყო. მგზავრის მხარეს კარის გაღებას აზრი არ ჰქონდა და ნათია მძღოლის კარიდან გადმოძვრა. წყალი უკვე მკერდამდე აღწევდა და ისე აწვებოდათ, რომ შეეძლო ცოლქმარი გაეტაცა. მოეჭიდნენ ვოლიერის გისოსებს და რის ვაი-ვაგლახით შეეცადნენ მტაცებლების განყოფილების ბოლოსკენ გასვლას, სადაც გულიკო და დანარჩენები ეგულებოდათ. ბოლო ვოლიერთან (სადაც რამდენიმე დათვი იჯდა) სტიქიასთან ჭიდილს და წინსვლას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან წყალი უკვე ახრჩობდათ. „საცრებაში მოვხვდით, გარშემო მანქანები და უზარმაზარი მორები ცურავდნენ. ვიცოდი, რომ წყალი თუ არა, ესენი მოგვიღებდნენ ბოლოს“ - იხსენებს ზურა.

პირველი ვოლიერის გვერდზე რაღაც შემაღლება იგრძნო და გისოსებს ჩამოკიდებულმა ნათია ამოათრია. წინ გაუშვა და ოდნავ შემაღლებაზე შეახტუნა. ახლა წყალი მუხლებზე ურტყამდა, მაგრამ ჯიუტად და სწრაფად მაღლა მოიწევდა. „ისევ მკერდამდე მოგვწვდა. ამ დროს ნათია კედელზე პატარა ფანჯარას გაუსწორდა, იმარჯვა და ხელით შეამტვრია“ - ამბობს ზურა. ეს იმ დერეფნის ფანჯარა იყო, სადაც მომვლელების ოთახებია. „ზურა, დერეფანში სულ წყალია, ფანჯრამდე წყალია!“ - ყვიროდა ნათია. იქ უკვე გაცხადდა, რომ თუ გულიკომ, მისმა მეუღლემ და მესამე თანამშრომელმა სტიქიამდე რამდენიმე წამით ადრე ვერ გაასწრეს, მაშინ ისინი უკვე შლამით იქნებოდნენ დაფარული. როგორღაც მოახერხეს ფანჯრის რაფაზე ფეხის დადგმა და მაღლა აიწიეს, სადაც ბაქნისმაგვარი სიბრტყე დახვდათ და გასწორდნენ. წყალი ისევ წარმოუდგენელი სისწრაფით მატულობდა. ზურამ მეუღლის მხრებზე შესმა მოახერხა და გალიების უკან, თავად მტაცებლების განყოფილების შენობის მყარ სახურავზე შეავდო. თავადაც მიჰყვა. წყალი არ ისვენებდა და ისევ დაიწყო მათი სწრაფი დაფარვა. ბოლო ძალისხმევა და შენობის სახურავზე გაკეთებულ ვიწრო ე.წ. „პარაპეტზე“ შეხტნენ. მათ ქვემოთ გალიები სულ დაიფარა და გალიის სახურავსა და პარაპეტს შორის ორ მეტრამდე სიმაღლეც ამოავსო.

„ვიფიქრე, აქაც თუ მოგვწვდა, მაშინ ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. გარშემო უკუნი სიბნელე იყო. ელექტროსისტემა უკვე მწყობრიდან გამოვიდა. ვერაფერს ვხედავდით გარშემო მოვარდნილი წყლის გარდა. მესმოდა ვიღაცის ყვირილი, რომელიც, როგორც ჩანს ხეზე იჯდა - „დათვებია გარეთ! დათვები!“. მივხვდი, რომ არა ეს დახურული, არამედ, ქვემოთ, ღია ვოლიერები აავსო წყალმა და იქ მყოფი დათვები გამოვიდნენ“, - ჩუმი ხმით ამატებს ზურა.

შემდეგ ყვებოდა, რომ იმ მომენტში, როდესაც გააცნობიერა რომ ნათია გადარჩა, მოეშვა და ცახცახმა აიტანა. თუმცა მაშინვე თავი ხელში აიყვანა და ცოლ-ქმარმა თავგანწირული ყვირილი დაიწყო - მტაცებლების განყოფილებაში ხომ ადამიანები იმყოფებოდნენ! ათასობით ტონა წყალს უკვე სრულად დაეფარა შენობები და ცოლქმარი ამ პატარა „კუნძულ-პარაპეტზე“ კოჭებამდე წყალში იდგა. „თუ კიდევ მოვიდა, უნდა გავცუროთ“ - მაგრამ როგორ გინდა გაცურო, როდესაც სტიქია უზარმაზარ მორებს ასანთის ღერებივით ათამაშებს და მანქანებს მოაქანებს? ქვემოთ რვა მეტრის სიღრმის ბობოქარი წყალია. ფეხები აღარ ემორჩილებოდათ. დრო გადიოდა. დაახლოებით ორი საათი იდგნენ ვოლიერის ვიწრო შემაღლებაზე. ზოოპარკში კი უკვე ბათქა-ბუთქი ატყდა.

დაახლოებით 05:45-ზე ბეჟანმა ზოოპარკის სასახელო ვეტერინარებთან ერთად იმობილიზაციისთვის თოფის სწრაფი გამართვა დაიწყო.

„ვხვდებოდი, გარეთ გამოსული ცხოველების ლიკვიდაციის ოპერაცია დაიწყო. მეტი ღრიალი - „ნუ ისვრით, მოგვეშველეთ, ჩვენ მივხედავთ როგორმე“ - აღარ შეგვეძლო. ორივეს ხმა წაგვერთვა. ყველაზე საშინელი უსუსურობის განცდაა. უკვე აღარაფერზე ვფიქრობდი ბავშვის გარდა“, - სევდიანად ამატებს ზურა. უცებ, როგორც ზღაპარში, ადამიანის ყვირილი მოესმათ. „გადავრჩით!“ დაუყვირა ნათიას. ეს ზოოპარკის თანამშრომელი კოტე ფხაკაძე იყო - „კოტემ და რამდენიმე მაშველმა გადაგვარჩინა! მას უნდა ვუმადლოდე გადარჩენას!“ - ამბობს ზურა.

14 ივნისი,
სავარაუდო დრო: დილის 1:30

როდესაც ზურა და ნათია ნავით გამოიყვანეს. მე უკვე ზოოპარკის შესასვლელთან ვიყავი. ჩანდა, სტაციონარში გადაყვანა კი არა, მისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის მცდელობაც კი, ნერვებს უშლიდა. ცოტა ხნით თვალთახედვიდან დავკარგე, თუმცა, მალე ისევ გამოჩნდა. გადიოდა დრო. ზოოპარკის ტერიტორიაზე არ გვიშვებდნენ. ორი კორდონი იყო. ერთი ზევით, 26 მაისის მოედანზე, სადაც მოქალაქეებს აკავებდნენ და მეორე, ქვევით, ტელევიზიასთან, სადაც მხოლოდ ჟურნალისტებს მისცეს ყოფნის უფლება. სადღაც 2:30-ზე ზურა ისევ გამოვარდა ზოოპარკიდან და „ნაკრესის“ საიმობილიზაციო თოფი მოითხოვა.

ამ ქაოსში ყველაზე მშვიდად ბეჰემოთი ბეგი იყო. მისთვის ბუნებრივ გარემოში, წყალსა და შლამში ბედნიერად დააბოტებდა; დაიღლებოდა და წამოწვებოდა. წამოდგებოდა და სადაც რამე გადარჩენილ სიმწვანეს ნახულობდა, გზად მიახრამუნებდა. ხან ხიდის ქვეშ ამოყოფდა თავს და ხან გმირთა მოედნის მემორიალთან ჩაიკუნტრუშებდა. „დისნეის“ ცნობილი მულტფილმის გმირ ბეჰემოთს ჰგავდა იმ წუთებში. უცებ გამიელვა - რა ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს გოჭივით სიმპათიური, მოტანტალე, კოტიტაფეხება კუპატი, ყველაზე აგრესიული ცხოველია აფრიკაში, რომელიც, სარწმუნო სტატისტიკით, ყველაზე მეტი ადამიანის სიცოცხლეს იწირავს. ზოოპარკის თანამშრომლები ბეგისთან შორიახლოს იდგნენ. „ბიჭებო, ხომ იცით, ძალიან საშიშია“ - ვცადე დარიგება. „ჩვენ რა, ეს ჩვენი საქმეა. მთავარია, ხალხისკენ არ გაიქცეს. თუ ასე მოხდა ჩვენ შევაჩერებთ!“ შევხედე ამ თანამშრომელს (ზუსტად არ მახსოვს, მგონი გია გიორგაძე იყო) და მწარედ გამეცინა. გიას გარდა იქვე ზოოპარკის სასახელო ვეტერინარები იდგნენ: ირაკლი რობაქიძე, ვანო დარასელია და ვანო მარხვაშვილი.

გიასა და ამ ბიჭების თვალებში თავგანწირვის ნაპერწკალი ენთო. ცხადია, თუ დაიძრა ვერავინ შევაჩერებდით და ეს მათაც კარგად ესმოდათ. ზუსტად ვიცოდი, ნადირი თუ გაშმაგდა, ყველანი ხახაში შეუხტებოდნენ, არა იმიტომ, რომ გმირობის ჩადენა მოუნდებოდათ, უბრალოდ, სხვა მოცემულობაში ამ ადამიანებს ცხოვრება არ

შეუძლიათ! მუცელში უსიამოვნო ტალღებმა დამიარა - ირაკლი, გია და ორივე ვანო, ისევე როგორც ზოოპარკის ყველა თანამშრომელი, მომავალ უმძიმეს დღეებში ისევ იტყვიან თავიანთ გმირულ სათქმელს. ქვეყანა ასეთი ადამიანების მხრებზე დგას!

14 ივნისი,
სავარაუდო დრო: დილის 5:45

უცებ, მეორე კორდონი გაირღვა და აქოშინებული ბეჟანი შემოიჭრა. ჩვეულებისამებრ წარბები შეკრა, გარემოს თვალი მოავლო და წამში დადო დასკვნა: უნდა ვესროლო ამ წერტილიდან, ნახევარი დოზა საიმობილიზაციო, რომ ბოლომდე არ პარალიზდეს, თორემ ვერ ავწევთ. როცა გაბრუდება და კარგ ხასიათზე დადგება, წკეპლებით უნდა გამოვრეკოთ, როგორც ძროხა. არავითარ შემთხვევაში თავთან არ უნდა დავუდგეთ! თუ გამოფხიზლდა და მოგვიბრუნდა, ყრით წკეპლებს და გარბიხართ. ოღონდ თავქუდმოგლეჯილები გარბიხართ! არაა მიჩვეული ამდენ სიარულს და ვერ დაგეწევათ. ისევ ეს უცნაური - „ვერ დაგეწევათ!“ წარმოვიდგინე მე და ბეჟანს შორის დიალოგი: „შენ არ გაიქცევი?“ „მე ადგილზე ვრჩები. მეორე დოზას ვესვრი, რომ დავაწვინო“. ცხადია, ეს დიალოგი ჩემი ფანტაზიაა, მაგრამ ვიცი, რომ მეკითხა ზუსტად ასე მიპასუხებდა. ბოლო-ბოლო მე, ზურას და ბეჟანს 20 წელზე მეტი ხნის საველე განსაცდელებით სავსე მეგობრობა გვაკავშირებს და მოხარშულს ვიცნობთ ერთმანეთს.

14 ივნისი, დილის 6:01 წუთი:

ჩახმახი დასხლტა, გაისმა ტკაცანი, და ვარდისფერი პომპონი ჰიპოპოტამის ყურის ძირთან, კისერში ჩაჯდა.

ბეგი უფრო თვინიერი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით. ზანტად წამოგვეცა. გზად მწვანეულობა მიძოვ-მოძოვა. ზოოპარკში რომ შევდენეთ, მხოლოდ ერთხელ დაწვა შუა გზაზე. თვალი ასწია და ზოოპარკის თანამშრომელს, ჩემს ახლო მეგობარ გიორგი დარჩიაშვილს ახედა - „კაცი არ ხარ?! შემეშვი რა! ცოტა დავისვენებ“. გიორგი შეშფოთდა, ამის ასეთ არაბუნებრივ პოზაში წოლა არ შეიძლება, ფილტვების შეგუბება დაეწყებაო. ხან კუდში სწვდა და ხან წკეპლით აუჭრელა ტაკო. შენც არ მომიკვდე! ბეგის მგონი სიამოვნებდა კიდეც ეს ყურადღება. მზე ამოვიდა და უკვე დაცხა. „ლევან, გადახურდება“, - მომაძახა გიორგიმ და წყალზე გამაგზავნა. რამდენიმე ბიჭი შეეკრიბე და დავიწყეთ იქვე ოქროს თევზების ავზიდან ამოხაპული წყლით ბეგის მორწყვა. როცა გაგრილდა, თავად ისურვა წამობრძანება. ქარავანი განახლდა და მივედით სახელდახელოდ გამოცალკევებულ სპილოების ვოლიერთან, იქ სადაც აუზია. უცნობ ვოლიერში შესვლისას, უცებ გაჯიქდა. ჯორივით დადგა და ფეხი არ მოიცვალა. ზოოპარკის თანამშრომელმა, წესი დაარღვია, თავთან დაუდგა და ფოთლებიანი ტოტები აუქნია ცხვირწინ. არიქა, საჭმელიო და ბეგი ვოლიერში შევიდა.

14 ივნისი, დილის 8:00

განუწყვეტლივ ისმის ძახილი ზოოპარკის სხვადასხვა კუთხიდან:

„ზურა! აქ პინგვინია გადარჩენილი!“

„ზურა! წყალში მგონი აფთარია!“

„ზურა! დათვი ზის კონდიციონერზე!“

„ზურა! გარეთ ნიანგი შენიშნეს!“

„ზურა! გენერატორი გვჭირდება!“

ზურა და ვეტერინარები ხან ერთ ადგილს აწყდებიან, ხან მეორეს ცხოველების საპოვნელად. „ნავები გვჭირდება, ნავები!“ - ყვირის ბეჟანი. ლევან გოშაძე მაშველებისკენ გარბის. უზარმაზარ ნავს მოათრევენ. ბეჟო და ლევანი ნავში ხტებიან და ტბაში შედიან, რომლის ფსკერზე მტაცებელთა და პრიმატთა „ძველი ვოლიერებია“. ერთი აფთარი გამოჭყავთ, რომელიც მაინც იღუპება. შემდეგ ნიანგის დასაჭერად გადიან ჩვენი დაუღალავი ვეტერინარების მითითებებით.

განუწყვეტლივ რეკავს ტელეფონი. ნუცუბიძეზე იაგუარია! მელიქიშვილზე ლომია! „რა ვქნა კაცო, ათად ხომ ვერ გავიჭრები. ლევან, წამომყევი ამ ადგილებში“. მივდივართ. სპეცსამსახურების რიგითებთან ერთად მისხალ-მისხალ ვჩხრეკთ უბნებს. არაფერი არ არის. გავდივართ მეორე უბანზე. ისევ არაფერი, მესამეზე. იგივე. უკვე ტვინი გვერევა. ვეღარ ვხვდებით ეს ვიღაცების ბოროტი ხუმრობაა, სიმართლე, რომელსაც ჩვენ ვერ მივაგენით თუ შეშინებული მოქალაქეების ზარები. ძლივს ვითანხმებ უკან დაბრუნებაზე. „ვაიდა, მართალია?!“ - ღრღნის ეჭვი. ზოოპარკში ყოფნაა საჭირო. უკანა გზაზე, ზოოპარკში დაბრუნებისას, ვხედავთ, რომ კოხტად და სუფთად ჩაცმული ოფიციალური მუშაკები ზოოპარკის წინ მოკლე ინტერვიუებს აძლევენ მოზღვავებულ ჟურნალისტებს.

14 ივნისი, სავარაუდო დრო: 12:00

ზოოპარკის ტერიტორია გადაჭედილი იყო გარედან შემოსული დამხმარე პერსონალით. ავბედითი სიჩუმე იდგა. ყველამ ვიცოდით, რომ სამი ადამიანი დაიღუპა. იქვე ვერემ ახალგაზრდა გოგონა გამორიყა, რომელიც ზოოპარკის საგანმანათლებლო ცენტრთან დაასვენეს. მაშველები შიშველი ხელებითაც კი ცდილობდნენ შლამის გამოთხრას მტაცებლების განყოფილებიდან, სადაც გულიკო, მისი მეუღლე და მესამე თანამშრომელი ეგულებოდათ. ყველამ ვიცოდით წინ რა გველოდა... მაინც სწრაფად მუშაობდნენ. რა იცი, რა ხდება იქნებ ვინმე მაინც გადარჩეს.

მზე უკვე გვაჭერს. ავბედით სიჩუმეში ზოოპარკის გოგონები ფუსფუსებენ. ზოგს საკუთარი „ლაპტოპი“ მოუტანია და მზია შარაშიძეს, ზოოპარკის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს საველე პრესცენტრის აწყობაში ეხმარებიან. აგერ მარინა კურტანიძე და ლალი ედილაშვილი დარბიან და საბუთებს ეძებენ. ირინა ყიასაშვილი ხან მერიაში რეკავს და ხან სხვა სამთავრობო უწყებაში - „გენერატორი გვინდა!“. ეტყობა იქაც დაბნეულობაა, რადგან ისმის სტანდარტული პასუხი - ეს ჩვენ არ გვეხება! ბოლოს ირინა აეროპორტში რეკავს (არ ვიცი საიდან მოიფიქრა). საუბრის დასრულება არც აცალეს ისე მოუჭრეს - „გასაგებია! ნახევარ საათში გექნებათ!“ კიდევ რამდენიმე კომპანიაში დაირეკა და ნახევარ საათში ტრაგედიას კომიკური ელფერი მიეცა: ოთხი გენერატორი გაჩნდა კინოფილმ „მანანას“ რადიოლასი არ იყოს.

და ისევ ყვირილი - „ზურა! გარეული ღორია გარეთ!“. ამ დროს ზოოპარკი ივსება სეირის მაყურებლებით. „ვინ შემოუშვა ეს ხალხი?!“ - უყვირის ზურა პოლიციელთა და გამომძიებელთა არმიას, რომელიც დაღუპული თანამშრომლების შენობასთან დგას და ცხედრების გამომტან ოთხ თუ ხუთ მაშველს ხელმძღვანელობს.

წამალის მოქმედების დაწყებამდე ბეჰემოთი წამოდგა. არავინ იცოდა რას მოიმოქმედებდა, რადგან ჰიპოპოტამი ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ცხოველია და, სარწმუნო სტატისტიკით, სხვა დიდ სახეობებთან შედარებით (სპილო, მარტორქა, კამეჩი, ლომი, ლეოპარდი), ყველაზე მეტ ადამიანს ხოცავს აფრიკაში.

„ბენზინი გვინდა! მოგვეშველეთ ვინმე, ამდენ ხალხში განცდა გვაქვს, რომ მარტო ვართ“ - იძახის ზოოპარკის ვიღაც თანამშრომელი. მერიის წარმომადგენელი ბიძინა გიორგობიანი მარჯვობს. სწრაფად რეკავს რომელიღაც კომპანიაში და 200 ლიტრ ბენზინს გვპირდებიან.

არადა, მარტო არ ვართ! გარეთ ერთ-ერთი გამოსვლისას ხნიერი ქალბატონი მაჩერებს. ეტყობა „თერთმეტსართულიანის“ მაცხოვრებელია. სხვანაირად აქ ვერ მოხვდებოდა. „შვილო, გენაცვალე, მითხარი რა გჭირდებათ, მეზობლები ვართ შეყრილები, პურს და ყველს მაინც მოგიტანთ, წყალი თუ გინდა გენაცვალე? ვალერიანს მოგცემ“. გაშტერებული ვუყურებ, მინდა გულში ჩავიკრა და ვუთხრა - ქალბატონო, ახლა ვალერიანი კი არა, ხელმძღვანელია საჭირო, რომელიც სხვა სახის ვალერიანით მოგვამარაგებს-მეთქი. ცხადია, ამას არ ვამბობ და აღელვებული მადლობას ვუხდი. ვხვდები, რომ არ ვართ მარტო! ხალხია გარეთ! ხალხი, რომელიც ადამია-

ნებისა და ცხოველების დახმარების სურვილითაა ანთებული; ხალხი, რომელსაც სახლებიდან მოაქვს საჭმელი; ხალხი, რომელიც წყალს გვაწვდის; ხალხი, რომელიც უხმოდ ხელს გვართმევს.

უკვე ნაშუადღევის 2 თუ 3 საათი ხდება. ფეხზე ვერ ვდგავარ. „ზურა, ცოტა დაისვენე, თან არაფერი გიჭამია“ - ვეუბნები ცალყბად. ღრმად ამოისუნთქა და კვლავ გადარბენაზეა. მე სახლში ამოვედი.

15 ივნისი, დილის: 11:30

აღმოჩნდა, რომ ნახევარი ღამე მაინც ურბენიათ. ამ დროისათვის ნელ-ნელა შემოდის ინფორმაცია სად რამდენი ცხოველი დახოცეს. მოაქვთ მგლებით სავსე სატვირთო მანქანის ფოტოები. ამწეთი ამოაქვთ დამხრჩვალი ცხოველები.

მინდა „ძველი ვოლიერებისკენ“ გავიდე, სადაც ნათია და ზურა გადარჩნენ და ახლა ბეჟო და ლევან გოშაძე იყვნენ გასულები ცხოველთა გადასარჩენად. ეს ვოლიერები ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჩემ თვალწინ აშენდა, როდესაც ზოოპარკში დამლაგებლად ვმუშაობდი. სწორედ აქ ვასუფთავებდი გალიებს. ვოლიერები მთლიანად იყო გადახურული 3 სმ-ის დიამეტრის რკინის გისოსებით. მათი დაზიანება ნამდვილად გადის ადამიანისა და ცხოველის ფიზიკური შესაძლებლობებიდან.

მაშველებმა ბენზინზე მომუშავე ძალიან მძლავრი ე.წ. „ბალგარკა“, მოიტანეს, რომელიც მხოლოდ საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალისტებს ჰქონდათ და ამ მოწყობილობამაც კი ძლივს გადაჭრა ეს გისოსები მკვდარი ცხოველების ვოლიერებიდან გამოსაყვანად. ალბათ, ყველა შიგნით დაიხრჩო, გავიფიქრე.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ამ სრულად დახურული ვოლიერის გისოსებს შორის ახალგაზრდა ვეფხვი (სახელად ბარბარა) გამომძვრალა. როგორც ჩანს, წყალმოვარდნის დროს გისოსებზე უზარმაზარი საგნის დარტყმამ გისოსები გასწია იმდენად, რომ ვეფხვის თავი გაეტია. ხოლო იქ, სადაც კატისებრის თავი ეტევა, ტანს უკვე პრობლემა არ აქვს, რეზინასავით ბრტყელდება. სავარაუდოდ, ათასობით ტონა წყალმა, რომელიც მინიმუმ 7-8 მეტრს აღწევდა ამ ადგილას და სრულიად დაფარა ვოლიერები, ან ატაცებული ავტომანქანით ან უზარმაზარი მორებით უმძიმესი ფიზიკური დარტყმები მიაყენა გალიას და გისოსი გაღუნა. ბარბარა მაინც დაიღუპა და მისი გვამი იპოვეს. ყველა დანარჩენი მტაცებელი „ძველ ვოლიერებში“ (3 იაგუარი, 6 დათვი და 3 ლომი) წყალმოვარდნის გამო დაიხრჩო.

ახალი,ღია ტიპის ვოლიერებისკენ წავედი. ახლოს ვერ მივუდექი. შლამი ადამიანის სიმაღლის იყო. მათ, „ძველი ვოლიერებისგან“ განსხვავებით, ღია ჭერი ჰქონდათ, მაგრამ ცხოველს იქიდან გამოსვლა არ შეეძლო ჩვეულებრივ სტიქიურ უბედურებაშიც კი. ამ ვოლიერების კედლები ბოლოში მოკეცილი იყო, ქმნიდა უარყოფით დაქანებას და ცხოველი აძრომის შემთხვევაშიც კი, ვერ მოახერხებდა გამოძრომას. თან ყველა ღია ვოლიერს ზემოდან გადატარებული ჰქონდა სპეციალური დანიშნულების ელექტრომავთულები, სადაც 10 000 ვოლტის ძაბვის დენი გადიოდა. ვინ გათვლიდა, რომ წყალი 10 მეტრს მიაღწევდა, ელექტროსისტემას გამორთავდა და ცხოველებს ამოატივტივებდა....

ბეგი უფრო თვინიერი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით. თან, როგორც ჩანს, წამალმა გააბრუა და „კარგ ხასიათზე“ დააყენა, ისე რომ სულ არ გაბრაზებულა ზოოპარკის დადევნებულ თანამშრომელზე, რომელიც უდავოდ, სიცოცხლის ფასად რისკავდა.

წინა დღის სამარისებური სიჩუმე უკვე ხმაურმა შეცვალა. ქაოტურად ითვლება ცხოველები. ზურასთან ხან ვის მოაქვს ინფორმაცია ხან ვის. „დადასტურებულია?“ - ეკითხება ყოველ ჯერზე. „კი, ბატონო“, - პასუხობს უცხო ადამიანი. ბოლოს მოდიან ანტიკრიზისული საბჭოს წევრები. კიდევ ითვლება ცხოველები ფოტოებით და ზეპირი მონაცემებით. მგონი საფრთხე აღარაა. „მგონიზე ვიყოთ?“ - ფრთხილად კითხულობს მზია. არადა პანიკაა გარეთ და კეთდება განცხადება.

ისევ დავრბივართ ცრუ ზარებზე. ისევ იჭრება ზურა ათ ნაწილად. ისევ უძინარია და ისევ მშიერი; ზოოპარკში მუშაობა ზუსტად იმავე რეჟიმშია. დაქანცულ თანამშრომლებს ქალაქი აჭმევს და ქალაქი ასმევს. კომპანიები ბენზინს ჩუქნიან. ყველა თანაუგრძნობს ზოოპარკს. ყველა რეკავს და ზოოპარკის ამბავსა და საჭიროებებს კითხულობს - ბიზნესი, მედია, რიგითი მოქალაქეები და არასამთავრობო სექტორი. აქ წერტილი „ა. შ.-ს“ არ გულისხმობს. აქ მყარი წერტილია, რადგან მომკითხველთა ჩამონათვალი დასრულდა.

სადღაც შორს ისმის ეკლესიის ზარების ხმა, სადღაც შორს ისმის ტელევიზორში გაკეთებული სამთავრობო განცხადებები

16 ივნისი

მზია შარაშიძე ვერ ისვენებს; ცხოველების გადათვლის შემდეგ, სასწრაფოდ ავრცელებს ინფორმაციას „ნეტგაზეთისა“ და „ლიბერალის“ საშუალებით, რომ ცხოველები ჯერაც იძებნება. როგორც ჩანს, გაუმართავი კომუნიკაციის გამო, ეს ინფორმაცია არ მიდის ანტიკრიზისულ საბჭოში. მოგვიანებით ხდება უბედური შემთხვევა - ვეფხვი თავს ესხმის ადამიანს. ადამიანი კვდება!

აქედან იწყება გარდატეხის მომენტი და საკითხი პოლიტიზირდება. თვალსა და ხელს შუა დნება სოლიდარობის განცდა. პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ეჯახებიან და საზოგადოება ისევ ჩვეულ პოლარიზებულ მდგომარეობას უბრუნდება.

შუაში რჩება საჯილდაო ქვა, სახელად ზურაბ გურიელიძე და მისი გმირი თანამშრომლები.

ჩნდებიან არამკითხე მოამბეები და მედია თუ სოციალური ქსელი იტვირთება გადაუმოწმებელი ინფორმაციით. უცებ ავანსცენაზე გამოდიან „ადამიანი-ანაქრონიზმები“ და არშემდგარი კომედიანტები. გამძლეობის ზღვარს მიღწეული ზოოპარკის თა-

ნამშრომლებისთვის ამ სრულიად არაადამიანურ ვითარებაში, ისმის რომ თურმე დირექტორი „ნაცმოძრაობის“ დამფუძნებელია და კიდევ საკითხავია, სტიქიის დროს მან ან მისმა რომელიღაც თანამშრომელმა ხომ არ გამოუშვეს მტაცებლები, მშვიდობიანი მოსახლეობის დასაჭმელად, რომ თურმე ის წყალქვეშა ნადირობისა და იარაღით ვაჭრობის რაღაც სინდიკატის წევრია, რომ თურმე მას ზოოპარკში „ლევი“ ცხოველები ჰყავს და, ასე გაუთავებლად.

ყველამ ვიცით, რომ წყალმოვარდნამ ისეთი სისწრაფით დატბორა სვანეთის ქუჩის ტერიტორია და აავსო სახლები წყლით, რომ ადამიანებმა ვერ მოასწრეს შენობებიდან გამოსვლა. იგივე მოხდა ზოოპარკშიც. სამმა თანამშრომელმა ვერ მოასწრო მტაცებლების განყოფილების შენობის დატოვება. ამ სიტუაციაში კარიკატურულია იმის მტკიცება, თითქოს რომელიმეს, ვინც იქ იყო, შეეძლო ხელით ვოლიერების რკინის გისოსების გაგრეხვა-გახერხვა ცხოველების გამოსაშვებად. ვერც გასაღებს მოიშველიებდნენ, რადგან წყალი წამებში მოვარდა და 8 მეტრზე აიწია. ასევე, რომელი ცხოველებთან მომუშავე გამოცდილი ჭკუათამყოფელი ისურვებდა (განსაკუთრებით გულიკოს ვეფხვების მიერ დაგლეჯის ტრაგიკული მაგალითის გათვალისწინებით), რომ გაეხსნა გალია და მტაცებლის პირისპირ დარჩენილიყო?

მგონი ლოგიკურად ჟღერს. არა! ჩვენ მაინც ვიმეორებთ ჭორს. არც ვუფიქრდებით, რა შეურაცხყოფას ან თუნდაც რა ზიანს ვაყენებთ ყველას, ვინც ამ წუთებშიც კი თავდაუზოგავად მუშაობს, ვინც სიცოცხლეს სწირავს...

პოლიტიკურ კუთვნილებებზე თუ წყალქვეშა ნადირობებზე არც შევჩერდები. ან რა უნდა ვამტკიცო? ადამიანს, რომელთან ერთად 25 წელზე მეტი მაქვს გატარებული, რომელთან ერთადაც ველზე მივლია, ველურ ცხოველებს შევჩეხებივარ, ვისთან ერთადაც ათასი განსაცდელი გამომივლია, ადამიანს, რომელსაც შეგიძლია მხრებზე შეადგე და ევერესტზე აგიყვანს უხმოდ, ასეთ სისულელეებზე ჩემი დაცვა არ სჭირდება. ისე, ცნობისთვის - უფრო აპოლიტიკური ვიდრე ზურა გურიელიძეა, არავინ მინახავს! შეურაცხმყოფელიც კია რამის მტკიცება. არც „ლევი“ ცხოველებზე ვიტყვი არაფერს, რადგან ზოოპარკმა უკვე გაავრცელა განმარტებითი განცხადება.

მიუხედავად ამისა, ზოგი ჩვენგანი მაინც ჯიუტად იმეორებს კომედიანტების ზემოხსნებულ ბოდვებს და არც უფიქრდება, „ლევი“ ცხოველებით ვაჭრობით რა მძიმე დარტყმას აყენებს ჩვენი საბაჟოს ყველა პატიოსან თანამშრომელს და ზოგადად მთელ ამ სისტემას.

ბეგი ზანტად წამოგვყვა. გზად მწვანეულობა მიძოვ-მოძოვა და სულ არ აქცევდა ყურადღებას წკეპლებს, ტაკოს რომ უჭრელებდა.

ყველაფერი ჩაცხრება, ცხადია. ამ სისულელესაც მოეღება ბოლო და ზოოპარკის თანამშრომლებს, ამ უკლებლივ ყველა გმირს, ასევე სტიქიის სხვა წერტილებში მომუშავე ყველა თავდაუზოგავ ადამიანს (მაშველი იქნება ეს თუ რიგითი მოხალისე) მწუხარებასთან ერთად ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება კმაყოფილების გრძნობა. განცდა რომ მან, იმ ერთმა ადამიანმა, ერთმა ხმამ, ერთმა ხელმა თბილისი ოდესღაც ფეხზე წამოაყენა.

17 ივნისი.

ზარი ტელეფონზე. ბეჟო რეკავს. „ლევან, წავედი ისევ ბორჯომში. იმედია აქ საჭირო აღარ ვარ. დათვები მელიან. ადამიანებს გაუფრთხილდით...“

მე, ზურა, ვეტერინარი ირაკლი რობაქიძე და ზოოპარკის დაუღალავი თანამშრომელი ლადო გუგუშვილი 21 ივნისსაც კი მარნეულში წავედით ცრუ გამოძახებაზე. მკვდარი აფთარი იპოვესო. მკვდარი აფთარი ძაღლი გამოდგა. მერე რა, რომ ჩვენმა აზერბაიჯანელმა თანამოქალაქეებმა გახრწნილი ძაღლი აფთრისგან ვერ გაარჩიეს (ან კი როგორ უნდა გაერჩიათ), მერე რა, რომ ზუსტად ვიცოდით, რომ ძაღლი იქნებოდა. მთავარი იყო ადამიანების მარნეულში დამშვიდება. ადამიანებს მოფრთხილება სჭირდებათ. რა ბანალურია...

ლევან ბუთხუზი,
გიორგი ბუხაიძე

მე ოლეს ძმა ვარ ძმაო...

❖ **კოტიკო ბოკუჩავა,**
ბლოგერი

ძვირფასო მეგობრებო, ადამიანებო, რომლებსაც ვთვლი, რომ ჩემი დღევანდელი „შემდგარი დღე“ გაგიზიაროთ, გთხოვთ ყურადღებით, დაკვირვებით წაიკითხოთ ის, რისი თქმაც მინდა. არ ეძებოთ არც ამპარტავნული ემოციები და არც აღზნებულ-გაღიზიანებულ-დაღლილი ტონი.

ჩემდა საუბედურად თუ საბედნიეროთ, ჯერ ვერ ვყალიბდები და ვერ ვკონკრეტდები, მაგრამ დაახლოებით 3 საათიდან გახლდით მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გუშინდელი ჩემი ემოციებით წესით არ უნდა ვყოფილიყავი. ამ სურვილის არქონის მიზეზი იყო ის, რომ სამწუხაროდ გუშინ გზაბნეული ძაღლების დევნის და ბეთანია წყნეთის მონაკვეთის მონახულების გარდა, ვერაფერი მოვახერხე. ეს შეიძლება დაბნეულობით ან უბრალოდ თავდაჯერებულობის ნაკლებობის გამო მოხდა, მაგრამ გულწრფელად ვნანობ, რომ გუშინ ისე ვერ ვიდექი თქვენს გვერდით, როგორც საჭირო იყო.

მინდა გაგიზიაროთ ჩემი დღევანდელი გამოცდილება მოკლე ეპიზოდებით და დეტალებით, რომლის შედეგადაც მცირე ინიციატივა მინდა დავძრა, რაშიც ისევ თქვენი დახმარება მჭირდება.

გუშინდელი უაზრო ბოდიალის შემდეგ დღეს დილიდან სხვა მოტივაციით და შემართებით გავედი სახლიდან. თითქოს წინათგრძნობაც მქონდა, რომ დღეს რამე აზრიანს შევძლებდი.

მზიურში მისვლისას დავინახე ის, რაც თქვენ სავარაუდოდ ადგილზე ან სოციალურ ქსელში... არაფერი განსხვავებული, ყველა დადებითი ემოციით და შეგრძნებით. შევიგრძენი თითოეული თქვენგანის განცდა ერთიანობის, სიამაყის, თანადგომის და ა.შ.

მოქმედება ინტუიციურად დავიწყეთ ბიჭებმა, რომლებიც წარსულმა ნაცნობობამ შეგვკრა და ჩვეულ რეჟიმში დავიწყეთ ნაგვის გატანა. გარკვეული დროის შემდეგ ერთ-ერთმა ახალგაზრდამ გვითხრა, რომ სასწრაფოს მანქანა გამოჩნდა სიღრმეში. ამ ამბის გაგების შემდეგ გავუტრიალდი ჩემს გვერდით მდგომ მაშველებს, და რაღაც საოცრად მოტივირებული იმედით ვიკითხე, არის შანსი რომ ვინმე იყოს შიგნით თქო... რაზეც პასუხი მივიღე, რომ არა.

პასუხი საკმაოდ კვალიფიციური და ლოგიკური იყო. ეს მანქანა ჩამოტანილია და წინა ღამეს არ იყო გამოძახებაზე გასული.

პასუხის მიღების შემდეგ ისევ ნაგვის გატანას დავუბრუნდით, მაგრამ ფიქრები ისევ სასწრაფოსთან იყო. წარმოდგენის ნაკლებობას არ ვუჩივი, ამიტომ ეს შლამს ჩამოყოლილი მანქანა ცოტა განსხვავებულად დავინახე. წარმოვიდგინე, მე რომ ამ ღვარცოფში მოყოლილ მდინარის ნაკადთან ჩაყოლილს გვერდზე მცურავი სასწრაფოს მანქანა დამენახა, რას ვიზამდი... პასუხი სავარაუდოდ თქვენც იგივე გაქვთ - ჩავეკიდებოდი მინიმუმ. ამ ფაქტის გააზრების შემდეგ, ბიჭებთან ერთად გადავედით სასწრაფოსთან, სადაც უკვე რამოდენიმე ახალგაზრდა, ალბათ იგივე იმედით, დაგვხვდა. 10-15 წუთის შემდეგ უკვე მაშველებთან ერთად ვმუშაობდით. საოცრად დიდი ნაგვის ჯერ დაჭრის და შემდგომ გატანის შემდეგ ერთ-ერთი გაგიჟებული წერაქვის მოქნევა მაშველის მშვიდი ჩურჩულით ნათქვამმა სიტყვებმა „მოიცა არ დაარტყა“ გამიჩერა...

ავუხსენი თუ რატომ ვურტყავდი და რომ მიზნად ხის გაჩეხვა მქონდა, რომელიც ხელს გვიშლიდა. იმდენად გამაოგნებელი და დაუჯერებელი პასუხი მივიღე რომ ეხლაც ყურში ჩამესმის. „კაცის ხელია - ჩუმად ოღონდ არ შეიმჩნიო“.

რომ გამოვარჩიე ხელი სხვა ნატეხებში, ვერ გადმოვცემ რა ემოცია დამეუფლა (ამ ემოციის გამოხატვის უფლებაც კი არ მქონდა. ეგ იყო ყველაზე რთული). იქვე ჩუმად მოვილაპარაკეთ, რომ მაშველებს მივუშვებდით და მოხალისეები გამოვიწვევდით უკან, წრის შესაკვრელად.

2-3 წუთში უარესი ბევრად უფრო დამამძიმებელი გარემოება დაგვემატა... ხელთან ახლოს, ზედ ამ მიცვალებულზე, ცხოველის თათები გამოიკვეთა... 10-15 წუთი ნამდვილად არ მახსოვს მას შემდეგ.

გვერდზე მდგომ მოხალისეს ვთხოვე წყალი. მადლობა ამ ახალგაზრდას იმისთვის, რომ მიხვდა, რისთვისაც მინდოდა. 5-ლიტრიანი წყლის „ბიდონი“ მოიქნია და სახეში შემომასხა. წამიერად დავბრუნდი ისევ იქ და ისევ შემართებით, ოღონდ ამჟამად მაშველები დახმარებას ხალხის გარიდებაში ითხოვდნენ...

გასაყვანი პირველ რიგში იყვნენ ბავშვები და გოგოები, ოღონდ ისე, რომ მინიმალურად გავრცელებულიყო ინფორმაცია.

უკან ამოვიხედე და დამხვდა საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის გოგონა, რომელიც მე მიყურებდა გაშტერებული. სავარაუდოდ, მეტყობოდა სახეზე ის, რისი მნახველიც გავხდი. ამ რწმენით ცოტა ამაღლებულზე ავძვერი და ამ გოგონას მივმართე („მივმართე“ არასწორი შეფასებაა, ვთხოვე), ოღონდ იმაზე მორიდებულად და იმაზე სუფთად ალბათ, ვიდრე ღმერთისთვის მიმიმართავს ხშირად ცხოვრებაში: „ძალიან გთხოვ, დაგვეხმარე რომ გოგონები და ბავშვები გავარიდოთ აქაურობას თქო“. პასუხი გაგაოცებთ, ხმამაღლა წამოძახებული - ეს რა დისკრიმინაციაა!

მივხვდი, რომ სხვაგან მოვხვდი. ის ემოცია, რაც გულში მქონდა გულწრფელი და სიმწრით სავსე, წამიერმა დაკარგულობის განცდამ ჩამინაცვლა. რეალურად კი, ნამდვილად დიდი სტრესი იყო ყველა ადამიანისთვის და ალბათ გოგონებისთვის - განსაკუთრებით რეალობის ნახვა.

მე როგორ დავიწყებ ამ კადრებს, ერთი თემაა, მაგრამ მეორეა ქალის ფსიქოლოგია და ფსიქიკა. არავის მოვიაზრებ სუსტად ან დამცირებულად. ქალი ხშირ შემთხვევაში კაცზე გამძლე და მტკიცე შეიძლება იყოს, მაგრამ რეალურად გულში მქონდა არ გამეტების განცდა. არ მინდოდა რომ ქალს, მომავალი თუ აწმყო შვილების დედას, ენახა ტრაგედია, რაც ჩვენ წინ იდგა.

იმედგაცრუებული უკან გამოვტრიალდი და შვება ვიგრძენი... დავინახე რამოდენიმე მოძღვარი, რომლებიც თითქოს ინტერესით იყურებოდნენ, მაგრამ ვერ ხედავდნენ ან ჯერ ვერ გაერკვიათ ვითარება. ერთ-ერთმა მკითხა, წყალი ხომ არ გინდა, ფერი გაქვს, შვილო, ცუდიო.

ამ შემთხვევაში მივხვდი, რომ სწორ მისამართზე ვიყავი და მამაოს ავუხსენი ჩუმად ყურში, თითქოს აღსარებას ვაბარებდი, რაშიც იყო მდგომარეობა და დახმარება ვთხოვე. არ დამავიწყდება მისი სახე და თვალები. ხელი ჩამკიდა, ხმამაღლა ახალგაზრდებს შეუძახა და თქვენი ფემინისტების დედოფალი დროებითი ჯაჭვის მიღმა დარჩა.

მალევე ამოიყვანეს პირველი მსხვერ-

პლი. სამწუხაროდ ოთხფეხა იყო...

გაურკვეველია ეს იყო მგელი თუ უცნაური მგლის ფორმის ძაღლი, მაგრამ გადაფარებული გაიყვანეს...

ცოტა ხანში მიცვალებულიც ამოიყვანეს და იქვე დაასვენეს...

ის სიჩუმე, რაც იდგა, მე ალბათ გამოკეტილ ბნელ ოთახში არ მიგრძვნია...

მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიაზე ამ ადგილის მიღმა უამრავი ადამიანი მუშაობდა, მე ყოველ შემთხვევაში, ხმა საერთოდ არ გამიგია.

შემდეგ ჯავშვი დაირღვა, მოაწყდა კამერები, ტელეფონები... გადალაპარაკდა ინფორმაცია და გაიგო სრულიად საქართველომ.

სიგარეტის მოკიდება ვცადე და ხელზე იმდენად უცნაური სუნი ვიგრძენი, რასაც გულწრფელად ვერ დავახასიათებ. ისევ ფერი დავკარგე და ისევ დამეტყო... ვგრძნობდი, რომ ეს სიკვდილის სუნი იყო და არაფრის სხვის.

ვგრძნობდი, რომ ეს იყო ის, რისთვისაც დილით მოტივირებული გამოვედი სახლიდან. მწუხარების საოცარი განცდა გამიჩნდა, იმიტომ რომ იმედი იმისა, შეიძლება ვინმე ცოცხალი იყოს, საბოლოოდ მომიკვდა. გამორიცხულია, ეგეთ შლამში ვინმე იყოს მოყოლილი და ცოცხალი.

ბიჭებს რომ გადავხედე, სიამაყის განცდა გამიჩნდა და არ დამძრახავთ, გამიხარდა, რომ ტყუილად მხოლოდ ნაგვის გასატანად არ გვიშრომია. გამიხარდა რომ ჩემი წარმოდგენა ტრაგედიის ღამის რეალობასთან ახლოს იყო. შემართებამ იმატა ახალგაზრდებში და მოქმედება ისევ გააქტიურდა.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური გათანგულობის გამო, სახლში ამოვედი გამოსაცვლელად და საბანაოდ. სუნი მკლავდა, ჯერ სპირტით ვიხეხე ხელები, მერე სველი ხელსახოცებით.

სახლში ამოვედი და იმ წამსვე ტელევიზორი ჩავრთე.

აცხადებენ, რომ ნაპოვნია მეორე მიცვალებული. ეს უკვე იყო წარმოუდგენელი სიგიჟე. გამოვიცვალე და ეგრევე უკან ჩავბრუნდი. აღარც ფიზიკური დაღლილობა აღარ მახსოვდა და აღარც სუნი. ქუჩაში უკან მობრუნებულ ბიჭებს გამოვართვი ინსტრუმენტები და დავეშვი უკან. მოხალისეებს უკან უშვებდნენ. დღევანდელი დღე გავიდა ბოლოში, ხვალ გავაგრძელოთო, მაშველებმა და ხელით გასასვლელისკენ მიგვითითეს. წინააღმდეგობა არ ყოფილა, საოცრად გამგები ხალხი აღმოვჩნდით, ყველა გამოტრიალდა.

იქვე ერთ ერთ მორზე ჩამოვჯექი, სუნთქვას ვერ ვიმორჩილებდი. ერთ-ერთმა მაშველმა ისევ გასვლისკენ მიმითითა, რა დროსაც მეორე, ახალგაზრდა მაშველი გამომესარჩლა. მიცნო. მოვიდა და ჩვენ შორის საოცრად თბილი და გულწრფელად ძმური დიალოგი შედგა. არც მისი სახელი ვიცი, არც გვარი, მხოლოდ სახეზე მახსოვს... არ დამივიწყდება ის მადლობის გულწრფელი განცდები, რომლებსაც ერთმანეთს ვუზიარებდით. იქვე, ხვალინდელი დღის იმედს ვსახავდით და ვგეგმავდით, თუ როგორ უნდა გვემოქმედა.

დღეს ბევრი რამ ვისწავლე. დღეს იყო გამოცდა ჩვენი, როგორც თაობის და რეალურად რომ ვთქვათ, რიგი შეცდომებით, მაგრამ ჩავაბარეთ.

ის ემოციები, რაც დღეს ჩვენ ყველამ ერთმანეთისგან უანგარო დახმარებით მივიღეთ, მთელი ცხოვრება თუ გვექნება გულებში, ჩვენ აუცილებლად შევძლებთ, რომ ნაგვის გატანის შემდეგ, ამ ადგილას, საოცარი სკვერი გავაშენოთ და შემდეგ ქვეყნის დალაგებაც დავიწყოთ ჩვენი ძალებით.

დადებითი ემოციების მიღმა მილიონი წვრილმანი იყო, რომლებიც გვთრგუნავდა და მოტივაციას გვიკლავდა. მზიურში უდიდესი პრობლემა იყო არაორგანიზებულობა და ამაში არ ვგულისხმობ უბრალო მოხალისეებს.

მე, როგორც ყველა, იმას ვაკეთებდი, რასაც შინაგანი ინსტინქტი გვკარნახობდა, მაგრამ რეალურად რომ შევხედოთ, ჩვენ მზად არ ვართ...

- ჩვენ არ ვიცით რა გავაკეთოთ ეგეთ დროს, რაში, როგორ ჩავერთოთ.

მე ვარ ამის პირველი მაგალითი, - ორჯერ, კინაღამ, ბიჭებს გამოვაცალე მიწა დიდი ხის მორის გაწევით.

მიხარიხართ ყველა, მაგრამ იქვე მეშინია, არ დავუშავოთ ერთმანეთს რამე.

ჩემი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი სურვილია, შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი (ოღონდ მას შემდეგ, რაც ზოგადად თემა ჩაცხრება და დავთვლით ზარალს - პირველ რიგში ადამიანურს და შემდგომ სახელმწიფო დათვლის მატერიალურს), დავჯდეთ და მოვიფიქროთ რა გვჭირდება ზეგ. არ დავიშალოთ სახლებში სიმშვიდის მოლოდინში, არ ვსვათ ერთობის და მართლა გულწრფელი ერთობის სადღეგრძელო და ეს საქმე მაგით არ გავაჩეროთ.

აუცილებლად საჭიროა შეიქმნას ჯგუფები 10/20/50 კაციანი, რომლებსაც დაგვატრეინინგებენ შესაბამისი სიტუაციებისთვის კვალიფიციური კადრები. ვიყოთ ყველა ჩვენ ჩვენი სპეციფიური განხრის, რაღაც დონეზე მაინც, სპეციალისტები.

არ არის ჩემთვის ქალის საქმე მორების თრევა და მომკალით. იყვნენ გოგონები, რომლებიც საჭმელს დაატარებდნენ, წყალს, ერთმა (ჩემდა გასაოცრად) სიგარეტიც ჩამიდო მოკიდებული პირში, ხელებით რომ არ გამეთხვარა სახე.

ყველამ დავინაწილოთ სამომავლოდ ჩვენი მოვალეობები.

ეს არ არის ახირება, ეს არის ჩემს მიერ დაკვირვების შედეგად დაბადებული აზრი. იყო იქ კატეგორია ადამიანების, რომლებსაც გულწრფელად უნდოდა საქმის გაკეთება, მაგრამ ფეხქვეშ უაზროდ გვებლანდებოდნენ. იყვნენ გოგონები, რომლებიც ფეისბუქზე ლაივ-ტრანსლაციას ახორციელებდა. ეს ბუნებრივია და არც მიკვირს, მაგრამ ჯობია, რომ ყველაფერს, მიეცეს ფორმალური სახე.

შევქმნათ რეზერვის მსგავსი ოპერატიული ბრიგადები, რომლებიც ქალაქებში ჩვეულებრივ მოქალაქეებში იქნება მიძინებული. სტიქია იქნება, სტიქიას ვეჭიდავოთ, ომი იქნება, ვიომოთ.

ოღონდ ეს ყველაფერი უნდა ვიცოდეთ!

რაც შეეხება მთავრობას. თქვენც მოგეხედებათ. მადლობა იმისთვის, რომ ცდილობთ თქვენი მოვალეობა პირნათლად შეასრულოთ, მაგრამ თქვენც იგივე პრობლემა გაქვთ, - არ იცით რა ქნათ.

თქვენც გჭირდებათ კვალიფიციური კადრები. ორი დღეა მეგობრის ტელეფონში ვუყურებ ვიდეოს, თუ როგორ იყრება მტკვარში მანქანები. სადმე, ვინმე ჩავიდა? იქ რატომ არ ეძებთ? გამორიყავს? როდის ან რა ადგილას? უარს რომ ეუბნებით დახმარების მსურველ ქვეყნებს ქედმაღლურად, იმის ჩვენებით რომ ერთიანებით ვართ, მიუშვით თურქები მტკვარზე, მანქანები ამოიყვანონ.

დარწმუნებული ვარ, იქაც იქნებიან მიცვალებულები, ჩვენდა საუბედუროდ.

მესმის ისიც, რომ რთული ვითარებაა და არ გკიცხავთ, უბრალოდ არის რაღაცეები, რაზეც უნდა ვიყოთ მზად და არის რისკები, რისი წინასწარ ლიკვიდაცია უნდა მოხდეს. პირველად რომ დაიტბორა თავშესაფარი რამოდენიმე დღის წინ, რა ზომები მივიღეთ? მე შეიძლება არ ვიცი, მაგრამ რა გეგონათ, რომ აღარ იწვიმებდა? ან არ დაგიშვიათ, რომ მთა ჩამოიშლებოდა?

ჩემზე კარგად, თქვენ უნდა იცოდეთ გეოლოგია ქალაქის გარშემო და საკუთარი პულსივით უნდა აკონტროლებდეთ. არ უნდა ჭირდებოდეს გულს ტკივილის დაწყება, რომ პროფილაქტიკის მიზნით შეემოწმოთ, როცა ასაკში ხართ. საქმეს მიხედეთ და რომ დაბრუნდებით თქვენ გაგრილებულ ოთახებში, კი არ იამაყოთ, იმაზე იფიქრეთ, რა უნდა გააკეთოთ, რომ შემდეგში მტკვარში არ აღმოჩნდეთ.

რაც შეეხება მოსახლეობას...

ჩემი გაღიზიანება კიდევ ერთმა ფაქტმა გამოიწვია.

დღეს მე მანქანა შეგნებულად არ დავტოვე, იმიტომ რომ ვთვლიდი, აუცილებელი იყო საჭიროებისთვის გვერდში მყოლოდა. მიუხედავად ამისა, მზიურში ჩასვლამდე, თამარაშვილზე გავაჩერე და ისე დავეშვი. ამოსვლით, ჭავჭავაძეზე ამოვედი და პარადოქსს წავაწყდი:

- არც ერთმა ცარიელმა ტაქსმა არ გაგვიჩერა... არც ერთმა მოქალაქემ არ გაგვიჩერა...

მოქალაქეების მესმის, თავის ახალ მანქანებს ამოგანგლული ახალგაზრდებით შეიძლება არ გატენიდნენ, მაგრამ ტაქსებმა რა იფიქრეს, რომ ფული არ გვაქვს? თუ ისინიც სისუფთავეს იცავდნენ.

უკან დაშვებისას, სახლთან, ბირჟავიკ ტაქსს ჩავუჯექი და ჩავაყვანინე თავი. ჩვენ წინ მიდიოდა ცარიელი ტაქსი, რომელსაც მთელი მზიურის ტერიტორია ხელს უქნევდა. ამ ამოგანგლულ ბიჭებს და გოგონებს აუარა გვერდი და ორ საკმაოდ კარგად ჩაცმულ-დახურულს გაუჩერა მანქანა და ვაჭრობა დაუწყო.

რომ დავამთავრო და კიდევ უარყოფით ემოციებს არ დავუბრუნდე, შევაჯამებ დღევანდელ დღეს.

დღეს თბილისის თავზე, ჩემთვის, იდგა ტრაგედიის სუნი...

სუნი, რომელმაც ჩვენ გაგვაერთიანა.

მე დღეს არ ვარ ამაყი, რომ ქართველი ვარ... მე ვიყავი გუშინ, გუშინწინაც და ვიქნები ხვალაც... მადლობა, თქვენ ყველას, ვინც ხართ და როგორებიც ხართ, იმისთვის რომ დღეს მაგრძნობინეთ, რომ ამ ქალაქში მარტოები არასდროს ვართ და შეიძლება გვქონდეს ერთიანი მომავლის იმედი.

ბოლო ორი წლის განცდა იმისა, რომ ერთადერთი გადარჩენის გზა ჩემთვის, ამ ქალაქიდან გასვლა იყო, „ვერა რეჩკამ“ მტკვარში ჩაიტანა.

დღეს ბევრი საოქმელი დამიგროვდა.

იმაზე, რომ ხალხი დაგვეღუპა. თან ბევრი. თან იმაზე, რომ ალბათ მეტის გადარჩენა შეიძლებოდა.

იმაზე, რომ არასოდეს მომწონს დიდი ჩარევები ბუნებაში და არც ვერეს გვირაბში მოქცევა მიმაჩნდა სწორად.

იმაზე, რომ თუ ვერეს ხეობაზე არ გაიყვან ალტერნატიულ გზას, მე არ ვიცი, როგორ უნდა განიტვირთოს დასაცობებული თბილისი.

იმაზე, გარემოს დაცვაც უნდა გვანაღელებდეს და ქალაქის განვითარებაც.

იმაზე, რომ ამ ორი დიდი მიზნის ერთდროულად მიღწევა უპირველესად კომპეტენტურ სპეციალისტთა საქმეა და არა ნაირნაირი პოლიტიკოსებისა.

იმაზე, რომ არ შეიძლება სტიქიური უბედურებების შეფასებისას უპირველესად პოლიტიკური მიზანი გვამოძრავებდეს - ვის ძველი, ვის კი ახალი ხელისუფლების კრიტიკა.

იმაზე, რომ „ახალი გზის“ აშენებამდე ისედაც იყო ვერე გვირაბებში მოქცეული (თამარაშვილის ქუჩისა და ვარაზისხევის ქვეშ) და ეს გვირაბები ისევე გაიჭედა, როგორც ახლები.

იმაზე, რომ არა გვაქვს არც ზოოპარკის და არც სხვა მნიშვნელოვანი დაწესებულებების ევაკუაციის გაწერილი გეგმები - რომელი უბედურებისას რას ვაკეთებთ. ვინ, როგორ და რა საშუალებებით. იმაზე, რომ მაშველები და მშრომელები მაგარი ხალხია და მართლა ბევრმა იღვაწა - პროფესიონალმა თუ ისე მოქალაქემ.

იმაზე, რომ დღეს ქუჩებს აშკარად აკლდა ხელმძღვანელობაც, ორგანიზებულობაც, ტექნიკაც...

თუმცა დღის მთავარი სათქმელი მაინც ეს ახალგაზრდობაა!

შემართული და ანთებული, არავისგან დარიგებული და უაღრესად შეგნებული, დაკუნთული თუ კაფანდარა, შარვლიანი თუ შორტებიანი, ბოტებიანი და ბოტასებიანი, აკურატულად მომუშავე თუ ტალახში ამოგანგლული...

თაობა, რომელიც რწმენას გაძლევს. გაძლევს და გიბრუნებს დიდ რწმენას, რომ ჩვენს ქვეყანას დიდი მომავალი აქვს.

ბოდიში, ახალგაზრდებო. მართლა არ მეგონა, თუ ამდენი იყავით. და ასე კარგები... მადლობა, მადლობა...

გუგა კუდავა

თეკლა წულუკიანი

ჯანრიის ბასკეტ

რედაქტორისაგან:

ამ ინტერვიუს დაბეჭდვას სამი წლის წინ ვგეგმავდი. პირადი მოსაზრებების გამო (მაშინ, თბილი ემოცია დამრჩა და მიკერძოების იარლიყს მოვერიდე), არქივში გადავუძახე. დღეს შემთხვევით შემომეკითხა და ერთ წინადადებაში ვიპოვე პასუხი ბოლო დროს მისი მისამართით დასმულ კითხვაზე.

რა კითხვაზე, - ამის პოვნა ამ წერილში თქვენთვის მომინდვია.

თიანეთში, ორსართულიანი, თეთრი სახლის ეზოში 30-მდე ადამიანია შეკრებილი. შენობაზე საქართველოს დროშებია გამოფენილი. მიუხედავად იმისა, რომ ეზო თოვლითაა დაფარული და ცივი ქარიც უბერავს, კოალიციის ლიდერებმა გადაწყვიტეს, ოფისის გახსნის ცერემონია მაინც გარეთ გამართონ. ცნობილ ოპოზიციურ სახეებს შორის შეამჩნევთ პატარა ტანის ქალბატონს, რომელიც ერთდროულად მკაცრი და ცოცხალი გამომეტყველებით, თითქოს, უცხოსავით აკვირდება ფუსფუსს - ლიდერები მსჯელობენ, სად დადგან დროშა, როგორ განაწილდნენ, ის კი ჩუმადაა. სიცივის მიუხედავად, შილიფდაა ჩაცმული - თოვლიანი ამინდისთვის, აშკარად, შეუფერებლად. თხელი ქურთუკი აცვია და ქარისგან დასაცავად კისერზე თხელ, ჭრელ ფერებში გაწყობილ შარფს ისწორებს შიგადაშიგ. პრეზენტაცია იწყება. ტრიბუნასთან გამომსვლელები ერთმანეთს ცვლიან. მჭექარედ და ხაზგასმული პათეტიკურობით მიმართავენ შეკრებილებს. მერე მისი ჯერიც დგება და იწყებს:

„არ ვიცი, ყველას გესმით თუ არა ჩემი ხმა, - არადა, სიჩუმეს გარშემო მხოლოდ თოვლის ხრაშუნი თუ არღვევს, - მადლობა მინდა გითხრათ თანადგომისთვის! მადლობა იმისთვის, რომ ჩვენ გვაქვს ოცნება სამართლიანობისთვის, ოცნება, რომ სოფელი არ დაიცალოს, ქართველი გლეხი და ოჯახი გაძლიერდეს, ოჯახიდან სხვა წევრების სარჩენად არავინ იყოს გადახვეწილი. ჩვენი ოცნება არ არის მხოლოდ უკეთესი მომავალი. უნდა ვიმოქმედოთ, დავძლიოთ შიში და ჩვენ, ქალები, მოგცემთ მაგალითს შიშის დასაძლევად!“ - მის გამოსვლას შინაარსი კი აქვს ემოციური, მაგრამ თვითონ ისე მშვიდად და გაწონასწორებულად მეტყველებს, რომ მაოცებს - 2009 წლის შემდეგ რამდენი აქციაც გამართულა, უმეტესობა გამიშუქებია, მაგრამ ტრიბუნიდან ასე მშვიდად და დამაჯერებლად მოსაუბრე გამომსვლელი იშვიათად მინახავს.

ახლა მახსენდება, თეამ მაშინაც გამაოცა, როცა პირველად გავიგე მისი სახელი. საინფორმაციო გამოშვებაში თქვეს, რომ ვინმე თეა წულუკიანმა, სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა სასამართლოში იურისტის კარიერა მიატოვა და 12-წლიანი პაუზის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, პოლიტიკაში მოსვლის მიზნით. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ეს რეალობა იყო.

„მე იმედი მაქვს, რომ ჩემი მაგალითი, ადამიანის, რომელმაც მივატოვე კარიერა, და ჩამოვედი საქართველოში, ბიძგს მისცემს სხვა ადამიანებს, პროფესიონალებს, რომ დაბრუნდნენ და ააშენონ ეს ქვეყანა“, - 2010 წლის 15 მაისს თეა პოლიტიკოსის რანგში ამ სიტყვებით პირველად გამოვიდა საზოგადოების წინაშე.

ცხადია, ირაკლი ალასანიას პარტიისა და მისი მხარდამჭერებისთვის თეას არჩევანი საამაყო იყო - ევროპული სამართლის შესანიშნავი სპეციალისტი; ქალი, რომელიც ევროპის სასამართლოში პირადად განიხილავდა ყველა იმ საქმეს, რომელთაც ოპოზიციური პარტიები ხშირად იყენებდნენ ხელისუფლების პოლიტიკის გასაკრიტიკებლად, აქტიურ პოლიტიკურ კარიერას იწყებდა. ეს საზოგადოების ნაწილისთვის ზურგის გამაგრება იყო, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების სისწორეში კიდევ ერთხელ დარწმუნების საშუალება.

თუმცა, როცა თეას ვეკითხები, რა იყო მისი ამ გადაწყვეტილების მიზეზი, ქართულ პოლიტიკაში მოსვლას უფრო პირადულ ახსნას უძებნის: „ხშირად მემართება ხოლმე ასე, მიჭირს, ბოლომდე შევირგო ის, რასაც მაძლევს ცხოვრება. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ გამიმართლა. ბევრი რამ მივიღე ცხოვრებაში და სულ მიღების პროცესში ვერ ვიქნები. რაღაც უნდა გასცე და დათმო კონკრეტულ მომენტში. ამდენი „სულ მიღება“ არ არის სწორი!“

სამსახურიდან რომ მიდიოდა, ამის შესახებ, ორი თვით ადრე უნდა ეცნობებინა ხელმძღვანელებისათვის. როგორც წესი იყო, შესაბამის დეპარტამენტს შეატყობინა. შეტყობინების შინაარსმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში განცვიფრება გამოიწვია. 10 წლის განმავლობაში ეს იყო მეორე შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო მოხელის თანამდებობაზე უარი კონკრეტულმა პირმა საკუთარი ნებით თქვა. როგორც წესი, თეას თანამდებობაზე იურისტები ოცნებობდნენ. ეს გულისხმობდა არამხოლოდ ძალიან ნაყოფიერ იურიდიულ პრაქტიკას, არამედ ბევრ მატერიალურ სიკეთეს და სტაბილურად მზარდ კარიერასაც: თვეში 8 ათასი ევრო ხელფასი, ნორმირებული შვებულება - 43 დღე წელიწადში, სტანდარტული სამუშაო დღე, რომელიც საღამოს 6 საათზე სრულდება და საშუალება - საერთაშორისო მოხელედ 65 წლის ასაკამდე იმუშაო და უზრუნველად იცხოვრო.

2000 წლიდან თავის სამუშაო ოთახში დაგროვებულ ნივთებს, ძირითადად, წიგნებს, საქართველოში წამოსაღებად სამი დღის განმავლობაში არჩევდა, შემდეგ კი მანქანაში ალაგებდა. სამსახურიდან წამოსვლამდე კოლეგებმა გამოსამშვიდობებელი საღამო მოუწყვეს. გული დასწყდათ, თუმცა სამშობლოში დაბრუნების მიზეზებს არ ჩაძიებიან - ეს მის პირად არჩევანად მიიჩნიეს და ზედმეტი კითხვებისგან გაათავისუფლეს, ერთადერთი - საქართველოში წარმატებები უსურვეს. რამდენიმე დღეში თეა უკვე ახალ, თბილისურ სამსახურში წავიდა. დილით ადრე „თავისუფალი დემოკრატების“ ოფისში გამოცხადდა. მან წინასწარვე განსაზღვრა სამუშაო სფეროები. დასაწყისისთვის რამდენიმე კონკრეტული მიმართულება ჩაიბარა - უნდა ემუშავა თვითმმართველობის ორგანოებში დასავლური გამოცდილების დანერგვასა და სამართლებრივ საკითხებზე, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

2010 წლიდან მოყოლებული „თავისუფალი დემოკრატების“ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში თეას აზრი ალასანიასთვის უმნიშვნელოვანესია. ცხადია, წულუკიანი მონაწილეობდა იმ შიდაპარტიულ განხილვებშიც, როდესაც ალასანიამ ივანიშვილის გარშემო შეკრებილ კოალიციაში გაწევრიანება გადაწყვიტა. პირველი შეხვედრა ივანიშვილსა და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერს შორის 2011 წლის ოქტომბერში გაიმართა. ალასანია უკან, პარტიაში, უკვე თითქმის მიღებული გადაწყვეტილებით დაბრუნდა. ახალ ამბავს პარტიის წევრები, როგორც თეა იხსენებს, „დადებითად“ შეხვდნენ. „გაგვიხარდა, რომ ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც შეეძლო, ბიძგი მიეცა ცვლილებებისთვის. რატომაც არ უნდა დავდგომოდით გვერდით?!“. პირველი შეხვედრიდან ზუსტად 6 დღეში, უკვე საზოგადოებისთვისაც ცნობილი გახდა, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობას გეგმავდნენ.

ალასანია ამბობს, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, თეასგან თანხმობის მაშინვე მიღება ზოგიერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე მტკიცე არგუმენტების გარეშე უჭირდა. ამას თვითონ თეაც ადასტურებს და იხსენებს, რომ იყო ორი შემთხვევა, როდესაც პარტიის ლიდერის გადაწყვეტილებას ბოლომდე არ იზიარებდა, მაგრამ მაინც დათანხმდა. ამ შემთხვევებზე საუბარს თავს არიდებს, მაგრამ მეუბნება: „მომავალი გვიჩვენებს, გაამართლა თუ არა ჩემი, ან ირაკლის მოლოდინმა. მთავარია, რომ გუნდში ნებისმიერ ნაბიჯს ერთმანეთთან შეთანხმების შემდეგ ვდგამთ და კოორდინირებულად ვმოქმედებთ“.

თეა ყოველთვის ასი პროცენტითაა დარწმუნებული იმ აზრის სისწორეში, რომელსაც საჯაროდ გამოთქვამს. თემები, რომლითაც ალასანიას პარტიის ლიდერი პოლიტიკურ დებატებში ერთვება, როგორც წესი, ყველაზე მეტად ადამიანის უფლებების საკითხს ეხება, თუმცა სხვა თემებზეც უწევს პარტიული მოსაზრებების და ინტერესების დაცვა. მაგალითად, ტელედებატებში დაპირისპირებულ მხარეს ბათუმში, აზიზიეს მეჩეთის შესახებ ედავება, ან კონტროლის პალატის საქმიანობას აპროტესტებს. მსჯელობისას თეა გაწონასწორებული და მშვიდია. ოპონენტს სიტყვას იშვიათად აწყვეტინებს. ვიდრე საწინააღმდეგო აზრს უმტკიცებენ, მოთმინებით უსმენს, ხოლო როცა თეას ჯერი დგება, ლაპარაკობს მხოლოდ ფაქტებით და ისეთი სიმტკიცით, რომ გრძნობ - ოპონენტის არგუმენტების სრული გაბათილება აქვს მიზნად დასახული. რაც მთავარია, თეა წულუკიანი არ იყენებს ქართულ პოლიტიკურ დებატებში ყველაზე მეტად გავრცელებულ „საბრძოლო ტექნიკას“ - შეურაცხმყოფელ ფრაზებსა და მიმართვებს. ეს არც სჭირდება, სამართლის სპეციალისტი თითქმის ყველა სადავო თემას სამართლებრივ კონტექსტში განიხილავს და მომხდარის უსამართლობას კანონის ენით ამტკიცებს.

თეა წულუკიანისგან თანამშრომლობაზე თანხმობის მიღებას „თავისუფალი დემოკრატების“ ხელმძღვანელი ერთი წლის განმავლობაში ელოდა. 2009 წლის ზაფხულისთვის თეა უკვე ფიქრობდა უკან, საქართველოში დაბრუნებაზე. მიზეზი იყო არა მხოლოდ მზარდი პოლიტიკური უკმაყოფილება საქართველოში შექმნილი მდგომარეობით, არამედ სტაბილური, წყნარი, პროგნოზირებადი მომავლისადმი ერთგვარი შიშიც. „ვუყურებდი ჩემს კოლეგებს, რომელთაც ჩემს ასაკში დაიწყეს სასამართლოში მუშაობა და ახლა უკვე 60ს იყვნენ გადაცილებულნი. საკუთარ თავს ვეკითხებოდი: მინდა მე ასეთი ცხოვრება, დალაგებული, საინტერესო, მშვიდი, მაგრამ საკუთარი ქვეყნისგან შორს?“

ამ კითხვაზე პასუხად - რომელსაც გონებაში ყოველდღიურად, თვეების განმავლობაში ამუშავებდა - ირაკლი ალასანიას შეთავაზებას ბოლოს მაინც დათანხმდა. მით უფრო, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერთან სკაიპში გამართული პირველი საუბრის შემდეგ მიხვდა - მათი ღირებულებები, მიზნები, სურვილები ზედმიწევნით ემთხვეოდა ერთმანეთს. თუმცა, იმ დროისთვის „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი უმთავრესი მიზნის მიღწევაში თეა პარტიას გვიან შეუერთდა - როცა პარტიაში გაწევრიანდა, თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე სულ 2 კვირაღა იყო დარჩენილი.

როგორც თვითონ ამბობს, ეს არჩევნები ქართულ პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ მის პირველ იმედგაცრუებადაც იქცა. ყველაზე მეტად, მაინც როგორც ამომრჩეველს, „გულუბრყვილო მოქალაქეს, მეტკინა გული. არჩევნების დღემდე ველოდი, რომ ლევან გაჩეჩილაძე გამოვიდოდა და ირაკლი ალასანიას გამოუცხადებდა მხარდაჭერას. მაგრამ ასე არ მოხდა“. არადა, დარწმუნებული იყო, რომ თუკი გაჩეჩილაძე ალასანიას დაუდგებოდა მხარში, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი უფრო მეტი ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქის მიმხრობას შეძლებდა.

გაჩეჩილაძის მხარდაჭერა თბილისის არჩევნებზე მისთვის მნიშვნელოვნი იყო, რადგან - 2008 წლის 5 იანვარს უმწვავესი პოლიტიკური დაპირისპირების განსამუხტად დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში, თეამ ხმა მას მისცა. როდესაც არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სტრასბურგიდან პარიზში მიდიოდა მატარებლით, ზუსტად იცოდა, რასაც აკეთებდა. „არჩევანი რომ მქონოდა და იქ მესამე კანდიდატი ყოფილიყო - ჩემი თანმხვედრი ღირებულებების მატარებელი, რა თქმა უნდა, მას მივცემდი ხმას, მაგრამ რეალურად არჩევანი ორ ძალას შორის იყო. გაჩეჩილაძე კი ჩემთვის იყო კანდიდატი, რომლის უკან მდგარი ძალებიც ხელისუფლების ულაგამო ცხენივით სვლას დაუბალანსებდნენ და პოლიტიკურ პროცესს სწორ გზაზე დააბრუნებდნენ“, - მეუბნება და მტკიცე, დაჟინებული მზერით ცდილობს, საკუთარ სიმართლეში დამარწმუნოს. თითქოს, ჩემთვის ისედაც გასაგები უნდა იყოს, რას გულისხმობს ხელისუფლების „ულაგამო ცხენივით სვლაში“.

მიამბობს, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის გულწრფელობასა და ქმედებების სისწორის შესახებ ეჭვი პირველად ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე გაუჩნდა. 2000 წელს, სტრასბურგში ერთ-ერთ არაფორმალურ შეხვედრაზე გაიცნო მაშინდელი საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილი. იმ პირველ შეხვედრაზევე გამოიკვეთა, რომ მათი მოსაზრებები და მისწრაფებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ამიტომ სრულიად გაცნობიერებულად უთხრა უარი სააკაშვილს შეთავაზებაზე - გამხდარიყო მისი, როგორც იუსტიციის მინისტრის, მოადგილე. 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ დროსაც საზოგადოებაში სუპერპოპულარულ სააკაშვილს კი არ გულშემატკივრობდა, არამედ - ზურაბ ჟვანიას. ახლაც უკვირს, როგორ ვერავინ დაარწმუნა ახლობლებიდან, სააკაშვილისთვის არ დაეჭირათ მხარი. „საკუთარმა მშობლებმაც არ დამიჯერეს“, - მეუბნება დანანებით.

თეამ, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე უარი, იმავე მიზეზით, 2004 წელსაც თქვა. მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, სალომე ზურაბიშვილმა მას თანამშრომლობა შესთავაზა. შეეძლო, აერჩია საქართველოს ელჩის თანამდებობა საფრანგეთში, ან დათანხმებოდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობას კადრებისა და ფინანსების დარგში. თუმცა, სალომე ზურაბიშვილისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, იცოდა, რომ „ყველა გზა მიდიოდა მიშასთან, მე კი არ მინდოდა მისი ხელისუფლების სამსახურში ვყოფილიყავი. მათი ახალგაზრდული გაბედულება, ყოველდღიური სიგიჟმაჟე და თან იმის გაცნობიერება, რომ დამბალანსებელი ძალა არ არსებობდა ქვეყანაში, მაშინებდა“.

2000 წლიდან სტრასბურგიდან ადევნებდა თვალს საქართველოში მიმდინარე პერიპეტიებს. თუმცა, თეასთვის იქიდანაც მკაფიოდ ჩანდა, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს საქართველომ „საბოლოოდ გადაუხ-

ვია ქვეყნის სწორი განვითარების გზიდან. მიშამ, როგორც მემანქანემ, რელსებიდან გადაიყვანა მატარებელი“. პირველ რიგში, თეა წულუკიანისთვის ამის ნიშანი იმ საქმეების სიმრავლე იყო, რაც სტრასბურგში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადიოდა.

თეა, ძირითადად, საქართველოდან და რუსეთიდან შესულ საჩივრებზე მუშაობდა. მისი უშუალო მოვალეობა, მოსამართლესთან ერთად, ამ საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლა და დასკვნის მომზადება იყო. მის ხელში გაიარა გირგვლიანის, ასანიძის, ბათიაშვილის, მირცხულავას, ალიმონაკის, ასევე, ჩვენთვის უცნობი სხვა მოქალაქეების საქმეებმა. თითოეული მათგანი თეასთვის საინფორმაციო ქრონიკის მოვალეობას ასრულებდა - სწორედ ამ სასამართლო დოკუმენტაციიდან ეცნობოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და დასკვნებსაც აკეთებდა.

„კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის საქმე რევოლუციური უკანონობის ნიმუში იყო. ეს ადამიანი იმ ქმედებისთვის დასაჯეს, რაც არ იყო დანაშაული. ეს განაჩენიდანაც ჩანს - მის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენში არის ფაქტები და შემდეგ სასჯელი, აღწერილობა და სამოტივაციო ნაწილი კი, უბრალოდ არ არის. რეალურად ის პოლიტიკური პატიმარი იყო“. თეა მსგავს უზუსტობებს პოულობდა სხვა საქმეებშიც. ამბობს, რომ ირაკლი ბათიაშვილი ის ადამიანია, ვინც გამოთქმა, „გამაგრდი, ძმაო“ შეიტანა ჩვენი იურისპოდენციის ისტორიაში, როგორც „სისხლის სამართლის“ დანაშაული. ამ ფრაზის გამო, ოპოზიციური მოძრაობა „წინ საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი ბათიაშვილი, ემზარ კვიციანის ამბოხის ინტელექტუალურ მხარდაჭერასა და დანაშაულის დაფარვაში დაადანაშაულეს. „მის საქმეშიც მთელი კასკადია უკანონობის, აბსურდულობის. საქმეს რომ ეცნობი, არ იცი, იტირო, თუ იცინო, იმიტომ რომ აბსურდია“.

როდესაც სტრასბურგის საქმეებზე მიყვება, თვალები ენთება, ცოტა ცხარობს კიდეც, საუბრისას ხელებს იშველიებს და ცდილობს, საქმის დეტალები ჩემთვის გასაგები ტერმინებით ამიხსნას. ამ საქმეების ბედს დღემდე განიცდის. განსაკუთრებული ემოციურობით კი რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აღძრულ საქმეს გულშემატკივრობს. ეს, ალბათ, იყო ერთადერთი გამონაკლისი ასეულობით საქმეს შორის, რომელმაც თეა წულუკიანი საშინლად დააბნია და ჩვეული სიმტკიცე და თავდაჯერებულობა დააკარგვინა. 2008 წლის 11 აგვისტოს, საღამოს, შინ ბრუნდებოდა მანქანით, როცა საჭესთან მჯდომს, დავით

თომაძემ დაურეკა - იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელმა, რომელიც სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს მხარეს წარმოადგენდა.

„მითხრა, რომ საქართველო ცუდ მდგომარეობაშია, სამინისტროს ტოვებენ, რადგან ევაკუაციაა გამოცხადებული და უნდა, რომ საქართველოს სახელით რუსეთის წინააღმდეგ ტელეფონით შეიტანოს სარჩელი. მაშინვე ზუსტი დრო ჩავინიშნე, სამსახურისკენ მოვბრუნდი და ვთხოვე, წერილობითი დასტურიც გამოეგზავნა იმეილით. მეილზე მოდიოდა დაბომბილი გორის ფოტოები, საშინელი ფოტოები. თომაძე ამბობდა, რომ ეს უკვე ბოლო იყო“.

თეამ სტრასბურგის სასამართლოს მთავარი განმწესრიგებელი, მთელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ერიკ ფრიბერგი საკუთარ კაბინეტში იპოვა და გაუგებრად, გაცხარებით მიაყარა საქართველოდან მოსული ამბები: „გაოგნებული მიყურებდა. მიხვდა, რომ ომთან დაკავშირებით ვეუბნებოდი რაღაცას, ვიმეორებდი ერთ ფრაზას - „რუსები მოდიან“, ის კი ვერ ხვდებოდა, საით მოდიოდნენ რუსები - სასამართლოში, სტრასბურგში თუ კიდევ სადმე სხვაგან... ძლივს მოვიკრიბე ყურადღება, რომ გასაგებად ამეხსნა ყველაფერი“. ფრიბერგმა საქმეში იმ წუთასვე სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე, ჟან პოლ კოსტა ჩართო, საჩივარი ფრანგ იურისტს გადასცეს და გადაწყვეტილება მეორე დღესვე მიიღეს - რუსეთსაც და საქართველოსაც სასამართლომ „სიცოცხლის ხელყოფისა და მოქალაქეთა დაზიანების შეწყვეტისკენ“ მოუწოდა.

გამოძიება ჯერაც არაა დასრულებული. საბოლოო შედეგს თეა უკვე თბილისიდან, პოლიტიკოსის რანგში აკვირდება.

ახლა მთაწმინდაზე მუშაობს - ცნობილ მინისა და ლითონის კონსტრუქციაში. მისი სამუშაო ოთახი, სხვა იურისტებთან ერთად, საქართველოში ყველაზე მდიდარი ადამიანის სამუშაო ოთახის გვერდით მდებარეობს. ოთახი ნათელ ფერებშია გაწყობილი, გამჭვირვალე მინებიდან კი თბილისის ულამაზესი ხედი ჩანს. მიუხედავად ყველაფრისა, თეა იქ მაინც არაკომფორტულად გრძნობს თავს, ამბობს, რომ ეს არ არის ოფისი. „ძალიან ლამაზია, მაგრამ მაინც რაღაც სხვაა, ეს უბრალოდ ამ ადამიანის რეზიდენციაა“.

თეა „ქართული ოცნების“ ამ საკმაოდ ჭრელ პოლიტიკურ კოალიციაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. თუმცა, აქაც თავისი, ძალიან კონკრეტული მიმართულებით მუშაობს - კოალიციის წევრების და მათი მხარდამჭერების ინტერესების დაცვა უწევს. სამართლებრივად აგვარებს ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხსაც, ყველაზე ხშირად კი მაინც კონტროლის პალატასთან უხდება ჭიდილი იმ ადამიანების გამო, ვისაც დასაკითხად იბარებენ. მუშაობს როსტომ მეფის სასახლის თემაზეც. როგორც თეა მიამბობს, ეს სასახლე სახელმწიფო საკუთრებაშია, მაგრამ ხელშეკრულების მიხედვით, ბიძინა ივანიშვილს მისი აღდგენისა და განკარგვის უფლება აქვს, დედაქალაქის მერია კი მშენებლობის დამთავრებისა და შენობის ექსპლუატაციის უფლებას არ აძლევს.

ივანიშვილზე საუბრისას გამუდმებით ერთი კითხვა მიტრიალებს თავში - „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანება თეასთვის ისეთივე გამოსავალია, როგორც 2008 წლის იანვარში გაჩეჩილაძის საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდაჭერა იყო, თუ ამ საკმაოდ ეკლექტური იერსახის კოალიციას ნამდვილ პოტენციალს ამჩნევს? მეუბნება, რომ სიჭრელე - ერთგვაროვან პოლიტიკურ სურათში, პირიქით, კარგია. „ჩვენ ზოგიერთ საკითხზე გვაქვს განსხვავებული მო-

საზრებები, თორემ ძირითადი პოლიტიკური ღირებულებები, რისთვისაც ვიბრძვით ერთია. ქვეყანას არ უნდა მართავდეს ერთ ჭკუაზე მყოფი ერთი გუნდი, ამის შეცვლა ჩვენთვის მთავარი ღირებულებაა".

სწორედ ამიტომ მიესალმა თავიდანვე ივანიშვილის გამოჩენას ქართულ პოლიტიკაში. თეა ამბობს, რომ მან მნიშვნელოვნად შეცვალა პოზიციები და ადამიანებს ცვლილების იმედი გაუჩინა. ივანიშვილის ფული მისთვის უბრალოდ ბერკეტია იმისათვის, რომ ოპოზიციური ფრთა გაძლიერდეს და სახელისუფლებო ძალებთან ერთად თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. „მათ აქვთ ადმინისტრაციული რესურსები და საბიუჯეტო თანხები, ოპოზიცია კი, ხელისუფლებისგან განსხვავებით, რესურსების ნაკლებობას განიცდის".

„ქართულ ოცნებაზე" ამაზე მეტად აღარ მელაპარაკება. თუმცა, ვხვდები, რომ თეას ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის უმთავრესი ინსპირაცია კანონი და შესაბამისად - უკანონობაა. სამართალი - ეს ათვლის წერტილია მისთვის; საზომია, რითაც წყვეტს, რა პოლიტიკურ პოზიციაზე უნდა იდგას. ივანიშვილის კოალიციაში ყოფნის დროსაც აბსოლუტურად გულწრფელია. მას სჯერა, რომ ხელისუფლება უკანონო მეთოდებით ებრძვის მდიდარ ბიზნესმენს და მორჩა - ეს უკვე საბაბია იმისთვის, რომ ამ უკანონობის აღმოსაფხვრელად თუ გასაბათილებლად იქ დარჩეს, სადაც დღესაა. სხვებიც მეუბნებიან, რომ თეა წულუკიანი მათთვის პრინციპულობის ეტალონია. ადამიანი, რომელიც ასე ერთგულად იცავს საკუთარ შეხედულებებს, იშვიათად შეხვედრიათ. თვითონ თეა, ისე, ჩემს კითხვაზე პასუხად, რიგით ბიოგრაფიულ ფაქტად მიამბობს, კონტექსტში კი მე თვითონ ვსვამ ამ ამბავსაც: საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ორი წლის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდა „თავისუფალ დემოკრატებში". მისი ხელფასი სტრასბურგში გაქირავებული საკუთარი ბინის ქირა იყო (პირველი ხელფასი, როგორც კოალიციის ერთ-ერთ თანამშრომელს, დაახლოებით 6 ათასი ლარი, 2012 წლის მარტში ბიძინა ივანიშვილისგან ჩაერიცხა).

ახლა უკვე მიკვირს კიდეც, როგორ ვერ მიხვდა პრინციპული,პირდაპირი,ცხარე და დაუღალავი მოპაექრე, მიზანდასახული და ფაქტებით კამათს მოყვარული, თეა წულუკიანი,რომ დიპლომატია მისი საქმე არ იყო. თუმცა, როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდა, 17 წლის იყო და ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ბევრი ახალგაზრდა დღემდე აკეთებს - რადგანაც თვითონ ზუსტად არ იცოდა, რისი გაკეთება უნდოდა მომავალში, მამის სურვილს მიჰყვა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახლად გახსნილ საერთაშორისო სამართლისა და

საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩააბარა.

კურსის ხელმძღვანელი ალექსანდრე რონდელი იყო. ისე გამოვიდა, რომ უნივერსიტეტში სწავლას ყველაზე რთული პერიოდი დაემთხვა - სინათლე ხშირად ითიშებოდა, აუდიტორიები ვერ თბებოდა, სწავლის პირობები არ იყო, მაგრამ ალექსანდრე რონდელი იმ წლებს მაინც სასიამოვნოდ იხსენებს, რადგან სტუდენტების გამორჩეულად კარგი ტალღა მივიდა უნივერსიტეტში. „მათ შორის იყო ერთ-ერთი მარგალიტი - თეა. აუდიტორიაში შესვლისთანავე შეამჩნევდი ანთებულ თვალებს. მომცრო გოგოა. პატარა გოგოს ჰგავს, მაგრამ თვალებში ისეთი ძალა აქვს და ინტელექტი, რომ არ არსებობს, გამოგრჩეს", - მიამბობს ალექსანდრე რონდელი.

კათედრის ხელმძღვანელმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საუკეთესო სტუდენტები საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ახლად დაარსებულ ცენტრში წაიყვანა სამუშაოდ.

ალექსანდრე რონდელი და მასთან მიღებული გამოცდილება თეას კარიერისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა, ისევე, როგორც წლებით ადრე საფრანგეთში სასწავლებლად გამგზავრება. 16 წლის იყო, როცა „საბჭოთა ბავშვი", თეა წულუკიანი საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა AFS-ით ლიონის საჯარო სკოლაში მოხვდა.

„მახსოვს, პირველად მასწავლებელი რომ შემოვიდა კლასში, ფეხზე ავდექი. შეკითხვებსაც ფეხზე ამდგარი ვპასუხობდი, ისე, როგორც საბჭოთა სკოლაში ვიყავი დაჩვეული. კლასელები ამის გამო დამცინოდნენ. მაშინ საბჭოთა სკოლებში იმასაც გვასწავლიდნენ, რომ სისუსტის გამოჩენა სირცხვილია. სირცხვილია, როცა რაღაც არ იცი. არადა, საფრანგეთში მივხვდი, რომ ყველაფერი პირიქითაა. არ უნდა მოიშტერო თავი და სისულელეები არ თქვა, როცა რაღაც არ იცი".

პიროვნული ტრანსფორმაცია, რომელიც საფრანგეთში სწავლისას განიცადა, თეასთვის იმდენად ძვირფასი აღმოჩნდა, რომ ყველაფერი გააკეთა ამ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დასაბრუნებლად. საკონკურსო გამოცდა წარმატებით ჩააბარა და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს დახმარებით, 1998 წელს, თავისი ოცნების სასწავლებელში - საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლაში (ENA) ჩაირიცხა. ეს სკოლა, რომელიც შარლ დე გოლმა დააარსა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს ექვემდებარება და პრეფექტებს, სხვა მაღალჩინოსნებსა და ადმინისტრაციული იუსტიციის მოსამართლეებს ამზადებს. ყველა ის ევროპელი, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში სურს მუშაობა, ამ სკოლაში მოხვედრაზე ოცნებობს.

ENA-დან თეა სტაჟირებაზე საფრანგეთის სარტის დეპარტამენტში გაგზავნეს. ქალაქ ლემანის პრეფექტის კაბინეტში მიიღეს და ქალაქის რთულ უბნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების მოგვარება დაავალეს. ქუჩაში მანქანების დაწვა, მოხუცთა და ბავშვთა სახლების პრობლემები, წყლით მომარაგების სისტემა, გზები - თეა ამ პრობლემებზე ფრანგულ პოლიციასთან და სახელმწიფო მოხელეებთან ერთად მუშაობდა. მეუბნებიან, საფრანგეთის მოქალაქეობა რომ ჰქონოდა, ფრანგულ ხელისუფლებაში თეა დღეს აუცილებლად მაღალ თანამდებობაზე იქნებოდაო. ამას თავადაც ადასტურებს. ერთი პირობა, საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება მართლაც სცადა, მაგრამ ვერ გაბედა, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შიშით.

ENA-ში სწავლისას თეამ თავი ისე გამოიჩინა, რომ მისი წარმატებების შესახებ საქართველოშიც გაიგეს. როცა მინდია უგრეხელიძემ, რომელიც მაშინ უზენაეს სასამართლოს ხელმძღვანელობდა, საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ENA-ს რექტორს ჰკითხა, თუ რამ მოანდომა საქართველოში ჩამოსვლა, პასუხად მიიღო: „იმიტომ შეგხვდით, რომ გაგიზიაროთ აღფრთოვანება და მადლიერება გამოვხატო, ასეთ კარგ სტუდენტებს რომ გვიგზავნით. ეს სტუდენტი თეა წულუკიანი აღმოჩნდა. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, პირველად გავიგე მის შესახებ", - მიამბობს მინდია უგრეხელიძე.

ამ შემთხვევის შემდეგ მინდია უგრეხელიძე და თეა წულუკიანი ერთმანეთს სტრასბურგის სასამართლოში შეხვდნენ. „მკაცრი წესების დაცვით შემოვიდა ჩემთან და მაცნობა, გავიგე ქართველი იურისტის ადგილზე კონკურსია გამოცხადებული და მონაწილეობა მინდა მივიღო. თქვენი აზრი მაინტერესებსო", - უგრეხელიძე ახლად დანიშნული მოსამართლე იყო, თეას კი ახალი გაცნობიერებული ჰქონდა,რომ დიპლომატია, რომლის სწავლასაც 8 წელი

შეალია, მისი საქმე არ იყო. მოლაპარაკებებსა და პროტოკოლზე მეტად სამართლებრივი საკითხები იტაცებდა. ამიტომ, ამ პროფესიაში ბედის საცდელად, სტრასბურგში იურისტის ვაკანსია ზედგამოჭრილი იყო.

კონკურსი გაიარა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შტატიანი თანამშრომელი გახდა. ცოტა ხანში მიიღო უფროსი იურისტის წოდება, იყო სასამართლოს რეგლამენტის კომიტეტის წევრი, ბოლოს - მომხსენებელი ერთი მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეებზე.

„ორგანიზებული, შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული, კორექტული, პატიოსანი, ღირსეული, სამშობლოს ერთგული, რკინის დისციპლინის მქონე",- ეს ის ეპითეტებია, რასაც თეას მეგობრები და კოლეგები მასზე საუბრისას ყველაზე ხშირად ხმარობენ. მინდია უგრეხელიძეს კი მას უბრალოდ „რენესვანსი" უწოდა. როგორც მითხრა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სვანური რკინის ხასიათის მქონე ქართველმა გოგომ, დიდი კონკურენციის მიუხედავად, ძალიან მალე დაიმკვიდრა თავი საერთაშორისო ორგანიზაციაში.

თეა წულუკიანის ამ თვისებებს დღეს ყველაზე უკეთ „თავისუფალი დემოკრატების" პარტიის ლიდერი აფასებს და იყენებს, რადგან ასეა - თუ ამ პარტიის გვერდითაა, თეა მის საქმეებს უძღვნის მთელ თავის ენერგიას და გამოცდილებას. თუმცა, ალასანია ამასაც მეუბნება: „ზუსტად ვიცი, თეა ისეთი პრინციპული ადამიანია,საქმე საქმეზე რომ მიდგეს, კოალიციის და პარტიის საქმეებზე მაღლა, ყოველთვის კანონის ინტერესებს დააყენებს".

არის რამდენიმე გარემოება, რაც ქართულ პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ მუშაობაში უშლის ხელს - ეს ქართული არაპუნქტუალობა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებაა. „ადამიანები ბევრ დროს კარგავენ უსარგებლო რაღაცებში, მაგალითად, ქეიფში". თუმცა, ამ „ორგანიზებულ ქაოსს" უკვე შეეჩვია.

ახლა თეას სამუშაო დრო არანორმირებულია. ბევრი რამ მის ინიციატივაზეა დამოკიდებული, რისი საშუალებაც სასამართლოში არ ჰქონდა. ზოგჯერ ლექციებს კითხულობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, ხან ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად სხვადასხვა კანონპროექტის ფორმულირებაზე მუშაობს. ყოველ ხუთშაბათს „თავისუფალი დემოკრატების" ოფისში მოსახლეობას ხვდება 10-დან 12-მდე. „ხალხთან შეხვედრა „დამიწებაში" მეხმარება, ჰაერში რომ არ ავიჭრა და ილუზიებში არ ვიცხოვრო. ყველა პოლიტიკოსს სჭირდება ასეთი „დამიწება", - მეუბნება და მიმეორებს, რასაც აქ ვაკეთებ, ძალიან მომწონს, თუმცა, შინაგანად სულ ვშფოთავო.

„ავტომატივით ვარ, დილით ადრე ადექი. წადი, წამოდი. მშობლები მენატრება, რადგან კვირაში ერთხელ ვახერხებ ნახვას. გადასახადების გადასახდელადაც ვერ ვიცლი ზოგჯერ", - სამსახურში ყოველდღე სოფელ დიღმიდან დადის. მშობლებთან და ძმის ოჯახთან ერთად „პლეხანოვზე" ცხოვრება არ ისურვა. ერთხელაც ჩემოდნებით სოფელ დიღომში გადაბარგდა - სახლში, რომლის მშენებლობასაც 5 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სტრასბურგიდან. ამბობს, რომ სოფელი უყვარს და იქ თავს უფრო მშვიდად გრძნობს. სიმშვიდეს და სიმყუდროვეს - რასაც საფრანგეთიდან გამოექცა - ბოლო დროს ყველაზე მეტად ეძებს. იოგას ვარჯიშობს ფიზიკური განვითარებისთვის, მაგრამ მეუბნება, რომ მშფოთვარე ხასიათის გამო, ამაშიც ვერ პოულობს წონასწორობას და სიმშვიდეს. უყვარს მთები. ბაბუამ შეაყვარა სვანეთში, როცა პატარაობისას, გოდორში ჩაისვამდა ხოლმე სამუშაოდ მიმავალი. მიამბობს, რომ მოყვარული ალპინისტის სტატუსით იყო ჰიმალაის მთებში. ყველაზე მაღლა 5 ათას მეტრზე, კილიმანჯაროს მწვერვალ უჰურუს (თავისუფლების) პიკზე ავიდა. „ალპინისტი არ ვარ და ჯომოლუნგმაზე ასვლის პრეტენზიაც არ მაქვს", - მიკონკრეტებს.

ჩვენი საუბრების შემდეგ ვხვდები, რომ თეასთვის მიზანი არც პოლიტიკური მწერვალების დაპყრობაა. „არ გაიშვა ჩემი პოლიტიკოსობა", - ღიმილით დასძენს. ამიტომ იმ სერიოზულობისა და შინაგანი მობილიზების მიუხედავად, რითაც ახლა „ქართულ ოცნებას" ემსახურება, პოლიტიკაში მისი უმთავრესი მიზანი საკმაოდ მოკლევადიანია - 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მოგება და ამ გზით, მრავალფეროვანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში. გეგმა ამ პუნქტზე მთავრდება - გამარჯვების შემთხვევაში საკუთარი თავის წარმოდგენა ნებისმიერ თანამდებობაზე უჭირს. ჩემი ჩაძიების შემდეგ მეუბნება, ალბათ, ყველაზე კომფორტულად თავს კანონშემოქმედებით პროცესში ვიგრძნობდიო, პარლამენტის რიგით წევრად.

„სიმართლე რომ გითხრა, ამ წუთას ერთ რამეზე ვფიქრობ. ერთი სული მაქვს, როდის მოვა 2012 წლის 1 ნოემბერი, როდესაც ჩავალაგებ ჩემოდანს და ბედნიერი წავალ შინ, სტრასბურგში. დარწმუნებული ვარ, არჩევნებში გავიმარჯვებთ და აქ ჩემს გარდა ისედაც ბევრი ადამიანი იქნება საქმის მკეთებელი. მე საჭირო ნამდვილად აღარ ვიქნები".

სტრასბურგში დაბრუნების სურვილი გარკვეულწილად მის პირად ცხოვრებასაც უკავშირდება. თუმცა ეს ის თემაა, რაზეც ყველაზე ნაკლებად საუბრობს. საქართველოში ამისთვის დრო უბრალოდ არ რჩება. თუმცა, ისედაც, ზოგჯერ მეჩვენება, რომ როგორი პრინციპულობითაც იცავს კანონსა და სამართალს, ასეთივე მონდომებით იცავს საკუთარ პირად ცხოვრებას გარეშე თვალისგან, მათ შორის, ჩემგანაც. თითქმის ერთთვიანი რეგულარული ურთიერთობის შემდეგ, არასდროს მეპატიჟება შინ - არც ფოტოების გადასაღებად.

„რაღაც პაუზასავით მაქვს აღებული. მუდმივად, ალბათ, ასე ვერ გაგრძელდება. არჩევნებამდე ვიდგები იქ, სადაც ვდგავარ და მერე აუცილებლად ბალანსი უნდა ვიპოვო პროფესიულსა და პირადს შორის. ერთხელ უარი ვთქვი ოჯახის შექმნაზე, შეიძლება ახლა იგივე ნაბიჯი არ გადავდგა. სულ ვხუმრობ ხოლმე: 37 წელი მივუძღვენი ჩემს პროფესიას, ახლა, ალბათ, ოჯახის შექმნის დროა. ყველაზე მეტად ეს ამბავი დედაჩემს გაუხარდება. მას ჰგონია, იმის გამო, რომ ოჯახი არ მაქვს, წარმატებული ადამიანი არ ვარ", - მეუბნება ღიმილით.

მაია ფიკლაური



ᲕᲘᲜ

ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ „ᲛᲮᲘᲪᲕᲚᲔᲚᲘᲐᲜᲘ“

გზის დასაწყისი

აჭარაში ცნობილი ახალგაზრდა პიანისტი ირაკლი შარაძე, რომელიც ახლა ნიუ-იორკის მუსიკალურ სამყაროში მიიკვლევს გზას, 1987 წლის 28 აგვისტოს ქედაში, ექიმისა და ეკონომისტის ოჯახში დაიბადა. სკოლაც ქედაში დაამთავრა და ბავშვობიდან გამოვლენილი არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭის წყალობით, მშობლებს არასდროს გაუჟღერებით ტრადიციად ქცეული, ცნობილი ქართული გამოთქმა: „ჩემი შვილი დოქტური უნდა გამოვიდეს“, ან „დედის გზა უნდა გააგრძელო და ეკონომისტი გახდე“...

იმთავითვე ნათელი იყო, რომ ბიჭს, როგორც პიანისტს, დიდი მომავალი ელოდა და მშობლებმაც, შოთა შარაძემ და ლეილა კევლიშვილმა, სწორედ ამ ნიჭს მისცეს „გზა ფართო“. ალბათ, ამიტომაცაა, როცა ირაკლი მშობლებზე საუბრობს, სიყვარულისა და პატივისცემის გარდა, მათ მიმართ საოცარ მადლიერებასაც გამოხატავს.

ირაკლის ცხოვრებაში არ ჩაუვლია არცერთ წარმატებულ დღეს, სადაც თუნდაც წამით არ გაუელვებია გზის დასაწყისის კადრებს... დედას ხელჩაკიდებული პატარა ბიჭი, რომელსაც, ალბათ, ხშირად ეზარებოდა კიდეც ფორტეპიანოს გაკვეთილზე წასვლა და მეგობრებთან ეზოში თამაში ერჩივნა... მოგვიანებით, უკვე ქედადან-ბათუმში უამინდობაში, თოვლში, წვიმაში, თუ თაკარა მზეში ისევ და ისევ მშობლების ხელშეწყობით სიარული გაკვეთილებზე, რეპეტიციებზე, კონკურსებსა და ფესტივალებზე...

ზოგადად ფიქრობს, რომ თუ რამ კარგი გააჩნია, არა მხოლოდ როგორც პროფესიონალ პიანისტს, როგორც ადამიანსა და პიროვნებას, ისევ და ისევ მშობლების ხელშეწყობით, დახმარებითა და გავლენით.

მთელი ინტერვიუს განმავლობაში ჩემი გონება ორ პარალელურ სივრცეში მოგზაურობდა... აჭარის მთები, ბათუმის სანაპირო და თეთრ როიალი უკვე წარსულად ქცეული ბიოგრაფიის უახლეს ისტორიაში ერთგვარ შტრიხებს ავლებდა, - შავი ზღვის სურნელით გაჟღენთილ შტრიხებს, რომლებსაც მაგნოლიის თეთრი ფურცლებით მოფენილი ბილიკები სადღაც შორს, ოკეანის გაღმა გაჰყავდა.

უკვე აწმყოდ ქცეული ბრუკლინური ღამე კი სულ სხვა რიტმში, სხვა ტემპსა და დინამიკაში კოსმიური სისწრაფით ალაგებდა მომავალი კვირის „სკეჯუალს“:

ორშაბათი: ნიუ-იორკის ქართულენოვან საბავშვო ბაღში მუსიკის გაკვეთილი. შემდეგ მოსწავლეები. საღამოს უკვე ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.

სამშაბათი: მანჰეტენი. კარნეგი-ჰოლთან მდებარე ცნობილი რუსული რესტორანი „Russian Samovar“-ში სამსაათიანი პიანო-საღამო.

ოთხშაბათი: დილა მოსწავლეებით იწყება. საღამოს ხუთზე ისევ მანჰეტენი, „Russian Samovar“ და პიანო-საღამო.

ხუთშაბათი: დილით ქართულენოვანი საბავშვო ბაღში მუსიკის გაკვეთილი, შემდეგ უკვე ნინი შერმადინთან ერთად ნიუ-ჯერსში ხუთ საათამდე მოსწავლეებისთვის სწავლება. საღამოს შვიდზე ისევ ნიუ-იორკი, კუნძული „სტეიტენ აილენდი“ და ღამის ათ საათამდე „Piano-night“ რესტორან „Gatsby's on the bay“ში.

პარასკევი: დილით ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები. საღამოს ბრუკლინში, ქართულ რესტორანში „კავკასია“ უკრავს.

შაბათი: დილით ნინი შერმადინთან ერთად მოსწავლეები და გაკვეთილები, ამჯერად უკვე სტეიტენ აილენდზე. საღამოს ისევ რესტორანი „კავკასია“.

კვირა: დილით ბრუკლინში, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში მამა ზაქარიასთან და სპირიდონთან, წირვაზე დასწრება და ბავშვების ზიარება, შემდეგ სადმე ქალაქგარეთ ცოლ-შვილის გასეირნება და ოჯახური იდილიის საღამო.

მონატრებითაც ყველაზე ხშირად ის უდარდელი და ლამაზი დღეები ენატრება... მუდამ სტუმრიანი სახლი, მზრუნველი მშობლები, მხიარული და მოსიყვარულე და-ძმა და მამის ლამის კანონად ქცეული შეგონება,სიკეთის გამრავლების ჰიპოტეზა - „ყოველი სიკეთე ახალ სიკეთეს ბადებს!“, რომელიც ახლა უკვე მასში „მუშაობს“ ბუნებრივად და გენეტიკურად.

გუშინდელი დღესავით ახსოვს ის დღეც, როცა შარაძეების ოჯახში პირველი ფორტეპიანო შეიძინეს. ფორტეპიანოს პირველად უფროსი და ინგა მიუჯდა და რეზო ლაღიძის „თბილისო“ შესრულა. ირაკლი მაშინ პატარა ბიჭი იყო, მაგრამ მთელი სიცხადით დაამახსოვრდა ეს კადრი, მელოდიის საოცარი შთაბეჭდილება და გაფიქრება: ოდესმე მეც დავუკრავ ამ მელოდიას, უფრო დიდ სცენაზე... და ეს მოხდა...

შვიდი წლის ასაკში ფორტეპიანოს

კლასზე სწავლა ქედის ხელოვნების სკოლაში დაიწყო. სულ რაღაც ოთხ წელიწადში, 1998 წელს, ირაკლი შარაძეს „ქართული ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა კონკურში“ ლაურეატის წოდება მიენიჭა. ერთი წლის შემდეგ ამას მოჰყვა სხვა მრავალი დიპლომები.

2001 წელს ჩარიცხა ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, რომელიც 2005 წელს წარმატებით დაამთავრა. სწავლის პარალელურად მშობლიურ ქედაში, ხელოვნების სკოლაში, ფორტეპიანოს პედაგოგად დაიწყო მუშაობა. 2005-ში ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიაში ეთნომუსიკოლოგია-კომპოზიციის ფაკულტეტზე.

ირაკლი შარაძემ 27 წლის ასაკში დატოვა საქართველო და ამ დროისათვის მის ბიოგრაფიაში იმდენმა სიგელმა, დიპლომმა, წარმატებამ და რაც ყველაზე გასაოცარია, სამუშაო გამოცდილებამ მოიყარა თავი, რომ არც კი ვიცი, რომელ მათგანზე შეიძლება ყურადღების გამახვილება.

ყველაზე თვალშისაცემი პირადად ჩემთვის, მაინც ისაა, რომ ოცდაშვიდი წლის ასაკში ირაკლის უკვე აქვს აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მუშაობის თითქმის ათწლიანი გამოცდილება. თავდაპირველად, როგორც ორკესტრის მუსიკოსის, 2009 წლიდან კი, როგორც ორკესტრის ხელმძღვანელის რანგში.

სახელმწიფო ორკესტრში მუშაობისა და ხემძღვანელობის პარალელურად არაერთ საინტერესო პროექტში აქვს მონაწილეობა მიღებული და რაც მთავარია, სახელმწიფო ორკესტრის ბაზაზე ჩამოაყალიბებული აქვს თანამედროვე და ფოლკლორული ინსტრუმენტების ბენდი და როგორც კომპოზიტორს, შექმნილი აქვს ბენდის არაჩვეულებრივი რეპერტუარი. გარდა ამისა, ბათუმში დამოუკიდებლად ჩამოაყალიბა ანსამბლი „გოგლაურა“. მშობლიური ქედას კულტურის ცენტრში კი საფუძველი ჩაუყარა „ფოლკ-ბენდის“ შექმნას, რომელმაც უმოკლეს ვადაში წარმოუდგენელ წარმატებებს მიაღწია.

იყო აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „ხორუმის“ ორკესტრის მუსიკოსი. წლების განმავლობაში მუსიკალურად აფორმებდა ლიტერატურულ კონკურსს „ლექსების გამოფენას“. ვაჟა ტუღუშთან და ირაკლი ჯანაშიასთან ერთად ასევე მუსიკალურად აფორმებდა ფესტივალს „ზამთრის ბაღი ბაკურიანში“. ირაკლი შარაძე ასევე იყო ახალგაზრდა პოეტთა ორგანიზაციის „კავკასიონის“ არტ-მენეჯერი და ბოლოს, გალერეა „არტ-კაფის“ საფორტეპიანო საღამოების შემქმნელი და შემსრულებელი...

იმ „არტ-კაფის“, სადაც 2012 წელს

ამერიკაში მოღვაწე ქართველი პიანისტი ლევან შენგელია გაიცნო და რადიკალურად შეცვალა ირაკლის ცხოვრება...

ორი როიალი

2012 წელი. ბათუმი. რუსუდან ფეტვიაშვილის გალერია „არტ-კაფე". სალონური საღამო...

კედლებზე რუსუდან ფეტვიაშვილის საოცარი ნამუშევრებია გამოფენილი. სალონში კი, არაჩვეულებრივად იმპროვიზირებული კომპოზიციების ჰანგები ისმის.

ვიოლინო, ხალხური საკრავები და...

ორი როიალი.

ერთ როიალს ამერიკაში მოღვაწე ქართველი პიანისტი ლევან შენგელია უზის. მეორე როიალს კი - ასევე ქართველი, ჯერ ისევ საქართველოში მოღვაწე ახალგაზრდა პიანისტი ირაკლი შარაძე...

საღამომ არაჩვეულებრივად ჩაიარა, დამეგობრდნენ და სადღაც შორს გამოიკვეთა ერთობლივი კონცერტების ჩატარების პერსპექტივა, ამჯერად უკვე ამერიკაში.

2013 წელი. ამერიკა. ნიუ-იორკი. ერთადერთი ქართული ჟურნალის „მამულის" ათი წლის გრანდიოზული იუბილე.

ისევ ორი ინსტრუმენტი. ერთთან ისევ ამერიკაში მოღვაწე ქართველი პიანისტი, ლევან შენგელია ზის. მეორესთან კი, ისევ საქართველოში მოღვაწე ქართველი პიანისტი ლევან შარაძე... თითქმის ერთი საათი შეუჩერებლად, ექსპრომტად, გასაოცარი იმპროვიზაციით ასრულებენ სხვადასხვა კომპოზიციებს, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ამერიკაში ხდება, ქართული ჟურნალის იუბილეზე, ქართული პუბლიკის წინაშე, მაგრამ უკვე ამერიკაში...

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი შარაძეს გასტროლებით უკვე ლამის ნახევარი მსოფლიო აქვს ამ დროისათვის მოვლილი (თურქეთი, სირია, სომხეთი, საბერძნეთი, იტალია, საფრანგეთი, მონაკო, გერმანია, ჰოლანდია, ესპანეთი) და მანამდეც არაერთი საქმიანი შემოთავაზება მიუღია უცხოეთიდან, ამერიკული ოცნებისა და პერსპექტივის სინთეზსს მაინც განსაკუთრებულად მაცდური ხიბლი აღმოაჩნდა.

ამერიკაში სპეციალურად „მამულის" ათი წლის იუბილისთვის მიწვეული ირაკლი შარაძე საქართველოში ბრუნდება, ლევან შენგელიას დახმარებით ამერიკის მუსიკალურ ფედერაციას ოფიციალურ მიმართვას უგზავნის, ადვოკატების დახმარებით საჭირო დოკუმენტაციას აგროვებს და ამერიკაში გასამგზავრებლად ემზადება...

თეთრი ჟილეტი

ირაკლი შარაძე ამერიკაში 2014 წელს, რვა თვის ფეხმძიმე მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად ჩამოვიდა... ფიქრობს, რომ ოჯახის გარეშე ვერც ამერიკაში წამოსვლას გადაწყვეტდა და უცხო ქვეყანაში ცხოვრებაც ძალიან გაუჭირდებოდა. რაც არ უნდა რთული და გადატვირთული სამუშაო დღე ჰქონდეს, იცის, რომ საღამოს, თუნდაც გვიან ღამით, სახლში დაბრუნდება და თბილი კერა დახვდება, მშობლიური ემოციებით გამთბარი კერა.







ნინო ორი წლისაა და უკვე ქართულად ტიკტიკებს. შოთიკო (ბაბუას მოსახელე) ამერიკაში დაიბადა და ჯერ მხოლოდ რამდენიმე თვისაა.

ირაკლის მეუღლის, ნატო შავიშვილის დანახვისთანავე, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველიდან" ერთი საოცარი ფრაზა უნებურად ამეკვიატა: „ანამარია ქალი იყო, მაგრამ შველს ჰგავდა..." და როცა ირაკლიმ მათი სიყვარულისა და ოჯახურ რელიქვიად ქცეული თეთრი ჟილეტის ისტორია მომიყვა, მივხვდი რომ ეს ასოციაცია ამაოდ არ გამჩენია.

როგორც ყველა საუკეთესო მოგონება, ირაკლისა და ნატოს სიყვარულის ისტორიაც ქედას უკავშირდება. ირაკლი მაშინ თვრამეტი წლის იყო, ნატო - ცამეტის და ის პირველი შეხვედრა, უფრო სწორედ ის პირველი წამი, როდესაც ირაკლიმ სკოლის ეზოში თეთრ ჟილეტიანი, შვლისნუკრის თვალება გოგონა აღმოაჩინა, დღესაც ცხადად ახსოვს.

ნატოს არ ახსოვს ეს დღე. მაშინ მეშვიდე კლასის მოსწავლე, უკვე მოწიფული გოგონა იყო და, როცა თანაკლასელებთან ერთად სკოლის ეზოში საუბრობდა, აზრად არ მოსვლია, რომ იმავე ეზოში მანქანა იდგა, მანქანაში კი - ბიჭი იჯდა, რომელმაც დანახვის წამიდან მას „ჩემი ანგელოზი" უწოდა...

წლების შემდეგ ყველაფერი ტრადიციულად, როგორც შარაძების ოჯახსა და ამ დიდი სიყვარულს შეეფერებოდა ისე მოხდა... ჯერ დაწინდვა ჰქონდათ, შემდეგ ნიშნობა და ბოლოს ქორწილი.

დღეს უკვე ორი შვილი ჰყავთ და ცოლ-ქმრულ ყოფიერებაშიც გაუხუნებელი სიყვარულის მადლით ცხოვრობენ. ის თეთრი ჟილეტი კი, ცამეტი წლის ნატოს ჟილეტი, ახლა უკვე მათ პატარა ოჯახში ინახება, როგორც სისპეტაკისა და სიყვარულის მარადიულობის სიმბოლო.

მრავალჟამიერიდან ენნიო მორიკონემდე

საქართველოს, აჭარას, ორკესტრსა და ქართველ მსმენელს 9 მაისს ერთგვარი ბენეფისითა და შემეჯამებელი კონცერტით „თქვენი ფორტე და ჩვენი პიანოთი" დაემშვიდობა და 22 აგვისტოს ამერიკაში გამოემგზავრა.

აეროპორტში თითქმის მთელმა სახელმწიფო ორკესტრმა გამოაცილა. ემოციების გარეშე ვერც ახლა იხსენებს იმ დღეს.



ცალკე 1 წლის შვილთან და რვა თვის ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად მოსალოდნელი ფრენის რისკი; ცალკე იმაზე ფიქრი თუ რა დახვდებოდა უცხო ქვეყანაში; შშობლებთან, და-ძმასთან, ახლობლებთან, ორკესტრთან დამშვიდობების სევდა...

რაღაც მომენტში, სულ ერთი წამით, ისიც იფიქრა რომ ყველაფერზე უარი ეთქვა და აეროპორტიდან, ამერიკაში გაფრენის ნაცვლად, სახლში დაბრუნებულიყო. ის ერთი წამი მაშინ დაუდგა, როცა ყველას დაემშვიდობა, ჯერ ცოლ-შვილს გაატარა რეგისტრაცია და, როცა აეროპორტის თანამშრომელს თავისი პასპორტი და ბილეთი მიაწოდა, მიხვდა რომ ზურგს უკან ქართული „მრავალჟამიერი" შეწყდა. ეს ის ერთი წამია, როცა უკან მიბრუნება გიჭირს, მაგრამ თითქოს ზურგიდანაც ხედავ.

მაინც მობრუნდა... აჩიკო ბერიძე დაინახა, ანსამბლ „ალილოს" წევრი, მეგობარი რომელსაც თვალებზე მომდგარმა ცრემლმა და ყელში გაჩხერილმა ბოღმამ „მრავალჟამიერი" შეაწყვეტინა... მერე დიდხანს, ძალიან დიდხანს ესმოდა ეს ხმა, ოღონდ უკვე ნიუ-იორკის ქუჩებში.

ამერიკაში ჩამოსვლიდან პირველი თვე ისე გავიდა, ვერც კი გააცნობიერა, რომ უცხო გარემოში მოხვდა. უამრავი ქართველი დაუდგა გვერდით და საოცარი მადლიერება აქვს ყოველი მათგანის მიმართ. ნელა აუწყო ფეხი ახალი ცხოვრების ფერხულს. ქართული კულტურის ცენტრს „ფესვებსაც" დაუკავშირდა, საქველმოქმედო კონცერტებშიც მიიღო მონაწილეობა, ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზეც დადის და მაგისტრატურაზე ჩასაბარებლადაც ემზადება.

ოქტომბერში რომა რცხილაძის გასტროლებია ამერიკაში დაგეგმილი და მასთან ერთად მანჰეტენზე „ბიბი-კინგში" საკონცერტო დუეტისთვის ემზადება. დიანა ბაგრატიონის ფონდის მხარდაჭერითა და ინიციატივით ასევე იგეგმება ქართველთა და ებრაელთა ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობისადმი მიძღვნილი კონცერტი.

გეგმები ბევრი აქვს... მისი ყოველი გეგმა საბოლოოდ ერთ დიდ მიზანს ემსახურება - განათლების მიღებასა, პროფესიულ წარმატების მიღწევასა და ბოლოს ისევ სამშობლოში დაბრუნებას.

ჯერჯერობით კი, ისევ ბრუკლინის ქუჩებში დადის და დროდადრო ქართული „მრავალჟამიერს" უსაყვარლესი კომპოზიტორის ენნიო მორიკონეს ცნობილი მელოდია და კინოშედევრის „ერთხელ ამერიკაში" კადრები ენაცვლება.

ენაცვლება, მაგრამ ერთი რამ ზუსტად იცის - მისი „ერთხელ", „ათასჯერ" და „სამუდამოდ" მხოლოდ საქართველოშია - აჭარის მთებსა და შავი ზღვის სანაპიროზე.

ელგა ფოლადიშვილი

30 აგვისტო
5 PM
„ნაციონალში"
ZUBERI INC.
პროექტის
მენეჯერი
კოლბა ლესელიძე
და ლია
დაუვიწყარი საღამო ნიუ-იორკში
Tickets: 718-781-6945; 718-646-1225
1029 Brighton Beach av, Brooklyn, NY
საინფორმაციო მხარდამჭერები:

დიდი ბავშვი,

ვის-თვისაც ფულზე ძვირფასი ყოველთვის იყო ფოკოლადი

2007 წელი იყო, იანვარი. მაშინ 23 წლის ბიჭი ვიყავი, რომელიც არსად არ მუშაობდა და ძირითადად მეგობრებთან ატარებდა დროს. სხვათაშორის, სწავლას თავს ვაკლავდი-თქო, რომ გითხრათ, მოგატყუებთ. თუმცა სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც ყოველთვის კარგი ნიშნები მყავდა. ზოგს უკვირდა, როგორ გამომდიოდა. მე კიდე მიხაროდა, რომ შემეძლო ერთხელ რამე გადამეკითხა და მერე მაგ თემაზე ბევრი მელაპარაკა. ხოდა, ამიტომ დიდად წიგნებს თავს აღარ ვურტყამდი.

3 წელი იყო გასული, რაც უნივერსიტეტი დავამთავრე და გადავწყვიტე - დროა სამსახურის მოსაძებნად. რამოდენიმე ადგილას გასაუბრება გავიარე. ჩემი მეგობარი, ლევან გოთუა, მუშაობდა სადღაც „მთავრობაში“, კახა ბენდუქიძესთან, ჯერ კიდევ იმ დროიდან, რაც ის რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა. ამ დროს კახა ბენდუქიძე უკვე სახელმწიფო მინისტრი იყო რეფორმების კოორდინაციის საკითხებში. ლევანმა მითხრა, კონკურსია ჩვენთან გამოცხადებულიო და მირჩია მონაწილეობა მიმეღო.

ამ პერიოდში ერთდროულად ალბათ 10 ადგილას მივიღე კონკურსში მონაწილეობა და ცხადია, რომ აქაც ვცადე ბედი. მახსოვს, რამოდენიმე ადგილიდან დამირეკეს და ერთ-ერთი „ბენდუქიძის ოფისიდან“ (მასე ვეძახდი მაგ ადგილს მაშინ, იმიტომ რომ ეგეთ ადამიანებს, ვინც მთავრობაში დიდ თანამდებობაზე იყო, არასდროს ვიცნობდი და ტელევიზორში თუ მყავდა მარტო ნანახი).

გასაუბრებაზე დამიბარეს. დამხვდა ორი ადამიანი: მინისტრის მრჩეველი სანდრო კაჭარავა და ერთი სათვალეებიანი კაცი (ეგეთი სათვალეები მარტო საბჭოთა კავშირის დროინდელ სურათებში მქონდა ნანახი, მრგვალი სქელი შუშებით და სქელი დიდი ჩარჩოთი). რაღაცეებს მეკითხებოდნენ და მეც სტანდარტულად ვპასუხობდი, აშკარად ვხედავდი რომ იმ სათვალეებიან კაცს სულ არ აინტერესებდა ამ სტანდარტულ კითხვებზე ჩემი პასუხები.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ამოიწურა ჩემი ბიოგრაფიისა და ჩემი ეკონომიკის ცოდნის შესახებ კითხვები. სანდრო გავიდა ოთახიდან, ხოლო ამ სათვალეებიანმა კაცმა სიგარეტი ჩამოიხსნა ყურიდან, ხელში ცოტახანი დაატრიალა, ამოიღო ჯიბიდან ასანთის კოლოფი (შემეცოდა რაღაცნაირად, სანთებელაც კი არ ჰქონდა). ვიფიქრე, მორჩა ჩემი გასაუბრება-თქო. ჯიბეში ხელი ჩავიყავი, ამოვიღე სანთებელა იმ იმედით, ოთახიდან რომ გავალთ, მე მოვუკიდებ და ის ადგილს მაინც მანახებს ამ შენობაში, სადაც ეწევიან. თანაც, ახალი დაწყებული მაქვს მოწევა და მიხარია ვინმეს რომ მოვუკიდებ ხოლმე. უცბად, ამ კაცმა ეს ასანთის კოლოფი გახსნა და გადმოეყარა ეს ასანთები მაგიდაზე. კიდევ უფრო შემეცოდა. გულში გადავწყვიტე ჩემი სანთებელა მეჩუქებინა.

ერთი ხელის მოსმით ასანთების გარკვეული რაოდენობა ისე გადაწია გვერდზე, რომ მივხვდი ამას პირველად არ აკეთებდა და მეუბნება: „а вот у меня 7 спичек“. მანდ მივხვდი, რომ ჩემი გასაუბრება გრძელდება. მოკლედ ამ ასანთებისგან უნდა შემექმნა გარკვეული რაოდენობის სამკუთხედები. შევქმენი. შემდეგ სხვა დავალება იყო. ისევ ასანთი ფიგურირებდა და ესე გაგრძელდა ერთი 15 წუთი. შევასრულე. დაგირეკავთო, მითხრეს.

რამოდენიმე დღეში დამირეკეს. არ ვიცი ჩემმა ასანთთან მოპყრობის ნიჭმა გაჭრა თუ ლევან გოთუასთან მეგობრობამ, მაგრამ მითხრეს, რომ შემდეგ ეტაპზე გადავედი და ახლა ახალ დავალებას გამომიგზავნიდნენ ელექტრონულ ფოსტაზე.

გამომიგზავნეს დავალება. უნდა დამეწერა კანონპროექტი ქართული სუფრის დაბეგვრის შესახებ. თავიდან მეგონა, რომ მეკაიფებოდნენ და დავურეკე ლევანს. ტელეფონი გათიშული დამხვდა. უცხოეთში იყო წასული. მანდ მივხვდი, რომ ლევანი

საერთოდ აზრზე არ იყო ჩემი გასაუბრებების და აშკარად არ მეკაიფებოდნენ. მაგრამ რა კანონპროექტი, რის კანონპროექტი... ეგეთი სიტყვა ცხოვრებაში არ მიხმარია არავისთან საუბარში, არათუ დამიწერია.

დავიწყე ინტერნეტში ქექვა. გავარკვიე რა იყო, რას ნიშნავდა, როგორ იწერებოდა და ა. შ. მაგრამ... როგორ უნდა დავბეგრო ქართული სუფრა, გოჭი როგორ უნდა დავბეგრო? ხინკალი? მწვადი? თან ვფიქრობ, რანაირი სამსახურია, ალბათ, ვიღაც აყვანილი ჰყავთ უკვე და მე უბრალოდ ფორმალურად მავალებენ რაღაც სისულელეებს. მაინც დავბეგრე.

განსხვავებული გადასახადების ოდენობით დავბეგრე სხვადასხვა კერძი, ბადრიჯანი ნიგვზით საერთოდ გავანთავისუფლე გადასახადისგან იმ მოტივით, რომ ჩემს გარდა მაინც არავინ უკვეთავდა რესტორნებში და საერთოდ აღარ შეუკვეთავდნენ. მერე წავახალისე რა გაყიდვები, მივეცი კანონპროექტის ფორმა და გადავაგზავნე.

ამჯერად დამირეკეს და მითხრეს, რომ კახა ბენდუქიძესთან ვიყავი დაბარებული გასაუბრებაზე, მთავრობის კანცელარიის შენობაში. მივედი. ჩემზე საშვი იყო დაშვებული და „ბატონო გიორგი“ შემობრძანდითო, ვიღაცამ მითხრა შემოსასვლელში. მახსოვს „დიდ კაცად“ ვიგრძენი თავი. ამ დროს ტელეფონმა დამირეკა და სადღაც ბანკში მეძახდნენ გასაუბრებაზე. ესე ლაკონურად და ამაყად ვუპასუხე: არ მცალია, მთავრობის კანცელარიაში ვარ და სხვა დროს დამირეკეთ-თქო.

მინისტრის მისაღებში ბევრი ხალხი ფუსფუსებდა, მაგრამ იმთავითვე მიხვდებოდი ვინ იყო „მესტნი“ და ვინ სტუმარი. მინისტრის მდივანი მომესალმა და ყავა შემომთავაზა. მანდ ვნახე პირველად ეკა გაბადაძე, რომელიც კახას მდივანიც იყო, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერიც და საერთოდ ერთ-ერთი ყველაზე კეთილი და მომღიმარი ადამიანი, ვინც მანდ გავიცანი.

შევედი კაბინეტში. პირველად დავინახე ეს დიდი და პოპულარული ადამიანი ცოცხლად. თავის მაგიდასთან იჯდა, კომპიუტერში რაღაცას უყურებდა. მივესალმე და გამარჯობათო, მიპასუხა. თავი არც აუწევია. დაჯდომა შემომთავაზა და პირველი კითხვაც დამისვა - გიორგი, თქვენ აქ რამ მოგიყვანათო.

„თქვენობით“ მელაპარაკებოდა და არც ამის შემდეგ მოუმართავს კახა ბენდუქიძეს ჩემთვის „შენობით“ არასდროს. სხვებსაც ესე ელაპარაკებოდა. ვიღაცა ჭკუიდან თუ გადაიყვანდა, იმასაც კი თქვენობით მიმართავდა: „თქვენ შიგ ხომ არ გაქვთ?“

მოვყევი, რომ ძალიან მინდოდა საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყება და ქვეყნისთვის რაიმე კარგის გაკეთება. რაზეც მიპასუხა - „ეგ ყველაფერი გასაგებია, გამიკვირდებოდა, რომ გეთქვათ, როგორ გძულთ ეს ქვეყანა და აქ იმიტომ მოხვედით, რომ შიგნიდან ძირი გამოუთხაროთ მას და დედა უტიროთ. ეგ ყველაფერი გასაგებია, რომ კეთილი განზრახვები გაქვთ, მაგრამ რატომ მოხვედით აქ? რატომ მაინცდამაინც ეს ოფისი? რატომ არ წახვედით შინაგან საქმეთა სამინისტროში? ან ჯანდაცვის სამინისტროში? ან კულტურის სამინისტროში?“

ვისაუბრეთ იმაზე, როგორ არ მომწონდა შევარდნაძის დრო. როგორ მეშლებოდა ნერვები, როდესაც სხვა ქვეყნებზე იძახდნენ რომ ჩვენზე უკეთესები არიან. რატომ არ შეგვიძლია ჩვენც ვიყოთ მაგრები? სად იმუშავებდითო, - მკითხა და ჩამომითვალა ისევ სამინისტროები. არ მინდოდა ამ ჯანდაცვაში არასდროს მუშაობა, არც შსსში და შემრჩა ისევ კულტურის სამინისტრო. მანდ-მეთქი. ხოდა, წადით ეხლა და თეატრები რომ ცუდ დღეშიაო, დღეს მაგას როგორ ვუშველოთო, მოიფიქრეთო და მოდით მერეო.

მივედი რამოდენიმე დღეში და რაღაცეები ვიბოდიალე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. მისმინა 5 წუთი და მითხრა: „წადით ეხლა, კანონი წაიკითხეთ თეატრებზე. კარგად გაერკვიეთ ყველაფერში და ამდენ ლაპარაკს, აგერ დაფაზე კონკრეტულად დამიწერეთ, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ. ჩათვალეთ, თქვენ კულტურის მინისტრად დაგნიშნეს, გიორგი!“

წამოვედი და ვფიქრობ, რამდენჯერ უნდა მიმიყვანოს ეხლა ამ კაცმა. თუ უნდა ამიყვანოს, თუ არადა, მითხრას პირდაპირ. თანაც, არაპირდაპირი ადამიანის აშკარად არაფერი ეტყობა და ამდენ დროს არ დახარჯავდა ჩემთან შეხვედრაზე, რომ არ უნდოდეს. სახლში არაფერს ვიძახი, ხომ არ ვიტყვი, კულტურის მინისტრი ვართქო. სულ გაგიჟდაო ეს უპატრონო, - იფიქრებდნენ.

შემდეგ მისვლაზე კარგად მოვემზადე. დერეფანში ის სათვალეებიანი კაციც შემხვდა. აწ გარდაცვლილი მიშა იაშვილი, კახას ძველი მეგობარი ყოფილა, რომელიც ხალხის შერჩევაში ეხმარებოდა და ფსიქოლოგიურ პორტრეტს უხატავდა. საოცრად უბრალო, თბილი და განსხვავებული ადამიანი იყო და ყველას ძალიან უყვარდა. რაღაც რჩევას თუ ჰკითხავდი, შემოუვლიდა ხოლმე, ათას კითხვას დაგისვამდა და მერე გირჩევდა რამეს. მაშინაც მითხრა, რომ მანქანას რომლის სახურავზე რაღაც დაეცა, ბევრი ადამიანი ეგრეევ გაარემონტებსო, სახურავის ნაწილს გამოუცვლის და ცოტა ადამიანი თუ დაფიქრდება იმაზე, რომ ლუქი გააკეთოს გაფუჭებულ ადგილას, იქნება და უფრო იაფი უჯდებაო. ამიტომ, კრეატიულად შეხედე რაღაცეებსო.

ამჯერად, დავუწერე დაფაზე რა იყო, ჩემის აზრით, პრობლემა ამ სფეროში. რა იყო გამოსავალი, რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო. მაგრამ ეს არ იყო მთავარი მისთვის. არავინ დამნიშნავდა მართლა კულტურის მინისტრად. მას აინტერესებდა თუ რამდენად სიღრმისეულად და დეტალურად შემიძლია მოვეკიდო საქმეს, რამდენად მაქვს სურვილი მართლა რაღაცის კეთების.

- გიორგი, კანონი წაიკითხეთ?

- არა, ბატონო კახა.

- რატომ?

- წავიკითხავ.

- არა, ეხლა უკვე გვიანია, აქამდე უნდა წაგეკითხათ.

მეგონა დამთავრდა ყველაფერი და ეხლა დამემშვიდობება:

- გიორგი, ზარმაცი ხართ?

- კი, ცოტა ზარმაცი ვარ.

- არა უშავს, ბადრიჯანს ფრთები რომ ჰქონდეს, გაფრინდებოდა, მაგრამ არ აქვს და ვერაფერს ვიზამთ. სიზარმაცე კი შრომით უნდა დაძლიო. ეეეეკااااა!

შემოდის ეკა.

- ეს ჩვენი ახალი თანამშრომელია, გიორგი ცენტერაძე.

პირდაპირობა და გულწრფელობა უყვარდა ყოველთვის. აფასებდა, როდესაც საკუთარ შეცდომას აღიარებდი და თავის მართლებას არ იწყებდი. ბრაზდებოდა ხოლმე და იძახდა, რომ ქართველებს ბოდიშის მოხდა უჭირთო და ყველაფერზე თავს იმართლებენო.

პირველივე სამუშაო დღეს გამაცნო გიგა გონაძე, რომელიც ჯანდაცვის რეფორმაზე მუშაობდა და უთხრა, რომ ანალოგიურად სპორტშიც უნდა გაგვეკეთებინა რეფორმა და იქნება აუხსნათ გიორგისო. იმ დღესვე მერიაში გამიშვა. მივედი და დამხვდა ვიცე მერი, რამოდენიმე სამსახურის უფროსი. რუკა ჰქონდათ გაშლილი მაგიდაზე და რაღაც საკითხებს იხილავდნენ. მეგონა, რომ ალბათ რაღაცეები უნდა ჩამეწერა და კახასთვის მეთქვა შემდეგ, რა და როგორ. უცებ, ვიცე-მერი შემომიტრიალდა და თქვენ რას ფიქრობთო, მკითხა. ვუთხარი. გაითვალისწინეს. მანდ მივხვდი პირველად, რომ უკვე ჩემი ცხოვრება შეიცვალა, სხვა პასუხისმგებლობაა.

ერთი თვის გამავლობაში ვსწავლობდი თითოეულ დეტალს იმ საქმეში, რაშიც ჩართული ვიყავი. მოვიარე მთელი თბილისი, ველაპარაკებოდი სხვადასხვა სპეციალისტებს და პროფესიონალებს, ვეძებდი ყველაფერს ინტერნეტში. რა არის ერთი თვე მაგრამ, საუბარში ვხვდებოდი უკვე, რომ უფრო მეტი ვიცი კონკრეტული საქმის შესახებ, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც წლებია ამაზე მუშაობენ. თან მწყინდა, რომ ესეა, თან მიხაროდა.

ესეთი დაახლოებით 30 კაცი ვიყავით, გოგო ბიჭები, რომლებსაც არ უმძიმებდათ ცუდი წარსული ზურგს, ვინც არასდროს არაფერში იყო გასვრილი და ვისაც შეეძლო თავისუფლად აზროვნება. ამიტომ მიგვიყვანა ყველა გარედან და არასდროს აუყვანია სამსახურში პროტექციით. ვერ იტანდა ამას. ეს ადამიანები დღე და ღამე მუშაობდნენ იმიტომ, რომ სჯეროდათ საკუთარი საქმის და საკუთარი შესაძლებლობების, გულწრფელად უნდოდათ უფრო კარგ ქვეყანაში ცხოვრება.

რა გვექნა, რაც შეგვეძლო - გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო - გავათენეთ, მაქსიმალურად დავიხარჯეთ და შედეგიც დავდეთ. კი, უკეთესადაც შეიძლებოდა, ბევრად უკეთესადაც, მაგრამ კარგი იქნებოდა რომ მოგვხმარებოდნენ ან როგორც მინიმუმ ხელი არ შეეშალა ბევრს.

დღეს ვფიქრობდი, კახას რომ უფრო მაგარი 30 ადამიანი ყოლოდა, რას გააკეთებდა-თქო. აი, საქართველოს ნაკრებს რომ ყავდეს მესი, რონალდო, რობენი. სამწუხაროდ, არც ნაკრებს ყავს და არც ჩვენ ვიყავით მესი და რონალდო. მწვრთნელი კი, მაგარი გვყავდა და რაც შეძლო, გააკეთა ამ ადამიანებით, საქართველო შეცვალა.

ერთხელ სამეურნეო თემაში გადამიყვანა, კანცელარიის უფროსი იყო უკვე. რაღაცეებს აკეთებდნენ, პატარ-პატარა რემონტებს. დამიძახა და მითხრა, რომ ამ მშენებლებთან არაფერი ჭრისო, გინება მალამოსავით არისო მაგათთვის. აი, ნაჯახი, გამომართვითო და ერთხელ თუ არ გააკეთებენ ისე როგორც საჭიროა, იარეთ და რაც არ მოგეწონებათ, დაანგრიეთო. ფულს ვიხდით და კარგად უნდა გააკეთონო. დავდიოდი ამ ნაჯახით კანცელარიაში. გიჟი ვეგონე ყველას.

ვერ იტანდა სავალუტო ფონდებს და კრედიტებს, სულ იძახდა ტყუილად არავინ მოგვცემს ფულსო და ჯობია, ჩვენ რაც გვაქვს, ის ვიკმაროთო და არავისი ვალი გვქონდესო.

კერძო საკუთრებაც მნიშვნელოვანი იყო მისთვის. მახსოვს, რაღაც შენობიდან ასახლებდნენ ხალხს, უნდა დავანგრიოთო. და სასტიკი წინააღმდეგი იყო და ძალიან ბრაზდებოდა.

ყველა საქმეში თითოეულ დეტალს უღრმავდებოდა და ნერვიულობდა. სულ საქმეზე ფიქრობდა. ომის დროს კანცელარიის დაბომბვის საშიშროება რომ იყო, ვიჯექი და ირაკლი კვაშილავასთან ერთად ვმუშაობდი საქართველოს ბიუჯეტზე. უცებ ისეთი აფეთქების ხმა გაისმა, მეგონა აღარ იყო კანცელარია. ვიღაცეები გარბოდნენ, ჩვენ გაუნძრევლად გავაგრძელეთ მუშაობა. ბოლოს გაირკვა, რომ შემთხვევით გენერატორი გასკდა თუ რაღაც ეგეთი. პანიკა ვინ დათესაო, გამირკვიეთო. ვისთან უნდა გაგვერკვია, აღარავინ აღარ იყო ჩვენს გარდა.

ფიქრობდა იმაზე, დევნილებს სახელმწიფოს მიერ ახალ აშენებულ სახლში რა უნდა დახვედროდა - დაწყებული კოვზიდან, დამთავრებული სპეციფიკური ხელსაწყოებით, რომლებსაც სოფლად იყენებენ. ჩხუბობდა თუ ვინმეს რამე გამორჩებოდა და აიძულებდა, როგორც საკუთარ სახლზე, ისე ეფიქრათ.

მახსოვს მე და ანა კვანჭილაშვილი ვიყავით შეხვედრაზე, სადაც ნერვიულობდა, სპორტულ დარბაზში ისეთი ხის საფარი არ დაეგოთ, რომ ვინმე ბავშვს ხიჭვი შეერჭოს და ესეთ წვრილმანებს ძალიან დიდ დროს უთმობდა. ანაც იმ 30 ადამიანში შედიოდა, ერთ-ერთი ყველაზე პატარა იყო ჩვენში. კახა რომ ნერვიულობდა, ანა მაგაზე ნერვიულობდა და იყო ესე. ბოლომდე გვერდში ედგა კახას.

ყველა ეს ადამიანი კახამ შეკრიბა ერთად. ეს ხალხი მარტო ხელფასისთვის არ მუშაობდა. როდესაც იცი, რომ ქვეყანას უკეთესობისკენ ცვლი იქ ფული არაფერს ნიშნავს. კახა ყოველთვის იძახდა, ბევრად მეტი გეკუთვნითო, რასაც თქვენ მუშაობთ, მაგრამ ჩათვალეთ, დანარჩენს სწავლაში მიხდითო. მართლაც, ბევრი რამ მასწავლა, მაგალითად ის, რომ არასოდეს უნდა გრცხვენოდეს კითხვის დასმა თუ რაიმე არ იცი და გჭირდება. ყველაზე მაგარი მაშინ იქნები, როდესაც რაზეც საუბრობ ან აკეთებ, ძალიან მაგრად იცი. მასწავლა დროის ფასი. კიდევ ბევრი რამ და რაც მთავარია, მომცა საშუალება ქვეყნისთვის რაღაც გამეკეთებინა.

არასოდეს გვაძლევდა პრემიას კარგი მუშაობისთვის. მისი პრემია და მადლობა იყო შოკოლადი. თუ გვაჩუქებდა შოკოლადს, ესე იგი ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენით.

მიჩხუბია კიდევაც მასთან, გავუგდივარ კიდევაც სამსახურიდან.

ამის მერე ბევრ ადგილას ვიმუშავე, ვყოფილვარ დირექტორიც, მოადგილეც, უფროსიც. ყველგან ვაკეთებდი ყველაფერს, რომ ყველაზე მაგარი პროფესიონალი თანამშრომლები მყოლოდა. თუნდაც იმის ხარჯზე, რომ შეიძლება ზოგიერთს არ უყვარდე მაგ დროს. მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარია ამით ის ადამიანი გახდეს ძალიან მაგარი თავის საქმეში, ვისაც თუნდაც არ უყვარხარ და ქვეყანას ემსახუროს. ესეც კახამ მასწავლა.

შემდეგ კახამ ისევ დამიძახა მასთან სამუშაოდ. პირდაპირ მითხრა, სულ 2 ან 3 კაცი მყავს ნანახი საქართველოში თქვენნაირი მენეჯერი. გამეღიმა, რა სისულელეა თქო-ვუთხარი. შევხდით, ვილაპარაკეთ.

ერთხელ მკითხა:

- ხელფასი რამდენი გქონდათ, რომ დაიწყეთ სამსახური?

- 200 ლარი თვეში.

- ეხლა რამდენი გაქვთ? (იღიმის)

- მაგდენივე დღეში

- ხომ გითხარით შრომით დაძლევთ-თქო სიზარმაცეს (იღიმის).

ახსოვდა.

კახა იყო ყველაზე საოცარი, ნიჭიერი და მცოდნე ადამიანი, ვისაც კი ვიცნობდი.

ის ბავშვივით იყო,

დიდი ბავშვივით.

ბავშვივით უხაროდა კარგი და ბავშვივით წყინდა ცუდი. ის იყო შინაგანად დიდი კეთილი ბავშვი, რომლის სიმდიდრეც ფულით არ იზომებოდა. დიდი ბავშვი, ვისთვისაც ფულზე ბევრად ძვირფასი, ყოველთვის იყო შოკოლადი.

გიორგი ცენტერაძე

ფოტო-ხელოვან
მალხაზ დათიკაშვილის
ფოტო

საქარ-თველომ დაკარგა ქართული კინოს პატრიარქი

ოთარ სეფიაშვილი,
საქართველოს ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

ომის თემის ჰუმანისტური ღრმა ინტერესით სხვა მებრძოლ ფილმთა შორის ჩადგა ქართული სურათი „ჯარისკაცის მამაც“, ამიტომაც არის, რომ მაყურებელთან პირველსავე უშუალო კონტაქტში იგი უცებ იქცა საზოგადოებრივ ფაქტად, შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, გამოიწვია ფიქრი, კამათი, განსჯა.

ზოგჯერ ხდება - ის, რაც ცხოვრებაში დაუჯერებელია და, შესაძლოა, უაზრობადაც გვეჩვენოს, ნამდვილი ხელოვანის ხელში მხატვრულ სიმართლედ, ჭეშმარიტი ხელოვნების სიმართლედ იქცევა ხოლმე. „ჯარისკაცის მამაში“ არის ერთი კადრი: ღამის მყუდროებაში გამაყრუებელი ხმაურით მოდიან ტანკები, მოჩანს მათი შემზარავი, ვეება სილუეტები. ამ დაძრულ რკინის მრისხანებათა ფონზე, კადრის წინა პლანზე აღიმართება ცოცხალი, დაძაბული ფიგურა კახელი გლეხის - გიორგი მახარაშვილისა, იგი ყოველ ტანკს გახელებით მისძახის თავისი ვაჟის სახელს, თითქოს სურს გულიდან ამოხეთქილი განწირული ყვირილით ჩაახშოსო მათი უსულგულო ხმაური და მშობლიური ხმა მიაწვდინოს კვალდაკარგულ შვილს...

ეს კადრი არ არის მხოლოდ ფილმის გმირის გულუბრყვილობის გამხელა, მისი შვილთან შეხვედრის დაუოკებელი წყურვილის გაცხადება. შემდეგ, როცა ფილმის ავტორები ბოლომდე მოჰყვებიან თავიანთი გმირის თავგადასავალს და ეს კადრიც სხვა ეპიზოდებთან ერთად მხატვრულ მწკრივში ჩადგება, იგი სურათის ერთ-ერთ ყველაზე დიდ აზრობრივ და ემოციურ მომენტად იქცევა. კადრი განზოგადებულად იკითხება: ომის ულმობელობა, მისი ჩლუნგი, ამაზრზენი, დამთრგუნველი ხმაური და ცოცხალი ადამიანი, მისი მთრთოლვარე გული, მისი ამბოზებული სულის ყივილი!

ეს კადრი თავში მოვაქციეთ, როგორც განზოგადებული ხატება თემისა - ადამიანი და ომი.

„ჯარისკაცის მამის“ ყველაზე დიდი ღირსება ის არის, რომ იგი წარმოგვისახავს ჩვენს ადამიანს ომში, როგორც ჭეშმარიტად კაცთმოყვარეს, ნამდვილ მამულიშვილს, კაცურკაცობის, ხალხის ზნეობისა და სინდისის გამოხატულებას, როგორც გმირს, ამ სიტყვის ამაღლებული გაგებით. ამდენად, ფილმის გმირი ნამდვილად მნიშვნელოვანი და ძლიერ საინტერესო ადამიანია. გიორგი მახარაშვილი, ისეთი როგორც დაგვიხატეს იგი სცენარისტმა სულიკო ჟღენტმა, რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ და მსახიობმა სერგო ზაქარიაძემ, მთელი თავისი კონკრეტულობით მაღალ განზოგადებას აღწევს და ნამდვილი ზნეობრივი მაგალითის ძალის შემცველად წარმოგვიდგება. ასეთები გადადიან ლეგენდებში, რჩებიან, ხალხურ ბალადებში, ცოცხლობენ ხალხის სიმღერებში:

„ბერიკაცი ვარ...
ჰეი... ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ
ყველა დაგიწყებს გმობასა.
სადაც რომ შემოგეყრები,
გეტყვი შვილსა და ძმობასა...“

სურათს არა აქვს, ან თითქმის არა აქვს ექსპოზიცია. არის მხოლოდ ერთი, ერთადერთი კადრი: ფერდობზე შეფენილი ტანმორჩილი ვენახი, უღრუბლო ცა, მაღალ ჰორიზონტზე ძველი ტაძრის დატეხილი კონტურები და... სიჩუმე, სიჩუმე - რაღაც ავბედითი, ამაფორიაქებელი, შემპარავად მოგანგაშე...

უხალისოდ მოაბიჯებს ხურჯინაკიდებული, დაჭრილი შვილის სანახავად გზას დამდგარი გიორგი მახარაშვილი. არა, კი არ მოდის - მობორიალობს, ფეხს ითრევს, თითქოს ვაზი თავისკენ ეწევაო, გზიდან გადავა, ვენახში შედის, ვაზს წკლერტს უსწორებს, მზრუნველად ეფერება... და თქვენში სადღაც შორეულად ახმიანდება „შენ ხარ ვენახი...“ ეკრანზე კი ისევ სიჩუმეა, მაგრამ გრძნობთ, რომ ამ სიჩუმეს რაღაც უხილავი ბზარები გასჩენია, საიდანაც ნერვულად, ფოლადის ცივად გაელ-

რედაქტორისაგან:

ჩემთვის ცნობილი იყო ოთარ სეფიაშვილისა და რეჟისორ რეზო ჩხეიძის მეგობრობის შესახებ. გარდაცვალებამდე რამოდენიმე თვით ადრე მხცოვანმა რეჟისორმა ნიუ-იორკის ჰოსპიტალში ინახულა ლეგენდარული „ილუზიონის“ სახელგანთქმული წამყვანი. ისაა, რომ ამ ცრემლიანი კადრის ფოტოზე აღბეჭდვა ვერავინ მოასწრო.

ბატონი ოთარის გარდაცვალებიდან რამოდენიმე თვეში გარდაიცვალა ბატონი რეზო ჩხეიძეც. დარწმუნებული ვიყავი, არქივის რომელიღაც თაროზე იარსებებდა რეცენზია ბატონ რეზოზე, რადგან მწამდა, ისეთი მეგობარი - ასეთ მეგობარს უყურადღებოდ არ დატოვებდა.

დიდი ძებნის შემდეგ ეს წერილი ვიპოვე და თქვენც გაგიზიარებთ. ჩათვალეთ, რომ დღეს „ილუზიონი“ „ჯარისკაცის მამას“ აჩვენებს და ამ ტექსტს ჩვეული ხმის ტემბრით ბატონი ოთარ სეფიაშვილი გიკითხავთ.

ვებასავით ავისმაუწყებლად, ნაწყვეტ-ნაწ-ყვეტად იჭრება ომისდროინდელი ნაცნობი მელოდია „Идет воина народная".

თითქოს ეს მოგანგაშე ხმა და ცოლის გამწარებული შეგონება ერთიანი ძალით წინ ეწევიან გიორგის. ისიც დაბნეულად რაღაცას ჩაიბუტბუტებს, ფერდობზე დაეშვება...

და იწყება ფილმი.

მოდის იგი ჯიუტად, ფართო ნაბიჯით. კი არ მოდის - მოალაჯებს, ფიქრითა და გარკვეული წინათგრძნობით დამძიმებული. თითქოს ვეღარფერს ხედავსო ამ გამშრალი გზის გარდა - ვეღარც მშობლიურ სოფლის სანახებს, სადაც მამაპაპათა საფლავები ეგულება, ვეღარც თანაგრძნობით ადევნებულ თანასოფლელებს, ვისთანაც ჭირიცა და ლხინიც გაუყვია... მხოლოდ გზა, გზა და რაღაც გაურკვეველთან შეხვედრის წინათგრძნობა...

ამ დასაწყის კადრებში უკვე გამჟღავნებულია სურათის პირველი ინტონაციები, გრაფიკულ კომპოზიციებში გადმოცემულია ატმოსფეროს მთლიანი შეგრძნება. ისინი სუნთქავენ, ცოცხლობენ და გიწვევენ თავიანთ ადამიანურ სამყაროში. აქვე ისახება გმირის ხასიათის შტრიხებიც, დაწერილი მხატვართა დაჯერებული ხელით - მკვეთრად, მსუყედ, შთამბეჭდავად. მაგრამ ეს მაინც ჯერ კიდევ კონტურებია, რომელიც მხოლოდ გაგრძნობინებთ გმირის პოტენციურ სიმდიდრეს. გიორგის მთლიანი ხასიათი, მისი სიკეთის საწყისები, ადამიანურობა და ვაჟკაცური სული შემდეგ გამოვლინდება სისავსით კადრიდან - კადრამდე, ეპიზოდიდან - ეპიზოდამდე. ამ მიზანს ემორჩილება კინოხელოვანთა ყველა ზრახვა და მისწრაფება, ფილმის ყოველი ნაჭერი - მიზანკადრი თუ სცენა.

ამას გრძნობთ ფილმის ყველაზე მოკლე სამონტაჟო ნაჭერში, თითქმის თვალის დახამხამებაში რომ გაიელვებს ეკრანზე. ომისდროინდელი ჩვეულებრივი სურათი - მგზავრებით გაჭედილი მატარებლის საფეხურები. აქ არის გიორგიც თავისი მოსაკითხი ხურჯინით. ცივი ქარი ატანს ძვალსა და რბილში, ის კი მზრუნველად შემოფარებია რუსი ლტოლვილის გათოშილსა და დაზაფრულ ბავშვს...

ეს კადრი ერთი პატარა შტრიხია გმირის სახის გამოსაკვეთად, ერთი მცირე მონასმია, რომელიც ნახვისთანავე წარუშლელად აღიბეჭდა თქვენს მეხსიერებაში. შემდეგ იგი იმრავლებს რეჟისორული მიგნებებით, მსახიობისეული თვალისმომჭრელი დეტალებით, ნიუანსებით. ისინი ერთმანეთს ეჯაჭვებიან, შენივთდებიან და გმირის ხასიათის, მისი არსების მხატვრულ სიმართლედ ლაგდებიან.

და ისევ კადრი: გერმანელები უტევენ სოფელს. სკდება ყუმბარები, ცეცხლი ედება

პურის ყანებს, სულშემხუთველი სიცხე და ბოლი დგას ირგვლივ. ამ ორომტრიალში შემთხვევით მოხვედრილი, მიწასგართხმული გიორგი მახარაშვილი წამოიმართება და პირველი, რასაც იგი ყველაზე დიდ საშინელებად დაინახავს არის ის, რომ პური იწვის, ნადგურდება ყანა, ილუპება ადამიანის გარჯითა და ოფლით მოწეული სიკეთე!

იგი გამწარებული, გახელებული ამაოდ ცდილობს ჩააქროს ცეცხლი, გადაარჩინოს ყანა... ამ დროს, როცა ჩვენები ბრძოლით უკან იხევენ, როცა ქვეყანა იქცევა და ტყვია ცელავს სიცოცხლეს, ეს არის სიგიჟე. ასე აღიქვამენ სხვები ამ ახირებული ბერიკაცის მოქმედებას, რომელიც სინამდვილეში, მისი მიწისშვილობის, მის სისხლსა და სულში გამჯდარი შრომის პატივისცემის, ადამიანობის გამოვლენაა. თვითონ გიორგის კიდევაც უკვირს - რატომ სხვებიც არ იქცევიან მის მსგავსად, რატომ არ ცდილობენ პურის გადარჩენას? ასე ხომ კეთილს ბოროტი დათრგუნავს და აზრს დაკარგავს თვით ადამიანის შრომა!

ეს მოტივი კიდევ რამდენჯერმე განმეორდება ფილმში და ხაზს გაუსვამს გიორგი მახარაშვილის ხასიათს, მისი კაცთმოყვარე ბუნების მიწასთან დაკავშირებულ საწყისებს.

მცირე გადახვევა: წარსული ომის მასალაზე აგებულ უკანასკნელი წლების ფილმებში სულ უფრო ხშირად არის დაპირისპირებული ორი ერთმანეთის გამომრიცხველი საწყისი - ნგრევა და შენება, უგუნურება და შემოქმედება. თითქმის ანალოგიური მომენტი გვხვდება დე სანტისის ფილმშიც „იტალიელები ყოჩაღი ბიჭები არიან“. აქაც, ამ სურათში ახალგაზრდა იტალიელ გლეხ-ბიჭს, რომელიც თავის უნებურად მტრის ჯარისკაცად მოსულა რუსეთის ველებზე და შემდეგ, რუს გოგონას ადევნებულს, მზესუმზირის პლანტაციებში მიეწევა ბრმა ტყვია, ვერ გაუგია, ვერ მიმხვდარა, რატომ ყველა ერთად არ შეესევიან დამწიფებულ პურის ყანას და არ მომკიან, ხომ ხედავენ, რომ წვიმები და უაზრო განადგურება ემუქრება ადამიანის წლის სარჩოს, ადამიანის შრომით მონაგარს. იგი თავის ენაზე კიდეც შეუძახებს ყუბანელ კოლმეურნეებს, მაგრამ „დამპყრობსა” და „დაპყრობილთ” ერთმანეთის ენა არ ესმით. ერთნაირად კი გრძნობენ, რა უაზრობად აქცია ომმა კაცის გარჯა, ადამიანის შრომა, მისი სიკეთე.

ასე ეჯახება ომის ულმობელობა ადამიანის ბუნებრივსა და ნათელ მისწრაფებას შენებისკენ, შემოქმედებისაკენ, შრომის ბედნიერებისაკენ. ეს მოტივე ამ ეპიზოდების შინაგან ღერძად, შინაგან კონფლიქტად იქცევა. სხვაგან კი იგი საფუძვლად ედება მთელ ფილმს. ინგლისელი რეჟისორის

დევიდ ლინის სურათში „ხიდი მდინარე კვაიზე" ნაჩვენებია, თუ როგორ იხსნა შრომამ ადამიანები უღიმღამო, უმიზნო არსებობისაგან, როგორ ააგეს ხიდი მდინარე კვაიზე იაპონიაში სამხედრო ტყვეთა ბანაკის პატიმრებმა. მაგრამ სასტიკია ომის კანონი. ხიდი, რომლის მშენებლობამ შემოქმედების სიხარული მოუტანა ამდენ ადამიანს, უნდა აფეთქდეს, რადგან იგი მტერს ეკუთვნის... და როცა ხიდის ნანგრევები ცვივა მდინარის მოლურჯო წყალში და იღუპება მისი მშენებელი ინჟინერიც, ამ ტრაგედიის მხილველი ბანაკის ექიმი წარმოთქვამს მხოლოდ სამ სიტყვას: „უგუნურება, უგუნურება, უგუნურება." ამ მწარე აღიარებით მთავრდება ფილმი-პროტესტიც. ბუნებრივად, სწორედ ადამიანურობის გამარჯვების რწმენით შემოდის ეს მოტივი ქართულ სურათში „ჯარისკაცის მამა".

ალბათ, ყველაზე ძნელია მხატვრული დამარწმუნებლობით იმის ჩვენება, თუ როგორ იღვიძებს მეომრის სული მშვიდობიან გლეხკაცში, მხსნელ-მთესველსა და მევენახეში. გიორგი მახარაშვილს, გამწარებით რომ აქრობდა ცეცხლს პურის ყანაში, ძლივს გაიყოლებენ ჩვენი მეომრები. ამას მოსდევს სუფთა, ლაკონური კადრი: სწორი, უბორცვო მინდორი. სროლით უკან იხევენ მებრძოლები, რომელთა შორის უცებ გამოარჩევთ ერთგვარად დაბნეულსა და უიარაღო, გლეხურ ტანსაცმელში გამოწყობილ ბერიკაცს. ავტომატის ცეცხლით იფარავს მას რუსი ჯარისკაცი არკადი. მაგრამ არკადისაც დაჭრიან და ახლა გიორგის ხოხვით გამოჰყავს იგი ბრძოლის ველიდან. თხრილს შეაფარებს, მამაშვილურად ამშვიდებს დაჭრილ მეომარს, წყალს რომ ითხოვს გათანგული - კიდევ ცოტაც, გზას გავიგნებ და გავაღწევთო. თავისთვის კი გმინვასავით აღმოხდება გულიდან: „ვაიმე შვილო!..." ამას ისე ამბობს, გრძნობით, რომ იგი ამ სიტყვებში თავის შვილსაც გულისხმობს და ამ რუს ჭაბუკ მეომარსაც, რომელსაც ომის გზებზე შეეყარა ბერიკაცი და, იმ ქართული ხალხური ლექსისა არ იყოს, „უთხრა შვილიც და ძმობაცა".

მაგრამ გზის გასაგნებად წამოსულს უკნიდან მოესმის სროლის ხმა, გამოიხედავს და... თხრილს, სადაც წეღან არკადი დატოვა, თავს წამოსდგომია გერმანელი, რომელმაც ავტომატის მთელი ჯერით დაცხრილა დაჭრილი მეომარი.

გიორგის თვალწინ მოხდა რაღაც საზარელი რამ, წარმოუდგენელი სულმდაბლობა, რაც ვერასოდეს შეეთვისება მის სისხლსა და გონებაში გამჯდარ, საუკუნეებით განმტკიცებულ რაინდულ ეთიკას. ატოტებულად წამოიმართება, როგორც ბერმუხა და მის წინ ყველაფერი პატარავდება, ჩიავდება ეს პირსისხლიანი ახმახი გერმანელიც, ამაოდ რომ ცდილობს ტყვია შეაგებოს მისკენ პირგამეხებით წამოსულ გლეხკაცს. მაგრამ ახლა გიორგის მოკვლა უკვე შეუძლებელია, რადგან იგი მთელი თავისი არსებით სამართლიანობის, შურისძიების სახიერად გადაქცეულა. იგი ხელის ძლიერი შემოკვრით დაანარცხებს ფაშისტს და მისგან გამოგლეჯილი ავტომატის კონდახით გასრესს.

უწყინარი, მშვიდობიანი გლეხკაცი უცებ ხდება მეომარი, ჯარისკაცი. ომის არაადამიანურ კანონთან შეჯახებამ გიორგი მახარაშვილში გამოაღვიძა, აამხედრა უსამართლობის, სულმდაბლობის წინააღმდეგ მებრძოლი. მისი მოქმედება იყო მხოლოდ იძულება, ადამიანურობის მოწოდებით, მისი სახელით საკუთარ თავზე ძალადატანების აქტი... და ფილმში მთელი ძალით ახმიანდება ძირითადი მოტივი - ადამიანი და ომი.

დედამიწაზე ადამიანურობა რომ ეხსნა, ჩვენმა ხალხმა ფაშიზმს დაუპირისპირა არა მარტო მტრის სამხედრო ძალის დამთრგუნველი კიდევ უფრო ძლიერი საომარი საჭურველი, არა მარტო გაუტეხელი ნებისყოფა და სიმტკიცე, არამედ მის კაცთმოძულე ბუნებას შეერკინა ჩვენი ჰუმანიზმი, მის სიმდაბლეს - ჩვენი კაცურკაცობა, მის ბოროტებას - ჩვენი ადამიანუ-

რი სიკეთე. ფაშიზმზე გაიმარჯვა არამარტო შურისძიებამ, თუმცა ეს გრძნობაც დაუოკებლად მოითხოვდა სამართლიანობის აღსრულებას... და იქნებ „ჯარისკაცის მამის“ არც ერთ ეპიზოდში ისე თვალნათლივ არ გამოვლენილა ამ ფილმის ფილოსოფია, მისი გმირის მაღალი ზნეობა, მისი აზრი და მოწოდება, როგორც გადათელილი ვაზის გამო ამტყდარ კონფლიქტში.

ისევ კადრი: მეომარი შვილის კვალს ადევნებული, უკვე თვითონაც ჯარისკაცი გიორგი მახარაშვილი გერმანიის რომელიღაც ქალაქის გარეუბანში პატარა, ერთი ხელისდადება ვენახს წააწყდება. რა სასწაულმა გადაარჩინა ვაზი ამ ჯოჯოხეთგამოვლილ, იავარქმნილ მიწაზე!

გიორგის სულში უცებ იღვიძებს მიწის მხვნელ-მთესველი, მევენახე. მივა, მიეფერება ვაზს: „შენ აქ რამ მოგიყვანა, შე მადლიანო, ჰა?.. როგორ გამახარე, შე ბარაქიანო, შენა!..“ ამას ისე ამბობს, თითქოს ბალღს, თავის შვილიშვილს ეალერსებაო. თქვენში კი ისევ შორეულად ახმიანდება „შენ ხარ ვენახი“. მაგრამ ამჯერად, ეს გურჯაანელი გლეხკაცი ღიღინებს ამას, ვაზს რომ მზრუნველად წკლერტს უსწორებს. გრძნობთ, როგორ მონატრებია ჯარისკაცის გამრჯე ხელებს მშვიდობიანი შრომა... ამას მოსდევს სცენა, რომელშიც საოცარი ძალით ვლინდება მშრომელი ადამიანის სულიერი სისპეტაკე და ჰუმანური შემართება, ბუნებისშვილობის, მიწისშვილობის დიდი გრძნობა და სინდისი, ადამიანურობა.

ახალგაზრდა საბჭოთა ტანკისტი მართვის გამოსაცდელად ტანკს დაძრავს და ანგარიშმიუცემლად პირდაპირ ვენახში შეაგდებს მანქანას. შეძრწუნებული გიორგი მახარაშვილი თავგანწირვით წინ გადაუდგება რკინის გიგანტს. აღშფოთებული ბევრ მწარე სიტყვას გააგონებს ცხოვრებაგამოუცდელ ახალგაზრდა ტანკისტს: „აჰა, აგერ გერმანელი ბიჭუნა (მიუთითებს ახლო მდგომ ბავშვზე), ესროლე, ესროლე, რაღა!“ - რა ფაშისტი მე მნახეო, ჩაიბუტბუტებს დარცხვენილი, გაოგნებული ტანკისტი და ვენახს გაეცლება.

გიორგი კი წაქცეულ ვაზს მიეშველება. მისთვის ეს გამხდარი, შიმშილისაგან სახედანაცრებული გერმანელი ბავშვებიც და უცხო მიწაზე ამოსული, მზრუნველ ხელს მოკლებული ვაზიც ხელშეუხებელ, მარადიული სიცოცხლის სიმბოლოებად ქცეულან. ამიტომაც არის, გმირის მოქმედებას ისე აღვიქვამთ, თითქოს იმ ჭაბუკი ტანკისტის წინდაუხედაობას მარტო ეს ერთი გლეხკაცი კი არა, არამედ მთელი ბუნება, სიკეთე, თვით სიცოცხლე აუჯანყდაო.

მაგრამ აქ არ ჩერდებიან ფილმის ავტორები. ისინი ეძებენ გიორგი მახარაშვი-

ლის ადამიანური სამყაროს ყველაზე ძვირფას მადანს. ღრმავდება წიაღსვლა გმირის სულში. ისევ კადრი: კვლავ ომის გზებზეა ჯარისკაცის მამა, მწარე საგონებელს მისცემია და აქ იტყვის ფრაზას, რომელიც ნათელივით დაადგება მთელ სურათს, შუქს მიაყენებს ბევრ მის კადრს, გაანათებს მათ აზრს. დანაღვლიანებული იმ ჭაბუკი ტანკისტის საქციელით და თავის მართლებით - კარგი, არც შენა ხარ მთლად მართალი, რაც არ უნდა იყოს, მაინც ომიაო - გიორგი მახარაშვილი ფიქრს გაუმხელს ფრონტელ მეგობარს: „ნეტავ, რა მოუვიდა ჩემს გოდერძის, ის ხომ ძლიერ კეთილი გულისა იყო!..“ მან უკვე იცის, რომ ომი სისხლის, ნგრევის, სიკვდილის გარდა, არის ბუნების სიმახინჯეც, რომ განუზომელმა მსხვერპლმა ადამიანებში დაიჩლუნგა კეთილი გრძნობები. შიშით ფიქრობს მამა ჯარისკაც შვილზე, ხომ არ აირეკლა ომის საზარელი სახიერება მისი გოდერძის სუფთა და კეთილ გულზეც, ხომ არ დაუსახიჩრაო სული.

რა ბუნებრივად იბადება ამ გაუნათლებელი, მაგრამ სიბრძნესთან დაძმობილებული ბერიკაცის კეთილ სამყაროში ეს ზოგადსაკაცობრიო სიტყვები, რა ახლოსა დგას იგი იმ წინათგრძნობასთან, რომელიც ასე მწარედ აუხდა ევროპის ხალხებს. და თითქოს ამ ქართველი გლეხკაცის გულისტკივილით ნათქვამის გამართლებად გაისმის ისიც, რომ ახლო დასავლეთის კინოკრიტიკოსები სწორედ ომსა და ფაშიზმში ხედავენ ომის შემდგომი წლების ფილმების გმირთა სულიერი გაპარტახების ძირებს, რომ საზღვარგარეთულ ლიტერატურასა და ხელოვნებას სულ რაღაც ერთი საუკუნის ნახევარში უკვე მეორე „დაკარგული თაობის“ დატირება მოუხდა.

ასე მოძრაობს ფილმში ხელოვანთა აზრი, ჯერ ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, ხოლო შემდეგ ისევ იწყება განზოგადება ემპირიულიდან - ფილოსოფიურამდე, ეროვნულიდან - ზოგადსაკაცობრიომდე; ასე მაღლდება მთავარი გმირის მხატვრული სახე, რომელიც თავისთავად იქცევა ფილმის ღერძად. ეს სახე სამსახიობო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად დარჩება ჩვენს კინოში.

რეჟისორი კი... რეჟისორი, როგორც საუკეთესო შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, „კვდება მსახიობში“, „კვდება ფილმში“. ამჯერად ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ როცა რეზო ჩხეიძემ ფილმ „ზღვის ბილიკის“ შემდეგ სწორედ ეს სცენარი აირჩია დასადგმელად და თანაც ცნობილი გახდა, თუ ვინ შეასრულებდა მთავარ როლს, ბევრი ამას ეჭვით შეხვდა, დაუდარაჯდა.

ფაქტია, რომ „ჯარისკაცის მამის“ სცენარში ძლიერ ბევრი პირობითობაა დაშვებული, ბევრი რამ განსაკუთრებულ შემთხვევითობაზე - „ხომ შეიძლება ასე მომხდარიყოს“ პრინციპზეა აგებული. რეჟისორს კი წინა ორ სურათში - „განძშიც“ და „ზღვის ბილიკშიც“ აშკარად მიუთითებდნენ ყალბ მრავალშვილიანობაზე. გართულებულ სიმბოლიკაზე, იმაზე, რომ ამ ნაწარმოებებში ადამიანები კარგავდნენ კონკრეტულობას და ერთგვარად განყენებული აზრის მატარებელნი ხდებოდნენ. ამიტომაც სრულიად არ იყო უსაფუძვლო, როცა შიშობდნენ - ამჯერადაც ხომ არ ემუქრებოდა მას იგივე საფრთხე.

მართლაცდა, რა იყო სცენარ „ჯარისკაცის მამაში“ (თავი დავანებოთ იმ ძლიერ სახიფათო რიფებს, რომელსაც უქმნიდა მსახიობსა და რეჟისორს დამახინჯებული ენა)? მოხუცი კახელი გლეხი გრძელ გზას დაადგება რუსეთის რომელიღაც ქალაქის ჰოსპიტალში მყოფი დაჭრილი შვილის სანახავად. შვილი ადგილზე აღარ დახვდება - გამოჯანსაღებულა და თავის ნაწილს დაბრუნებია... ეს პირობითობა ამოსავალია.

დასაშვებია იგი თუ არა?

შემდეგ ერთს - მეორე, მესამე და ა.შ. პირობითობა მოსდევს: სამოც წელს გადაცილებულ მოხუცს მოქმედ არმიაში ჩარიცხავენ, გზაში წააწყდება კედელზე წარწერილ შვილის სახელს და მასთან შეხვედრის იმედი გაუთაკეცდება...

ხომ შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო?

შემდეგ იერიშზე, თოვლზე ხოხვისას, აღმოაჩენს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრის აღმნიშვნელ წაქცეულ ბოძს და ამხანაგებთან ერთად კვლავ აღმართავს. და ბოლოს, გერმანულ ქალაქში, ერთ ბლოკირებულ სახლში, რომლის მეორე სართულზე გერმანელები გამაგრებულან, ხოლო მესამე და პირველი სართულები ჩვენებს უჭირავთ, ზემოდან ჩამოესმის ქართული სიმღერა, იცნობს შვილის ხმას... შემდეგ ჭურვის აფეთქება, მოხუცი ავტომატის

ცეცხლით გზას გაიკვლევს, მაღლა აიჭრება და მხოლოდ მკვდარ შვილს ნახავს.

ფილმის მთელ ღირსებად რომ ეს სქემა დარჩენილიყო, დღეს უაზრობა იქნებოდა მის გამო შუბების მსხვრევა. რეჟისორმა სცენარში დაინახა ის ძირითადი და საუკეთესო, რომელიც როგორც მას, ისე მსახიობს საშუალებას მისცემდა თანმიმდევრულად და ბოლომდე გამოევლინათ, გაეხსნათ გმირის ხასიათი, ადამიანური სამყარო, ქვეყნის ავბედობის ჟამს საერთო-სახალხო მოვლენებთან მისი შინაგანი დამოკიდებულება.

თუმცა „ჯარისკაცის მამაში“ მრავალი პირობითობაა, უფრო მეტი, ვიდრე ერთი მხატვრული ნაწარმოები მოერევა, რეჟისორისა და მსახიობის ოსტატობის შედეგად ბევრმა მათგანმა ისეთი გადაწყვეტა და ფორმა მიიღო, რომლის უფლებაც ხელოვნებას აქვს. ცხადია, აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ჟანრის საკითხს. ჯერ კიდევ რეზო ჩხეიძის „მაია წყნეთელშიც“ საგრძნობი იყო ერთი რომელიმე ჟანრის ვიწრო ჩარჩოების რღვევის ტენდენცია. „ჯარისკაცის მამაც“ დასაწყისიდან ფინალამდე კომედიურ პლანში, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ღიმილის პირას“ ვითარდება.

სწორედ ასეთი გადაწყვეტა განაპირობებდა სცენარში დაშვებული მრავალი პირობითობის გამართლებას. მაგრამ იგი მაინც არ არის კომედია. არც მარტო ღიმილის ფილმია. ფინალში მამას თვალწინ უკვდება შვილი. ყველაფერი უცებ შემობრუნდება ტრაგიკულისაკენ. ტრაგიკულმა მოტივმა თავისთავად მოითხოვა მკაცრი ცხოვრებისეული სიმართლე, ლოგიკა. ეს სცენა კი ისევ პირობითობის ფარგლებში დარჩა, თანაც ამ მომენტისათვის უკვე დაქვეითდა ემოციები, რადგან იგი წინა სცენებში საკმაოდ დაიხარჯა.

...ისევ ომის გზებზეა „ჯარისკაცის მამა“. მოდის სხვებთან ერთად მხარზე ავტომატგადაკიდებული, თავდახრილი, დამწუხრებული. მოდის სამწყობრო მარშით კი არა, არამედ მძიმედ, ჩვეულებრივი ჯარისკაცული დაღლილი ნაბიჯით და ღრმად ქაჩავს გაზეთის ნახევში გახვეულ თამბაქოს... წუთით შეჩერდება ასახსნელ ხიდთან. ნელა, მოწიწებით ნელა ეშვება უზარმაზარი რკინის ხიდი, თითქოს თავს ხრისო ჯარისკაცის მამის, მისი ვაჟკაცური მწუხარების წინაშე. და აღარ გინდათ წაიკითხოთ ამ ხიდზე თეთრი საღებავით დაწერილი: „აქ პირველმა გაიარეს ტანკებმა საბჭოთა კავშირის გმირის, გოდერძი მახარაშვილის მეთაურობით“, არ გინდათ დაინახოთ, რადგან იგი მხოლოდ მოხუცი მამის დაუყუჩებელ ჭრილობებს გახსენებთ და მის შვილთან შეხვედრის სიხარულს კი აღარ გპირდებათ...

ქართული ლიტერატურის უკანასკნელი 20 წელი

რა შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართულ ლიტერატურაში? მახსოვს, 90-იანებში, როცა ცენზურა მოიშალა, საკმაოდ ცოცხალი ლიტერატურული პროცესი მიმდინარეობდა, თითქოს დღევანდელზე ბევრად საინტერესო და დატვირთული.

შოთა გაგარინი: არ მოვსწრებივარ, მაგრამ საბჭოთა დროს ბევრი ფიქრობდა, რომ მწერალი მედიატორია ღმერთსა და კაცს შორის და მწერლები ღმერთების სიტყვებს ახმოვანებდნენ. მოხდა მათი საკრალიზაცია და მითოლოგიურ ბურუსში გახვევა. საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ კი საზროვნო სივრცე თითქმის არ შეცვლილა, იგივე დარჩა. როცა კარლო კაჭარავა ამბობდა, - ქართველების სარწმუნოება „მამათმადიდებლობაა“, - ის სწორედ ლიტერატურასთან დამოკიდებულებას გულისხმობდა. საბჭოთა კავშირში მწერლობა სარფიანი ბიზნესიც იყო, 90-იანების მერე ეს ბიზნესი გაქრა, მაგრამ დამოკიდებულება ამ ადამიანების მიმართ თითქმის არ შეცვლილა. დღეს მათი მხატვრული ტექსტები აღარავის აინტერესებს, „მწერლები“ აღარ არიან, მხოლოდ „ქართული პროზის“ ტომებში დარჩნენ, თუმცა, რატომღაც მაინც მოითხოვენ პრივილეგიებს.

რატი ამაღლობელი: საბჭოთა დროს, შევარდნაძის ეპოქას ვგულისხმობ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს იმხელა ძალაუფლება ჰქონდა, შეეძლო დაეხვრიტა კაცი ან სიკვდილს გადაერჩინა. ეს ძალიან დიდი თანამდებობა იყო. არსებობდნენ ფუნქციონერი მწერლები, რომლებიც მეგობრობდნენ იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტასთან. თუმცა, მწერლობას რეალურად რა გავლენა ჰქონდა ცოცხალ სოციალურ პროცესზე, ეს მაშინ არ გაზომილა და დღეს უკვე შეუძლებელია ამის გაგება. ცხადია, მაშინაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ნამდვილ ლიტერატურას ქმნიდნენ და ლიტერატურულ პროცესს სწორედ ისინი წარმართავდნენ.

მალხაზ ხარბედია: ერთი რამ უნდა ვაღიაროთ: ბევრ ადამიანს, ვინც დღეს მწერლად იწოდება, განსაკუთრებით ძველი თაობას წარმომადგენლებს, დაკარგული აქვს განვითარების, წინსვლის სურვილი და უნარი. არ კითხულობენ არაფერს ახალს და 30-40 წლის წინათ წაკითხული წიგნებით ცხოვრობენ. როცა ახალგაზრდა მწერლებზეა საუბარი, მათგან ხშირად გაიგონებთ ხოლმე ამგვარ ფრაზებს: „ძიდი, აბა, დამიწერე, როგორც ჰემინგუეი წერდა!“ ან „დამიწერე, როგორც ბროდსკი წერდა!“ ისინი საკუთარი წარუმატებლობის გამართლებას ცდილობენ და განუწყვეტლივ იმაზე ლაპარაკობენ, რომ აქ საინტერესო არაფერი იწერება, არაფერია წასაკითხი.

შოთა იათაშვილი: 90-იანებში, სადაც უნდა ჩაგვეტარებინა პოეზიის საღამოები, აუდიტორიები სულ გადატენილი იყო. ახლა შესანიშნავი კაფეებია, მაგრამ მაშინ თითქოს უფრო დიდი ენთუზიაზმით მოდიოდა ხალხი, აინტერესებდათ ახალი მწერლების მოსმენა. დღეს დიდი ნაწილი „ტუსოვკის“ გამო დადის ლიტერატურულ საღამოებზე. შეიძლება სწორედ იმიტომ იყო ამხელა ინტერესი, რომ ერთი ეპოქა მთავრდებოდა და ახალი რაღაც იწყებოდა, სხვა ჟღერადობა წამოვიდა, სხვა თემები გაიხსნა. უკვე 18 წელია, სულ სხვადასხვა ჟურნალებში ვარ, სულ სარედაქციო სამუშაოს ვეწევი. 1992 წლიდან გამოდიოდა

მონაწილეობენ:

შოთა იათაშვილი - მწერალი

ლაშა ბუღაძე - მწერალი

მალხაზ ხარბედია - მწერალი

რატი ამაღლობელი - მწერალი

შოთა გაგარინი - მწერალი

ქეთი ქანთარია - მთარგმნელი

„რუბიკონი“, „მესამე გზა“, „ლიტერატურა და სხვა“, მოგვიანებით გაჩნდა „არილი“ და „ალტერნატივა“. მაშინ თითოეულ ჟურნალს თავისი გამორჩეული სახე, კონცეფცია ჰქონდა. დღეს ლიტერატურული პრესაც გაუსახურდა. თითქოს შესაძლებლობები მეტია, მაგრამ ჟურნალების რაოდენობამაც და ხარისხმაც მოიკლო. მე-20 საუკუნის მიწურულს ბევრი საინტერესო ავტორი გამოჩნდა. ლაშა და რატი, ზაზა ბურჭულაძე, დათო ქართველიშვილი, ირმა ტაველიძე და ძალიან ბევრი, ყველას ვერც ჩამოვთვლი. მაშინ ახალგაზრდა მწერლები სწორედ იმ კარგ ჟურნალებში მიდიოდნენ და რედაქტორებთან ჰქონდათ ურთიერთობა. დღეს კი, როდესაც გაჩნდა ლიტერატურული ვებ-გვერდები და ბლოგები, ეს კავშირი დაირღვა. არადა, რედაქტორთან ურთიერთობა ძალიან ეხმარება ავტორს, სწრაფად განვითარდეს. ახალი თაობა კი მეტწილად თვითკმარია. დაწერენ რაღაცას, გამოაქვეყნებენ ინტერნეტში და მერე ერთმანეთს უქებენ ნაწერებს.

მალხაზ ხარბედია: ქართულ ლიტერატურაში, ისევე როგორც ქართულ პოლიტიკაში, ყველაზე უფრო დამაიმედებელი პერიოდი ახალი საუკუნის დასაწყისს დაემთხვა. 2001-2002 წლებში ფილარმონიაში გამართული წიგნის ფესტივალები მართლა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ყველანი ანთებულები ვიყავით, რაღაცას ველოდებოდით, იმედები გვქონდა და უცებ, რაღაც მომენტში, 2003 წლის შემდეგ ეს ყველაფერი ხელში შემოგვეფშვნა. ინიციატივებიც გაქრა. საქართველოში გაჩნდა რაღაც მექანიზმები, რამაც ყველაფერი პიარად აქცია, და მეორე მხრივ - ადამიანები რისხვის მანქანას დაუქვემდებარა. ისეთ მახეში გავებით, როცა ლიტერატურა ნაკლებად გვაინტერესებს. ეს მექანიზმები თვითონ წარგმართავს. თუ გაზეთში ან ჟურნალში სვეტი გვაქვს დასაწერი, არ ვწერთ ლიტერატურაზე, სხვა თემებს ვირჩევთ. ბევრმა ხელი ჩაიქნია, ბევრი კარგი მწერალი დღეს უბრალოდ აღარ წერს, სხვა საქმე ნახა; ბევრი - რადიკალურ ოპოზიციაში წავიდა. არიან ისეთებიც, სამთავრობო ღონისძიებებს რომ ხელმძღვანელობენ, ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობენ. მოხდა ისე, რომ ქართული ლიტერატურა თანამედროვე ქართულ პოპ-პოლიტიკურ კულტურას შეეწირა.

რატი ამაღლობელი: ლიტერატურა აღარ არის პირველხარისხოვანი თვითონ ლიტერატორებისთვის...

მალხაზ ხარბედია: ლიტერატურა არც არასდროს ყოფილა პირველხარისხოვანი. ეგეც გასული საუკუნის 70-იანი წლების მითია.

ლაშა ბულაძე: 90-იანების დადგომასთან ერთად მკითხველი ერთგვარად „გაიცხრილა“, მისი კრისტალიზაცია მოხდა. შეგახსენებთ, ეს ის დრო იყო, როცა ტელევიზორში კარგ ფილმს კვირაში ერთხელ, „ილუზიონში“ ვუყურებდით და აკაკი ბაქრაძის ლექციები გვაოცებდა. დღეს ის, რასაც აკაკი ბაქრაძე ლაპარაკობდა, მეტნაკლებად ყველამ ვიცით, მაშინ კი ნამდვილი შოკი იყო. კარგად მახსოვს, როცა დათო ბარბაქაძე უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში „ტრფობა წამებულთას“ კითხულობდა (ვფიქრობ, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა სწორედ ამ ტექსტით იწყება), როგორ გარბოდა ხალხი - დგებოდნენ და გადიოდნენ. სწორედ ესაა გაქცეული მკითხველი. მკითხველთა მცირე აუდიტორია, რომელიც მაშინ დარბაზში დარჩა, განვითარდა და დღეს ბევრ სხვადასხვა ტექსტს კითხულობს. რაც 90-იანებში გვაოცებდა, მაგალითად, „რეაქტიული კლუბის“ ავტორთა ლექსები და დათო ბარბაქაძის შემოქმედება, დღეს აღარ გვაკვირვებს. თუმცა, მაშინდელ კარგ ტექსტებს მნიშვნელობა არ დაუკარგავთ, რადგან ეს კარგი ლიტერატურაა. ის ისტორია კი, რაც დაახლოებით 20 წლის წინ „ტრფობა წამებულთას“ მოჰყვა, დღესაც აქტუალურია - გავიხსენოთ ერეკლე დეისაძის წიგნთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი.

საბჭოთა დროს 80 000-იანი ტირაჟები იყიდებოდა, მაგრამ ამდენი ადამიანი ნამდვილად არ კითხულობდა. ვფიქრობ, მკითხველი რამდენიც იყო, რეალურად იგივე დარჩა. პრობლემა ისაა, რომ მათი რიცხვი არ იზრდება.

შოთა იათაშვილი: ადამიანების დიდი ნაწილი ზღვარზეა - ერთი ნიბიჯი, და აღარ წაიკითხავს. საბჭოთა დროს „ცისკარი“ და „მნათობი“ გამოწერილი ჰქონდათ, შინ მისდიოდათ და ძალაუნებურად კითხულობდნენ. თუკი ადამიანი მკითხველია, მას ვერაფერი შეუშლის ხელს, მაგრამ თუკი ყოყმანობს, რაღაც უნდა დაეხმაროს იმაში, რომ წიგნისაკენ გადმოიხაროს.

მალხაზ ხარბედია: საბჭოთა დროს სხვა სისტემა იყო. მაგალითად, გამოვიდოდა რომელიმე ბობოლა მწერლის წიგნი 50 000-იანი ტირაჟით და დიდ ნაწილს ისევ სახელმწიფო ყიდულობდა - მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ან სხვა რომელიმე უწყება. საინტერესოა, მკითხველმა, რომელიც 80-იან წლებში არსებობდა, რატომ დაანება თავი კითხვას. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ქართველებმა კითხვა მეცხრამეტე საუკუნეში დავიწყეთ და დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აუცილებლობას.

რატი ამაღლობელი: რა არის წიგნის კითხვა? ეს უნარ-ჩვევაა და საკითხავია, საქართველოში საზოგადოების რა ნაწილს აქვს ის. უკანასკნელი 30 წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში კით-

ხვა, როგორც უნარ-ჩვევა, ვერ ჩამოყალიბდა. რასაკვირველია, ბრეჟნევის „ზასტოის“ დროს, მასლოუს შკალა რომ მოვიხმოთ, ყოველი მეოთხე მანეთი განათლებაზე და წიგნებზე იხარჯებოდა, მაგრამ ეს ჩვევა უმალ გაქრა, როგორც კი მოვიდა უშუქობა და გაჭირვება.

ჩემი მოზარდობის დროს წიგნით ხელში ქუჩაში გავლა ძალიან რთული რამ იყო. ეს ჩვენი ბავშვობაა და ის რეალობა დაშორებულია დღევანდელობას - დიდად არაფერი შეცვლილა. წიგნიერი თუ იყავი, არც გოგოს მოსწონდი და, რაც ყველაზე უფრო გასაკვირია, არც მასწავლებელს. ჩვენ იმ ეპოქაში გავიზარდეთ, სადაც წიგნიერება წარუმატებლობის, „დაქლიავებულობის“ და კრეტინიზმის სინონიმი იყო. ლაშა ბუღაძისგან ფირფიტა და წიგნი რომ უნდა წამომეღო ან მიმეტანა, ბუფერული ზონები უნდა გამომევლო, რაც იოლი არ იყო. ეს ხალხია დღეს ჩვენ ირგვლივ და წიგნების სამიათასიანი ტირაჟები, წესით, არ უნდა გვიკვირდეს.

ლაშა ბუღაძე: ამას წინათ ასეთი რამ გადამხდა - სკოლაში ვიყავი მიწვეული, ერთ ბიჭს მოერიდა გოგონების თანდასწრებით ავტოგრაფი ეთხოვა ჩემთვის. მოვიდა მასწავლებელი, მოხუცი ქალი, სადღაც მიფარებულში გამიყვანა და ჩუმად მომაწერინა ხელი.

შოთა გაგარინი: ბიჭებმა, ვინც წიგნებით ხელში დადიოდნენ, ხელშეუხებლები რომ ყოფილიყვნენ, გადაწყვიტეს, გიჟები გამხდარიყვნენ. ხომ გავიგიათ ასეთი ფრაზა - „გიჟი კაცი - პოეტი კაცი!“ მოგვიანებით მათ თვითონ დაიწყეს წერა და თავს ამით იმართლებდნენ. მგონი, ამიტომაცაა ლიბ.გეზე ამდენი ტექსტი.

ქეთი ქანთარია: მომეჩვენა, რომ ბევრი ვისაუბრეთ, რა დაემართა მკითხველს და არ ვილაპარაკეთ იმაზე, რა დაემართა მწერალს. როგორც ჩანს, მკითხველები უნდა მოგვეწვია იმისთვის, რომ მწერლებზე ელაპარაკათ. მე 1992 წლამდე ყოველდღე რაღაცას ვკითხულობდი, ვყლაპავდი წიგნებს, მაგრამ მერე მოხდა ისე, რომ ბევრი წელი იოლად ვაგდებდი წიგნებს, რადგან უმეტესად არ მომწონდა ის, რასაც ვკითხულობდი. აღარ მახსოვს, ზუსტად რომელი ქართველი მწერალი ამბობდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, მაგრამ ფრაზა ჩამრჩა, - მე არ შემიძლია მოსკოველი კოლეგების მსგავსად გამოვრთო ტელეფონი, მოვწყდე ყველა საქმეს და მხოლოდ ვწეროო. მაშინ მიკვირდა, რატომ არ შეეძლო ამის გაკეთება. დღესაც მიკვირს, რატომ მონაწილეობენ მწერლები პროცესებში, რომლებიც მალევე აღმოჩნდება, რომ არც ფასეულია და არც მნიშვნელოვანი. რა გვიშლის ხელს, რომ ეს თავიდანვე დავინახოთ?

შოთა იათაშვილი: ადრე მწერალი მარტო იყო ფურცელთან და კალამთან. დღევანდელი მწერალი კომპიუტერთან ზის, თან წერს,თან სკაიპში ვიღაც ეახის,თან ფეისბუქზეც პოსტავს. პარალელურად, მობილურზეც ვიღაც უგზავნის მესიჯს ან ურეკავს. დღეს ძნელია, მარტო დარჩე. თან კომპიუტერთან რომ წერ, შავ პირს, როგორც წესი, აღარ ინახავ, რომ მერე შეადარო, ახალი ვარიანტი ჯობია თუ წინა და ა. შ. როგორც ამბობენ, ტოლსტოიმ „ომი და მშვიდობა“ რვაჯერ გადაწერა. დღევანდელმა მწერალმა შეიძლება ერთხელაც არ გადახედოს თავის ნაწერს, ისე გაუშვას სტამბაში.

ლაშა ბუღაძე: კომპიუტერი უბრალოდ აჩქარებს პროცესს. მარკესს აქვს ნათქვამი, - კომპიუტერი რომ მომსწრებოდა, ორჯერ მეტ წიგნს დავწერდიო.

მოქმედებს თუ არა ლიტერატურულ პროცესზე ის, რომ დღეს მწერლობით შეუძლებელია თავი ირჩინო?

მალხაზ ხარბედია: აბსურდია იმაზე საუბარი, რომ სადმე და, მით უმეტეს საქართველოში, მწერალმა თავისი ტირაჟებით იცხოვროს. მწერალს სახელმწიფომ უნდა შეუქმნას პირობები, რომ იმუშაოს ისეთ სფეროში, რომელიც ახლოა მის საქმიანობასთან - მწერლობასთან. ვგულისხმობ იმას, რაც დასავლეთში ხდება: მწერლები ლექციებს კითხულობენ, ან მცირე კვლევებს აწარმოებენ, ან ესეებს და სტატიებს წერენ. ჯონ აპდაიკს დიდი ტირაჟები ჰქონდა, მაგრამ მეტი იყო ის ჰონორარი, რასაც სტატიებში იღებდა. არსებობს სტიპენდიები და პროგრამები, რომლებიც აფინანსებენ მწერლებს. არაფერ შუაშია კონფორმიზმი, თითქოს სახელმწიფო მოახდენს სუბსიდირებას და მერე, სანაცვლოდ, რამეს მოითხოვს. ჯგუფ „მგზავრებივით“ პატრულს ხომ არ უწერ სიძღერას, შენ საქმეს აკეთებ - მაგალითად, იკვლევ პოეტს, ან რომელიმე მნიშვნელოვან მწერალს თარგმნი... ჩვენთან ამის მსგავსი არაფერი ხდება.

შოთა გაგარინი: ზურაბ ლეჟავა მშრალ ხიდზე დგას და ძველმანებს ყიდის. არადა, იმ უნარების გათვალისწინებით, რაც მას აქვს, შეიძლება ისეთი საქმე მოეძებნა, რომ სარგებელი ორმხრივი ყოფილიყო.

შოთა იათაშვილი: 90-იან წლებში დათო ჩიხლაძე, ომარ თურმანაული, მე და კიდევ ბევრნი ვიდექით რუსთაველზე და წიგნებს ვყიდდით...

რატი ამაღლობელი: მნიშვნელოვანია სახელმწიფო რა პოლიტიკას ატარებს: მემარჯვენეა, მემარცხენეა თუ ცენტრისტი. შესაბამისად უნდა ვილაპარაკოთ კულტურის და კერძოდ, ლიტერატურის პოლიტიკაზეც. დღევანდელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ფილოსოფია ასეთია: ბაზარი დაარეგულირებს ყველაფერს. ეს მიდგომა ლიტერატურისთვის სიკვდილია. დაახლოებით იგივეა - ბებია აღარ არის რენტაბელური, ამიტომ უნდა ავიყვანოთ გორაზე და დავკლათ. ამ ფილოსოფიას ბოლოს აქამდე მივყავართ. ერთ ფაქტსაც გავიხსენებ, რომელიც კარგად აღწერს ჩვენი სახელმწიფოს დამოკიდებულებას მწერლობისადმი: წინა მთავრობის კულტურის სამინისტრომ სასაჩუქრედ ქართველი მწერლების წიგნები იყიდა. შეეშალათ და ჭაბუა ამირეჯიბის წიგნიც უყიდიათ. რომ ნახეს, სასწრაფოდ დააბრუნეს, რადგან ჭაბუა ამირეჯიბი მათი ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად არამიზანშეწონილი ავტორი იყო. ისევ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე. სახელმწიფო თუ იტყვის, რომ ლიტერატურა ვიწრო პოლიტიკური ინტერესების მიღმაც აინტერესებს, მაშინ უკვე საქმეა. ანდა, თუ იტყვის, რომ განათლება მნიშვნელოვანია, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე და არა როგორც ბერკეტი, რომელსაც არჩევნების დროს გამოიყენებს, რაღაც შეიცვლება. ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი პრობლემაა.

მალხაზ ხარბედია: გადავხედოთ, რა ხდება ევროპის ქვეყნებში. სლოვაკეთში მარტო მთარგმნელების ჰონორარად 2005 წელს გათვალისწინებული იყო 25 ათასი ევრო. სლოვენიაში - 78 000, უნგრეთში - 82 000 და პოლონეთში - 274 000 ევრო. აქ მხოლოდ მთარგმნელების ჰონორარებზეა საუბარი. ამას გარდა, იქ დაფინანსების ბევრი სხვა წყაროა, გრანტები, სტიპენდიები და ა. შ. კერძო წყარო შეიძლება იყოს, მაგრამ სახელმწიფო მაინც ყველგან ერევა. მაგალითად, საფრანგეთში არსებობს „წიგნის ნაციონალური ცენტრი“, კულტურის სამინისტროს „წიგნისა და კითხვის დეპარტამენტის“ ჩვეულებრივი განყოფილება. მხოლოდ ამ განყოფილებაში 2005 წელს 21 მილიონი ევრო დაიხარჯა. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქართული ლიტერატურის უცხოურ ენებზე თარგმნა ოდესმე ხომ უნდა დავიწყოთ?

ლაშა ბუღაძე: კულტურის სამინისტროში შედგა პროგრამის პრეზენტაცია, რომლის სახელწოდებაცაა „ქართული ლიტერატურისა და წიგნის ხელშეწყობისა პროგრამა“. თუ ის ამუშავდა, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ეს პროგრამა გულისხმობს ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციას, მთარგმნელების გრანტების დაწესებას, ლიტერატურული პრესის განვითარებას, საკმაოდ კომპლექსური პროგრამაა, და თუკი დაიწყება, მალევე გამოიღებს შედეგს. მაგრამ ჯერჯერობით ბიუჯეტი არ არსებობს. გასაგებია, რომ მთავრობა ლიტერატურულ ოაზისს ვერ შეგვიქმნის, მაგრამ ჩვენ კონკრეტულ რაღაცებს თანმიმდევრულად და ჯიუტად უნდა მოვითხოვდეთ. არადა, თუკი ამ ოცი წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში რაიმე შექმნილა საინტერესო და ხარის-

ხიანი, ეს უპირველესად ქართული ლიტერატურაა, მხოლოდ სახელოვნებო დარგებზე ვამბობ. თეატრი და კინო სრულ კრიზისშია, ასეთივე მდგომარეობაა მუსიკაშიც; ცხადია, აქ საშემსრულებლო სკოლას არ ვგულისხმობ.

საქართველოში ყველაზე კარგად წიგნს სატელევიზიო რეკლამა ყიდის. ამას წინათ ერთ-ერთ წიგნის მაღაზიაში ვიყავი და მითხრეს, რომ დიდი რაოდენობით გაიყიდა ნოდარ დუმბაძის წიგნები. თურმე წინა დღით მაია ასათიანის „პროფილში“ ნოდარ დუმბაძის შვილები ყოფილან მიწვეული; ასევე, სატელევიზიო რეკლამამ გაყიდა დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, რეკორდული რაოდენობა, 15 000 ცალი გაიყიდა. ჩვენთან გამომცემლობებსაც არა აქვთ რაიმე მარკეტინგული ხედვა. მათ სხვა ტიპის შემოსავლები აქვთ და საკუთარი გამოცემული წიგნების პოპულარიზაციას არ ცდილობენ.

ქეთი ქანთარია: რადგანაც დღეს აქ ერთადერთი მთარგმნელი ვარ, მინდოდა, თარგმანის პრობლემაზე მელაპარაკა. სანამ აქ მოვიდოდი, დავფიქრდი, რომ პირადად მხოლოდ იმ მთარგმნელებს ვიცნობ, ვინც ისედაც მეცოდინებოდა, თარგმანის გარეშე. საქართველოში არ არსებობს სივრცე, სადაც მთარგმნელებს ერთმანეთთან ურთიერთობა გვექნებოდა. დღეს ხელში მეჭირა 1977 წლის „საუნჯის“ ნომერი, სადაც დაახლოებით 20 გვერდი ეძღვნება დისკუსიას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმუშაონ ერთად მთარგმნელმა და რედაქტორმა. დღეს ამგვარი დისკუსიები აღარ არსებობს. წლების წინ წერილი მივწერე კულტურის მინისტრს ნიკა რურუას. ვწერდი იმაზე, რომ შეუძლებელია ამ პირობებში თარგმნა, რადგან თარგმანი მოითხოვს დაგეგმვას, რეჟიმს, ინტენსიურ ყოველდღიურ შრომას და სახელმწიფომ რაღაც უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მსოფლიო ლიტერატურა ქართულად ითარგმნოს. ცხადია, პასუხი არ მიმიღია, და დიდად არც ველოდი, რომ მივიღებდი...

ლიტერატურის განვითარებას ხელს უშლის ისიც, რომ ჩვენში თითქმის არ არსებობს კრიტიკა...

მალხაზ ხარბედია: კრიტიკა, ერთი მხრივ, კითხვის კულტურის დანერგვაა, ის მწერალსაც ქმნის, მკითხველსაც და მათ ერთმანეთთან აკავშირებს. საქართველოში არც ლიტერატურათმცოდნეობის (თანამედროვე ლიტერატურის კვლევის) და არც კრიტიკის მხრივ, ფაქტობრივად, ტრადიციაც კი არ არსებობს და ახლა უნდა დაიწყოს რაღაც. ჩვენ არც საბჭოთა ლიტერატურა შეგვისწავლია და შეგვიფასებია. მაგალითად,რუსეთში ყველა ტიპის მოაზროვნემ შეაფასა საბჭოთა პერიოდი. საქართველოში კი ერთი წიგნიც არ დაწერილა იმდროინდელ ლიტერატურაზე. აღარ გაგრძელდა ის, რაც თავის დროზე აკაკი ბაქრაძემ დაიწყო, როცა „მწერლობის მოთვინიერება“ დაწერა. წიგნი კი არა, სტატიების ერთი კრებულიც ვერ გამოვეცით ჯერჯერობით.

რატი ამაღლობელი: ჩვენთან რეცენზიის დონეზეც კი კრიტიკაში ძალიან გაუდაბურებული მდგომარეობაა. ძალიან სუბიექტურად და ემოციურად უდგებიან ამ საქმეს. ხშირად დამწყებ პოეტებს რილკეს და ელიოტს უწოდებენ ხოლმე, რაც ძალიან ცუდად მოქმედებს ამავე ავტორებზე. როცა არ იწერება კრიტიკა, არ არსებობს მკითხველთან ანალიტიკური ხიდი. კრიტიკის კითხვა კიდევ ცალკე კულტურაა.

ქეთი ქანთარია: მახსომ დაწერა ერთხელ, ვიდრე კრიტიკა არ არსებობს, კარგი იქნებოდა, მწერლებს ეწერათ ერთმანეთის წიგნების შესახებო. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველი მწერლები ერიდებიან ერთმანეთზე წერას.

ლაშა ბუღაძე: ამას წინათ უნივერსიტეტში ახალგაზრდა პოეტების საღამოზე ვიყავი. ცხადია, ვგულშემატკივრობ მათ, მაგრამ სრულ ჩიხში არიან. გალაკტიონის მესიანიზმის, ტერენტი გრანელისა და მუხრან მაჭავარიანის პათეტიკას ვერ გასცდნენ. არის თუ არა კარგი პოეტი მუხრან მაჭავარიანი? მე ვფიქრობ, რომ არ არის. მაგრამ ამის შესახებ ქართველ კრიტიკოსებს არაფერი დაუწერიათ. პრობლემა ისიცაა, რომ ბევრი ავტორი იბუტება და პირადი ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებიან. მე მახსოვს, შოთამ ჩემი მოთხრობების კრებულზე საკმაოდ კრიტიკული სტატია დაწერა, მაშინ კი მეწყინა, მაგრამ ამ სტატიამ რაღაცნაირად გამზარდა.

შოთა იათაშვილი: ჩვენთან ჰგონიათ, რომ ლიტერატურაზე მხოლოდ ლიტერატორებმა და მწერლებმა უნდა წერონ. დასავლეთში, და სხვათა შორის რუსეთშიც, ლიტერატურაზე წერენ ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ენათმეცნიერები, მთელი ჰუმანიტარული სპექტრი მონაწილეობს ლიტერატურის შეფასებაში. ეს პრობლემა ვერ მოგვარდება, სანამ ჰუმანიტარები ლიტერატურით არ დაინტერესდებიან. ჩვენთან ბევრი რამ არის გადასალაგებელი, ბევრი უსამართლოდ მივიწყებული ავტორია ამოსაწევი. თუკი ქართულ ექსპრესიონიზმზეა საუბარი, კონსტანტინე გამსახურდიაზე და გრიგოლ რობაქიძეზე ბევრად მნიშვნელოვანი მწერალია დემნა შენგელაია, ან ბასილ მელიქიშვილი, რომელსაც არავინ იცნობს.

რამდენად ეხმიანება ქართული ლიტერატურა იმ თემებს, რაც დღეს მსოფლიოშია აქტუალური?

ლაშა ბუღაძე: ცხადია, მეტ-ნაკლებად ვიცით, რა ხდება თანამედროვე ევროპულ და ამერიკულ პროზაში. მე არ ვსაუბრობ მხოლოდ მყვირალა ავტორებზე. ჩვენთან ნამდვილად არსებობს ტექსტები, რომლებიც საინტერესო იქნებოდა დასავლელი მკითხველისთვის, მაგრამ მათი პოპულარიზაციისთვის არაფერი კეთდება.

რატი ამაღლობელი: სანამ არ გვეყოლება უცხოურ ენაზე თარგმნილი მაღალტირაჟიანი ავტორი, სამწუხაროდ, ამ თემაზე ვერ ვისაუბრებთ.

დისკუსიას უძღვებოდა

ნინო ბექიშვილი

პროფესორმა დავით ბალანჩივაძემ რუსული საინფორმაციო გამოშვებების ნახვის შემდეგ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ქართულ შოუ-პროგრამას, რომელსაც რატომღაც „პრაიმ-ტაიმი“ ერქვა, მთელი ორი საათი უყურა და მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად, ანუ გაყალბების გარეშე ჩატარებაზე საბოლოოდ იმედგადაწურული, საწერ მაგიდას მიუჯდა.

საღამოს თერთმეტი სრულდებოდა.

ბალანჩივაძეების ბინის კარებთან ვიღაცამ ზარს თითი დააჭირა.

კარები ბალანჩივაძის ქალიშვილმა თამრიკომ გააღო და შორეული ნათესავი ქალბატონი, რომლის სახელიც ვერ გაიხსენა, ბინაში შემოიპატიჟა. თამრიკო სტუმარს მამის სამუშაო ოთახში შეუძღვა. გაკვირვებულ პროფესორს სულ ერთი წამით გაექცა თვალი საწერი მაგიდის მოპირდაპირე მხარეს ჩამოკიდებული ანტიკვარული საათისკენ, რომელიც სიზუსტით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ აქაურობას აკადემიზმისა და ერთგვარი რესპექტაბელურობის იერს ნამდვილად სძენდა.

- ძვირფასო ქეთევან, ამ შუაღამისას... შენ... თუმცა, დროს რა მნიშვნელობა აქვს, - აშკარად დაბნეული იყო პროფესორი. მისი ყოველთვის მეტყველი და აზრიანი მუქი თვალებიდან ახლა სრული უმწეობა იმზირებოდა. საფუძვლიანად შეთხელებულ ქოჩორს მარცხენა ხელით ისწორებდა და თვალებს ჩვეულებრივზე ხშირად ახამხამებდა. მერე დაბნეულობას სძლია და უდროო დროს შემოჭრილ ნათესავს სავარძლისკენ მიუთითა.

- დაბრძანდით.

- ჩემო დათიკო, - შინაურულად დაიწყო სტუმარმა, - ამ შუაღამისას როგორ შეგაწუხებდი, მაგრამ უცხო და შორებლები რომ არ ვართ და არც ვთვლით ასე ერთმანეთს, იმიტომ შეგაწუხე ასე გვიან.

- რას ამბობ, რას ამბობ, ჩემო ქეთევან, - უმალ გამოეპასუხა მასპინძელი, - დავბერდით, შე ქალო, ერთად, რაღა დროს ჩვენი უცხოობაა?!

- რას შვრებით, როგორ ხართ? შენს სტატიებს და ინტერვიუებს ქე ვკითხულობ გაზეთებში, - თქვა სტუმარმა.

- ან გაზეთი ვის სჭირდება ახლა და ან სტატია, ხომ ხედავ, საგიჟეთს დაემსგავსა ეს ქვეყანა.

- მაგი კია მართალი, დათიკო, მართლა გაგიჟდა ეს ხალხი და ეს ქვეყანა. განსაკუთრებით არჩევნების წინ იგრძნობა ეს, მაგრამ ახლა მე შენ ამბავს მოგიყვები, გადაგრევ, იცოდე...

- რა ხდება ასეთი, ჩემო ქეთევან? რაღაცა შეწუხებული მეჩვენები ძალიან.

- შეწუხებული რომელია, შეწუხებული კი არა, სისხლი მაქვს გამშრალი ძარღვებში, ისეთი ამბავი მჭირს, - თქვა სტუმარმა და მცირე პაუზის შემდეგ, ძლივს ამოღერღა, - გოკა დაჭირეს. - ქალმა ნერწყვი გადაყლაპა. ოდესღაც დიდრონ თვალებს ახლა დაღლილობისგან დამძიმებული ქუთუთოები უვიწროებდა. დიდი ხნის შეუღებავ თმებს სარეველასავით მოსდებოდა ჭაღარა.

- ვინ გოკა? - შიშნარევად იკითხა პროფესორმა.

- ჩემი ბიჭი, - უპასუხა ქალმა, - შენ დიდი ხანია არ გინახავს, დაკაცდა უკვე, ოცდამეექვსეშია, - თქვა, - ამ მთავრობისას გაიგებ რამეს? საგადასახადოში მუშაობდა. ამ რამდენიმე დღის წინ მიუცვივდნენ შავნიღბიანები და ექვსი კაცი დაიჭირეს კორუფციის ბრალდებით. ტელევიზორში არ გინახავს, ერთი ალიაქოთი რომ იყო?

- კი ვნახე, მაგრამ შენი ბიჭი თუ ერია მაგაში, რას ვიფიქრებდი? - შებრალების კილოთი წარმოსთქვა ბალანჩივაძემ.

- ჩემი შვილიც ურევია, მოუკვდეს დედა, - ხმა აუკანკალდა ქალს. გახუნებული ტყავის ჩანთა გახსნა, იქიდან ოთხად გაკეცილი თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი მოიწმინდა, - თანაც სრულიად უდანაშაულოა, თვითონ გამომძიებელმა აღიარა, მაგრამ რად გინდა რა, არ უშვებენ ციხიდან.

- როგორ, თუ გამომძიებელი ამბობს, რომ უდანაშაულოა, ციხეში რის საფუძველზე აჩერებენ? - გულწრფელი გაკვირვებით იკითხა პროფესორმა და მარჯვენა ხელის შუათითით კეფა მოიქექა.

- ხომ გითხარი, ისეთ რამეს გეტყვი, გადაირევი-მეთქი, - სახეში მიაჩერდა ქალი, - არ გაინტერესებს, რას მთხოვენ უდანაშაულოდ დაპატიმრებული შვილის ციხიდან გათავისუფლების სანაცვლოდ? ხუთასი ადამიანის პირადობის მოწმობა უნდა მოვაგროვო და პოლიციაში წარვადგინო.

- პირადობის მოწმობები რად უნდათ? - გაოცდა პროფესორი.

- ხუთასი ადამიანი თუ დავითანხმე, რომ არჩევნებში ხმას მათ მისცემენ, იმ ხუთასმა ადამიანმა, დასტურის ნიშნად, პირადობის მოწმობები უნდა გადმომცეს. არჩევნებში მათი მისვლა საჭირო არ იქნებაო, მითხრეს, ხმას მათ მაგივრად ჩვენ მივცემთ და არჩევნების მეორე დღესვე პირადობის მოწმობებს დავუბრუნებთო...

- მდა�ა... პროფესორმა ამ მოძველებულ და დიდი ხნის წინ ხმარებიდან ამოღებულ შორისდებულში ჩააქსოვა გაკვირვებაც, აღშფოთებაც.

- შენი ჭირიმე, ჩემო დათიკო, ნუ მეტყვი უარს და ნუ დამიღუპავ უდანაშაულო შვილს. არჩევნებამდე დიდი დრო არაა დარჩენილი. პირადობის მოწმობა რაში დაგჭირდება? მივცეთ თქვენი ხმა ამ გარეწარებს, მაინც გააყალბებენ არჩევნებს, რა მნიშვნელობა აქვს, ვის მისცემ ხმას?! - ეხვეწებოდა ქალი.

ბალანჩივაძეს შეეცოდა გულდამწვარი დედა, მაგრამ ამგვარ უზნეო გარიგებაზე დათანხმება მაინც შეუძლებელი ეჩვენა.

- კი მაგრამ, ხუთასი ადამიანის შეგროვებას შეძლებ? - ხავსს წაეპოტინა იგი.

- სხვა რა გზა მაქვს, შევძლებ, - იმედიანად თქვა ქალმა, - ეს სამოცდაშვიდი პირადობის მოწმობა უკვე შევაგროვე, ეს სამოცდამერვე შენი იქნება. უარი რომ მითხრა, გავგიჟდები. სიკეთეს, მე თუ არა, ღმერთი გადაგიხდის, - აკანკალებული ხელით ამოიღო ჩანთიდან ცხვირსახოცი.

- არ ვიცი, არ ვიცი, - თავისთვის ბურტყუნებდა პროფესორი. - ეს რა უბედურებაა, ასეთი რამ გაგონილა?! მთლად გაგიჟდნენ და გადაირევნენ, კაცო, მთლად... - წამოდგა და ბოლთას ცემა დაიწყო. ქალი შიშისგან გაგანიერებული თვალებით მისჩერებოდა და განაჩენს ელოდებოდა.

- არ ვიცი, - თქვა კვლავ პროფესორმა და მცირე პაუზის შემდეგ მოკლედ მოჭრა, - ამაღამ ვიფიქრებ და ხვალ დილას თვითონ დაგირეკავ.

- კარგი, ჩემო დავით (ამჯერად, კნინობითს ეს ფორმა ამჯობინა), მოიფიქრე და შემატყობინე, მაგრამ ნუ დამღუპავ, გთხოვ. ჩემი სული თქვენს (მხოლობითს მრავლობითი ფორმა არჩია) ხელთაა. აბა, ღამე მშვიდობისა, - წამოდგა.

- თამრიკო, - გასძახა პროფესორმა ქალიშვილს, - სტუმარს მოხედე, ჩაი მაინც დავლიოთ...

- არაფერია, ნუ სწუხდებით, ისედაც აგაფორიაქეთ, - წუხდა ქალი.

- კი მაგრამ, ამ შუაღამისას როგორ წახვალ? - შეწუხებული იყო მასპინძელიც.

- არა უშავს, აგერ ტაქსს დავიჭერ.

- გამოგვეძახა მაინც, - ნერვიულობდა ბალანჩივაძე.

- არ არის საჭირო, უამრავი ტაქსი დადის, - თქვა სტუმარმა, - მთელი ქალაქი უმუშევარია და, ვისაც მანქანა ჰყავს, უმრავლესობა ტაქსა-

ობაზეა გადასული, - თქვა და გასასვლელი კარის სახელურს წაეპოტინა, მაგრამ მასპინძელმა არ დაანება, რკინის მძიმე კარი თვითონ გააღო და სტუმარს გზა დაუთმო.

- ნახვამდის, ჩემო დავით, ნახვამდის, - ქალმა ზღურბლს გადააბიჯა და ერთხელ კიდევ შემოხედა მასპინძელს ისეთი თვალებით, როგორც წყალწაღებული შეხედავს მხსნელად მოვლენილს, - ჰო, მართლა, ტელეფონი ხომ გახსოვს?

- მახსოვს, ჩემო ქეთევან, როგორ არ მახსოვს, - დაამშვიდა მან ქალი და, - ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, - მიაძახა კიბეზე ჩამავალს...

ბალანჩივაძე ასეთი უცნაური დილემის წინაშე არასოდეს მდგარა. პოლიტიკაში არ ერეოდა, მაგრამ ოთხ წელიწადში ერთხელ თავის მოქალაქეობრივ ვალს პირნათლად იხდიდა და ხმას იმ პოლიტიკურ პარტიას აძლევდა, რომლის პროგრამაც მის პოლიტიკურ მრწამსს ასე თუ ისე ესადაგებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ არცერთ იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც ბალანჩივაძე ხმას აძლევდა, არჩევნებში არასოდეს გაუმარჯვია და მისი ხმა ქარსა და წყალს გატანებული გამოდიოდა, მაგრამ პროფესორი მაინც კმაყოფილი რჩებოდა, რადგან მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სინდისის კარნახით იყო განპირობებული და მისი ალზრდისა და შინაგანი კონსტიტუციისთვის უკადრებელი და საწინააღმდეგო რამე მოტივით არასოდეს უხელმძღვანელია. აქამდე ნამდვილად ასე იყო, მაგრამ აგერ ეს ქალი, რომელმაც სულ რამდენიმე წუთის წინ ჩაიარა კიბეზე, ამ შუაღამისას თავს დაადგა და მისგან სწორედ ის მოითხოვა, რასაც საკუთარ სინდისთან კომპრომისზე წასვლა და უკადრებელი საქციელის ჩადენა ჰქვია...

პროფესორმა აშკარად გაიგონა საკუთარი გულის ბაგა-ბუგი. სახე ორივე ხელით მოიფშვნიტა და იგრძნო, რომ შუბლი უხურდა, ყურებში კი გაბმული წივილი ედგა. ბალანჩივაძე, როგორც მის გვარს ეკადრებოდა, კარგი მუსიკალური სმენით იყო დაჯილდოებული და ამ დარგში საკმარისი განათლებაც ჰქონდა. - ნეტავ, რა ნოტია, ასე გამუდმებით რომ მიწივის ყურში? - დაინტერესდა იგი, - მცირე ოქტავის რე უნდა იყოს, - დაასკვნა, მაგრამ მთლად აბსოლუტური სმენითაც ვერ დაიტრაბახებდა და შემოწმება გადაწყვიტა. ფორტეპიანოს თავი ახადა, საკუთარ ყურებში ჩამდგარ გაბმულ წივილს მიაყურადა და კლავიშები მოსინჯა. ის ხმაც მალე დაიჭირა. მცირე ოქტავის რე დიეზი აღმოჩნდა. გაელიმა. პრინციპში, სწორი დასკვნა ჰქონდა გაკეთებული...

საწერ მაგიდასთან დაჯდა და გაწყვეტილ სტატიასთან მიბრუნება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, თვალწინ ახლახან წასული ნათესავის სახე ედგა, რომლის თმებსაც სარეველასავით შესეოდა ჭაღარა...

თავი ასწია. მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებული უზარმაზარი სარკე ბალანჩივაძის ფიზიონომიას ირეკლავდა. ისე ჩანდა, რომ ორეული ნამდვილ ბალანჩივაძეს გულმოდგინედ ათვალიერებდა. მას თითქოს თავისთავადი შინაარსი შეეძინა და სარკიდან ისე იყურებოდა, უბრალო ანარეკლი კი არა, მართლა სხვა ვინმე ყოფილიყო.

ბალანჩივაძემ შინაგანი ენერგიის მობილიზება შეძლო, ორეულს თამამად გაუყარა თვალები თვალები და ხმამაღლა ჰკითხა:

- რა გინდა?

ორეულს ხმა არ გაუღია, არც განძრეულა, იჯდა თავისთვის.

ბალანჩივაძეს გულმა რეჩხი უყო. მან აშკარად დააფიქსირა, რომ როდესაც წარმოსთქვა სიტყვები, - რა გინდა? - ორეულს ტუჩები არ გაუნძრევია. - ახლავე შევამოწმებ, - გაიფიქრა ბალანჩივაძემ და მარჯვენა ხელი საკუთარი სახის წინ ისე აიქნია, როგორც მოჩვენების დასაფრთხობად და მოსაშორებლად აკეთებენ-ხოლმე, მაგრამ, ნურას უკაცრავად, სარკიდან ჯიქურ მომზირალ ორეულს გულშიც კი არ გაუვლია ბალანჩივაძის ამ მოძრაობის გამეორება.

პროფესორს გააკრჭოლა, მერე მთელი სხეული თითქოს გაეყინა, მაგრამ მაინც სძლია შიშს და ფეხზე წამოდგა... ორეული კი მშვიდად იჯდა სავარძელში და შეშინებულ-აწრიალებულ ნამდვილ ბალანჩივაძეს ოდნავ დამცინავი, იქედნური მზერით ათვალიერებდა.

- რა გინდა? - ადრე დასმული შეკითხვა ახლა თითქმის ყვირილით გაიმეორა პროფესორმა და კვლავ სავარძელში ჩაეშვა. ახლა ორეული ნამდვილი ბალანჩივაძის ზუსტი ანარეკლი იყო, მაგრამ ეს სინქრონულობა დიდხანს არ გაგრძელებულა...

- შენ თვითონ რა გინდა? - ნამდვილ ბალანჩივაძესავით დაილაპარაკა ორეულმა. ხმაში ბალანჩივაძისეული სიმტკიცე და დამაჯერებლობა იგრძნობოდა. ბალანჩივაძემ პირი დააღო, მაგრამ რისგან იყო ეს - შიშისგან თუ გაოცებისგან, თვითონაც არ იცოდა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ბალანჩივაძისთვის გაურკვეველმა რაღაც ძალამ აიძულა იგი, ამ უცნაურ თამაშს აჰყოლოდა და სარკეში არეკლილ, მაგრამ რაღაც მანქანებით სინქრონულობადარღვეულ საკუთარ ორეულთან დიალოგი გაება.

- სინდისთან კომპრომისზე არ წავალ და იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც სამშობლოს მინგრევს, ხმას არ მივცემ! - თქვა.

- უდანაშაულოდ დაპატიმრებული ახალგაზრდა არ გეცოდება? - ჰკითხა ორეულმა.

- მეცოდება. უდანაშაულოდ დაპატიმრებული ახალგაზრდა მეცოდება, მაგრამ სრულიად საქართველო უფრო მეცოდება. მათი ხელახლა არჩევა საქართველოს ბოლომდე განადგურებას ნიშნავს. ჯობს, ერთითი მეტი უდანაშაულო იტანჯებოდეს ციხეში, ვიდრე მთელი საქართველო დაიღუპოს.

- სავსებით სწორი მსჯელობაა, მაგრამ განა იმ შენს ერთ ხმაზეა დამოკიდებული მათი ბედი? - დამცინავად ჰკითხა ორეულმა, - შენ ხომ კარგად იცი, რომ ის ამ არჩევნებში თავს გამარჯვებულად გამოაცხადებს, მიუხედავად იმისა, მისცემ თუ არა მას ხმას შენ.

- ვიცი, - უპასუხა ბალანჩივაძემ, - მაგრამ მე, როგორც ერთი რიგითი ქართველი, როგორც პატრიოტი ჩემი ქვეყნისა, ვალდებული ვარ, მათ წინააღმდეგ მივცე ხმა. ეს ჩემი ეროვნული და მოქალაქეობრივი მოვალეობაა და მე ეს მოვალეობა უნდა შევასრულო, რადაც უნდა დამიჯდეს.

- მოვალეობის შესრულება კარგია და მისასალმებელი, მაგრამ როდესაც სრული ასი პროცენტით ხარ დარწმუნებული, რომ შენს ამ საქციელს არანაირი შედეგი არ მოჰყვება, ეს მოვალეობის შესრულება კი არა, სუფთა სინდისის შენარჩუნების უბადრუკი მცდელობაა. თუ გიფიქრია ამაზე? - ხმას აუწია ორეულმა.

- მიფიქრია, მაგრამ მე სხვაგვარი მოქმედების, სხვაგვარი ბრძოლის არც მექანიზმი გამაჩნია და არც საშუალება, - თითქოს თავი იმართლაო, ისე ჩაილაპარაკა ბალანჩივაძემ.

- ჰოდა, არ გინდა რამე შეიცვალოს? - გამოცოცხლდა ორეული, - შენ ახლა სხვაგვარი შანსი გეძლევა. იმ შენს ხმას, რომელსაც ყოველი არჩევნების დროს ქარს ატან, ახლა შეუძლია რეალური სიკეთე მოუტანოს თუნდაც ერთ ადამიანს. თუ ხმას მათ საწინააღმდეგოდ მისცემ, ის შენი ხმა დაკარგულია, მაგრამ თუ ხმას მისცემ, იგი თავისუფლებას მოუტანს ციხეში უდანაშაულოდ გამოკეტილ ადამიანს. შენთვის, ფილოსოფიის დოქტორისთვის, ძნელია იმის მიხვედრა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ასეთ ვითარებაში წესიერი ადამიანი?

- ღვთის გულისთვის, ღვთის გულისთვის, - შეაწყვეტინა პროფესორმა, - ჩემს წესიერებაში ეჭვის შეტანის უფლებას არავის მივცემ. ამ სამარცხვინო ნაბიჯის შემდეგ როგორ შევხედო თვალებში იმ სწორედ რომ წესიერ ადამიანებს, რომლებიც არჩევნებში ხმას წინააღმდეგ აძლევენ?!

- შენ კვლავ შენს თავზე ფიქრობ, - ჩამოართვა სიტყვა ორეულმა, - ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისას, საკუთარ თავზე კი არა, იმ საქმეზე უნდა იფიქრო, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებ. შენ კი, ნაცვლად იმისა, რომ გაჭირვებულ ადამიანს დაეხმარო, გაიძახი, ხმას, როგორც აქამდე ვატანდი ქარს, ახლაც ისევე გავატანო. ესაა წესიერება?

- როგორ გეკადრებათ?! - გაბრაზდა პროფესორი, - წესიერება შედეგით არ იზომება, იგი თავისთავადი ცნებაა. ქცევა წესიერია მაშინაც, როდესაც იგი შედეგს ვერ აღწევს. მეტსაც გეტყვი, შესაძლოა, წესიერების ერთგვარი საზომი სწორედ რომ შედეგზე არაორიენტირებულობა იყოს.

- მორჩი რა, თუ ძმა ხარ, - აშკარა ქილიკზე გადავიდა ორეული, - ვის რად უნდა ეგ თავისთავადი წესიერება, რომელიც არც შენ გაძლევს რამეს და არც სხვას?!

- მაშ, რა ვქნა? - წამოიჭრა სავარძლიდან ბალანჩივაძე. სახეზე წამონთებულიყო და ქვედა ყბა უკანკალებდა, - რა ვქნა?

ორეული მშვიდად წამოდგა სავარძლიდან და სარკეს მოუახლოვდა. თავი გამარჯვებულივით ეჭირა და მშვიდად ლაპარაკობდა.

- ხვალ დილას დაურეკე ქალბატონ ქეთევანს და უთხარი, რომ წაიღოს შენი პირადობის მოწმობა. ეს შენი ხმა აქამდე არავის დასჭირვებია

და მომავალშიც, ალბათ, არავის დასჭირდება. იგი ახლა ქალბატონ ქეთევანს და მის უკანონოდ დაჭერილ შვილს სჭირდება. გაატანე პირადობის მოწმობა პოლიციაში და მოიხადე შენი ადამიანური ვალი ამ კონკრეტული ადამიანებისა და, თუ გნებავს, ქვეყნის წინაშეც...

მოთენთილსა და თითქმის დამარცხებულ პროფესორს ხმა არ ამოუღია, ისე შემოტრიალდა. ორეულმაც იგივე მოძრაობა გაიმეორა და ისინი სინქრონულად ჩაეშვნენ თავიანთ სავარძლებში. ცოტა ხანში ორივეს თვლემა მოერია...

კარგად არც იყო გათენებული, ბალანჩივაძეს რომ გაეღვიძა. იგი მკვირცხლად წამოხტა სავარძლიდან და ტელეფოს ეცა.

- ალო, - ჩასძახოდა ყურმილს, - ალო, ქეთევან, გესმის? ჰო, ახლავე წამოდი და წაიღე ჩემი პირადობის მოწმობა... თანახმა ვარ, რა თქმა უნდა, მერამდენე ვარ? ას სამოცდამერვე, ხომ? არა უშავს, მეც დაგეხმარები, ჩემს მეგობრებს ვთხოვ, რომ ხმა მათ მისცენ, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება...

ბალანჩივაძემ ყურმილი დადო და საბაზანოში შევარდა, ცხრა საათზე უნივერსიტეტში ლექცია ჰქონდა...

იმ დღეს პროფესორმა ბალანჩივაძემ ლექცია უცნაურად დაიწყო.

- მთავარი, სინდისის ხმაა, - ამბობდა იგი, - სულაც არ არის აუცილებელი, პირადობის მოწმობა გქონდეს, მაგრამ სინდისის ხმა მუდმივად უნდა ჩაგესმოდეს ყურში...

სტუდენტებმა ერთმანეთს გადახედეს. ექსტაზში შესული პროფესორი კი კიდევ უფრო უცნაურად განაგრძობდა თხრობას.

- რაც უფრო მაღალ რეგისტრშია აყვანილი სინდისის ხმა, მით უკეთესია, მაგრამ არსებობს ზედა ზღვარიც, მცირე ოქტავის რე. სინდისის ხმა ამ ზღვარს ნახევარი ტონითაც რომ გასცდეს, ეს უკვე საშიშია. ჩემი სინდისის ხმა წუხელ ამ ზღვარს გასცდა და რე დიეზში გადავიდა...

სტუდენტები გაოცებულნი უსმენდნენ ამ აბდაუბდას. აქა-იქ ჩუმი ჩახითხითებაც გაისმა, მაგრამ პროფესორი მათ ყურადღებას არც აქცევდა.

- თქვენ, ყველამ, არჩევნებში ხმა ასეთ მოძრაობას უნდა მისცეთ! დე, გასცდეს საშიშ ზღვარს ჩვენი სინდისის ხმა, დე, სინდისი, ჩვენი მაქსიმალიზმით, უსინდისობად გვექცეს, ოღონდ მცირეოდენი მიზანი მაინც დავისახოთ! წყალს წაუღია არჩევნებიც და პარლამენტიც, წყალს წაუღია პირადობის მოწმობები და ჩვენი თავიც, გესმით?! უბედურება ის კი არ არის, როდესაც ადამიანში სინდისი და უსინდისობა უპირისპირდება ერთმანეთს, უბედურება ისაა, როდესაც გაორებული სინდისი ებრძვის ერთმანეთს და უსინდისობაში გადაჰყავს... თქვენ ახალგაზრდები ხართ, მაგრამ დროა, სარკეში ჩაიხედოთ და საკუთარ ორეულებს გულწრფელად გაესაუბროთ. გარწმუნებთ, რომ ოდესმე აუცილებლად დაგერღვევათ მათთან სინქრონულობა...

პროფესორმა ლექციაზე კიდევ ბევრი უცნაური რამე თქვა, მაგრამ ახარხარებულ აუდიტორიაში მისი უკვე აღარავის ესმოდა...

„მამულის“ მეგობარია:

კომპიუტერების ექიმი

www.mycompwiz.com; 1-908-361-9590 აკაკი ჯიქია

ვირუსისგან გაწმენდა

თუ შეამჩნევთ, რომ თქვენი კომპიუტერი არ ფუნქციონირებს ისე, როგორც ადრე, შესაძლებელია კომპიუტერი ინფიცირებული იყოს ვირუსებისგან, Malware,Spam ან კიდე keylogger ისგან, რომელსაც ესაჭიროება გაწმენდა;

სადენის შეკეთება

ხშირ შემთხვევაში ლეპტოპის სადენი ზიანდება სხვადასხვა მიზეზის გამო და შეუძლებელი ხდება ბატარეაზე დენის მიწოდება. ესაჭიროება შეკეთება;

მიკროსისტემების გამოცვლა

ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ ლეპტოპს ან დესკტოპს გამოვუცვალოთ დაზიანებული მიკრო-სისტემა და დავაბრუნოთ მუშა მდგომარეობაში;

კლავიატურის გამოცვლა

თუ თქვენს ლეპტოპს ესაჭიროება კლავიატურის გამოცვლა, ჩვენ მზად ვართ დაგეხმაროთ ნებისმიერი მოდელის კლავიატურის გამოცვლაში. თუ ფიზიკურად არ ხერხდება ჩვენამდე მოსვლა, დაგეხმარებით საფოსტო მომსახურებით;

ფენის გამოცვლა

თუ თქვენი ლეპტოპი ითიშება ხშირად უმიზეზოდ, შესაძლებელია ფენი იყოს დაბინძურებული ან გამოსაცვლელი. გათიშვის მიზეზი შესაძლებელია გადახურებამაც გამოიწვიოს და თავისით გაითიშოს დაცვის მიზნით. მოულოდნელმა გათიშვამ შეიძლება ვინჩესტერიც დააზიანოს, ამისათვის დროულად უნდა შეკეთდეს;

ეკრანის გამოცვლა

არასწორმა მოპყრობამ ადვილად შესაძლებელია ლეპტოპის ეკრანი დაზიანოს და საჭიროებს გამოცვლას;

ფაილების აღდგენა

ფაილების დაკარგვის შემთხვევაში, ვინჩესტერის გაფუჭების, „USB flash drive“, „External hard drive“, „IDE“, „SCSI hard drive“, „SSD“ ჩვენი პარტნიორის ლაბორატორია საშუალებას გვაძლევს,რომ მოვიპოვოთ ის დაკარგული ინფორმაცია, რასაც ჩვეულებრივი „recovery“ პროგრამა ვერ აკეთებს;

* * *

ჩვენ შეგვიძლია ინტერნეტით, თქვენთან მოუსვლელად დავუკავშირდეთ კომპიუტერს. ჩვენი მომსახურება გარანტირებულია, ვინაიდან პროფესიონალურად ვეკიდებით ჩვენთვის დაკისრებულ მოვალეობას და შესაბამისად, მომხმარებლებიც ბედნიერია ჩვენით.

ამერიკაში:

ნიუ-იორკში:
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235
Tel: 718-934-1700
Alt: 347-500-5037

ნიუ-ჯერსში:
84 Harbor Drive,
Jersey City, NJ 07305
Tel: 201-333-5555

დელავარეში:
4 Lewis circle
Wilmington, DE 19804
302-930-0705

ფილიალები:
თბილისი
ქუთაისი
რუსთავი
ბათუმი
ფოთი
ბოლნისი
თელავი
მარნეული

Barami
LOGISTICS

Tel: 201-333-5555
www.barami.us

ამანათები

4-5 სამუშაო დღეში
აშშ-დან საქართველოში
ერთი პაუნტი - 2.50$-დან;

ამანათების გამოგზავნა **საქართველოდან**

ავტომობილების

ყიდვა-გაყიდვა
საქართველოსა და ამერიკაში;

ავტომობილის, კომერციული
და პირადი ტვირთის
შიდა გადაზიდვები
აშშ-ში.

ჩვენს საიტზე **www.barami.us**
დარეგისტრირებით თქვენ გაგიადვილდებათ:
- კრედიტ-კარტით გადახდა;
- ამანათის სტატუსის შემოწმება;
- ამანათის ადგილიდან აღების შეკვეთა

www.barami.us
www.baramicar.com
www.facebook.com/Barami.us

ხშირად ხდება - წაკითხული წიგნის ეკრანიზაციას ნახავ და იმედგაცრუება გეუფლება. „დათა თუთაშხია“ კი ფილმი-შედევრია, რომელიც ლიტერატურული შედევრიდან შეიქმნა, ამდენად, იმ იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა პირველწყაროც და ფილმიც ადამიანზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. საბჭოთა დროს მსგავსი ფილმის შექმნა რისკთან იყო დაკავშირებული - შეიძლებოდა, ცენზურის მსხვერპლი გამხდარიყო. საბედნიეროდ, რეჟისორების მოხერხებულობამ და ზოგიერთმა სხვა ფაქტორმა ფილმს ეკრანისკენ გზა გაუხსნა. როგორ იქმნებოდა „დათა თუთაშხია“ და რა უსწრებდა წინ მის გადაღებას, ამის შესახებ „დათა თუთაშხიას“ დამდგმელი რეჟისორი (გიგა ლორთქიფანიძესთან ერთად), ბატონი გიზო გაბისკირია მოგვითხრობს.

როგორ დაითანხმეს გრაფი სეგედის როლის შემსრულებელი

- ბატონო გიზო, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ 1973 წელს წიგნად გამოიცა, 1975 წელს კი მის კინოვერსიაზე მუშაობა დაიწყეთ. მიამბეთ იმ ფიქრებზე, რომელიც ფილმს წინ უძღოდა.

- „დათა თუთაშხიას“ ბეჭდვა 1971-72 წლებში ჟურნალმა „ცისკარმა“ დაიწყო და საქართველოში მაშინვე პოპულარული გახდა. მაშინ მოსკოვში ვცხოვრობდი (ვსწავლობდი კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე) და ბუნებრივია, არც ერთ ღონისძიებას, რომელიც საქართველოს უკავშირდებოდა, არ ვაცდენდი. რომანის შეძენა მოსკოვში, გალაკტიონის საღამოზე მოვახერხე. მახსოვს, ორი წიგნი ვიყიდე - ჭაბუას „დათა თუთაშხია“ და ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ამ წიგნების ორივე ავტორს ვიცნობდი და უაღრესად დიდ პატივს ვცემდი. დამათენდა ის ღამე „დათა თუთაშხიას“ კითხვაში და ვხედავ, წიგნი ხელში მელევა.

გადავკეცე და გადავდე - შევინახე, გავიხანგრძლივე კითხვის პროცესი. იმის ილუზია არ გამჩენია, რომ ამის გადაღების უფლებას ვინმე მომცემდა. ძალიან გასაკვირი იქნებოდა ჩვენს იერარქიაში,რომ სადიპლომო ნაშრომის შემდეგ, რეჟისორისთვის ამხელა ფილმი მიეცათ გადასაღებად. გავიდა ხანი. ისევ მოსკოვში ვიყავი და რეზო ჩხეიძემ დამირეკა (ჩემი სადიპლომო ნამუშევარი ჰქონია ნანახი და დაინტერესდა ჩემი ბედით). - რას აკეთებო? - მკითხა. - „მოსფილმში“ ფილმის გადაღებას ვაპირებ-მეთქი, - ვუპასუხე. ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა, რომელიც რეზო ჩხეიძის დანიშვნამდე მუშაობდა იქ, არ მომცა საშუალება საქართველოში მემუშავა. რეზომ მითხრა, - მანდ ნუ ზიხარ, ჩამოდი და აქ ფილმი გადაიღეო.

რაღაც პერიოდის შემდეგ მოსკოვში ჭაბუა ამირეჯიბი ჩამოვიდა და როგორც ყოველთვის, დამირეკა; მითხრა, - აქ ჩემს დასთან, როდამთან გავჩერდიო. იმ საღამოს, ახალაშენებულ სასტუმრო „როსიის“ რესტორანში დავსხედით. ულამაზესი და-ძმა! როდამის იტალიელი მეუღლეც იქ იყო - დიდი ფიზიკოსი, ბრუნო პონტეკორვო. ბუნებრივია, ცოტა დავლიეთ კიდეც და ჭაბუამ მკითხა: - იცი, რომ „დათას“ გადაღებები იწყებაო? არაფერი ვიცოდი. ჭაბუამ გაგრძელა: - და რამე რომ იყოს, გადაიღებდიო? - ისე ვარ მოჯადოებული, რომ ალბათ გადავდგამდი ამ საბედისწერო ნაბიჯსმეთქი, - ჩავიცინე. - აბა, თუ ვინმე გადაიღებს ამ ფილმს, მათ შორის შენც იქნებიო, - მითხრა, მაგრამ მაინც ვერ დავიჯერე ჭაბუას სიტყვები და ეს ცოტათი, ღვინოსაც მივაწერე... არადა, რაც თქვა, მერე ყველაფერი შეასრულა. გიგას ზარმა კი, თბილისიდან, ყველაფერი საბოლოოდ გადაწყვიტა, - მან თავისთან ერთად მუშაობა შემომთავაზა.

- ამან საფიქრალი გაგიჩინათ?

- რა თქმა უნდა! ასეთი ნაწარმოების ეკრანიზაცია დიდი პასუხისმგებლობაა რეჟისორისთვის. როგორია ასეთი გენიალური ნაწარმოების გაფუჭება?! ამ პერიოდში კინოსტუდიის რედაქტორად გია ბადრიძე, ცნობილი მომღერლის, დავით ბადრიძის ვაჟიშვილი მუშაობდა. სწორედ მას გაუჩნდა „დათა თუთაშხიას“ ეკრანიზაციის იდეა და რეზო ჩხეიძეს გაანდო. თავიდან 24 სერიის გადაღება უნდოდათ, მაგრამ მოსკოვმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკება, სცენარის ჩატანა-ჩამოტანა, ხელახალი წაკითხვა, სამხატვრო საბჭოზე გატანა... რუსები ჯიუტად ითხოვდნენ 3-4 სერიას. ძალიან დაზარალდებოდა ტექსტი... ბოლოს, 7 სერიაზე შეჩერდნენ და ჭაბუაც დათანხმდა. როდესაც ჩვენ ჩავრთეთ პროცესში, უკვე გადაწყვეტილი იყო 7 სერიის გადაღება. სცენარი თავად გააკეთა ჭაბუამ; კონსულტაციას ბრწყინვალე პოეტი და მწერალი, ანზორ სალუქვაძე უწევდა. ჭაბუა არ იყო კინოში ახალი მოსული, ის რედაქტორადაც მუშაობდა და დოკუმენტური სტუდიის დირექტორიც იყო, მაგრამ როდესაც ადამიანს ყველა სტრიქონზე აქვს ნაფიქრი, მისთვის ძალიან ძნელია, რამეს შეელიოს. ისეთი ადამიანი სჭირდებოდა გვერდით, რომელსაც ენდობოდა... სხვათა შორის, გადაღებების დაწყებიდან რაღაც მომენტში, ჭაბუამაც დაიჯერა, რომ ფილმი გამოგვდიოდა და მახსოვს, ეს კმაყოფილება დათასა და მუშნის სადგურში შეხვედრის სცენის გადაღების შემდეგ გამოხატა.

- ფილმის რუსულმა სახელწოდებამ საგონებელში ჩამაგდო. რატომ შეცვალეთ რუსულ ვარიანტში ფილმის სათაური?

- ეს რუსების მოთხოვნა იყო. „დათა“ რუსულად „დატად“ გამოითქმის, რაც თარგმანში „თარიღს“ ნიშნავს. რუსებს ქართული სათაური დააბნევდა. ვიფიქრეთ ჩვენ ამ საკითხზე. ნაწარმოების იდეა ასეთია: დათა ხან ერთ გზას ირჩევს, ხან - მეორეს, თავისი ცხოვრების კრედოდ, ხან - ჩაურევლობას, ხან - ჩარევას, ხანაც - მმარგველის როლის აუცილებლობას; სხვადასხვა ნაპირს აწყდება იმის ძიებაში, თუ როგორ უნდა იცხოვროს. ამიტომაც დავარქვით ფილმს „ნაპირები“.

- ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო პერსონაჟების შერჩევის პროცესი. ვინ გადაწყვიტა, რომ მთავარი როლი ოთარ მეღვინეთუხუცესს ეთამაშა?

- ასეთი ფრაზა არსებობს: „თუ არ გყავს ჰამლეტი, „ჰამლეტი“ არ უნდა დადგა“. ბედს მივაწერ იმასაც, რომ იმ პერიოდში ამდენი დიდი მსახიობი გვყავდა. სამი მთავარი პერსონაჟიდან (დათა, მუშნი და გრაფი სეგედი), ორზე არც კი გვიმსჯელია, პირდაპირ გადავწყვიტეთ, ოთარ მეღვინეთუხუცესი და თენგიზ არჩვაძე აგვეყვანა. აბა, მითხარით, განა იყვნენ სხვა მსახიობები, რომლებიც ამ როლებს შეასრულებდნენ? სინჯებიც კი არ გვქონია. ოთარი მხოლოდ და მხოლოდ გრიმსა და კოსტიუმში გავსინჯეთ. რაღაც სცენაც გადავიღეთ და ესეც, სამხატვრო საბჭოზე სურათის პროექტის დაცვა რომ იყო საჭირო, ამისათვის.

- თავად როგორი რეაქცია ჰქონდა ბატონ ოთარს, როდესაც გაიგო, რომ ამ როლს შეასრულებდა?

- ოთარმა თავიდანვე იცოდა, რომ ის იქნებოდა დათა. იმ პერიოდში, თეატრშიც და კინოშიც ყველა სხვა როლზე უარი თქვა დათას როლის გამო. მხოლოდ ფიროსმანი ითამაშა რამდენჯერმე. უამრავ როლს სთავაზობდნენ, 4 წელიწადი მთელი ცხოვრებაა მსახიობისთვის. როდესაც ფილმს ვამთავრებდით, მხოლოდ მაშინ გვითხრა, - თენგიზ აბულაძემ შემომთავაზა როლი და იქ რომ არ წავიდე, არ შეიძლებაო. ელიოზის როლი იყო „ნატვრის ხე-

ში“. ოთარი მოაზროვნე კაცია, ფიქრი უყვარს. რეჟისორები ამას ვიყენებდით - ხშირად გადავდიოდით მსხვილ ხედზე, როდესაც მისი პერსონაჟი ფიქრობდა, რაღაცას განიცდიდა, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიეღო... ფილმს რეპეტიციების გარეშე ვიღებდით. მიზანსცენას კი ვალაგებდით, ფიზიკურ მოქმედებებს ოპერატორთან, მხატვართან ერთად გავდიოდით, მაგრამ არ დაგვჭირვებია მსახიობებთან ტექსტზე მუშაობა, რადგან ოთარიც, თენგიზიც, სხვებიც დიდი მსახიობები არიან, ნაწარმოები კი - იმდენის მომცემია, რომ ახსნაც აღარ იყო საჭირო, საკუთარი გმირი რომ შეესისხლხორცებინათ. ამან გასაოცარი სიმართლე შექმნა ეკრანზე.

- პირველი კადრები მინდა გაიხსენოთ: საოცარი ბუნება, მეჯოგე დათა, ნავით მოსული სტუმარი ანუ წამი, რომელმაც მერემთელი მისი ცხოვრება შეცვალა...

- ეს კადრები აფხაზეთში გადავიღეთ. სასტუმრო „გუდაუთაში“ ვცხოვრობდით, ნაწილი სოფელ გამარჯვებაში დაბინავდა. შემთხვევით ვნახეთ ის ნაციხარიც. ამ ადგილას ყველაფერი იყო, ბუნებრივი „დეკორაცია“ იყო - საოცარი, გაკრიალებული ზღვა და დიდებული ბუნება. შემთხვევით დავესწარით ყველის ამოყვანასაც, რომელიც მერე ფილმის პირველი კადრი აღმოჩნდა: თითქოს იყო იმ სისუფთავეში რაღაც სიმბოლური.

- მუშნიზეც მიამბეთ.

- თენგიზ არჩვაძე ინტელექტუალი მსახიობია. ეს თაობა ასეთია. თენგიზი ძალიან ძუნწი ხერხებით აღწევს დიდ შედეგს. ეს არის სწორედ ოსტატობა.

- დანარჩენი მსახიობები როგორ შეარჩიეთ?

- როლების ჩამონათვალს მივყევით და მსახიობების გვარები მივაწერეთ. ყველა მსახიობმა იმედი გაამართლა. ერთადერთი, გრაფი სეგედის როლის შემსრულებლის პრობლემა გვქონდა. ჭაბუა წერს, რომ სეგედი 300 წლის წინ ჩამოსული, უნგრელი გრაფის შთამომავალია. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ეთნიკურად განსხვავებული ადამიანი უნდა მოგვეძებნა, ამიტომ სხვა ეროვნების მსახიობებზე დავიწყეთ ფიქრი. იმ მსახიობების მცირე სიაც შევადგინეთ, ვინც შეიძლებოდა, მოგვეწვია ამ როლზე. ამ შემთხვევაშიც ბედმა და შემთხვევამ ითამაშა დიდი როლი.

მე რუსეთში წავედი სეგედის მოსაძებნად. ლიტვაშიც ვიყავი, მსახიობ ნორეიკასთან, მაგრამ მან უარი თქვა, მოუცლელობის გამო. მოსკოვშიც ვერავინ ვნახე... მოკლედ, განსაცდელში ვიყავით - არ გვყავდა მსახიობი ძალიან მნიშვნელოვან როლზე, დრო კი მიდიოდა. მოსკოვში მაშინ მიხეილ კალატოზიშვილის სახლში მისი ვაჟი, ჩვენი მეგობარი, ცნობილი კინორეჟისორი და

ოპერატორი, ტიტო კალატოზიშვილი, ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ამ სახლში ხშირად დავდიოდი და ბევრი გამოჩენილი პიროვნება გამიცნია. იმ დღეს სრულიად იმედგადაწურული მივედი ტიტოსთან. იქ დამხვდა ანდრეი ტარკოვსკი, რომელიც ტიტოსთან მეგობრობდა და მეც ახლოს ვიცნობდი. ვუამბე ჩემი გასაჭირის შესახებ. - რატომ არ გინდათ, როლზე იარვეტი მოიწვიოთო? - მკითხა. - როგორ არ გვინდა, მაგრამ მეფე ლირის შემდეგ ძნელი მისაწვდომი იქნება-მეთქი. ტარკოვსკიმ წერილი დამიწერა და მსახიობთან გამატანა.

იმავე ღამეს მოსკოვი-ტალინის მატარებელში ვიჯექი, ჩანთაში კი კონვერტი მედო... ზღვის პირას, ულამაზეს პატარა კოტეჯს მივადექი. კარი გამიღეს და მშვენიერ, ფერადი ფილებით მორთულ ბუხრიან ოთახში შემიყვანეს. იარვეტი მალე-ვე შემოვიდა. საოცრად ექსცენტრიკული კაცი, რომელიც საშინლად ლაპარაკობდა რუსულად. ვუთხარი, რისთვისაც ვიყავი მისული. უარის მიზეზი ამიხსნა: მსახიობი, თან თეატრის მთავარი რეჟისორი და დირექტორი ვარო... გიგას თეატრალური ავტორიტეტი მოვიშველიე... მან ისევ მოუცლელობა მოიმიზეზა. თან კონიაკი, ყავა შემომთავაზა, მაგრამ რა გადამივიდოდა ყელში?! ბევრი იფიქრა, მაგრამ ბოლოს მაინც უარი მითხრა... არადა, ვუყურებდი და ვფიქრობდი: ეს ხელები, ეს თმა, ეს თვალები... გრაფი სეგედისაა! ტანით სხვაა, პატარა, მაგრამ სახე ის არის, რა! ლომია! როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ უარით მისტუმრებდა, წერილი მივაწოდე. დღემდე არ ვიცი, რა ეწერა იმ წერილში... „ჰოო, აქ წერია, რომ თქვენ გენიალური რეჟისორი ხართ. მე ანდრეის დიდ პატივს ვცემ...“ უცებ შეიცვალა სურათი: სცენარი დამიტოვეთო, მთხოვა. ამოვიღე სცენარი - ოთხი სქელი რვეული და დავალაგე ერთმანეთზე. - არა, ერთი ეგზემპლარი დამიტოვეთო, - მითხრა. - ეს ერთი ეგზემპლარია, პირველი ოთხი სერია... ამას კიდევ სამი მოჰყვება, - მშვიდად ვუთხარი და უცბად შეხტა: - გაგიჟდით? მე ხომ ყველაფერს გაგიფუჭებთ! - მთლიანად თქვენს გრაფიკზე ავეწყობით-მეთქი, - დავპირდი...

მიხვდა, რომ ღირსეულად ვეპატიჟებოდით, ისე, როგორც იმსახურებდა დიდი არტისტი. - კარგი, დამიტოვეთ და ხუთშაბათს დამირეკეთო, - მითხრა ბოლო სიტყვა. იმავე ღამით მოსკოვში დავბრუნდი და გიგას დავურეკე. 4 დღე ვიცადე და იარვეტისგან თანხმობა მივიღე.

- ენის ბარიერი როგორ დაძლიეთ?

- უნდა გენახათ, რა ხდებოდა გადაღებებზე: ერთ სცენაში იარვეტი ესტონურად ლაპარაკობდა, თენგიზი - ქართულად, ხოლო კაპიტანი როგოვი - რუსულად... გიგას ვეუბნები ერთხელ, - ახლა ვიღაცა რომ



შემოვიდეს, საგიჟეთი არ ეგონება-მეთქი?.. სიტყვაზე თანხმდებოდნენ: როდესაც მას საჭირო რეაქცია უნდა ჰქონოდა, პარტნიორს ის შეთანხმებული სიტყვა უნდა წარმოეთქვა. დიდი მსახიობი იყო. არც ჩვენებმა დააკლეს...

- ბატონი ჭაბუა გადაღებებს ესწრებოდა?

- ამდენს რას დაესწრებოდა, რაც ჩვენ ვიბორიალეთ, მაგრამ ხშირად მოდიოდა.

- ფილმში ყველა თაობის მსახიობები არიან...

- მერე და მერე, გადაღებები რომ გახურდა, ყველა დაგვჭირდა... სამწუხაროდ, ყველას ვერ ჩამოთვლი, მადლობა კი ყველას ეკუთვნის. გადაღებების პროცესში მსახიობებს ეპიზოდების მიხედვით ვამატებდით. ადგილების ანუ ნატურის შერჩევასაც დიდი ენერგია შევალიეთ, მთელი საქართველო მოვიარეთ.

- ის საოცარი ჩანჩქერი სად ნახეთ?

- აფხაზეთში, რიწის გზაზე, ხელმარცხნივ. მახსოვს, პირველად რომ დავინახე, გავოგნდი. უზარმაზარი კლდე, რომელიც შუაზეა გახლეჩილი, ნაპობიდან კი წყალი გრგვინვით მოდის და ქვემოთ, სამ-სართულიანი სახლის სიმაღლის თოვლში ვარდება. ფილმის ფინალი კი ყირიმში გადავიღეთ. ჩვენთან არსად არის ზღვაში შეჭრილი კლდე...

- ყველა ფილმში დიდი როლი მუსიკასა და მხატვრობას, ოპერატორის ხელოვნებას უკავია...

- იმთავითვე იყო გადაწყვეტილი, რომ ფილმზე ბიძინა კვერნაძე და ჯანო კახიძე იმუშავებდნენ. ბიძინას მუსიკა აზროვნებაში ეხმარება ადამიანს. ჯანო იმიტომ დაგვჭირდა, რომ საქართველოს ყველა კუთხის ჰანგი გაგვეთვალისწინებინა. ნანი ბრეგვაძის შესრულებული სიმღერაც ძალიან კარგად ჩაჯდა...

- და ფილმის საუნდტრეკად იქცა.

- დიახ, გალაკტიონის ლექსზე დაწერილი მუსიკა, რომელიც მართალია, სხვა მიზნით შეიქმნა, მაგრამ არსად აჟღერებულა... მოკლედ, მუსიკაზე კლასიკოსები მუშაობდნენ. „დათა თუთაშხიას“ მხატვარი, კახი ხუციშვილიც ქართული კინემატოგრაფის კლასიკოსია. ზოგჯერ დგება მომენტი, როცა გეჩვენება, რომ შეიძლება გაგიჟდე, რადგან იმდენ ხანს მუშაობენ მხატვარი და ოპერატორი, იმდენ რაღაცას ამატებენ კადრს, იმდენი დრო მიაქვს ამ ყველაფერს, გგონია, მსახიობი დაიღალა - ვეღარ გაუძლებს... ფილმის ოპერატორი, ლევან ნამგალაშვილიც ნამდვილი პროფესიონალი იყო. ის შესანიშნავად იღებდა პორტრეტებს. მის ნამუშევარში არასდროს ჩანდა „ნაკერები“.

- ცენზურას როგორ გადაურჩით?

- გეგმით, ფილმის ოთხი სერია გვქონდა ჩასაბარებელი. 1977 წელს უკვე მზად გვქონდა და დამტკიცება იყო საჭირო. ამ პერიოდში დისიდენტური მოძრაობის აფეთქება იყო საბჭოთა კავშირში. დათა კი კითხვას სვამს - როგორ ვიცხოვროთო?! ფილმში სეთურის ეპიზოდი გვაქვს, კომუნიზმის პატარა მოდელით, იქ კი, რეალურ ცხოვრებაში, სამხატვრო საბჭო და სტელა ივანოვნა ჟდანოვა გვყავს, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს, რომ ფილმში ეს ეპიზოდი არ შევიდეს! ამ ეპიზოდის გადაღების დროს ჩვენმა უხუცესმა რედაქტორმა, საშა მახარაძემ თქვა: - თუ ამ ეპიზოდს დატოვებენ, ვიტყვი, რომ ამ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება აღარ არსებობსო... თვალწინ მიდგას: პატარა დარბაზში ვისხედით, სულ უკანა რიგში, სამნი - ჭაბუა, გიგა და მე. წინ - მაგიდა, სავარძელი, საფერფლე, ფურცლები, ფანქარი, ჩამქრალი ნათურა გვაქვს და ჟდანოვას სილუეტი, რომელიც ამერიკულ სიგარეტს ეწევა. ფეხს ხან აქეთ გადადებს, ხან - იქით... მერე უეცრად ამოძრავდა და აყვირდა, - ეს ეპიზოდი არ იქნებაო! ჩვენ რაღაცას ვუხსნით, ვცდილობთ, დავიყოლიოთ... ბოლოს ჟდანოვამ გადაჭრით თქვა, - ბავშვების სცენა ნამდვილად არ იქნებაო! რა გვექნა, შეველიეთ იმ პატარა სცენას, მაგრამ მთავარი შევინარჩუნეთ.

- ბატონო გიზო, „დათამ“ რა უქნა თქვენს ცხოვრებას?

- „დათა თუთაშხიამ“ ჩემი მშობლების შემდეგ, მეორე გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში... მადლობა უნდა ვუთხრა ბედს, რომ ამ ნაწარმოებზე ვიმუშავე... მაშინ თითქოს რაღაც დიდი დამთავრდა. მთელი ეს ამხელა პერიოდი ამ დიდ რეჟისორებს არც ერთი ფილმი არ გადაუღიათ... მე თვითონ ფრანგებთან ერთად ჰიუგოს ეკრანიზაციაზე ვიმუშავე „პატეესინემაში“, მაგრამ ეს არ იყო ამირეჯიბი ან ვაჟა-ფშაველა, ეს მათი ფილმი იყო - „ჰიუგო“. აქ დაბრუნებულს კი 1988 წელს, აღარაფერი დამხვდა. აქ ყველაფერი დამთავრდა. თან... მე „დათა თუთაშხიაზე“ ვიმუშავე, მას შემდეგ ძნელი იყო საყურადღებო, მნიშვნელოვანი მასალის პოვნა ახალი ფილმისთვის.

დეა ცუცქირიძე

1904-1905 წლების ომი იაპონიასთან, რუსეთის იმპერიისათვის დაღუპვის დასაწყისი აღმოჩნდა...

რადგანაც „ძლევამოსილი“ რუსული არმიის დამარცხებას ასე მცირერიცხოვან მეტოქესთან სანქტ-პეტერბურგში კი არა, მთელ მსოფლიოში ვერავინ წარმოიდგენდა. რუსული არმიის დაუმარცხებლობაზე მითი წამში გაცამტვერდა, როდესაც 1904 წლის ბოლოს იაპონელებმა რუსები თითქმის ყველა ფრონტზე შეავიწროეს.

მაშინ კი დაფაცურდნენ ცარიზმის მესვეურები და საყოველთაო მობილიზაციაც გამოაცხადეს: ჯარში მიჰყავდათ ყველა მამაკაცი 20-დან 55 წლამდე, მოხალისეებად 60 წლისებსაც იღებდნენ. საყოველთაო მობილიზაციის პროცესი განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა არარუსულ მხარეებში - იქაურები ომში მოტყუებითაც კი მიჰყავდათ, „საზარბაზნე ხორცად“. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თავად რუს კაზაკებს, რომელთაც ომიანობის დროს ჯარში წასვლა ძველთაგან ევალებოდათ, იაპონელი ჯარისკაცებისა ისე ეშინოდათ, რომ ფრონტზე წასვლისაგან თავის ასარიდებლად ათასგვარ ხერხსაც კი მიმართავდნენ - გარბოდნენ საზღვარგარეთ, იცვლიდნენ რელიგიას (მეფის რუსეთის არმიაში მუსლიმანებს და კათოლიკეებს არ იწვევდნენ).

საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება რაჭველმა მეპურემ - სევარიონ (იგივე სევა) რეხვიაშვილმა პირველად ქუთაისის ბაზარში გაიგო, თუმცა დიდი ყურადღება არ მიუქცევია, რადგან არც კი იცოდა, რას ნიშნავდა მობილიზაცია. მერე მეზობელმა მაკარამ აუხსნა: იაპონიასთან რუსებს ომი დაუწყიათ და ახლა ჯარისკაცებს აგროვებენო. მოგვიანებით, სევამ თვითონვე ნახა საომრად მიმავალი გოროდოვოი (ასე ეძახდნენ მაშინ რუსეთის იმპერიაში დაბალი რანგის პოლიციელებს) პეტკა, რომელიც არყის სმის მეტს არაფერს აკეთებდა და გაუკვირდა: „ქვე აქ არ ვარგოდა და ომში რა უნდა ქნას, ბოშო?!“ - შეეკითხა მაკარას. ახალ ფორმაში გამოწკეპილმა გოროდოვოიმ კი ერთი შეუბღვირა და მედიდურად თქვა: „ჯარში ძღომაზეა საჭმელ-სასმელი და არაყსაც საფრონტო ნორმით იძლევიან!“

ამის მერე სევა რეხვიაშვილმა მთელი დღე იფიქრა და დაასკვნა, რომ თუ ჯარში საჭმელ-სასმელი სულ ძღომაზე იყო, მზარეული ან მეპურეც დასჭირდებოდათ და შესაბამისად, მასაც შეეძლო წასულიყო ჯარში, საყვარელი საქმე ეკეთებინა და ფულიც საკმარისად აეღო. სევას რაჭაში ახალმოყვანილი ცოლი ჰყავდა დატოვებული, რომელსაც დღე-დღეზე უნდა მოელოგინებინა. ერთი-ორი თვით წავალ და გამოვკვებავ ჯარისკაცებს, ფულს ვიშოვი და მერე დავბრუნდებიო - ფიქრობდა რაჭველი მეპურე. თავისი გადაწყვეტილება მან უფროს მეგობარს - მაკარასაც გაუმხილა. „რას ამბობ, ბოშო?! მარტო ქვე რაფერ გაგიშვა ომში, ჭი...“ - შეიცხადა მაკარამ და თავადაც გადაწყვიტა, სევას წაჰყოლოდა.

„საყვარელო ჩემო დარიკო! აგერ, კეჭოუკა ნთავისუფლთება და იმას ვატან ამ ბარათსა, რომ გაგაგებიო კარგათ ვარ და ქვე ისეთი არაფერი მიჭირს არც მე და არც ჩვენ მეზობელსა მაკარას. ახლა იაპონცები ამბობენ, ქვე ნურაფრის ჯავრი გაქვთაო, თქვენც გაგანთავისუფლებთაო. მომიკითხე ყველა. შენი დაკარგული ქმარი სევა“.

გენერალი ანატოლი სტესელი (შუა რიგში, მარცხნიდან მეორე) და მისი მოწინააღმდეგე, იაპონელი გენერალი ჰეიჰატირო ტოგო (მის გვერდით).

საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება რაჭველმა მეპურემ - სევარიონ (იგივე სევა) რეხვიაშვილმა პირველად ქუთაისის ბაზარში გაიგო, თუმცა დიდი ყურადღება არ მიუქცევია, რადგან არც კი იცოდა, რას ნიშნავდა მობილიზაცია. მერე მეზობელმა მაკარამ აუხსნა: იაპონიასთან რუსებს ომი დაუწყიათ და ახლა ჯარისკაცებს აგროვებენო. მოგვიანებით, სევამ თვითონვე ნახა საომრად მიმავალი გოროდოვოი (ასე ეძახდნენ მაშინ რუსეთის იმპერიაში დაბალი რანგის პოლიციელებს) პეტკა, რომელიც არყის სმის მეტს არაფერს აკეთებდა და გაუკვირდა: „ქვე აქ არ ვარგოდა და ომში რა უნდა ქნას, ბოშო?!“ - შეეკითხა მაკარას. ახალ ფორმაში გამოწკეპილმა გოროდოვოიმ კი ერთი შეუბღვირა და მედიდურად თქვა: „ჯარში ძღომაზეა საჭმელ-სასმელი და არაყსაც საფრონტო ნორმით იძლევიან!“

ამის მერე სევა რეხვიაშვილმა მთელი დღე იფიქრა და დაასკვნა, რომ თუ ჯარში საჭმელ-სასმელი სულ ძღომაზე იყო, მზარეული ან მეპურეც დასჭირდებოდათ და შესაბამისად, მასაც შეეძლო წასულიყო ჯარში, საყვარელი საქმე ეკეთებინა და ფულიც საკმარისად აეღო. სევას რაჭაში ახალმოყვანილი ცოლი ჰყავდა დატოვებული, რომელსაც დღე-დღეზე უნდა მოელოგინებინა. ერთი-ორი თვით წავალ და გამოვკვებავ ჯარისკაცებს, ფულს ვიშოვი და მერე დავბრუნდებიო - ფიქრობდა რაჭველი მეპურე. თავისი გადაწყვეტილება მან უფროს მეგობარს - მაკარასაც გაუმხილა. „რას ამბობ, ბოშო?! მარტო ქვე რაფერ გაგიშვა ომში, ჭი...“ - შეიცხადა მაკარამ და თავადაც გადაწყვიტა, სევას წაჰყოლოდა.

ზედა ფოტო პორტ-არტურის კაპიტულაციის შემდეგაა გადაღებული, ასე აღმოჩნდა 1904 წლის დეკემბერში ორი რაჭველი მეპურე პორტ-არტურში - შორეული აღმოსავლეთის უდიდეს ნავსადგურში, რომელიც ჩინეთში კი მდებარეობდა, მაგრამ რუსები აკონტროლებდნენ. რაჭველებს ხელფასს კი კარგად უხდიდნენ, მაგრამ ჯარში ერთი თვეც ვერ მოითავეს - 1904 წლის 20 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც პორტ-არტურის გარნიზონის ხელმძღვანელი, გენერალი რომან კონდრატენკო დაილუპა, მისმა შემცვლელმა - გენერალმა ანატოლი სტესელმა პორტ-არტური უბრძოლველად ჩაბარა იაპონელებს. იაპონელმა გენერალმა ჰეიჰატირო ტოგომ ანატოლი სტესელი თავისივე გარნიზონთან ერთად ტყვედ აიყვანა და იაპონიაში - ქალაქ ნაგასაკიში გადაგზავნა; იქ იყო რუს ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკი.

უნდა ითქვას, რომ პორტ-არტურის გარნიზონში იყო მესამე რაჭველი მზარეულიც - სპირიდონ (კეჭოუკა) გოცირიძე, რომელიც სევასა და მაკარასგან განსხვავებით, ჯარში ძალით იყო გაწვეული და გაუმართლა, როცა თანამემამულეებთან მოხვდა. სპირიდონმა პორტ-არტურის ჩაბარების შემდეგ, ჰეიჰატირო ტოგოს წინაშეც გამოიჩინა თავი - ორი მაგარი იაპონელი ძიუდოისტი შოთებივით გააკრა მიწას, თუმცა ეს სულ სხვა ისტორიაა. სპირიდონს ტყვეთა ბანაკში დიდხანს არც უცხოვრია - იგი მალევე გაცვალეს და საქართველოშიც მოახერხა დაბრუნება. სევა რეხვიაშვილის ცოლსაც მანვე ჩაუტანა ბარათი, სადაც ოკრობოკრო ხელით ეწერა: „საყვარელო ჩემო დარიკო! აგერ, კეჭოუკა ნთავისუფლთება და იმას ვატან ამ ბარათსა, რომ გაგაგებიო კარგათ ვარ და ქვე ისეთი არაფერი მიჭირს არც მე და არც ჩვენ მეზობელსა მაკარას. ახლა იაპონცები ამბობენ, ქვე ნურაფრის ჯავრი გაქვთაო, თქვენც გაგანთავისუფლებთაო. მომიკითხე ყველა. შენი დაკარგული ქმარი სევა“.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი წერილი, რომელიც სევამ ომიდან მოიწერა. მისი ცოლი დარიკო სიცოცხლის ბოლომდე ელოდა ქმარს, თუმცა ისე გარდაიცვალა, რომ სევას ნახვა აღარ ღირსებია. იაპონელებმა რაჭველი მეპურეები ტყვეთა ბანაკიდან იმის გამო არ გაუშვეს, რომ ისინი გემრიელ პურს აცხობდნენ და მთელი ნაგასაკი მათთან დადიოდა საცხობში, რომელიც ტყვეთა ბანაკის უფროსმა - ოიამა მაბუნიმ მოაწყო და „რუსული პურის საჭაშნიკე“ უწოდა. რა თქმა უნდა, მთელ შემოსავალს ჯიბეში მაბუნი იდებდა, ხოლო სევას და მაკარას სასმელ-საჭმელი და ჩასაცმელ-დასახური ერგებოდათ. მალე, მა-

რაჭველი მეპურეების საოცარი თავგადასავალი პორტ-არტურში

ბუნი ოიამა ჩინეთში, ზღვისპირა ქალაქ დაირენში გადაიყვანეს - იმხანად მას იაპონია აკონტროლებდა და სევა და მაკარაც იძულებულნი გახდნენ, გაზულუქებულ იაპონელს თან გაჰყოლოდნენ.

მაბუნი ოიამამ დაირენშიც გახსნა ფურნე და ის-ის იყო, უზრუნველად ცხოვრებაც დააპირა, რომ სევამ ერთ დღეს მაკარას უთხრა: „ბოშო, ეს ოხერი იაპონელი აქ ჩვენით მდიდრდება, თვითონ ქვე ფეხი ფეხზე აქვს გადადებული, ჩვენ კი მონებივით ვყავართ! რა ვუშველოთ ამ საქმეს?“ მაკარამ კარგა ხანს იფიქრა და უპასუხა: „ქვე რა და უნდა გავიქცეთ, აბა სხვა რა ვქნათ?“ ასე გადაწყვიტეს მეპურეებმა გაქცევა. მათ ადრევე კი იცოდნენ, რომ დაირენი ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში - მანჯურიაში იყო, ამიტომაც სულ ჩრდილოეთით თუკი ივლიდნენ, რუსეთის იმპერიის საზღვარსაც მიაღწევდნენ. ეს ყველაფერი ძალზე ადვილი მოეჩვენათ; ერთ მშვენიერ დღეს, მართლაც, დაჰკრეს ფეხი და გაიქცნენ. ქუჩაში იაპონურ პატრულს კი გადაეყარნენ, მაგრამ აუხსნეს: ქალაქგარეთ ფქვილის საყიდლად მივდივართო. პატრულს ეჭვიც არ შეჰპარვია და გზაც კი მიასწავლა - ამა და ამ მიმართულებით წადითო. გულუბრყვილო რაჭველებმაც უცებ დაუჯერეს და ჩრდილოეთის ნაცვლად სამხრეთით წავიდნენ. ჰოდა, იარეს, იარეს და მთავარ ნავსადგურს მიადგნენ, რომელიც ქალაქიდან 25 კილომეტრით იყო დაშორებული.

რაჭველები თავიანთ შეცდომას კი მიხვდნენ, მაგრამ უკან ვეღარ დაბრუნდებოდნენ და შეეცადნენ, ნავსადგურში ეპოვათ თავშესაფარიც და სამუშაოც. ნავსადგურში კი, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად მტვირთავები სჭირდებოდათ; სევასაც და მაკარასაც ძალღონე არ აკლდათ და უცებ იშოვეს დროებითი სამუშაო - ერთ-ერთ ამერიკულ გემზე ფაიფურის ნაკეთობებით სავსე ყუთები უნდა დაეტვირთათ. მართლაც ბევრი იმუშავეს და ათი კაცის გასაკეთებელი საქმე თავად გააკეთეს: გემზე ყუთები ისე სწრაფად და ცი-ცი-ცი აარბენინეს, რომ კაპიტანს თავში მზაკვრულმა აზრმა გაუელვა: „მოდი, ამათ რომით კარგად გამოვათრობ და თან წავიყვან! გემზე საჭიროა ზორბა, გულუბრყვილო მეზღვაურები!“.

ამერიკელ კაპიტანს სევა და მაკარა რუსები ეგონა და იმედოვნებდა, რომ რომით ისინი უგონოდ გაილეშებოდნენ, თუმცა ასე არ მომხდარა - რაჭველებმა დინჯად სვეს კაპიტანთან ერთად და როცა ამ

„ქვე აქ არ ვარგოდა და ომში რა უნდა ქნას, ბოშო?!“

უკანასკნელმა აღიარა: აღარ შემიძლიაო, მხარზე ხელი მოუთათუნეს - თუ აღარ შეგიძლია, ნუღარ სვამ, შე კაცო, ისედაც მადლობელნი ვართ, იაპონელებს რომ გამოგვარიდეო. ამასობაში კი, გემი ზღვაში გასულიყო და ამერიკისკენ მიცურავდა. სევამ და მაკარამ ჭამა-სმა სადღაც ჰავაის კუნძულების ახლოს შეწყვიტეს, კაპიტანს კი უკვე თავის კაიუტაში ეძინა, სიზმარშიც ორ ქართველ გოლიათს ხედავდა და უკვირდა, როგორ სვამდნენ ისინი ამდენს.

1905 წლის იანვარში, სევა რეხვიაშვილმა და მისმა მეგობარმა მაკარამ, რომლის გვარიც უცნობია, სან-ფრანცისკოს მიაღწიეს და ღვთის წყალობით, იქვე დაფუძნებაც მოახერხეს - იმ ამერიკელმა კაპიტანმა, რომელიც რაჭველებს გზაში დაუმეგობრდა და მათი დამონება აზრადაც აღარ მოსვლია, ორივენი ერთ რუსულ ფურნეში მოაწყო. იქ ფული ბლომად იყო, მეგობრები ღამესაც ფურნეში ათევდნენ და კარგად ცხოვრობდნენ მანამ, სანამ ფურნეს პატრონი - ვინმე მისტერ პოლივანოვი არ გაკოტრდა: მას საკუთარ თავზე მეტად კაზინოში თამაში უყვარდა და ერთ დღესაც, ფორტუნამ მოურიდებლად აქცია ზურგი. მისტერ პოლივანოვმა ყველაფერი წააგო და ერთ დღეში მაწანწალად იქცა. ფურნეს ვიღაც ჰოლანდიელი დაეპატრონა, რომელსაც პურის ცხობისა არაფერი გაეგებოდა, ამიტომ იქ ყველაფერი მოშალა და იტალიური პიცერია გახსნა. სევამ და მაკარამ კი, რომლებიც ღია ცის ქვეშ დარჩნენ, საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტეს.

რაჭველ მეპურეებს სან-ფრანცისკოში უკვე ყველა იცნობდა და ჩანაფიქრი რომ აესრულებინათ, გავლენიან ნაცნობს - კონდიტერ ჯონათან ო-რეილის მიაკითხეს. მან ადრევე აღუთქვა რაჭველებს დახმარება და როცა ამის საშუალება მიეცა, ძალიანაც გაუხარდა: „სამშობლოში რა დაგრჩენიათ? მეც ირლანდიელი ვარ, მაგრამ ამერიკაში ფულის საშოვნელად ჩამოვედი და სანამ საწადელს არ მივაღწევ, უკან დაბრუნებაზე არ ვიფიქრებ... შევამხანაგდეთ და საქმე ერთად ვაკეთოთ!“ - შესთავაზა ო-რეილიმ. სევამ და მაკარამ მაშინვე უარყვეს თავიანთი ძველი ჩანაფიქრი და დათანხმდნენ.

ჯონათან ო-რეილიმ, სევა რეხვიაშვილმა და მაკარამ „ო-რეილი ენდ კომპანის“ სახელით, სან-ფრანცისკოში საკონდიტრო ფირმა ჩამოაყალიბეს და საქმესაც შეუდგნენ. სწორედ მაშინ შესთავაზა ო-რეილიმ რაჭველებს სახელებისა და გვარების გამოცვლა: „აქ ამერიკაა, თქვენ კი ისეთი გვარ-სახელები გაქვთ, ენას მოიტეხს კაცი. ჯობს, მე დამიჯეროთ და ისეთი სახელები დაირქვათ, რომლებიც აქაურთა ყურებს უხეშად არ მოხვდება“ - ო-რეილი მართალს ამბობდა, რადგან იმ დროს - XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში, ამერიკული საზოგადოება უცხოელთა მიმართ შედარებით ნაკლებ შემწყნარებლობას იჩენდა, განსაკუთრებით კი კალიფორნიის შტატში.

რამდენადაც რაჭველები გარეგნობით უფრო ლათინოსებს ჰგავდნენ, სევა რეხვიაშვილი სებასტიან როხასი გახდა, მაკარა კი მაკარიო დელ ტორო. შესაბამისად, ფირმას, რომელიც მათ ო-რეილისთან ერთად ჩამოაყალიბეს, „ო-რეილი, როხასი და დელ ტორო“ დაერქვა და ყველაფერი უცებ მოგვარდა - ფირმას საზღვარგარეთ ვაჭრობის ნება დართეს. ო-რეილის ადრევე სურდა ეს და ნებართვა როგორც კი მიიღო, მაშინვე გაენდო რაჭველებს: „მექსიკაში სიმინდის ფქვილისაგან თხელ ნამცხვარს ამზადებენ - „ტორტილია“ ჰქვია... მისი გამოცხობის ტექნოლოგია ჩვენ უნდა ავითვისოთ და მექსიკის ბაზარზე გავიდეთ!“ არც სევამ და არც მაკარამ იცოდნენ, რომ „ტორტილია“ ჩვეულებრივ მჭადს ერქვა.

ჯონათან ო-რეილიმ, იმისთვის რომ რაჭველებისთვის ტორტილიას რაობა აეხსნა, ორივენი სან-დიეგოში, მექსიკურ რესტორანში დაპატიჟა. წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა ტორტილიების დანახვაზე სევას და მაკარას თვალები გაუბრწყინდათ და მერე კი ცრემლიც კი მოადგათ: „ამას ბოშო, ჩვენს სამშობლოში მჭადი ჰქვია!“ - თქვა სევამ. მაკარამ კი პირდაღებულ ჯონათანს აუხსნა - ამას ჩვენს სამშობლოში ყველთან ერთად ჭამენ და უთხარი ოფიციანტს, ყველი მოგვიტანოსო. ჯონათანმა ოფიციანტს მართლაც უხმო და უცებ, თავში მეტად საინტერესო იდეა მოუვიდა: „რა იქნება, ყველიანი ტორტილიები რომ გამოვაცხოთ და მექსიკაში გავყიდოთ? იქ ტორტილიებს ყველთან ერთად არ ჭამენ, მაგრამ მოეწონებათ!“ - უთხრა სევას და მაკარას.

ასე აღმოჩნდნენ რაჭველი მეპურეები მექსიკაში 1910 წელს. იმხანად, იქ რევო-

ლუცია მძვინვარებდა - ხალხი გაზულუ-ქებულ დიქტატორ პორფირიო დიასს ებრ-ძოდა. ის 1876 წლიდან იდგა ქვეყნის სა-თავეში და როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნდა და მიწა - ქალამნად. არეუ-ლობის მიუხედავად, ჯონათან ო-რეილიმ გადაწყვიტა, გაერისკა და 1910 წელს, ქვემო კალიფორნიის (მექსიკის შტატი) ქალაქ სანტა-ფე-დე-მეხიკალიში გახსნა საცხობი „ჯერ არნახული ყველიანი ტორტილიე-ბი". ხსენებული მექსიკური ქალაქი აშშ-ის საზღვარზე მდებარეობდა, სან-დიეგოდან ორი საათის სავალზე.

მექსიკელები მართლაც მჭადის დიდად მოყვარული ხალხი გამოდგა - მეგობრე-ბის ბიზნესი სწრაფად წავიდა წინ. სევამ და მაკარამ ბლომად ფულიც კი მოაგროვეს უკან დასაბრუნებლად, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა იმედოვნებდნენ, ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნებაო, სანტა-ფე-დე-მეხიკალი მექ-სიკელი რევოლუციონერების ჩრდილოე-თის დაჯგუფების ლიდერმა, საყოველთაოდ ცნობილმა ფრანსისკო (პანჩო) ვილიამ სამი დღით, საძარცვავად გადასცა თავის მებრძოლებს.

პანჩო ვილიას მებრძოლები წესრიგით სულაც არ გამოირჩეოდნენ - ისინი გლეხე-ბი იყვნენ და არა სამხედროები. ამიტომაც „ჯერ არნახულ ყველიან ტორტილიებში" კარგად მოილხინეს, მერე ყველაფერი დალე-წეს და სევა რეხვიაშვილს მედიდურად მოსთხოვეს: რაც ფული გაქვს, ჩაგვითვალე და წავალთო. უწყინარმა რაჭველმა წარბი შეიჭმუხნა და ერთ-ერთ მებრძოლს შეკით-ხვა ინგლისურად გადაათარგმნინა. ცოტა ხანს დაფიქრდა და მერე ასე უპასუხა: საიდანაც მოსულხართ, იქით წადით, თორემ არც მე ვარ ჯაბანიო და მეგობრებს უხმო.

სევას დაძახებაზე სამზარეულოდან მა-კარა გამოიჭრა დიდი დანით ხელში, ხოლო ჯონათან ო-რეილიმ სათადარიგო გასასვ-ლელით გააღწია ქუჩაში და თავს უშვე-ლა. ორი რაჭველი ღვთის ანაბარად დარჩა ტეკილით გამობრუჟულ მექსიკელ რევო-ლუციონერთა პირისპირ. ერთი სიტყვით, ის-ის იყო, ჩხუბი უნდა გახურებულიყო, რომ საცხობის კარი თვით პანჩო ვილიამ შემოაღო - მას თურმე, ჯონათან ო-რეი-ლი იცნობდა და იცოდა, რომ მებრძოლთა შეჩერებას შეძლებდა. პანჩო ვილიამ მარ-თლაც შეაჩერა მებრძოლები, ყველიანი ტორტილიებიც გასინჯა, მილეწილ ავეჯს თანაგრძნობით გადახედა, ჯიბიდან ფული ამოიღო და რაჭველებს დიდი ბოდიშიც მოუხადა. მერე ყველანი ერთად, იქვე დიდ მაგიდას მიუსხდნენ და მექსიკელ რევო-ლუციონერთა ბელადმა სევას და მაკარას თავგადასავალიც მოისმინა.

სრულიად მოულოდნელად, პანჩო ვი-ლიამ თავი გამოიდო: თუ მართლა სამშობ-ლოში დაბრუნება გინდათ, მე ჩაგიყვანთ

ვერაკრუსის ნავსადგურის პოლიციის განყოფილებაზე თავდასხმისას დახოცილები. მარცხნივ, ულვაშებით - მაკარა. ეს რაჭველი მეპურის ერთადერთი ფოტოა.

ნავსადგურ ვერაკრუსში და იქ კი რომელი-მე რუსულ გემში ჩაგსვამთო. ჯონათან ო-რეილიმ რაჭველებს თვალი კი უყო - არ დათანხმდეთო, მაგრამ სევა და მაკარა მაინც დათანხმდნენ. იმ საღამოსვე მოკრიბეს, რაც კი რაიმე ჰქონდათ და მეორე დღეს, დილით ადრე, პანჩო ვილიას კაცს ვერაკ-რუსში გაჰყვნენ.

ამერიკის საზღვრიდან ვერაკრუსამდე დიდი მანძილია და რაჭველები გზას ორი კვირა მოუნდნენ. სამწუხაროდ, ცნობილი არაა, თუ რა გადახდათ მათ რევოლუციის-გან გაჩანაგებული მექსიკის გზებზე, მაგრამ არსებობს რუსული სავაჭრო ხომალდის, „დევა მარიას" ჟურნალის ჩანაწერი, რომე-ლიც გვამცნობს, რომ მექსიკის ჩრდილოე-თის არმიის მებრძოლმა, ვინმე ანტონიო დე გარსიამ 1910 წლის 4 დეკემბერს ხომალდზე აიყვანა 2 პიროვნება, რომლე-ბიც ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის იმპერი-ის ქვეშევრდომები იყვნენ და სამშობლო-ში დაბრუნება სურდათ. ჟურნალში სევას გვარად „რეხვიაშვილია" ჩაწერილი, ხოლო მაკარას „სიკილტაძეი" უწერია. სევა და მაკარა კაპიტანმა, ბენიამინ ივანოვმა, ხო-მალდზე ვერ აიყვანა - რაჭველებს რუსუ-ლი პასპორტები არ ჰქონდათ, ამერიკულში კი სხვა გვარები ეწერათ.

სევამ და მაკარამ ის ღამე ვერაკრუსის ნავსადგურში, პოლიციის განყოფილებაში გაატარეს. დილაადრიან კი ვერაკრუსის სამხრეთმექსიკელ მეამბოხეთა არმია და-ესხა თავს, ემილიანო საპატას მეთაურო-ბით და ორ საათში აიღო. პოლიციის გა-ნყოფილება, სადაც რაჭველები ათევდნენ ღამეს, მეამბოხეთა რაზმმა დაცხრილა - მათ თავიანთი, ადრე დაპატიმრებული ამხა-ნაგის დახსნა სურდათ. ორმხრივი სროლი-სას, სევას ოთხი ტყვია მოხვდა, მაკარას - სამი. მაკარა ადგილზევე გარდაიცვალა, სევა მძიმედ დაიჭრა.

ცალად დარჩენილი რაჭველი მეპურე გონს რუსულმა საუბარმა მოიყვანა - სევა ვერაკრუსის რუსული ეკლესიის მღვდლის, მამა პავლე კონდრატენკოს ოჯახში აღმოჩ-ნდა. თურმე პოლიციელებს, რომლებსაც რაჭველი მეპურეები რუსები ეგონათ, დაღუ-პული მაკარაც და მძიმედ დაჭრილი სევაც მასთან მიეყვანათ. სევა სამი-ოთხი დღე უგონოდ ყოფილიყო, ამასობაში კი მამა პავლეს მაკარა ეკლესიის ეზოში დაეკრძალა.

იმ დღიდან, სევა საცხოვრებლად მამა პავლესთან დარჩა და ჯერ დიაკვნად, მერე კი მღვდლად ეკურთხა, მამა სებასტიანის სახელით. 20 წლის განმავლობაში წი-რავდა ვერაკრუსის რუსულ ეკლესიაში.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე - 1961 წელს, სევა რეხვიაშვილმა რუსულ ენაზე დაწერა ბიოგრაფია, რომელიც ამჟა-მადაც მამა პავლეს შვილიშვილის - ონფიმ კონდრატენკო-რეიესის ბიბლიოთეკაში ინა-ხება. სწორედ ონფიმ კონდრატენკომ მოა-ხერხა საქართველოში ჩამოსვლა და სევას შთამომავლებთან (მას აქ შვილი დარჩა) დაკავშირება.

მიხეილ ლაბაძე

სურათზე: იოსებ გრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, მარიჯანი, შალვა დადიანი

მე შენ სახლად ანი დაგიჭეი...

- აქ ადრე ძველი ორსართულიანი სახლი იდგა. დაბლა ჩვენ ვცხოვრობდით, მაღლა კი იოსებს ორი ოთახი გატენილი ჰქონდა წიგნებითა და საარქივო მასალით ანუ რაც 1940 წლამდე შეიძინა, აქ ინახებოდა. მერე, 1940 წელს რუსთაველის 2-ში ბინა მიიღო და გადავიდა, ეს ნივთები კი ჩაკეტა. ხანდახან მოდიოდა, დახედავდა ხოლმე, ოთახებს გაანიავებდა, გასაღებს კი არავის ანდობდა. დანარჩენი წიგნები მას შემდეგ შეიძინა, კოსტავას ქუჩაზე ბინა რომ მიიღო. ბუკინისტებთან მიდიოდა, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან იწერდა იშვიათ გამოცემებს. ხანდახან ბუკინისტებს თვითონ მოჰქონდათ მასთან და ასე შეაგროვა უიშვიათესი გამოცემები.

მოგვიანებით აქ ძველი სახლი დაანგრიეს და მის ადგილას ეს ახალი სახლი ააშენეს. მეორე სართულზე დარბაზიც გაკეთდა და დაიწყეს ინვენტარიზაცია, რისთვისაც ამ საქმის სპეციალისტები, მაჭავარიანი და ნაკაშიძე მოიწვიეს. მახსოვს, ბევრ წიგნს თავფურცელი აგლეჯილი ჰქონდა და ავტორის სახელი და გვარი არსად ეწერა. გასაგები იყო, რომ რომელიღაც რეპრესირებულ მწერალს ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, ეშინოდა იოსებს მისი გამოჩენის, წიგნი კი გადასაგდებად ენანებოდა და ამიტომაც მხოლოდ მწერლის

და კვლავ შეხვედრა ძველ ქალაქთან - დუდუკით, ზურნით, ჭიანურით, თარით, საზით, დაირითა და დიპლიპიტოთი გაცოცხლებული ბოჰემური ცხოვრება, ქალაქური პოეზიით გაჯერებული მოგზაურობა XIX საუკუნის თბილისის უბნებში, დღეობები, შეჯიბრებები, ცეკვა, სიმღერა და პოეტის ორი დიდი ვნების - პოეზიისა და თბილისის შეხვედრა - დღეს იოსებ გრიშაშვილის დისშვილის შვილთან, მისი სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორ ბატონ ნოდარ გრიგორაშვილთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ თბილისის უძველესი უბნიდან - ხარფუხიდან.



გვარს შლიდა. მიუხედავად ამისა, ინვენტარიზაციისას, როცა ვეკითხებოდი, მყისვე მპასუხობდა, ვისი დაწერილი იყო ის კონკრეტული წიგნი. ხანდახან ავადმყოფობის გამო ითიშებოდა ხოლმე, მაგრამ მაინც იხსენებდა გვარებს. ჩვევად ჰქონდა, ორი ერთნაირი წიგნი ეყიდა. ერთს სუფთად ინახავდა, მეორეს კი სამუშაოდ იყენებდა. როდესაც ბრიგადა ამუშავებდა წიგნებს, მის 80 პროცენტზე იოსების მინაწერები, მითითებები, შენიშვნები ანუ მთელი გამოკვლევა იყო. ამას გარდა, შიგნით, ფორზაცებზე ჰქონდა ჩაკრული იმ კონკრეტულ წიგნზე დაწერილი ყველა რეცენზია.

- მართალია, რომ ამბობენ, წიგნს არასდროს ანათხოვრებდაო?

- ჩანაწერი აქვს, ახლობელს 2 დღით ვათხოვე წიგნი, იმ დროში რომ არ მომი-

ტანა, მივაკითხე და ბოლომდე არ ჰქონდა წაკითხული. ტალანში დაველოდე, ვიდრე დაასრულებდა და მერე შინ წამოვიღეო. გამოდის, რომ ხანდახან ათხოვებდა ხოლმე, მაგრამ დროულად უნდა დაებრუნებინათ. ასე რომ არ მოქცეულიყო, ამ ფონდს ვერ შექმნიდა. მაგალითად, აქ 1629-1920 წლების ჩათვლით გამოცემული ქართული წიგნების ბიბლიოგრაფია შეადგინეს. 240 დასახელების უნიკალური წიგნი მხოლოდ ამ ბიბლიოთეკაშია დაცული, ისევე, როგორც 1920-იანი წლების ქართული და რუსული პრესის ნაწილი. გარდა ამისა, ამ მუზეუმში უამრავი უნიკალური ეთნოგრაფიული ნივთია, თუნდაც ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები, მასალები, ძველებური ვერცხლის ქამარ-ხანჯლები, მონეტებისა და ქაღალდის ფულების, ქართული და აღმოსავლური საკრავების კოლექციები, უძველესი აფიშები, პროგრამები, სამუზეუმო სიძველეები, სულ - 100 ათასამდე ერთეული. სხვათა შორის, ბევრი სარგებლობს აქ დაცული ნივთებით, ოღონდ, გატანის უფლება არავის აქვს. პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში რომ არ აღმოაჩნდებათ ხოლმე, მკითხველს ჩვენთან გზავნიან. მახსოვს, კარგა ხნის წინ, ზამთრის თოვლიან ამინდში ხელჯოხიანი მოხუცი კაცი ამოვიდა მუზეუმში. ძველი პარტიული მოღვაწე ვარ და პერსონალურ პენსიას არ მიმტკიცებენ, რადგან დამადასტურებელი საბუთი ვერ წარვუდგინეო. თურმე უმტკიცებდა, 1918 წელს თბილისში ჟურნალი გამოდიოდა, სადაც რევოლუციურ ლექსებს ვწერდიო, მაგრამ არ უჯერებდნენ. არადა, იმ ჟურნალის ერთადერთი ნომერი მხოლოდ ჩვენთან ინახებოდა. მოხუცმა გადაუღო ფოტო ჟურნალს და მოგვიანებით დამირეკა, პენსია დამიმტკიცესო (იცინის).

- თუ შესწრებიხართ, როგორ მუშაობდა იოსებ გრიშაშვილი?

- ბავშვი ვიყავი, აქ რომ მოდიოდა ხოლმე და მის მუშაობასაც არ შევსწრებივარ. მიამბობდნენ, მუზა რომ მოუვიდოდა, ჩაიკეტებოდა ოთახში, ხელი რომ არავის შეეშალაო. მგონი, უფრო დილის საათებში წერდა. დაზუსტებით ვერ გეტყვით, როგორ წერდა თუნდაც „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰემას“, მაგრამ ვისაც ძველი თბილისის გაცნობა სურს, სამაგიდო წიგნად უეჭველად გამოადგება. აქ ყველაფერს წაიკითხავს: მხატვრულად აღწერილ ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრებას, მოსახლეობის ადათ-წესებს, ჩვევებს. ყველა პოეტს პირადად იცნობდა, ვისი ცხოვრებაც აქ აღწერა იოსებმა, - გიორგი ი. სკანდარნოვსაც და იეთიმ-გურჯსაც, რადგან ორივენი ხარფუხელები იყვნენ. ბოლო წლებში „ბოჰემა“ სამჯერ გამოიცა: ორჯერ აქ და ერთხელ გერმანიაში, გერმანულ ენაზე. ორი წლის წინ კანადიდან გვეწვია პროფესორი, - ტორონტოში ლექციებს ვკითხულობ და სკანდარნოვის შემოქმედებასაც ვასწავლი სტუდენტებს. მასზე თუ არის წიგნები, იქნებ მაპოვნინოთო. გამიკვირდა. საქართველოში ბევრს „ბოჰემა“ არ წაუკითხავს და ამ კაცის შესახებაც არაფერი გაუგია, ვიღაც პროფესორი კი კანადაში ასწავლის მის შემოქმედებას (იცინის)! რასაკვირველია, დავეხმარე: ჩვენს ბიბლიოთეკაში ამ მწერლის 30-მდე გამოცემაა და ვუჩვენე. ხომ გაგიგონიათ სიმღერა, „ორთავ თვალის სინათლევ“, ეს ლექსიც სკანდარნოვის დაწერილია.

- გესაუბრებოდათ ხოლმე ამ ადამიანებზე ან სხვა თემებზე?

- მათზე არა, სხვა თემებზე - კი. აკაკი წერეთელთან სტუმრობას იხსენებდა. ახალგაზრდები ვეწვიეთ და როგორც ღმერთს, ისე ვუყურებდით. იმან კი უწმაწური ანეკდოტების მოყოლა დაიწყო და ისე შეგვრცხვა, სახეში ვეღარ ვუყურებდითო, არადა, ხანდახან თვითონაც კი მიყვებოდა უწმაწურ ანეკდოტებს (იცინის). მახსოვს, ძალიან ემადლიერებოდა ვალერიან გუნიას, რადგან ობოლი იყო და მან გაუკვლია გზა ცხოვრებაში. იუმორისტულ ჟურნალს - „ნიშადურს“ გამოსცემდა, თვითონ იყო რედაქტორი და 16 წლის იოსები დანიშნა თავის მოადგილედ. მიყვებოდა ხოლმე, ძირითადად, სარედაქციო სამუშაოს მე ვაკეთებდიო. ერთ ზაფხულს ბორჯომში ვისვენებდით ერთად. მისი მეუღლე და დეიდა ანი სადღაც წავიდნენ და მარტონი ვისხედით სასტუმროს აივანზე. რაღაც ამბებს იხსენებდა და ასეთი რამ მითხრა: გუნია ავად იყო და სანახავად მივედი. ფერმკრთალი ჩანდა და დაღონებული, უგუნებოდ. გაიხსენა, - ეჰ, რა თამადა ვიყავიო. ყველა რაღაცას იხსენებს და მე რა გავიხსენო: ეჰ, რამდენჯერ ვიყავი შეყვარებული-მეთქი (იცინის)? რომ ამბობენ, პირველი სიყვარული სულ სხვა არისო, მე ვიტყოდი, რამდენჯერაც მიყვარდა, ყველა გამორჩეულად ძლიერი სიყვარული იყო-მეთქი...

- თავის სიყვარულებზე კონკრეტულად არაფერს გიყვებოდათ?

- ბავშვი ვიყავი და რას მომიყვებოდა, მაგრამ მის არქივს რომ კარგად გავეცანი, ყველაფერი გასაგები გახდა. ყველა იმ ქალის წერილი შეუნახავს, ვინც მოსწონდა ან უყვარდა და თითოეულზე მიწერილი აქვს, ვინ როდის გათხოვდა და ვის გაჰყვა. მის ნაწერებში წავიკითხე, რომ ბავშვობაში მარუსა (რეჟისორ პავლე ფრანგიშვილის და) მოსწონდა. რომელ ლექსშიც ხუჭუჭ თმას ვახსენებ, ყველა მაგას ეძღვნება. მიყვარდა და ვუყვარდი, მაგრამ მშობლებმა არ მომცეს ცოლად შერთვის უფლება, 17 წლისა იყოო. მერე, 1911-1913 წლებში მასზე 6 წლით უფროსი მსახიობი ოლღა ლეჟავა მოსწონდა. უფრო პლატონური იყო მისი სიყვარული. ოლღასთვის მიწერილი 200 საფოსტო ბარათი აქვს შენახული. ყველა ლექსი, რომელსაც „ოლოლს“ აწერია, ოლღა ლეჟავას ეძღვნება. არადა, გათხოვილი იყო ის ქალი და შვილიც ჰყავდა. 1913-1916 წლებში მოსწონდა სოფიო (სონა) ჩიჯავაძე. მასაც ბევრი ლექსი მიუძღვნა. გავიცანი ამა და ამ წელს და გადავიცანი ამა და ამ წელსო - წელი, თვე და რიცხვიც უწერია. ეს სონა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე სპირიდონ კედიას გაჰყვა პარიზში და 108 წლისა იქ გარდაიცვალა. ჟაკ შირაკმა პარიზის საპატიო მოქალაქის წოდებაც კი უბოძა. სონა მემუარებს წერდა და ვერ დაუსრულებია თურმე. მისი შვილი და ნათესავები იყვნენ მოსულები და მუზეუმის ის კუთხე გადაიღეს, სადაც სონას ფოტოებია... ამდენი ქალი მოსწონდა და უყვარდა, მაგრამ მისი სულიერი მეგობარი პოეტი მარიჯანი იყო. შემოქმედებითი და სულიერი ერთიანობა ჰქონდათ და... როგორც ჩანს, მარიჯანი მაინც ყველაზე მეტად უყვარდა:

„...მაგრამ ჩემსავით თვით სიკვდილიც
ვერ შეგიყვარებს,
სიკვდილი, ტრფობის ერთადერთი
გამომსახველი.
მაგრამ, ვინ იცის! შენ ჩემზე წინ,
შენ ჩემზე ადრე
თახთახ სუდარით თუ მობურე,
თუ მოიჩადრე
ეგ სათნო სახე, ლმობიერი
ეგ შენი სახე:
გემუდარები - რომ არ ვგრძნობდე
იქ თავსა ობლად -
შენსა საფლავთან, მეგობარო,
შენსა მახლობლად
ერთი ადგილი, ვიდრე მოვალ,
მეც შემინახე!“

- რატომღაც მგონია, ბობოქარი, ხმაურიანი ადამიანი იყო.

- არც ძალიან ხმაურიანი. მჭექარე ხმა კი ჰქონდა და კარგი დეკლამატორიც იყო. სუფლიორობდა კიდეც და მსახიობობდა - მეორეხარისხოვან როლებს ასრულებდა სპექტაკლებში. საღამოებზე საკმაოდ კარგად კითხულობდა ლექსებს. საერთოდაც, მრავალფეროვანი ადამიანი და შემოქმედი იყო. ლირიკულ, სატრფიალო ლექსებსაც წერდა, იუმორისტულსაც და პოლიტიკურსაც, სამოქალაქო თემებზეც და პატრიოტულსაც, ჟურნალისტიც იყო და ბიბლიოგრაფიც, ყველაფერი აინტერესებდა და აკეთებდა კიდეც.

- ბატონო ნოდარ, მაინცდამაინც თქვენ რატომ განდოთ ბიბლიოთეკისა და ასეთი უნიკალური არქივის მოვლა-პატრონობა?

- მას ჰყავდა დისშვილი, დეიდაჩემი, რომელიც უმამოდ გაიზარდა და იოსები

იყო მისი მამაცა და პატრონიც. ამიტომაც, ყველაფერი დეიდაჩემს გადასცა, ჩემ შემდეგ შენ უნდა მოუაროო. სწორედ დეიდას ღვაწლია, ეს მუზეუმი რომ მოეწყო. მოიწვია სამუზეუმო საკითხების ღვაწლმოსილი სპეციალისტები ალექსანდრე ჯავახიშვილი, სიმონ ბოლქვაძე და ავთო ვარაზი და რა სახეც აქვს დღეს, სწორედ ამ ხალხისა და დეიდას დამსახურებითაა. ლექსი რომ აქვს იოსებს, „პატარა ანის ალბომში", მას მიუძღვნა:

„მე შენ სახელად ანი დაგარქვი,
ჩვენი ანბანის პირველი ასო.
ხალხში ხარ - ვამბობ:
„კარგი ხარ, კარგი!"
მარტო ხარ - ვამბობ:
„ჩემო ძვირფასო"...
მე კი, შენს ბიძას, კუბოს ლანდები
როცა მეწვევა და მიმაყუჩებს, -
მწამს, სხვაზე მეტად შენ დაგნანდები
და ეგ ცრემლები შემიკრავს ტუჩებს".

ანის ბევრი დისშვილი ჰყავდა, მაგრამ იცოდა, წიგნები მიყვარდა და იოსებს უთხრა, ამის მეტი შენს წიგნებს ვერავინ მოუვლისო. მითხრა კიდეც იოსებმა, შენ გიყვარს წიგნების კითხვა და ამ ბიბლიოთეკას შენ უნდა მიხედოო. ამიტომაც პროფესიულად შევისწავლე საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო დარგი. აქ იმდენი წიგნი წავიკითხე და იმდენი საინტერესო რამ გავიგე, სხვა შემთხვევაში ამის მესამედი არ მეცოდინებოდა.

- რას ატყობთ, თქვენი შთამომავლებიც ასე გაუფრთხილდებიან აქაურობას?

- არ უნდათ, საერთოდ არ ეკარებიან ამ ბიბლიოთეკას, - რა დამცირება და წვალებაც გამოიარე, არ გვინდა, ჩვენც გავიაროთო. ბოლო წლებში მართლა ბევრ უსამართლობას გადავაწყდი და ბევრი ვიწვალე, ეს ყველაფერი რომ დამეცვა და შემენარჩუნებინა. მე რომ იოსებ გრიშაშვილის ოჯახის ერთგული არ ვყოფილიყავი, აქ არ გავჩერდებოდი და მუზეუმი გაპარტახდებოდა და გაიძარცვებოდა კიდეც. პრინციპში, ნადგურდებოდა კიდეც ყველაფერი, წყალი ჩამოდიოდა, კედლები ინგრეოდა, უნიკალური ექსპონატები ფუჭდებოდა. კულტურის სამინისტროს მივწერე, მაგრამ არავის შეუწუხებია თავი, სად არ ვთქვი?!

მერე ერთმა ჟურნალისტმა ჩემთან ინტერვიუ დაბეჭდა გაზეთში და რამდენიმე დღეში ვიღაცები მოვიდნენ, - ის სტატია მაჩვენეს და ამიხსნეს, „ქართუ ჯგუფიდან" ვართ, მუზეუმი უნდა აღვადგინოთო. ყველაფერი დავათვალიერებინე, ხარჯთაღრიცხვა შეადგინეს, ნახაზები გააკეთეს და კი ხედავთ, გათბობით, წყალსადენით, ელექტროგაყვანილობითა და სიგნალიზაციით დაწყებული, ყველაფერი რა ხარისხიანად და ლამაზად არის გაკეთებული.

ირმა ხარშილაძე

- შინ არავინაა? - მკითხა ელენემ.

- არა. წერილს დავუტოვებ და თუ ის კაცი ბესოა, იქნებ გვესტუმროს ოდესმე.

- და თუ ის არ არის, შეიძლება მაინც გვესტუმროს, - თქვა ელენემ, - სულ არ გამიკვირდება.

რამდენიმე სიტყვა დავწერე და კარის ღრიჭოში შევტენე. მერე გულის დასამშვიდებლად ერთხელ კიდევ ვხეთქე კარს ფეხი. და ის იყო, უკან წამოსვლას ვაპირებდი, რომ კარის სარკმელი გაიღო და ვიღაცის სახე გამოჩნდა.

- გამარჯობა, - ვუთხარი სახეს ქართულად.

სახე მიიმალა. სარკმელი მიიხურა. დაველოდე. არაფერი შეცვლილა. ცოტა კიდევ დავიცადე. კვლავ არაფერი.

- მომისმინე! - მივმართე კარს ქართულად, - ის, ვინც შენს შიგნით ცხოვრობს, ჩემი აზრით, გიჟია. მამამისიც გიჟია და პაპამისიც გიჟი იყო. შენ, ვიღაცა ხარ მანდ, გისურვებ, რომ ლუკმა ქვად გექცეს და ერთი მეგობარიც ვერ იპოვო,რომ სუფრაზე მოგიჯდეს გვერდით. მარტო შენს ქელეხზე იყოს ხალხი. თუ მანამდე მივაწიე, მეც სიამოვნებით დაგეწვევი. ღამე მშვიდობისა.

თუ ქართველი იყო, გაიგებდა, თუ რა აზრი შემექმნა მასზე. თუ არა, - ჩემი ლაპარაკით არაფერი დაშავდებოდა.

კარი გაიღო. 40-50 წლის მამაკაცი დავინახე.

- გაგიმარჯოს, - მითხრა მან ისეთი ხმით, თითქოს დაჟანგული ხერხი ჭრიალებსო, - ბოდიშს ვიხდი. შინ შემოდით.

- ცოლი მყავს მანქანაში.

- ნება მიბოძეთ, მასაც ვთხოვო. დიდად ნასიამოვნები დავრჩები, თუ შემოვა.

შევედით და დავსხედით. ძველი, მაგრამ სუფთა სახლი იყო.

- რაც მამათქვენსა და პაპათქვენზე ვთქვი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ახლაც ვერავინ დამაჯერებს, რომ პირადად თქვენ გიჟი არა ხართ, რატომ თავიდანვე არ შემომიყვანეთ?

- არავის გაცნობა არ მსიამოვნებს. ძუნწი ვარ. ყველას კარისაკენ ვუთითებ. მომეშვით სუყველა.

- თუ ასე გინდოდათ, მაშ რატომ შემომიყვანეთ ოთახში?

- როცა თქვენი ხმა გავიგე, აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. უკან გამებრუნებინა ქართველი კაცი? რომ წასულიყავით და გეთქვათ ბესო ფეხშიშველაშვილის კარზე ვაკაკუნე და არ გამიღესო, ხომ მომეჭრებოდა თავი. აი, ამიტომ იყო, რომ შემოგიშვით.

- გასაგებია, - ვუთხარი მე, - ეს იმით აიხსნება, რომ გაძუნწებამდე ქართველი იყავი. ხომ გაგიგონიათ, სანთელ-საკმეველი გზას არ დაჰკარგავსო.

ბესო მაგიდას აწყობდა და თანხმობის ნიშნად თავს გვიქნევდა. სიჩუმე რომ დამერღვია, ვუთხარი:

- გასაოცარი ამბავია. პირველად ვხვდები უცხვირპირო ქართველს. ჩვეულებრივ სულ იმას გვისაყვედურებენ, რომ თავზე გადაყოლა ვიცით ხოლმე.

- რას იზამ,- მიპასუხა ბესომ,- როგორც კი ვინმეს გავიცნობ, მაშინვე ფულს დამესესხება. ხან მახლობელი ჰყავს ავად - ოპერაცია უნდა გაუკეთონ, ხან რაიმე სარფიან საქმეს იწყებენ, ხან მიწას ყიდულობენ. ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობენ. ყველაზე ხშირად კი გამოგონებებს მთავაზობენ. უარის თქმას ვერ ვახერხებ და ფულს ვაბანდებ ამ გამოგონებებში.

ბესომ წარბებქვეშ გამომხედა და მკითხა:

- გატყობ, შენ რაღაც გამოგონება გექნება.

- არა. მეც გატაცებული ვარ გამოგონებებით, მაგრამ ფული არ მჭირდება.

- აი, ამ წუთში რაიმე აზრი ხომ არ გიღიტინებს თავში. რაიმე პატარა, უბრალო მიგნება.

რატომ მოვუყვე ჩემს ცემენტზე, - ვთქვი გულში. სჯობს, მე თვითონ გავაკეთო-მეთქი. ხმამაღლა კი ვუთხარი:

- ერთი რაღაც მაქვს. მანქანას ეხება: მაგრამ მაინცდამაინც გულით არ მოვკიდებივარ. მგონი, მუდმივი ძრავა გამოვიგონე, ოღონდ რომ დავრწმუნდე, ლოკომოტივი მჭირდება.

- აი, ხომ მივხვდი! საშველი არაა! ყველაზე მეტად ეს მუდმივი ძრავები მღუპავს. კარგი, ამიხსენი, როგორია ეგ შენი გამოგონება, იქნებ ვიშოვოთ ლოკომოტივი.

სიტყვა ბანზე ავუგდე, აქ რომ შემოვიყვანო-მეთქი.

ჩემს მობრუნებამდე ბესოს ორი თეფში ხორცი დაედგა იატაკზე. ქედანა და მურა კარგა მადიანად შეექცნენ.

- იქნებ კიდევ შიათ, - მკითხა ბესომ, როცა დაინახა, რომ ძაღლები თეფშებს ლოკავდნენ.

ბესომ ძაღლებს ცალ-ცალკე დაულაგა წინ ქაღალდში შეფუთული ჩურექლუჰუმები. ქედანას ეყო ზრდილობა და ქაღალდი წინასწარ შემოაგლიჯა, მაგრამ მურა არ იყო საზოგადოებაში გამოსული და გასანთლულ ქაღალდიანად გადასანსლა.

შემდეგ ბესომ მშვენიერი სუფრა გაგვიშალა. დავსხედით და კარგი დრო გავატარეთ. ბესო განსაკუთრებით ნასიამოვნები დარჩა, როცა გაიგო, ცოლი ახლადშერთული რომ მყავდა და მაინც ვაწვიე. ეს ძალიან დიდ პატივისცემად ჩათვალა.

ბესო კედელთან მივიდა და სურათი ჩამოხსნა. სურათს უკან კედელში შეჭრილი დიდი ხვრელი გამოჩნდა. ბათქაში და ტკეჩები გამოეტეხათ. მან ხელი შეყო ხვრელში და ცის დანაკის საყურეები გამოიღო. ასეთი ლამაზი არაფერი მენახა - ოქროში ჩასმულ საპნის ბუშტებს ჰგავდა.

- მე მსურს ჩემს თავს დიდი სიამოვნება მივანიჭო თქვენი ცოლისათვის ამ პატარა სახსოვრის ჩუქებით. ნებას მომცემთ?

ნება მივეცი და გულწრფელი მადლობა მოვახსენე, მაგრამ ელენემ რაღაც მოიბოდიშა და უარი განაცხადა.

- გასაგებია, გასაგებია, - თქვა ბესომ, - ჩემი სიბრიყვის ბრალია. უნდა მაპატიოთ. თქვენ ფიქრობთ, რომ ცის დანაკი თარსია, არა?

მან ცოტა ხანს აფათურა ხვრელში ხელი და ამეთვისტოს გულსაბნევი ამოიღო.

- გთხოვთ, ნება დამრთოთ, რომ საყურეების ნაცვლად ეს გულსაბნევი შევთავაზო. ან კიდევ ეს, - და ბესომ ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი დაგვანახა.

ელენემ მადლობა გადაუხადა და გულსაბამი გამოართვა, რადგან დაატყო, ეს რომ არ გამოერთმია, მაშინ ბესო უფრო

რედაქტორისაგან:

გიორგი და ჰელენ პაპამგიელების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს" ავტობიოგრაფიული ნოველების კრებულია.

იგი ინგლისურ ენაზე დაიწერა და პირველად 70 წლის წინათ, 1944 წელს გამოიცა. დღემდე ამ წიგნის 20-მილიონამდე ეგზემპლარია გაყიდული, რვიდმეტჯერ გამოიცა ამერიკაში, ითარგმნა იტალიურ, ფრანგულ, ნორვეგიულ, დანიურ ენებზე. გადაღებულია ამავე სახელწოდების ფილმადაც ჰოლივუდში.

წიგნი გვიხატავს 1930-იანი წლების ქართველი ემიგრანტის ცხოვრებას და ამავე დროს გლეხის თვალით დანახულ ამერიკას.

ანთოლოგიაში, მსოფლიოს 50 საუკეთესო წიგნს შორის, ხომელშიც ყველაზე უკეთ აისახა ამერიკა - ჯეკ ლონდონის, ფიცჯერალდის, სელინჯერის და ჰემინგუეის გვერდით შეხვდებით ამ წიგნსაც.

ძვირფას საჩუქარს შესთავაზებდა.

- თქვენ არ შეიძლება ძუნწი იყოთ. ეს ყოვლად წარმოუდგენელია, - ვუთხარი ბესოს.

- კი! ნამდვილად ვარ! ძუნწი რომ არ ვიყო, განა კედელში დავმალავდი სამკაულებს. მაშ ეს სიძუნწე არაა?!

ბოლოს შინ დაბრუნების დროც მოვიდა. ბესო ჩამაცივდა, ეს დურბინდი წაიღე სახსოვრად, ამით გაიხსენებ ჩემთან პირველად მოსვლასო. მერე ფოტოაპარატი მომაჩეჩა ხელში - ეს იმის გასახსენებლად, დღე და ღამე რომ დადიოდი ამ უცხო ქვეყანაში შენი თანამემამულის მოსაძებნადო. მერე ელენეს ინგლისურ, რუსულ და ბერძნულ შრიფტიან საბეჭდ მანქანას აძლევდა, მაგრამ, როგორც იყო, დავაჯერე, ექვსი თუ შვიდი ცალი გვაქვს-მეთქი. ბესომ პირობა მოგვცა, რომ ორი კვირის შემდეგ გვესტუმრებოდა.

გზაზე ელენემ კინაღამ დამახრჩო შეკითხვებით.

- რატომ იყო ასეთი ჩუმი? რატომ პირდაპირ მე არ მომმართავდა? არ მოვეწონე?

- ძველი ყაიდის კაცია, - განვუმარტე მე, - ისინი უხსოვარ დროს ასე იქცეოდნენ და ახლაც მტკიცედ ადგანან ამ ჩვეულებებს. მაშინ ეს ზრდილობად ითვლებოდა.

შინ რომ დავბრუნდით, კვლავ სამუშაოს ჩავუჯექი და, როგორც იყო, დავამთავრე ჩემი ცემენტი. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ კარგი იქნებოდა.

- ამ ცემენტით ჩვენი სახლის სარდაფის შელესვას ვაპირებ (ჩვენი სახლი ნესტიანი იყო), თუ აქ გამოდგა, მაშ წყალგამძლე ცემენტი გამომიგონებია-მეთქი, - ვუთხარი ელენეს.

გულდაგულ შევლესე და სარდაფი ფიჩხივით გამოშრა. დღეში ხუთჯერ მაინც ჩავდიოდი სანახავად - პირდაპირ შედევრი იყო!

იმ დღეს, როცა ბესოს მოველოდით, სადგურისაკენ გავეშურე, მაგრამ გზად წითელი მელია შემომხვდა. მელია ხიდზე გადარბოდა და ცოტა ხანს ვუმზირე. მინდოდა გამომერკვია, რატომ აქანდაკებენ, მაგალითად, ბეჰემოტებს. თუ ბეჰემოტები იმსახურებენ გამოქანდაკებას, მელიამ რაღა დაშავა. ბოლოს მივხვდი - ეს მხოლოდ და მხოლოდ კუდის ბრალია. მერე გარეული ჯადვარი ვიპოვე,ინგლისურად „ქალის ფეხსაცმელს“ რომ ეტყვიან ისა, და ამოვთხარე. ვიფიქრე, ელენეს ბაღში დავრგავ-მეთქი. მერე შევეცადე გამეგო, რას ამბობდა ნაკადული, მიწაზე დავწექი და ვუსმინე და ვუსმინე: „თევზები თეფშებზე, თევზები თეფშებზე“ რაკრაკებდა ნაკადული. მეტს ვერაფერს მივხვდი. ამან გამახსენა, რომ მშიოდა. წამოვხტი და სადგურისაკენ გავეშურე. მატარებელი კიდეც

მოსულიყო და კიდეც წასულიყო, - თითქმის ერთი საათი იქნებაო, - მითხრა რკინიგზის მოხელემ. ბესო ვერსად შევნიშნე: ვიფიქრე, ალბათ, არ ჩამოსულა, თორემ რომ ჩამოსულიყო, მოისაზრებდა და სადგურზე დამელოდებოდა-მეთქი (ბესო გამოცდილი კაცია და მიხვდებოდა, რომ დროზე არ მივიდოდი სადგურში).

რაღა უნდა მექნა. ავდექი და შინ მივბრუნდი. ხორშაკი ქარი ქროდა. აივანზე ელენე დავინახე. სვიტრი ჩაეცვა, თავშალი მოეხურა და ხელთათმანებიც არ დაევიწყა. იგი ჩაის უსხამდა ბესოს, რომელსაც ყელსახვევით მოებუდნა თავპირი, პალტო ეცვა და ქუდიც ეხურა. შევამჩნიე, რომ ძალიან ტანჯული გამომეტყველება ჰქონდა.

შინ შევედით. ძალიან მინდოდა გამეგო, რა აწუხებდა ბესოს, მაგრამ მან მალე მოიკეთა და ჩამოტანილი საჩუქრების ამოლაგება დაიწყო. ჩემთვის გიტარა ჩამოეტანა, ელენესათვის თხილამურები, - მძლეოსნობა ყველა ამერიკელ გოგოს უყვარსო.

ვისაუზმეთ, დავლიეთ, დრო გავატარეთ და შემდეგ ბესო წასასვლელად შეემზადა - რიჩმონდში მიდიოდა საქმეზე. დაგვპირდა, რამდენიმე დღეში უკან უნდა წამოვიდე და შემოგივლითო. ელენეს სული კბილივით ეჭირა, სანამ ბესო დაგვემშვიდობებოდა. პირდაპირ იწვოდა ცნობისმოყვარეობით.

- რაში იყო საქმე? - მეცა იგი, როგორც კი ბესო ზღურბლს გადასცდა, - მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რატომ არ შემომყვა ოთახში?

- მითხარი, როგორ იყო?

- როგორ და კარზე რომ დააკაკუნა, რა თქმა უნდა, ხელი ჩამოვართვი და შემოვიპატიჟე. მე მგონი,თავაზიანად ვუთხარი. მე ხომ ძალიან გამეხარდა მისი დანახვა. მითხრა, გარეთ მოვუცდიო. ჩავაცივდი, შემობრძანდი-მეთქი, მაგრამ არ ქნა, აივანზე რომ სკამი გვიდგას, იმაზე დაჯდა და მეც რაღას ვიზამდი, გარეთ გავედი. ყველაფერზე ველაპარაკე, რაც კი გამახსენდა - ამინდზე, ვირჯინიაზე, ჩვენს ნაცნობ ქართველებზე, ვკითხე, როგორ იმგზავრეთ-მეთქი, ხშირ-ხშირად გზას გავცქეროდი, მაგრამ შენ არა ჩანდი. უკვე პირველ საათს გადასცდა. ამიტომ საუზმე გარეთ გამოვიტანე. ნეტა რა მოეჩვენა? რამე დავაშავე?

- არა, არა. ეს ძველთაძველი ზრდილობაა. მრავალი წლის წინათ ასეთი ჩვეულება იყო, როცა ვინმესთან მიხვიდოდი, გარეთ უნდა დაგეცადა, სანამ თვითონ ოჯახის უფროსი არ შეგიპატიჟებდა სახლში. უბრალოდ, ასეთი ადათი არსებობდა: როცა მარტო ცოლი იყო შინ, ოთახში არ უნდა შესულიყავი.

- ღმერთო ჩემო, - ელენეს სუნთქვა შეეკრა და სახე ჭარხალივით გაუწითლდა, - რა ჩავიდინე! ეს რა ჩავიდინე!

- რა?

- როცა ბაღი შემოვატარე, შენი ჩაყრილი ხეხილი, ფანჩატური და სათევზაო გუბურა დავათვალიერებინე...

- მერე, რა მოხდა?

- მერე მე, ოჰ, რა ვქენი! სამუდამოდ მოგჭერი თავი, - ელენე აქვითინდა, - მერე ველარ მოვიფიქრე, რითი გამერთო და ვუთხარი, იქნებ ინებოთ, ჩემთან ერთად სარდაფში ჩამობრძანდეთ და ცემენტი ნახოთ-მეთქი.

ფერმის შეძენა

უკვე მეორე გაზაფხული იყო, რაც ვირჯინიაში ცხოვრობდით. ერთხელ ორი რამ შეგვემთხვა ერთდროულად. ერთი ის, რომ ილიას მეუღლე, ემილია იაკოვლევნა, დაგვპირდა, ზაფხულის შვებულებას თქვენთან გავატარებო, და მეორე, ელენე დავიყოლიე, მონაწილეობა მიგვეღო კონკურსში. „რაღა სწორედ ესა და ეს საჭმელი ზეთი მოგწონს და არა სხვა“, - იყო ამ კონკურსის ერთ-ერთი კითხვა.

- სწორედ ის ზეთია დასახელებული, რომელსაც ვხმარობთ, - ვუთხარი ელენეს, - რატომ არ უნდა ვცადოთ ბედი?

- ნუ სულელობ, ჩვეულებრივი მოკვდავები ამ კონკურსში არ იმარჯვებენ. ამ კომპანიის მესვეურის ბიცოლა მოიგებს, ან ტყუილ გვარს დაწერენ.

- არა მჯერა, ამერიკაში ხომ ყოველთვის უამრავი ხალხი იგებს. ყველა გაზეთში აცხადებენ და რადიოთი გადმოსცემენ ხოლმე. მე მგონი, ვინც იგებს, ნამდვილი ადამიანია. როგორც ჩანს, ამერიკაში ძალიან მიღებულია ასეთი კონკურსები.

- კარგი, შენცა სცადე.

მეც ავდექი და ზეთის კომპანიას წერილი მივწერე:

„სალამი და კარგად ყოფნა ამ წერილის წამკითხველს! მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ჩემი ცოლი ყოველდღე თქვენი ზეთით კაზმავს სალათს. არ ვიცი, ჩემი ცოლია კარგი, თუ თქვენი ზეთი. ერთი კია - უკეთესი სალათა არავის უჭამია ქვეყნად.“

ღუმელი, სტოკერ და რვა ტონა ქვანახშირი მოვიგე.

ელენე გულზე გასკდა. იგი დახელოვნებულ ლიტერატორად ითვლებოდა ჩვენს ოჯახში. სამაგიერო რომ გადაეხადა, ჩემს საბრძანებელში შემოიჭრა და დასაკეცი საყვავილე ქოთანი და კარსა და კარს შუა ჩასადები რეზინები გამოიგონა (რეზინი ძველი კამერისაგან უნდა გამოეჭრათ და მას ქეჩის მაგიერობა უნდა გაეწია).

ელენემ ორივე იდეა ერთ ტექნიკურ ჟურნალს მიჰყიდა. ნეტა ღმერთმა მოწყალების თვალით გადმოხედოს იმათ, ვინც ამ გამოგონებათა განხორციელებას დაუპირებს. ერთი სიტყვით, ახლა მე და ელენე ბარი-ბარში ვიყავით.

ახლა ღუმელზე მოგახსენებთ: ჯერ ერთი, ივარით აღებულ სახლში ვცხოვრობდით. მერეც, ადგილიც არ გვქონდა მეორე ღუმელის დასადგმელად. ამიტომ სასალათე ზეთის კომპანია ძალიან კეთილად მოგვექცა და ღუმელის ნაცვლად ელექტრომაცივარი მაჩუქა.

- მოდი, უფრო ხერხიანად მოვიქცეთ, - ვუთხარი ელენეს, როცა სამზარეულოში ელექტრომაცივარი აზუზუნდა, - განა არა სჯობს, სახლი ვიყიდოთ. სხვა დროს ყოველგვარი საჩუქრისათვის გვექნება ადგილი. ასეთი შეცდომა აღარ გავიმეოროთ.

ასე ვიყიდეთ ფერმა პენსილვანიაში.

მაგრამ ეს ყოველივე არაფერი იყო ემილია იაკობის ასულის დაპირებასთან შედარებით. შვებულების ჩვენთან გატარება ფრიად მოულოდნელი დაფასება იყო, რადგან ემილია საქმიანი და მოდაში შემოსული ქალბატონი გახლდათ. აურაცხელი ტანსაცმელი და ორი ბეწვის ქურქი ჰქონდა, კვირაში შვიდნაირად ივარცხნიდა თმას და საუცხოო კოსმეტიკის კაბინეტის მფლობელი იყო. თავის ხელოვნების მიღწევებს ემილია სასტუმრო „ასტორიის“ ხალხით გაჭედილ დარბაზებში აჩვენებდა. ემილია ყოველთვის გვასწავლიდა, როგორ მოვქცეულიყავით, თუ ნამდვილ ამერიკულ ყაიდაზე გვინდოდა ცხოვრება.

ახალშეძენილ ფერმაში რომ გადავსახლდით, ემილია ჯერ კიდევ არ იყო გასული შვებულებაში. როცა ავეჯი უწესრიგოდ დავალაგეთ გასარემონტებელ ოთახებში, ხარახურა გადავყარეთ და ტელეფონი დავდგით, ელენეს ვუთხარი:

- ახლა კი, ვფიქრობ, დროა, ილიას დავურეკო და ემილიას ჩამოსვლის თაობაზე მოველაპარაკო.

- რაღაც ვერ წარმომიდგენია ემილია თავისი მტრედისფერი, გაპრიალებული ფრჩხილებითა და სიფრიფანა წინდებით ჩვენს ფერმაში, მაგრამ შენ როგორც გენებოს, ისე გააკეთე.

მე ნომერი ავკრიფე და ილიკოს ქართულად ვუთხარი:

- ჩვენ გუშინ ვირჯინიიდან ავიყარეთ და აქ გადმოვსახლდით, მაგრამ ემილიას უთხარი, მაინც ჩამოვიდეს. ბეთლემში ჩამოვიდეს მატარებლით, ზუსტად ისე, როგორც ადრე ავუხსენით. ისევ პენსილვანიაში, რიჩმონდში კი არა... ბეთლემში. გაიგე?

- გავიგე, რა თქმა უნდა, გავიგე, - ეტყობა, ილიკოს პირთან ისე ახლო მიეტანა მიკროფონი, რომ ხმა მთელ ოთახში ისმოდა, - ყველაფერი გავიგე.

- სადგური პენსილვანია?!

- ჰო!

- სამშაბათს. როგორც დავთქვით.

- კარგი!

- აბა, კარგად იყავი!

- მოიცა, - დაიღრიალა ილიკომ, - სად უნდა ჩამოვიდეს? ყურმილი მაგრად ჩავბღუჯე ხელში და ჩავყვირე:

- ბეთლემში. პენსილვანიის შტატში!

- ვერ გავიგე! ასო-ასოდ მითხარი!

- ბეჰ - ბეჰ, - დავიწყე მე, მაგრამ ველარ დავამთავრე. შემდეგი ბგერა ქართულში არა გვაქვს, - ამ ბგერის ნაცვლად ხორხიდან რაღაც ხრიალი ამოვუშვი.

- არ მესმის, - იყვირა ილიკომ, - ბიგლი? არის ასეთი ქალაქი! ბიგლი.

- აბა, რა ვიცი, არის? ყურადღებით მომისმინე. ბეთლემი. რა ჯანდაბა დაგემართა?! აი, სადაც ფოლადია, კაცო, ფოლადი.

- პიტსბურგში გინდა ჩამოვიდეს? პიტსბურგის სადგურზე დახვდები?

მუხლებში გავიმართე და ხმას ავუწიე.

- მომხედე, ილიკო! ქალაქი ბეთლემი! ბეთლემი! სადაც ქრისტე დაიბადა.

- ის ხომ ძველ ქვეყანაში დაიბადა. მე ასე ვიცი, აქ არ დაბადებულა.

შევატყე, რომ სისხლი მომაწვა ყელში, მაგრამ ერთხელ კიდევ ვცადე:

- ბეთლემი. მამაშენის სახელს წაგავს. მიხვდი? ძალიან კარგი. ემილია იაკოვლევნას უთხარი, სადგურიდან დაგვირეკოს.

- აი, ახლა კი გავიგე. რატომ აქამდე არ მითხარი ასე? ახლა მოგაგნებს... კარგად იყავი!

ყურმილი ჩამოვკიდე და შუბლი მოვიწმინდე. თავიდანვე ასე უნდა მეთქვა. ახლა ხომ მიხვდა.

- კი მაგრამ, მამამისს მართლა ბეთლემე ერქვა? - მკითხა ელენემ, - ნუთუ ილია ბეთლემის ძეა?

- არა, მაგრამ ძალიან დიდი მსგავსებაა. ბართლომე - ილია ბართლომეს ძე. ახლა უკვე გვიპოვის.

ვუცადეთ სამშაბათს, ოთხშაბათს, მაგრამ ემილია არ გამოჩნდა. პარასკევს, ნაშუაღამევს, რკინიგზის მოხელემ დაგვირეკა:

- ერთი ქალბატონია აქ, უკვე კარგა ხანია იცდის. ჩემი ვარაუდით თქვენებური უნდა იყოს.

იმ წამსვე სადგურისაკენ გავქუსლე. მართლა ემილია გამოდგა, როგორც ყოველთვის, უცხოელს ჰგავდა. ახალი კაბა ეცვა, ახალი ქუდი ეხურა, თმა უცნაურად დაევარცხნა და სახეზე რაღაც ნელსაცხებელი წაესვა.

- ასე ხომ? - თქვა ემილიამ და რაღაც სხვანაირად ჩაიცინა, - არ შემხვდით ხომ? მე უკვე ვიყავი ბერთესვილში, მშვენიერი ადგილი ყოფილა, ბარტოში. იქ ღია ბარათები ვიყიდე. ნიუ იერუსალიმი მოვინახულე. მთელი ქვეყანა მოვიარე. აქ ორ დღეა ვიცდი, რა უცნაური ხალხია - ეგონათ, რომ არასოდეს მომაკითხავდით.

- ძლიერ ვწუხვართ, - თქვა ელენემ, - დიდ ბოდიშს ვიხდით, რომ...

- არაფერია. მე ხომ ვიცოდი, რომ მოხვიდოდით. ოდესმე მაინც!

მივედით შინ და მანქანიდან ტანსაცმლის ყუთი, ტყავის ნესესერი და ქუდებისა და ფეხსაცმელების ყუთები გადმოვტვირთეთ. ემილია ისე გახალისდა, ვეღარ იცნობდით.

- ეს ფერმა ყოფილა, - თქვა მან, ბოსლისაკენ მიბრუნდა, ყელი მოიღერა და ღრმად ამოისუნთქა, - აი, ეს კი ფერმაა. რატომ ადრე არ მითხარით? მომყევით! - ემილიამ წინდები და წაწინწილებულქუსლიანი ფეხსაცმელები გაიხადა და ფეხშიშველამ გადაჭრა ეზო. კარგახანს გულისყურით უმზერდა ბოსელს, აბა, როგორი კოჭები აქვსო, მცოდნის თვალით გამოიკვლია საღორე, საქათმის დანახვაზე უკმაყოფილოდ გადააქნია თავი; მერე შვრიის ყანაში გადაუხვია, რამდენიმე თავთავი მოწყვიტა და გამოღეჭა, ყველა ყანის მიწის ნიმუში აიღო და ხელში დასრისა, მერე ღელეს აუყვა და, ბოლოს, როგორც იყო, უკან მობრუნდა (ჩვენ ფეხდაფეხ მივსდევდით), ლობიოს ქვეშ დაჯდა და ჩაფიქრდა.

- ეს ფერმა ქათმებისათვის არ ვარგა, - თქვა ემილიამ კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, - ძალიან ნოტიოა. არც კარტოფილისათვის - თიხნარია. და, მე მგონი, არც ქერისთვის. მაგრამ მაინც კარგი ფერმაა, საუცხოო ფერმაა. ახლა მოვითათბიროთ, რა მოვიწიოთ: ხორბალი? ჭვავი?

- არაფრის დათესვას ვაპირებთ, - უთხრა ელენემ, - მაგრამ ემილიას სახეს რომ შეხედა, გაასწორა, - თითქმის არაფრის, მხოლოდ ცოტა კიტრი, პამიდორი და ასეთი რამეები. სახლის გულისათვის გადმოვედით. ფერმერობას არ ვაპირებდით. მიწამ, დე, დაისვენოს.

- მაშინ სარეველა გაჩნდება. რა ახირებაა? ჩვენში ამის ნახევარი მიწით გამდიდრდება კაცი. სიკვდილამდე მდიდარი იქნება. შვილებს სკოლაში გაგზავნის, ოქროს საათს იყიდის ოქროსვე ძეწკვით.

- ემილია, არა მგონია კაცმა ფერმერობით დიდი ქონება შეიძინოს. ეგ არაა სარფიანი საქმე, თუმცა კარგი გასართობი კი უნდა იყოს.

- სარფიანი... რას ამბობ... ასეთ ფერმაში სამი, ოთხი... - ბოლოს თითები მოიშველია, - ექვსი, რვა ოთახიანი ქვის სახლით, სარდაფით, საჩიხებით და ასეთი ბოსლით ამერიკის უმდიდრესი ფერმერები ცხოვრობენ. მინდორზე ღორები, ძროხები და ცხენები ჰყავთ გაშვებული, თივა ზვინებად უდგათ, ბეღლები ხორბლითა აქვთ სავსე. ბაზარზე მასთან საუბარს ბედნიერებად თვლიან. აუცილებლად უნდა დათესოთ, ოღონდ ჯერ უნდა მოხნათ.

- მამაჩემმა შვილივით გამოზრდილი ცხენი გაყიდა, შალა ერქვა, და იმ ფულით ვლადიკავკაზში გამაგზავნა ხელობის შესასწავლად. „დროშკების“ სადგურზე თავი ვერ შეიკავა, ატირდა და მითხრა: „წადი, შვილო, ისწავლე და ლუკმაპურისათვის ჩემსავით აღარ მოგიწევს მთელი სიცოცხლე გუთნის უკან ჩანჩალიო“. ასე მითხრა მამამ. ესეც არ იყოს, მიწის დამუშავება არ მიყვარს.

რასაც ცხოვრება გაძლევს, უნდა აიღო. ვერას გააწყობ, ბედია. აი, ჩვენ სოფელში ერთი კაცი იყო. წყალს რომ იღებდა, ჭაში ჩავარდა. ყვირილი ატეხა და მეზობლებმა თოკით და კავით ამოიყვანეს. უფალს მადლი შესწირა, მაგრამ ცოტა ნაადრევად მოუვიდა. ამ ომში მეზღვაურად წაიყვანეს კრონშტანდში, გემბანიდან ტალღამ მოიტაცა და დაახრჩო. ცოლი, დედ-მამა და სამი შვილი დარჩა. რას იზამ, წყლის წერა ყოფილა. როცა წერაა, არაფერი ეშველება. ღორებზე რას იტყვი?

- არავითარი ღორი, - ვთქვი მე, - მარტო გარეულ ტახებს ვიყოლიებ. ისიც რამდენიმეს, ჩვენ რომ გვეყოს საჭმელად, იმდენს.

- მაშინ ძროხები? პრიალა, ყავისფერი ძროხებით გაავსე ბოსელი და ნაღები გექნება. ერთი ოთახი კარგად გავასუფთავოთ და შიგ კარაქი ვდღვებოთ ხოლმე. ცხვრები?! ათიოდე ცხვარიც გვინდა საძოვრების დასამშვენებლად. ქათმები მოვაშენოთ, წითელი ქათმები, წითლები უფრო მდიდრულია, ვიდრე ჩვეულებრივი, თეთრი ქათმები.

- გარეული ტახები თუ ვიშოვე, - ვთქვი მე, - ჩამოვკიდებ ჭერში და ქვევიდან ცეცხლს შევუნთებ. ქონის წვეთები მარგალიტებივით ჩამოიღვენთება, და ფანჯრის მინასავით გამჭირვალე რომ გახდება, ქეიფი მოვაწყოთ და შევჭამოთ. გარეული ტახის შაშხი ნიგოზივით გემრიელია.

- კარგი! მაშინ ღორები შევიძინოთ! - დამეთანხმა ემილია, - დედაჩემმა ღორების მოვლის საიდუმლოება მასწავლა. რძეში მოხარშული ნელთბილი ფაფა უნდა აჭამო სამხრად. იქნება სახელმწიფომ პრიზიც კი მოგცეს ღორებში. აქ იციან ასეთი რამეები. განა არა?

- მეც ასე ვფიქრობდი, - აუბა მხარი ელენემ, - სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა ან საოლქო ბაზრობამ ან სხვა ვინმემ.

- იცით? - განაგრძო ემილიამ, - ამისთანა მდიდარ ფერმას შიმშილობის დროს ღატაკები, ობლები და ხეიბრები მოადგებიან. ყველას პატარა კალათა ექნება და თქვენს ნაწყალობევს ჩაყრიან შიგ. ისეთი მდიდრები იქნებით, რომ ამის შესაძლებლობა გექნებათ. ისინი დაგლოცავენ და თქვენც მადლობას შესწირავთ გამჩენს, რომ მაინცდამაინც თქვენ ამოგირჩიათ ღარიბების მფარველად.

- პირადად მე, - თქვა ელენემ, - მათხოვრობა რომ დამჭირდეს, როდესმე, ისე შემრცხვება, რომ იქვე მოვკვდები. ამას გარდა, ისინი უფრო სათემო ხაზინას აკითხავენ ხოლმე.

- „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“, უთქვამს ჩვენს დიდ მგოსანს შოთა რუსთაველს, მაგრამ მოწყალების მიცემა მაინც ვერაფერი საქმეა. ჯობს, უფრო უკეთესი საშუალება გამონახო ხალხის საკეთილდღეოდ.

- რჩევასაც გკითხავენ, - დამამშვიდა ემილიამ, - თუ როგორ იცხოვრონ, როგორ დაქორწინდნენ, როგორ წავიდნენ ამქვეყნიდან. შენც უპასუხებ. იმდენი წიგნები და ჟურნალები რომ გაქვს წაკითხული, ელენე, ფუჭად აღარ ჩაივლის.

- ჯერ მე თვითონ უნდა ვიცოდე, როგორ ვიცხოვრო და მერე სხვას ვასწავლო, - გაბრაზებით ჩაილაპარაკა ელენემ.

ცოტა ხანს მდუმარედ ვისხედით და ხეებში ჩაბუდებული მტრედების ნაღვლიან ღუღუნს ვუსმენდით.

- ხვალ დილას შინ მივდივარ, - თქვა უცებ ემილიამ.

- რას ბრძანებთ, ემილია იაკობის ასულო, - ხმაზე შევატყვე, ელენე ნანობდა, ასე უხეშად რომ მიმართა სტუმარს, - ნუ წახვალთ, მოიცადეთ, ფერმები აქ სხვანაირია. ამერიკაში ეს ღარიბულ ფერმად ითვლება. მწირი მიწაა - ამაზე უარესი იქნებ არც კი იყოს ახლომახლო. ჩვენ ეს საცოდავი ფერმა ვარჩიეთ, რადგან ყველაზე იაფი ღირდა.

- არა, კარგი ფერმაა, - კვლავ დაიჟინა ემილიამ, - ხვალ შინ წავალ...

- დარჩით, - შეევედრა ელენე, - ნუ წახვალთ და ჩვენ მთელი დღე მზის გულზე ვიგორავებთ, ვიცურავებთ და არავითარ სოფლურ სიამოვნებას არ მოვიკლებთ. ყვავილებს დავკრეფთ და...

- და ხვალვე, ღამით, აქ ვიქნები, - განაგრძო ემილიამ, - ოღონდ ამჯერად უნდა დამხვდეთ. აღარ უნდა მომატყუოთ, - ემილიამ თავისთვის ჩაიცინა, - განა დამავიწყდა, მაშინ რომ არ დამხვდით? ძალიან სასაცილო იყო.

ველარაფერი გავაწყეთ და მეორე დილას „ექვს საათსა და 40 წუთიან მატარებელზე“ გავაცილეთ.

- არასოდეს დაბრუნდება უკან, - მითხრა ცრემლ-მორეულმა ელენემ, - სულ ჩემი ბრალია. ალბათ, წერილს გამოგვიგზავნის და ზრდილობიანად მოიხდის ბოდიშს. ახლა ჩვენ ვიცით, რომ გაბრაზებულია, თორემ ისე, იმ წერილით, ვერც კი მივხვდებოდით. შენ როგორ ფიქრობ?

- შეიძლება დაბრუნდეს, შეიძლება არა! სანამ არ დავინახავთ, ვერაფერს ვიტყვით.

გარეუბნის მატარებელს საღამოთი ისე, სხვათა შორის დავხვდით, და აკი მართლა არ ჩამოვიდა ფუთებითა და ორი გაბერილი ჩანთით დატვირთული ემილია ვაგონიდან!

- იცით, - დაიწყო მან, როცა მანქანა ოღროჩოღრო გზას დაადგა, - ნიუ-იორკში ყველას გაეხარდა თქვენი დასახლება, ოღონდ ყველამ საყვედური თქვა, - ასეთი კარგი ამბავი რატომ არ შეგვატყობინაო. კვირას კოსტა და ვერა ჩამოვლენ. კოსტა წყალსადენს გამოიყვანს. ილიკოც აპირებს ჩამოსვლას. ვთხოვე, შენს მუშტრებს რჩევა ჰკითხე აბაზანის შესახებ-მეთქი. რაიმე მდიდრული უნდა იყოს, შავი, მეწამული ან მწვანე, ნამდვილი ამერიკული სტილისა. ანიტა და მიშა რესტორანს დაკეტავენ და ჩამოვლენ. ისეთი რაღაცეები ჩამოაქვთ თქვენთვის, რომ... - ემილიამ თვალები დახუჭა, - არა, სანამ არ ნახავთ, არ გეტყვით.

ყველანი სამზარეულოში შევედით. ემილიას ჩამოტანილებიც იქვე დავაწყე.

- მაგრამ, რაც ამჟამად ყველაზე უფრო გიჭირთ, მე ჩამოგიტანეთ.

ემილიამ აზლუდში ხელი ჩაიყო, ქინძისთავით დამაგრებული ქისა ამოიღო, ასი დოლარი გადათვალა და მაგიდაზე დადო, - ეს ხვნა-თესვის ხარჯებისათვისო.

შემდეგ ერთ-ერთი პაკეტი გახსნა, შიგ ოცდაათი გირვანქა ლორი აღმოაჩნდა, - ეს გადავინახოთ, შიმშილობის დროს გამოგვადგებაო.

შემდეგ მეორეს შემოახია ქაღალდი:

- ნახეთ, რამხელა ჰამაკია. სამუშაოს რომ მორჩებით, ჩეროში დაისვენებთ. ახლა კი, მოდი, ფერმის მოწესრიგებას შევუდგეთ!

იქ, სადაც ახლაც სძინავთ გოლიათებს

ერთი სიტყვით, გვინდოდა თუ არ გვინდოდა, ფერმერობა უნდა დაგვეწყო. ემილიამ გაავრცელა თუ არა ჩვენი ამბავი, ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი, შალვა მაშინვე ჩვენსკენ გამოეშურა მაცნედ: რვა-ათი კაცი ჩამოვა შაბათს და მანამდე დარჩებიან, ვიდრე ყველაფერს არ ჩაუყრიან საფუძველსო.

ამის გაგებისთანავე რკინა-კავეულობის მაღაზიისაკენ გავეშურე საჭირო იარაღების საყიდლად.

- ლურსმნები, ხერხები, კიბეები, ფარცხი, - ჩამოთვალა შალვამ ჩემი ნავაჭრი, - გუთანიც იყიდე? ძალიან კარგად გივაჭრია, მაგრამ თუ გინდა, რომ საქმე დაჩქარდეს, თუ გინდა სწრაფად მოვათავოთ ყველაფერი და ჩვენც ვისიამოვნოთ, ერთი რამ გვჭირდება: სამშობლოში რომ არასოდეს მოგვკლებია ისა, კარგი მეზღაპრე.

- ვიცი, კარგი იქნება, მაგრამ რაღაც არ გამიგონია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში რომელიმე მეზღაპრე ჩამოსულიყოს.

- მაშინ ჩვენ თვითონ უნდა გავანძრიოთ ტვინი. ჩვენვე მოვიგონოთ ზღაპრები. აი, მაგალითად, გაგიგონია, როდისმე ის ზღაპრები, მგელი რომ იერუსალიმში წავიდა?

- ათასჯერ. შენ ის იცი, ერთმა ბიჭმა სახლი რომ ააშენა სპილოს ძვლებით?

- არა, კახელებს ეგეთი ზღაპარი არ გვაქვს. როგორ იწყება?

გამეხარდა და თავიდან ბოლომდე მოვუყევი. მერე შალვამ მიამბო, როგორ მოხდა მისი პაპის პაპისა და ბებიის ბებიის - სპარსელი ქალის პირველი შეხვედრა. ძალიან ამაღელვებელი და რომანტიული ამბავი გამოდგა.

სანამ სხვები ჩამოვიდოდნენ, ჩვენ უკვე რამდენიმე ზღაპარი გვქონდა ხელთ. რა თქმა უნდა, იმათაც ეხსომებოდათ რამე. ასე რომ, ყველაფერი კარგად მოეწყო.

ზღაპრების მოყოლას ჩვეულებრივ დილაობით ვიწყებდით. მე და კოსტას მუშაობისას კარგი საუზმეულობა გვიყვარდა - ძეხვი, ცხელ-ცხელი სოსისები, ახალი კვერცხები, მცირეოდენი მარილიანი ყველი, შუშა კიტრები და თუ ტაფაზე გამომცხვარ მჭადსაც მოგვართმევდნენ, უარს არ ვამბობდით ხოლმე. ჩვენი ქალები, განსაკუთრებით ჩრდილოელები, უფრო არაჟანმოსხმულ კარტოფილს და ქაშაყს ეტანებოდნენ. ბესოს მარტო მსუბუქი საუზმე სწამდა და მისთვის ყოველთვის გვქონდა ერთი თეფში კრევეტის სალათა, ცოტაოდენი სარდინები, დაკეპილი ღვიძლი და სხვა ამგვარი საჭმელები.

შემდეგ ელენეს, რომელიც კალიფორნიელი იყო, გაახსენდა, ფორთოხლის წვენით ორთქლის მანქანის გარდა ყველაფრის ამუშავება შეიძლებაო. ამიტომ ხელში ნიადაგ ფორთოხლის წვენით სავსე დიდი დოქი ეჭირა და შეუბრალებლად გვაძალებდა, დალიეთო. ნაღებიანი ყავა (ნახევარი ნაღები იყო, ნახევარი ყავა), ნამცხვარი, კომპოტი და სხვა საჭმელებიც უნდა გვეგემნა. ამიტომ საუზმეს ნახევარი დილა ვუნდებოდით. ბუნებრივია, რომ ამდენ ხანს სუფრასთან ჯდომით სიმხნევე გვემატებოდა და ყველანაირი ამბების მოყოლას ვიწყებდით.

კუკულა, რა თქმა უნდა, იმას ყვებოდა, რაც კოლეჯში ყოფნის დროს წიგნებიდან ამოეკითხა. იმის ზღაპრებს სიცოცხლე არ ეტყობოდა. ძია ვანოც ხშირად ეკითხებოდა ხოლმე - თუ წიგნებიდან გაქვს ამოკითხული ეგ ზღაპრები, საიდანღა იცი, რომ ნამდვილიაო? შენი თვალით ხომ არ გინახავს მაგათი მთქმელი, იქნებ ყველა მოჭორილიაო.

ასე - ხან ერთს ამბავს ვყვებოდით, ხან მეორეს და საქმეც ჩქარდებოდა. პირველ რიგში სახურავი უნდა გამოგვეცვალა. ძველს იმოდენა ნახვრეტები ჰქონდა, რომ წვიმის დროს ნიაგარას ჩანჩქერივით ჩამოდიოდა წყალი, მერე სხვენის კიბეს ჩამოყვებოდა, მარცხნივ უხვევდა, დარბაზს გადაჭრიდა, წინა კიბეს ჩაივლიდა და სადარბაზო კარით გადიოდა ეზოში. ძალიან კარგი სანახაობა იყო (განსაკუთრებით, თუ ოთახში იყავი), მაგრამ არცთუ სასიამოვნო.

სანამ ყავრით ვხურავდით სახლს, პეტრე სხვენზე იდგა და კიბეს გვიჭერდა (იგი ცალხელა იყო და ყველაფრის გაკეთება არ შეეძლო), თავი ამოყოფილი ჰქონდა, ცას შესცქეროდა და მხნედ რომ ვყოფილიყავით, ზეპირად ამბობდა „ვეფხისტყაოსანს“, საკმაოდ დიდი პოემაა და თითქმის სახურავის დამთავრებამდე გვეყო.

ნაშუადღევს, როცა მზე ისე დააჭერდა, რომ სახურავზე დარჩენა შეუძლებელი იყო, დარაბებს და ჩარჩოებს ვღებავდით და რიგრიგობით ვყვებოდით ამბებს.

აბრამს ბევრი რამ გადახდენოდა თავს ომის დროს. ერთხელ გვიამბო:

- უკვე მეორე ზამთარი იყო, რაც თურქეთის ფრონტზე ვიყავი. მე სიყრმის შვილი ვარ და მამაჩემი ჯერ ახალგაზრდა კაცი იყო. გავიგე, რომ მისი ასაკის ხალხს ჯარში იწვევდნენ. ძალიან შევწუხდი. არ ვიცოდი, საით გააგზავნიდნენ და ჩვენებს რა ეშველებოდათ მისი წაყვანის შემდეგ. კიდევ კარგი, ისე მაგრად ვმუშაობდი, რომ ფიქრის დრო აღარ გვრჩებოდა. სანგრებს ვაშენებდით. თურქები უამრავ ყუმბარებს გვაყრიდნენ აეროპლანიდან და, ამიტომ, მხოლოდ დაღამებისას შევუდგებოდით ხოლმე საქმეს.

ერთხელ ბრძანება მივიღეთ - სასწრაფოდ დაამთავრეთო, და იმავე ღამეს მთის გადაღმა მდებარე ბანაკიდან საბარგო მანქანით ორმოცდაათი თუ სამოცი კაცი გადმოგვიგზავნეს დამხმარედ. ყველა ერთად შევუდექით მუშაობას. ძალ-ღონეს არ ვზოგავდით, რათა გათენებამდე მოგვეთავებინა. ძირს ვეცემოდით, ერთმანეთს ვეჯახებოდით, მაგრამ მაინც არ ვეშვებოდით საქმეს.

მოულოდნელად თურქები დაგვესხნენ თავს. ყუმბარების უმეტესობა მიზანს ვერა ხვდებოდა, მაგრამ ზოგი ახლოს დაეცა და ფინდიხმა რამდენიმე კაცი გამოგვაცალა ხელიდან. ვინ და რამდენი, გათენებამდე ვერ გავიგეთ. და როცა ოდნავ ინათა, ვნახე, რომ ერთ-ერთი მათგანი მამაჩემი იყო, ჩემი ღვიძლი მამა - მოკლული. თურმე, მთელი ღამე გვერდი-გვერდ გვიმუშავია და არ ვიცოდი. ამის მერე რამდენჯერ მიფიქრია, იქნებ ჩემს გვერდით იდგა-მეთქი, როცა ფიცარი მომქონდა, იქნებ იმ ფიცრის ბოლო იმას ეკავა, როცა აგურებს მაწვდიდა, იქნებ ხელი მომიხვდა ხელზე. აბა, იმ სიბნელეში რას მივხვდებოდი და ვერც ველარასოდეს გავიგე.

- ამისთანა ამბავი აღარ გავიგონო, - უთხრა შალვამ, - უკვე სამჯერ შევღებე ეს დარაბა. რაიმე სამხიარულო გვითხარი.

- ელენემ ერთი ძალიან სასაცილო ამბავი იცის, - ჯუთხარი შალვას,

- ბებიამისისაგან გაუგონია - ქვეყანა კინაღამ რომ დაიქცა სენტ-ჯონსბერიში.

- რაღაც არა ჰგავს ძალიან სასაცილოს, - დაეჭვდა შალვა.

- კი, არის! წადი და ჰკითხე.

შალვა ოთახში შევიდა და უმალვე ტყვიასავით გამოვარდა უკან.

- ღმერთო, დამიფარე. - ყვიროდა იგი და თან ყბა ისე უცახცახებდა, რომ ძლივს გავიგეთ, რის თქმა უნდოდა - ღმერთო, მიშველე! მისს ბეტი ბუხრის თავზე ზის და ელენე ყასბის დანას ურტყამს კედელს.

ყველა ოთახში შევცვივდით.

- რას აკეთებთ?! - ვკითხე მე.

- ლურსმანს ვარჭობთ კედელში. სურათი უნდა დავკიდოთ, - მისს ბეტიმ ირგვლივ მიმოიხედა, - რა მოხდა?

ელენემ კვლავ ჩაარჭო დანა კედელში, - ნახე! მე ადრეც ვეჭვობდი. თაბაშირის ტიხარია. მოდით, ბიჭებო, დაანგრიეთ და ერთი დიდი ოთახი გვექნება ექვს ფანჯრიანი და... ფერი რატომ არ გადევთ არც ერთს?

ყველაზე ძნელი საქმე ძველი საქათმეების, საღორეებისა და ბეღლების თავიდან მოშორება გამოდგა. ყველა ჩაბინძურებული და მინგრეულ-მონგრეული იყო. მთელი ამერიკის ვირთხები კლუბებად იყენებდნენ ამ შენობებს. ტრაქტორი მოვუბით, მაგრამ გადაბრუნება მეორედ ვცადეთ - ჯაჭვები დაწყდა. ხელი ჩავიქნიეთ, ვაშლის ხის ქვეშ დავსხედით და ერთი დოქი ლიმონათი გამოვცალეთ. ეს ლიმონათი ჩვენმა კეთილმა ქალებმა მოგვიტანეს.

- მომისმინეთ, - ვთქვი მე, - ამის მეტი თითქმის აღარაფერი გვრჩება გასაკეთებელი ეზოში. მოდი, კიდევ ერთხელ შევუტიოთ და რაღაც გამოვა, ბარემ მოვათავოთ. მერე, ამ საღამოს, ერთი ამბავი მინდა მოგიყვეთ. აქამდე არავისთვის მიამბნია. განსაკუთრებულ შემთხვევას განსაკუთრებული ამბავი უხდება. ჩემს გარდა მხოლოდ სამმა იცის და აქედან ორი მკვდარია. ძალიან სხვანაირი ამბავია.

ორი საათის შემდეგ იმ ნაგებობათაგან მხოლოდ ბოძები დარჩა. ჩვენ ტანსაცმელი დავიბერტყეთ და კატალპის ხის ქვეშ შევუდექით სადილობას.

- ახლა კი დაიწყე, - მთხოვა ყველამ ერთად, შალვამ ჭიქა ამივსო.

- ერთ პაპანაქება დღეს, მაშინ თერთმეტი-თორმეტი წლისა ვიქნებოდი, მე, სამმა ჩემმა მეგობარმა და ჩემმა დათვმა მიშკამ საბანაოდ წასვლა გადავწყვიტეთ. თითოეულმა ჩვენგანმა (ადამიანებს ვგულისხმობ) თითო ნატეხი მჭადი და ცოტა მარილი ვისაგზლეთ. ვიფიქრე, ვინ იცის, იქნებ ხოხობი მოვკლათ შურდულებით და შეეწვათ-მეთქი. მიშკა არავის აწუხებდა საჭმელზე, თვითონ პოულობდა ხოლმე თაფლის ფუღუროს და მაყვლის ბუჩქს.

ჰოდა, სულ ზევით ავედით. მაღლა, მაღლა! ამ სიმაღლეზე წინათ არასოდეს ავსულვართ. ბოლოს ერთ ტაფობს მივადექით. იქ თერგი ცოტას ისვენებს. იმდენ ხანს, რომ პატარა მწვანე ტბის შექმნას ასწრებს.

- ვიცი ეგ ადგილი, - თქვა ვანომ, - მაგრამ მეწყერმა მთლად ამოქოლა ყველაფერი. ჩვენ გაგვაგზავნეს სათხრელად. წყალს გზა გაუხსენითო.

- ნამდვილად ეგ ადგილია. ჰოდა, იმ წელს ძალიან ცხელი ზაფხული იყო, წყალი კარგა მაგრად დაშრა ხევში, მაგრამ მაინც საკმაოდ ღრმა იყო. ძალიან გვეამა ბანაობა. ერთმანეთს ვაყურყუმავავებდით და მიშკას ათასგვარ ოინებს ვაკეთებინებდით. შემდეგ ყვინთვა დავიწყეთ. კლდიდან ვხტებოდით. პირველად მე დავყვინთე. როცა ზედაპირზე ამოვდიოდი, თვალი გავახილე და კლდეში შეჭრილი დიდი ხვრელი დავინახე. არ დაგავიწყდეთ, ისევ წყალქვეშ ვარ. გადავწყვიტე, ამ ხვრელში შემეცურა. ვიფიქრე, წყლის დონის ზევით თუ გადის, შიგ დავიმალები, და როცა ჩემს მეგობრებს დამხრჩვალი ვეგონები და მიხვდებიან თუ რა განძი დაკარგეს, გამოვალ და გავახარებ-მეთქი.

- დიდი ჭკუის პატრონი არა ყოფილხარ, - მიკბინა კუკულამ.

- მაშინ არც მჭირდებოდა დიდი ჭკუა. ჩემს სამ ძაღლზე და ერთ ცხენზე გამჭრიახი უნდა ვყოფილიყავი და ჩემი საქმე კარგად წავიდოდა. ჰოდა, როცა ხვრელში შევცურდი, ისეთი რამ დავინახე, რომ იმწამსვე ტყვიასავით გამოვვარდი და ზედაპირზე ამოვცურდი.

- რა?! რა?!

- მოითმინეთ! ბიჭებს მოვუყევი, რა თქმა უნდა, არ დამიჯერეს. არა და არა! მაგრამ, როცა შეამჩნიეს, რომ სახე გაფითრებული მქონდა და ხელები მიკანკალებდა, დაეჭვდნენ. ოთხივემ წყალში ჩავყვინთეთ, ხვრელში შევცურეთ, მერე ცოტა ზევით ამოვედით და ოთახში, არა ოთახში კი არა, უფრო დიდი იყო, დარბაზში აღმოვჩნდით სულ ცოტა თბილისის სადგურის მოსაცდელის ოდენა მაინც იქნებოდა. მაგარ კლდეში გამოკვეთილი დარბაზი იყო. ჭერის ბზარებთან შემოსულ სუსტ სინათლეზე დავინახეთ,რომ გვიპოვია,ჩვენ ოთხ ღლაპს,ბოლოს და ბოლოს,გვიპოვია.

- რა?!

- გოლიათების ბინა, სადაც ისინი მიდიოდნენ ხოლმე სასიკვდილოდ.

- შეუძლებელია!

- ნამდვილად. ჩოჩხები იყო იქ. თავები ჩვენს თავებს ჰგავდა, ოღონდ ბუშელის ოდენა იქნებოდა. თვალის ბუდეში მუშტი შეეტეოდა. გრძელი თანაბარი კბილები. წვივის ძვალი კაცის სიმაღლისა იყო.

- ჭურჭლეული, ხმლები, ფული? - იკითხა მისტერ მოკეტმა, - სკივრები, ქოთნები?

მისტერ მოკეტი ამერიკელი ჯენტლმენია, პროფესორი, რუსი ქალი ჰყავს ცოლად.

- არაფერი არ იყო. მარტო ჩონჩხები ეყარა. მე ვფიქრობ, როცა სასიკვდილოდ მიდიოდნენ, ყველაფერს გარეთ სტოვებდნენ ხოლმე.

- ძროხის თავები გინახავს! - მითხრა კუკულამ.

- კობიანთკარის მინდვრები სავსე იყო ძროხისა და ცხენის თავებით. მეტი რა მინახავს ჩემს სიცოცხლეში! ტყის ყველა ბინადრის ჩონჩხსაც ვცნობდი. მელიის, დათვის, მგლის. არა, ისინი ადამიანთა ჩონჩხები იყო. ჩვენსავით ხუთთითა მტევანი,

გრძელი კიდურები. სიცოცხლეში, ალბათ, ექვს ფუტიან ნაბიჯებს ადგამდნენ. ძალიან დავლონდი, როცა გავიფიქრე, რომ ცოცხლებს ველარასოდეს ვნახავდი. განსაკუთრებით მაშინ, როცა იმათი მკლავები ვნახე. ალბათ, ძალიან კარგი სანახავი იქნებოდნენ, როცა ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ.

- შენ ამბობ, რომ ასეთი რამ ნახე და არავის შეატყობინე. განცხადებაც არ შეგიტანია?

- განცხადება რატომ უნდა შემეტანა? მე ხომ არასოდეს მიჩხუბია მათთან. მე მიყვარს გოლიათები, ოდესმე რომ ვნახო, სიამოვნებით დავუმეგობრდები.

- ეგ გოლიათები, - შემოგვიერთდა ლაპარაკში ძია ვანო, - რომლებზეც მე ზღაპარი მომისმენია, ერთი მოხუცისაგან, იმას კიდევ სხვა მოხუცისაგან მოუსმენია, აქამდე მონაჭორი მეგონა. შუბლზე კოპი ჰქონდათ? ყოველთვის ასე აღწერენ ხოლმე.

- ჰქონდათ, მრგვალი!

- ცხენები იყო, - დაიჟინა კუკულამ, - მკვდარი ცხენები.

- ომში უამრავი ჩონჩხი მინახავს. დამიჯერე, კაცები იყვნენ, კუკულა, ადამიანები.

- მე არა მჯერა, - თქვა პეტრემ, - ეგ ალბათ, მეწყერის შემდეგ მოიგონე ხალხის გასამასხარავებლად.

- რომ არავისთვის არ გვითქვამს? გარდა ამისა, როცა სახლის გზას დავადექით, თედომ - ნეკის ბოლო გვიჩვენა. გამოქვაბულიდან წამოედო. თუ ჩემი არა გჯერათ, გუდაურში წადით და ნახეთ. თედო იქაურია და, როგორც ვიცი, ახლაც შენახული აქვს ის ძვალი.

მაგრამ კუკულამ არც ამ საბუთისა ირწმუნა და ღვინის ჭიქაში ჩაილაპარაკა: - მკვდარი ძროხის ძვალი იქნებოდაო.

საბედნიეროდ, ანიტა კარლის ასულს მეორე ამბავი გაახსენდა ისევ მიწისქვეშა გამოქვაბულზე. უამისოდ ნამდვილად წავიკიდებოდით. ოთახში შევედით და ბუხარს მივუსხედით. ახლა შეგვეძლო თან გვესმინა და თან ტაროები შეგვეწვა. ჩემი აზრით, ამისთანა კარგი ამბავი მთელი ზაფხულის განმავლობაში არ მოგვისმენია.

- ჩვენი სოფლის მახლობლად, მთის წვერზე, ერთი ციხე-სიმაგრე იდგა. შიგ გვირაბი იყო გათხრილი, საფეხურებიანი. ძირს, მიწაში მიდიოდა, მაგრამ არავინ იცოდა, საით.

- რატომ არ იცოდნენ? - ჰკითხა პეტრემ.

- იმიტომ, რომ გვირაბი ავი სულების ბუდედ ითვლებოდა. ზოგი ამბობდა, კლდეს გაივლის და ზღვის ნაპირას გადისო, ზოგი - ციხის ძველი მფლობელის ჯურღმულში მიგიყვანსო. მღვდელი ამბობდა - მოერიდეთ, ალბათ, ჯოჯოხეთში თავდებაო.

ერთხელ, ქორწილის დროს, როცა ყველა ჭამა-სმასა და მხიარულებაში იყო გართული, იმ ძველ ციხე-სიმაგრეზე ჩამოვარდა სიტყვა. ნეფეს მოესურვა დედოფლისათვის დაემტკიცებინა, ბედი გეწია და უმამაცეს ახალგაზრდას გაჰყევიო, და მექორწილეებს უთხრა - „მე მინდა იმ გვირაბში ჩავიდე მარტოდმარტო და ვინც ჩემს დაბრუნებამდე მოიცდის, საუცხოო საჩუქარს ამოვუტანო.“

- არა! არა! - აყვირდა ყველა, მაგრამ ნეფემ არ შეისმინა: „სანთელი მომეცით და მივდივარო.“ რაღას იზამდნენ? მთელი ხალხი გაჰყვა გვირაბის თავამდე. ნეფე ძირს დაეშვა. ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ, ისმოდა გვირაბიდან. ხმა თანდათან სუსტდებოდა. პირველ ორ-სამ საათს ხალხი მხიარულობდა, სვამდა და თან ყური იქეთ ჰქონდა, ხომ არ ბრუნდებაო. შემდეგ უძახეს, იყვირეს, თოფები დაცალეს, მაინც არ ამოვიდა. გავიდა ხანი და ბოლოს მარტო დედოფალი დარჩა იქ დამჯდარი - იმედს არ ჰკარგავდა, ღმერთს ევედრებოდა, მაგრამ ნეფე აღარ დაბრუნებულა.

ჩვენ მოვუცადეთ, ვიდრე ანიტა მჭადის ნატეხზე კარაქს წაუსვამდა. როცა შეჭამა, ელენემ ჰკითხა, შემდეგ რა მოხდაო?

- არაფერი, დაიკარგა!

- რა? არავინ მოძებნა? - ჰკითხა პეტრემ - ეს წარმოუდგენელია.

- ჩასვლა არ შეიძლებოდა, - უპასუხა ანიტამ.

- ანიტა კარლის ასულო, ერთი ნაჭერი მჭადი კიდევ შეჭამეთ და მოიგონეთ. ნამდვილად გაგახსენდებათ, თუ როგორ დამთავრდა ეს ამბავი, - უთხრა ბესომ.

- თუ გნებავთ, სხვა ამბავს მოგიყვებით, ეს კი დამთავრდა, მორჩა!

უბრალოდ, ვერ დავიჯერეთ, რომ ის კაცი აღარ დაბრუნებულა და სულ ვეკითხებოდით.

- მოისმინეთ, ანიტა კარლის ასულო? - ჰკითხა პეტრემ მეორე დილით, როგორც კი საუზმეს მივუსხედით, - ორიოდე წელი გავიდა და იმ კაცის ძვლები იპოვეს,არა? ალბათ, ზღვის ნაპირას ეყარა.

- არა.

- იმ კაცს საცოლე არ უყვარდა და გაქცევით მოიწმინდა ნამუსი. ათი წლის შემდეგ იგი კვლავ მიბრუნდა იმ სოფელში, სხვა ცოლით და ათი შვილით, - თქვა მისს ბეტიმ.

- არა, საცოლე ელოდა! ყოველდღე ელოდა. მე უკვე მოხუცი გავიცანი და მაინც ელოდა.

იმ დღეს პეტრემ ათჯერ მაინც მიატოვა სამუშაო, ოთახში შევიდა და ანიტას დაუწყო ხვეწნა, არაფრით უნდოდა იარაღის - დაყრა: დარწმუნებული ვარ, ბოლოს ორიოდე მეგობარი მაინც გაჰყვა იმ კაცს. იქნებ მკვდარი იპოვეს, გული გაუსკდა, ალბათ. ან იქნებ კლდეზე გადაიჩეხა, და რაიმე მხეცმა შეჭამაო.

მაგრამ ანიტას ვერ გადაათქმევინა ერთხელ ნათქვამი. „ის კაცი ქვევით გვირაბში წავიდა და სამუდამოდ დაიკარგაო.“

ევროპამდე ასე შორი გზა რომ არ ყოფილიყო, მე მგონი, ნამდვილად მოვაწყობდით მაშველ ექსპედიციას და ჩვენ თვითონ ჩავიდოდით გვირაბში იმ კაცის მოსაძებნად.

კარგი მეზობელი

- კარგი ამბავია, - შემოილაპარაკა ერთ დღეს ფოსტიდან დაბრუნებულმა ელენემ, როცა მე და შალვა ის იყო, საუზმედ ვაპირებდით დასხდომას, - ქეთლინი ჩამოდის. ჩითი უშოვია. ემილია, ილიკო და პეტრეც ეპირებიან შაბათს, ხუთ საათზე. ეს კი ძია ვანომ გამოაგზავნა.

- მე წავიკითხე წერილი - ძია ვანოც ჩამოდის!

- ჩანჩო?

- მგონი ჩანჩოც.

- ამ სახლში უელექტრონოდ აღარ იცხოვრება, - თქვა უცებ შალვამ, - ელექტრონი უნდა გამოიყვანო, - შალვა წამოხტა და კედლებზე კაკუნი დაიწყო.

- ოცი წელი გავძელი საქართველოში უელექტრონოდ, - ვუთხარი მე, - რამდენადაც ვიცი, არც შენა გქონია ეგ ელექტრონი.

- იქ ამერიკელი მანდილოსნები არ მოგდიოდნენ სტუმრად. ახლა სულ სხვა ვითარებაა. რას იფიქრებენ ელენეს მეგობრები, როცა ჩამოვლენ და ნახავენ, რომ ცოლს უელექტრონოდ აცხოვრებ? რა შთაბეჭდილება შეექმნებათ ქართველებზე?

- სადენების გამოყვანა არ ვიცი.

- მე გასწავლი.

- კი მაგრამ, ამის შემდეგ ხომ მარტო კვირაობით ჩამოხვალ.

- დავიწყებ და მერე კედლებზე დაგიხატავ, როგორ უნდა გაიყვანო მავთულები და სად უნდა შეუერთო. სანამ მე ჩამოვალ, იმუშავე, მერე კიდევ დაგიხატავ.

- ვერ გადამიწყვეტია, - თქვა ელენემ და შალვას ყავა დაუსხა, - დარწმუნებული ხარ, რომ ასე აჯობებს?

- ნუ დარდობ, - დააწყნარა შალვამ, - განა ვერ მიგიხვდი? ვიცი, რა წვრილმანებიცა ხართ ქალები. თქვენ ხომ მაინც უნდა მოხატოთ კედლები და მაშინ ჩემი ნახატებიც დაიფარება.

- მე იმას ვამბობ, რომ ცეცხლი არ უნდა გაჩნდეს, როცა აბაზანაში ვიქნებით ან სადმე წავალთ, - თქვა ელენემ.

- რა თქმა უნდა, არ გაჩნდება. - შალვამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და წაღებზე უარი განაცხადა, - მაგრამ თუ არ მენდობით...

არა, არა!

ჩვენ ნამდვილად ვენდობოდით შალვას, ამიტომ ქვევით ჩავედით და კაბელები, ჩამრთველები, ზონრები და სხვა აუცილებელი მასალები ამოვიტანეთ. მერე სადგურზე

გავედით, რომ ელენეს მეგობარს, ქეთლინს დავხვედროდით.

- იშვიათი რამ ჩამოგიტანე, გიორგი, - მითხრა მან, როგორც კი ოთახში შევედით, - მე თვითონ მოვამზადე. ბეილო.

- ბეილო? რაღაც მათეთრებელს წაგავს. რუსულად ასეა. ალბათ კარგად რეცხავს.

ქეთლინმა ჩემოდანი გახსნა და თაფლისფერი სითხით სავსე ბოთლი ამოიღო:

- ბეილო სასმელია. საუცხოო რამ არის!

- კარგი, გავსინჯოთ, - ვთქვი მე.

- უეჭველად, - ამიბა მხარი შალვამ და საცობის ამოსაღები მოიმარჯვა, - რას ვკარგავთ, დიდი-დიდი დავიხოცოთ.

- ჯერ ყინულის ნაჭრები ჩაყარეთ ჭიქებში და მერე ბეილო ჩაასხით, - გვასწავლა ქეთლინმა.

შალვამ პირველმა მოწრუპა დიდი ვაჟკაცივით, - ბრწყინვალეა! ამის გამკეთებლის ხელები ამბორის ღირსია, - თქვა და ქეთლინს თავი დაუკრა.

მერე მე მოვსვი ეს ნაღებივით სქელი სითხე. მართლა კარგი რამ იყო.

რაღაც გაურკვეველი გემო და აყვავებული ფორთოხლის სუნი ჰქონდა. ნეტავი რისგანაა დამზადებული?

- ძალიან გემრიელია, - მოიწონა ელენემაც, - უკვე ორ-ორი დავლიეთ. მოდი, თითო სხვებსაც შევუნახოთ, ამაღამ ჩამოვლენ.

- არა! დღეს ახალს მოვამზადებ, - თქვა ქეთლინმა, - იოლი საქმეა. სამი ფორთოხალი და ერთი ლიმონი უნდა აიღო, კარგად დაკეპო და თაფლში აურიო. პერკოლატორი გაქვთ?

- კი!

- მერე დაკეპილ ლიმონს და ფორთოხალს პერკოლატორში ჩააწყობ და ყავასაც ჩაატან.

- მერე?

- მერე სიმინდის ვისკის დაასხამ, თავს დაუცავ და ცოტა ხანს ადუღებ.

- რა გასაოცარია! - თქვა შალვამ.

- და როცა მზად იქნება, გაფილტრავ და ჩააცივებ. ეს არის ბეილო. ვინ ჩამოდის ამაღამ?

- უამრავი ქართველი.

- როგორი მეზობლები გყავთ? - მკითხა ქეთლინმა.

- ჯერჯერობით არავინ გვწვევია.

- ნუ იკლავ თავს მაგის გულისათვის, - დამაწყნარა ელენემ.

- მე მიყვარს, როცა სიამტკბილობითა ვარ მეზობლებთან.

- შეგნებული ადამიანი, სანამ ფანჯრებზე ფარდებს არ დავკიდებთ, არ გვეწვევა, - ამიხსნა ელენმა, - ეს ნიშნავს, რომ შენ ტკბილეული გაამზადე, ლიმონი, დაჭერი და...

- გამარჯობათ, - თქვა ქეთლინმა და ჰაერს ხელი ჩამოართვა, - ძალიან სასიამოვ-



ნოა თქვენი გაცნობა.

- საერთოდ ასეა მიღებული, თუ შენი ახალი გამოგონებაა? - ვკითხე ელენეს.

- არა. ამჯერად არ ვიგონებ, ხომ ასეა?

- მოდი, თითო ჭიქაც დავლიოთ. და ახალს მანდარინით და გრეიფრუტით გავაკეთებ, ვნახოთ, რა გამოვა, - თქვა ქეთლინმა.

მაგრამ მისის კლივენდონისაგან რას არ უნდა მოელოდეს კაცი, - იგი ხომ მაღალი საზოგადოების ქალი იყო. ჩვენგან სულ ორი ფერმის დაშორებით ცხოვრობდა, მაგრამ, ეტყობა, სულ სხვანაირად უყურებდა ცხოვრებას, რადგან შემდეგ კვირას, ამ საუკუნის ყველაზე პაპანაქება დღეს (ასეთი სიცხე თურმე 67 წელი არ ყოფილა) სადარბაზოდ რომ გვეწვია, ფარდები კი არა, ჭერიც არა გვქონდა.

მე საბანაო კოსტუმი მეცვა და მისაღებ ოთახში ვმუშაობდი, - სხვენზე მდგომ შალვას მავთულებს ვაწოდებდი. უცებ კაკუნი მომესმა. შემდეგ ვიღაცამ თავისი სახელი და გვარი წარმოთქვა. ღმერთო ჩემო! ქალია და მე თითქმის შიშველი ვარ. მავთული ძირს დავაგდე და უახლოეს მოხერხებულ სამალავს მივაშურე: ეს სამალავი პაპიჩემის დროინდელი ვეებერთელა საათი იყო, ელენემ ორიოდე კვირის წინ შეიძინა აუქციონზე.

ბესო ვიღაც ქალს შემოუძღვა ოთახში.

- გთხოვთ დაბრძანდეთ, დიასახლისი ამჟამად შინ არ არის, ტყეში გაისეირნა, მაგრამ დავუძახებ.

მე კედლის ბზარიდან ვხედავდი ორივეს. ბესო მაგიდას მიადგა, პატარა ჭიქაში ხერესი დაასხა და თეფშზე ნამცხვრები დააწყო.

- ჩემს მეგობარს პატივი ეცით და ეს პატარა ჭიქა შესვით. ვიმედოვნებ, ხშირად მიანიჭებთ მას სიამოვნებას ამ სახლში მობრძანებით.

- მადლობელი ვარ. სასმელს არ ვეტანები, - თქვა მისის კლივენდონმა.

- უკაცრავად, ერთი წუთით დაგტოვებთ, - ბესო გვერდულად წავიდა კარისაკენ, - მე კარგად არ ვლაპარაკობ ინგლისურად, მაგრამ ჩვენი მასპინძლის მეგობარია აქ და იმას მოვიყვან.

ბესო დარბაზში შევიდა და დაიძახა, - სადა ხართ, ქეთლინ პატრიკის ასულო?

- რა გინდათ, ბესო? - გამოსძახა ქეთლინმა სამზარეულოდან, - არა მცალია.

- სტუმარია.

- ოჰ! ახლავე!

ბესომ კარი მოხურა და დარბაზში დარჩა.

ამ დროს შალვა მავთულს ექაჩებოდა.

- გიორგი, ამ მავთულს ბოლო არა აქვს? - ჩამომძახა მან. მე მავთულის იატაკზე სრიალის ხმა მესმოდა, - გათავდა?

მე კი თაგვივით ვიყავი გასუსული საათში. შალვა მეორე სართულის იატაკის ხვრელში გამოძვრა და მარტომ დაიწყო კოჭებზე მუშაობა,

- გიორგი! - კვლავ დამიძახა მან.

შალვა დაახლოებით წელზევით მოჩანდა და, მართალია, წელზევით ტანისამოსი არ ეცვა, მაგრამ მისის კლივენდონს ჯერ საყვირად არ ჰქონდა საქმე - უნდა ეგულისხმა, რომ წელქვევით რაიმე ეცმებოდა.

- ოჰ, - წამოიძახა ჭერის კოჭებზე გაწოლილმა შალვამ, - მაპატიეთ, სულ არ მოველოდი თქვენს დანახვას, სხვას ვეძახდი, - შალვამ უკან დაიწყო გაცოცება, - ძალიან გთხოვთ დაბრძანდეთ. ბოდიშს ვიხდი, რომ ვერაფერს გთავაზობთ, იქნებ ერთი ჭიქა ღვინო მიირთვათ.

- გმადლობთ. ალკოჰოლიან სასმელებს არ ვეკარები. აი, თეთრ ბაბთას ვატარებ, იმედის ბაბთას.

- მართლაცდა, - განეწყო ფილოსოფიურად შალვა, - ამქვეყნად იმედიც რომ არ გვქონდეს, რაღა გვეშველებოდა. თუ არ შეწუხდებით, ჭიქა ამივსეთ და დიდი სიამოვნებით დავლევ თქვენი იმედის სადღეგრძელოს.

ბოლოს, როგორც იყო, ოთახში ელენე შემოვიდა. დაიწყო ქალური საუბარი. იქნებ ყოველივე კარგად დამთავრდეს-მეთქი, - გავიფიქრე მე. ოღონდ რა ცუდია, რომ საათებში დასაჯდომს არ აკეთებენ.

მისის კლივენდონი თავის ძველებურ ნივთებზე ლაპარაკობდა.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში


ქება
ადამიანი ეფუძნება ინფორმაციას
ვქმენ,
რაც
შევიძელ!

ეს საუბარი, რომელსაც მკითხველი პირველად გაეცნობა, მაშინაა ჩაწერილი, როცა „გორა მბორგალი“ სულ რამდენიმე დღის გამოსული იყო.

ჭაბუა ამირეჯიბს დავურეკე და რადიოს ლიტერატურულ რედაქციაში მოსვლა ვთხოვე. მაშინვე იუარა, არ მცალიაო. მაგრამ ავუხსენი, რომ რადიოს ოქროს ფონდისთვის მისი ხმის შენახვას ვაპირებდით და ეს ჩანაწერი აუცილებლად სტუდიური უნდა ყოფილიყო. ცოტათი იყოყმანა, მაგრამ დამთანხმდა და რამდენიმე საათის შემდეგ ტელევიზიის დერეფანში უკვე დიდი ხნის მეგობრებივით ვსაუბრობდით.

ერთი უცნაური თვისება შევნიშნე: ხშირად ეწეოდა, ოღონდ სიგარეტს ამოიღებდა, შუაზე გადატეხდა, მუნდშტუკში ჩადებდა და ორ-სამ „ნაფაზს“ დაარტყამდა. ექიმები მიკრძალავენო, მითხრა.

იმ დღეს სვენებ-სვენებით „გორა მბორგალის“ ოთხი ეპიზოდი ჩავწერეთ. მაგრამ რომანის ეს თავები ავტორის შესრულებით მხოლოდ ორჯერ გავიდა ეთერში. შემდეგ ფირები არქივიდან გამოიტანეს და წასაშლელად გადადეს. საქმე ის გახლდათ, რომ ელექტრო-მაგნიტური ფირი იმ დროს აღარ იშოვებოდა და მას რამდენჯერმე იყენებდნენ. ვისაც 1994 წელი კარგად ახსოვს, მიზეზებსაც ადვილად მიხვდება.

სამწუხაროდ, ეს ამბავი გვიან გავიგე და როდესაც მოვიკითხე, ორი ნაწილი უკვე წაშლილი დამხვდა. დარჩენილი ორის მაგივრად კი კოლეგებმა იმავე ქრონომეტრაჟის სხვა ფირები შემიგროვეს და ჭაბუა ამირეჯიბის ხმით წაკითხული „გორა მბორგალის“ ორი ეპიზოდი განადგურებისგან გადამარჩენინეს.

ხშირად მიფიქრია: რითი იყო ჭაბუა ამირეჯიბი ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენს ცხოვრებაში?

წარმომავლობითა და გვარიშვილობით?

ანტისაბჭოთა მოღვაწეობით?

ციხეში გადატანილი გამძლეობით?

XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი რომანის შექმნით?

შესაძლებელია, მაგრამ პირადად ჩემთვის იგი სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა.

ჭაბუა ამირეჯიბმა ლიტერატურაში აუტსაიდერივით იცხოვრა. მას არ აფასებდნენ, ანგარიშს არ უწევდნენ. მისი ლიტერატურული ცხოვრება წარუმატებლობითა და მარცხით გამოირჩეოდა. „ლიტერატურულ საქართველოში“ „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთი თავის დაბეჭდვამაც კი სრულიად შეუმჩნეველად ჩაიარა, რადგან ამავე ნომერში კონსტანტინე გამსახურდიას „თამარის“ ფრაგმენტები დაიბეჭდა და იმდროინდელი ლიტერატურული ყურადღება მისკენ იყო მიმართული.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ჭაბუა ამირეჯიბი არ დანებებულა, მწერლობა არ მიუტოვებია, იმედი არ დაუკარგავს და 10 წელი შესაშური სიმტკიცითა და სიჯიუტით თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ტექსტს ჩაჰკირკიტებდა. იმ დროს, როდესაც მისგან უკვე აღარაფერს ელოდნენ, უკანასკნელ მოსახვევში ყველას გაასწრო, ვისაც თავი უკვდავი ეგონა.

შეუპოვრობისა და შინაგანი რწმენის მაგალითი, რომელიც ჭაბუა ამირეჯიბმა ყველა შემოქმედს უჩვენა, შეუფასებელია.

მან საკუთარი ლიტერატურული მარცხი ბუნებრივად აღიარა და მიხვდა, რომ ყოველი დაწუნებული ტექსტი ის გამოცდილება იყო, რომლის გათვალისწინებითაც საკუთარი მიზნისკენ უნდა ევლო.

ჭაბუა ამირეჯიბმა პირადი მაგალითით გვიჩვენა, რომ დიდი ლიტერატურული გამარჯვება არა ამპარტავნების, უსაფუძვლო თვითგანდიდების, ან რომანების რეკორდული რაოდენობის, არამედ დიდი შინაგანი განცდის, წარმოუდგენელი სიჯიუტისა და ათასობით წარუმატებელი მცდელობის შედეგია.

გიორგი კაკაბაძე

გ.კ: ბატონო ჭაბუა, დღეს მინდა მხოლოდ ლიტერატურაზე, მხოლოდ თქვენზე და თქვენს წიგნებზე გვესაუბროთ. „დათა თუთაშხიას“ შესავალში წერდით, რომ ბავშვობა სოლოლაკის უბანში გაატარეთ, როგორი აღზრდა გაქვთ მიღებული და როგორი ბავშვობა გქონდათ?

ჭ.ა: აღვიზარდე, შეიძლება ითქვას, ძალიან მაღალი დონის კლასიკურ პირობებში. მშობლებმა დაახლოებით 6 წლისა გამაბარეს. იყო თბილისში ასეთი ქალბატონი: მელანია მემმარიაშვილი-გველესიანისა, ძალიან მომთხოვნი და კვალიფიციური აღმზრდელი, რომელსაც პედაგოგიკის ფაკულტეტი პარიზში ჰქონდა დამთავრებული. მე მასთან 3 წელი გავატარე. 8-9 წლის ვიყავი, როდესაც ქალბატონმა მელანიამ თქვა: ეს ბავშვი სკოლისათვის მზად არისო და მაშინღა წამომიყვანეს ოჯახში. აღმზრდელთან ჩემი გაბარება იმითაც იყო გამოწვეული, რომ ჩვენი ოჯახი მუდამ დამოკლეს მახვილის ქვეშ იმყოფებოდა. მამაჩემს ხან დაიჭერდნენ, ხან გამოუშვებდნენ. ამიტომაც გული საგულეში ჰქონდა, რომ ბავშვი წესიერ ოჯახში იზრდებოდა და იმყოფებოდა. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ხასიათის ფორმირება, კულტურისა და ლიტერატურის მიმართ ჩემი დამოკიდებულება იქ ჩამოყალიბდა და რაც მთავარია, ქ-მა მელანიამ მასწავლა წიგნის სიყვარული. თუმცა არც უბნის ბიჭობაზე მითქვამს უარი. კიდევ ერთი რამ: მაშინ სკოლაში ზოგჯერ იყო კითხვის გაკვეთილი. შემოდიოდა მასწავლებელი და გვიკითხავდა მხატვრულ ლიტერატურას. ამას დავამატოთ ჩემი ოჯახის ტრადიციები და გასაგებია, რომ ყველაფერი იყო გაკეთებული იმისთვის, რომ ვყოფილიყავი ლიტერატურათმცოდნე ან სწავლული. მაგრამ როგორც ჩანს, ამას შეეწინააღმდეგა ჩემი ფსიქიკა. მე სწავლულობა არ მოვინდომე, ისევე, როგორც არ ვინდომე მუსიკოსობა. ბავშვობაში ყველა ენას მასწავლიდნენ, მაგრამ არცერთი არ ვისწავლე ინგლისურის გარდა. ამჟამად ისიც თითქმის დამავიწყდა. აი, ასე ჩამოყალიბდა ჩემი პიროვნება, დანარჩენი ყველაფერი ნათქვამია ახალ წიგნში, რომელსაც „გორა მბორგალი“ ჰქვია.

გ.კ: პირველად როდის გაგიჩნდათ წერის სურვილი?

ჭ.ა: 8 წლის ასაკში ლექსი დავწერე, რა თქმა უნდა, ბავშვური და უსუსური. დაახლოებით 12 წლისამ - მოთხრობა, მანამდე კი ფეხი მოვიტეხე, ლოგინში ვიწექი და რაღაც მომიტანეს წასაკითხად: „კუზნეც ვაკულა“, თუ რაღაც ამის მსგავსი და ის ვთარგმნე ქართულად. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეტყობა, მიდრეკილება ლიტერატურისკენ მქონდა.

გ.კ: მას მერე დაიწყეთ მოთხრობების წერა? ჩემგან ნუ გეწყინებათ, მაგრამ თქვენი ადრინდელი მოთხრობები საკმაოდ შეუმჩნეველი დარჩა ლიტერატურაში. ალბათ ამიტომაც იყო, რომ „დათა თუთაშხიას“ გამოსვლას აფეთქების ეფექტი ჰქონდა.

ჭ.ა: ჯერ ჩემი მოთხრობების შესახებ გეტყვით. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ყველა ის მოთხრობა, რომელიც დავწერე, უფრო სასწავლო პროცესი იყო. ამ მოთხრობების წერამ დამანახა, თუ როგორ უნდა მეწერა, წერასაც სწავლა უნდა. ახლა ხშირად მეუბნებიან, ეს რანაირად არის დაწერილიო, ანუ ასე ზუსტად როგორ გამოძებნე ამ თემის გადაწყვეტაო. არაფერიც არ მიძებნია, უბრალოდ, წერა ვისწავლე და ახალგაზრდა მწერლებსაც მინდა ვუთხრა, რომ მხოლოდ შრომა აყალიბებს ადამიანში ოსტატს. რაც შეეხება „დათა თუთაშხიას“, ესაა ჩემი მთელი სიცოცხლის მანძილზე შეძენილი გამოცდილება. ვერ გეტყვით, რამდენი ხანი ვიმუშავე ამ ნაწარმოებზე, წერის პროცესს 10 წელი მოვანდომე, მაგრამ მანამდე ვიცხოვრე რთული, სტრესული მოვლენებით აღსავსე ცხოვრებით. პროზა, მითუმეტეს რომანი, გამოცდილების გარეშე ვერ წარმომიდგენია, მე ცხოვრებისეულ გამოცდილებას ვგულისხმობ. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის ერთადერთი, გამოცდილება ბევრს აქვს, მაგრამ იგი წიგნად ცოტამ თუ აქცია, მით უმეტეს კარგ წიგნად. მე პროზაში მოვე-

დი ორმოცი წლის ასაკში, ოცდათვრამეტი-სამ დავწერე პირველი მოთხრობა. უნდა ითქვას, რომ ადრეც რაღაცეებს ვწერდი ბანაკებში და ციხეებში, მაგრამ იქ ვინ რას შეგარჩენდა, წამართმევდნენ, წაიღებდნენ. მე ვცდილობდი ანტისაბჭოთა არაფერი ყოფილიყო, რადგან ახალ ვადას დამიმატებდნენ. მიუხედავად ამისა, წართმეულს აღარ მიბრუნებდნენ, ვწერდი რაღაც ნაწყვეტებს, ერთი-ორი მოთხრობა კი შემომრჩა მაშინდელი. რა თქმა უნდა, ისიც უსუსური, ასე ვთქვათ, სწავლის პროცესის ამსახველი ნაწარმოები.

გ.კ: ეს მოთხრობები არასოდეს დაგიბეჭდავთ?

ჭ.ა: არასოდეს და არც ვცდილობ დაბეჭდვას. აი, დაახლოებით ასე ყალიბდებოდა ის, რასაც „დათა თუთაშხია“ ჰქვია. ალბათ გაინტერესებთ, რატომ ვწერე ათი წელიწადი და არა სამი, რაკი ეს გამოცდილება დაგროვილი მქონდა. მე ვერ ვწერ სწრაფად. საერთოდ ის მწერალი არა ვარ, რომელიც ალფათი დაიწყებს და ომეგათი გაამთავრებს. მე განწყობის მწერალი ვარ, ვწერ ნაწყვეტებს. მაგალითად, 1967 წელს უკვე დაწერილი მქონდა „დათა თუთაშხიას“ ფინალი და როცა წიგნი უკვე გამზადებული იყო, ვიგრძენი, რომ რაღაც აკლდა. რეზო თვარაძეს და რევაზ თარხან-მოურავს ვუთხარი: „რაღაც აკლია ამ წიგნს მეთქი“. „არაფერი აკლია, დაანებე თავიო“, მიპასუხეს. დროთა ვითარებაში,ორი-სამი თვის შემდეგ, მივაგენი, რომ აკლდა პროლოგი, რომანის ეპიგრაფი. მახსოვს, დავწერე ორი ეპიგრაფი და მივედი რევაზ თარხან-მოურავთან, მერე წავედი წავკისში რეზო თვარაძესთან, წავუკითხე და მითხრეს: „მართალი ხარ, დაწერე დანარჩენიო“ - აი, ასე იწერებოდა ეს წიგნი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვწერ. „დათა თუთაშხიას“ შემდეგ ისტორიული რომანის წერა დავიწყე – „გიორგი ბრწყინვალე“, დაახლოებით ერთი მესამედი მაქვს დაწერილი, მაგრამ მომისწრო ამ დემონსტრაციებმა, არეულობებმა და გამიტაცა სხვა თემატიკამ. ასე, რომ ეს რომანი გადადებული მაქვს. ღმერთმა თუ ჯანი მომცა, გავამთავრებ.

გ.კ: მინდა ახალ რომანზე – „გორა მბორგალზე“ გკითხოთ, რაზეა ეს რომანი?

ჭ.ა: ბევრ რამეზე. იმისთვის, რომ რომანში ეპოქა დაიხატოს, უნდა დაიწეროს, თუ რა ვითარებაში ყალიბდებოდა ადამიანის ხასიათი და კიდევ ბევრი რამ. ამ რომანს ასეთი ქვესათაური აქვს: „წვართანი ყოფნათა აღსრულებათა და მოქცევათათვის“ - იმიტომ, რომ ადამიანის ბიოგრაფია, ადამიანის სიცოცხლე სამი რამისგან შედგება: ადამიანი ჯერ სწავლობს ცისა ქვეშე ყოფნას; მერე დგება აღსრულებათა პერიოდი, როდესაც ადამიანი დამოუკიდებლად წყვეტს სხვადასხვა საკითხებს – ეს ყველა-



ზე ხანგრძლივი პერიოდია ადამიანის სიცოცხლეში, მერე იწყება ადამიანის მიქცევის პერიოდი, ანუ პერიოდი ამ ქვეყნიდან წასვლისა; მიქცევის პერიოდი შეიცავს აგრეთვე აღსრულებათა ფენომენს: შეიძლება ადამიანი ემზადებოდეს სიკვდილისათვის შინაგანად, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმეები აკეთოს. მთავარია, შინაგანად იყოს მზად სიკვდილისათვის, წასვლისათვის, რამეთუ, ჯერ ერთი, უნდა განსაზღვროს, რისი გაკეთება შეძლო და რა დარჩა გასაკეთებელი, რამდენი დრო დარჩა და რა უნდა გააკეთოს ამ დროის მანძილზე; მეორეც, უდარდელად უნდა წავიდეს, არ ატეხოს ქვითინი და მოთქმა; არც მის გარშემო მყოფ ადამიანებს მოუხდეთ მისი გამოტირება. უნდა წახვიდე ისე, რომ შენი მისია აღსრულებულად ჩათვალო. ან თუ იმდენად თავმდაბალი ხარ, რომ არ თვლი შენს მისიას აღსრულებულად, მაინც არ უნდა გაეტირო იმას, რაც ვერ აღასრულე, რადგან ეს აღარ შედის სიცოცხლის იმ საზღვრებში, რომელიც შენ გაიარე. ეს ახალი წიგნიც სწორედ ამაზეა.

კაცი „მარბენალი“ უკვე მეექვსედ გამოიქცა შორეული ჩრდილოეთიდან და უცებ დასვა თავის წინაშე კითხვა: „რა მარბენინებს?“ მთელი ჩემი სიცოცხლეა გავრბივარ, რატომ გავრბივარ? რა არის ეს: სიბერის უარყოფის მტკიცება, თავის დამკვიდრება თუ სხვა რამ? მოდი, განვიხილავ ყველაფერს, რაც გადამხდა და იქნებ ამაში ვიპოვო პასუხი შეკითხვაზე, თუ რატომ გავრბივარ, ანუ რატომ ჩამოყალიბდი ასეთი ხასიათის კაცადო. ამ შეკითხვებზეა გაცემული პასუხი ჩემს ახალ წიგნში.

გ.კ: არ გეშინიათ, რომ თქვენი ახალი რომანი ნაკლებ პოპულარული იქნება, ვიდრე „დათა თუთაშხია“?

ჭ.ა: არა, მაგის შიში არ მაქვს, იმიტომ, რომ ვერავინ დაწერს ორ ერთნაირი ღირებულების წიგნს. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც არც ერთს აქვს დიდი ღირებულება და არც - მეორეს. არავითარი შიში არ მაქვს. არის ასეთი ლათინური გამონათქვამი: Feci, quod potui, faciant meliora potentes - „ვქმენ, რაც შევიძელ, ქმნან უკეთ ძალამოსილებმა“ - მორჩა და გათავდა.

ბილეთები:
$40 - $250
სუხიშვილები
ნიუ-იორკში
2 ოქტომბერს, 8:00PM
Master Theater
ყოფილ მილენიუმში
4 ოქტომბერს, 5:30PM
Avery Fisher Hall
at Lincoln Center
სპეციალური
სტუმრები:
ნინო ანანიაშვილი,
ირმა ნიორაძე,
ილია კუზნეცოვი,
ილზე ლეიპა
INTERNATIONAL CONCERTS წარმოგიდგენთ
(212) 721-6500 • www.lincolncenter.org
(212) 239-0494 • www.intlconcerts.org

N 10 (78)
ოქტომბერი 2015

რედაქტორი მანუჩარ კაჭახიძე

მოგვწერეთ: PO Box 13121, Jersey City, NJ 07303
ტელ.: 1-347-724-0770; თბილისიდან: 2-420-320
ელფოსტა: mamuliusa@gmail.com; www.mamuli.com